




ବଡ଼ ବୟସକାରୀ



ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება
ბატონ რამაზ გოცირიძისა და
ქალბატონ მარინა სანაძის
უშუალო თანადგომით

- 
- 5** **სარმლაქტორო**
რატომ და როგორ ტრამპის ტრიუმფი
- 7** **ანალიზის მცდელობა...**
ტრამპი ანუ რეაქცია
- 10** **ტრამპი და**
„პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“
- 12** **გულინები**
ანუ ნატკენი გულების ამბავი
- 14** **ღაიცავით**
თქვენი შვილები თქვენგან
- 16** **ქალი, კაცი და ნიანბი**
გოგი გვახარიას ბლოგი
- 18** **სახელმძღვანელო ღღმისთვის**
როგორ გამწვანდა თბილისი
- 19** **სასწავლომომედი სატი**
ჟურნალის გარეკანიდან
- 24** **პორტრეტი**
უჩინო და მადლიერი თათია
- 28** **ღროული მასტერ-კლასი**
ჩავიხედოთ ქალის სულში
- 30** **მეგობრები**
მოგვანიჭეთ თქვენი სიბლი
- 34** **ჩვენ ბახსოვს**
ოთარ სეფიაშვილი
- 51** **რომანი ჟურნალში**
მანუჩარ კატახიძის „საბა“



❖ მანუჩარ კაჭახიძე,
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

უკვე 9 ნოემბრის დღის 3 საათზე ეს სასწაული მომხდარი იყო.

იმ მაგიურ 270 ელექტორატული ხმის სათავისოდ მითვლა დონალდ ტრამპმა მოახერხა - და ჰილარი კლინტონის მხარდამჭერები აცრემლებული, ხოლო დანარჩენი ამერიკა - გაოცებული, შოკირებული თუ გახარებული დატოვა.

თუმცა, თუ გვერდზე გადავდებთ ემოციებს და მცირეოდენ ანალიზს გავაკეთებთ, ეს გარდაუვალი იყო.

ტრამპის სლოგანი „გავხადოთ ამერიკა ისევ დიდებული“ შეეხო ყველას, ვისაც პატრიოტული გრძნობების მიღმა შეეძლო დაენახა პრობლემების ზღვა.

საერთოდ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკაში არჩევნებს სლოგანი იგებს.

როცა კომუნისტური ერა დასრულდა და ამერიკა ახალ საუკუნესთან, ახალ გამოწვევებთან შესახვედრად ემზადებოდა, უილიამ კლინტონის სლოგანმა - „ავაშენოთ ხიდი 21-საუკუნესთან“ მას ოვალურ ოფისამდე გაუკვალა გზა.

ამ რვა წლის წინ, რესპუბლიკელების ასევე 8-წლიანი მართველობის შემდეგ დემოკრატი რომ გამოჩნდა, მაშინვე ითქვა, რომ INSIDER, ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში, იქაურ ჭაობში გათქეფილი ადამიანი აღარ სურდათ. ობამას უნდა დაენახებინა ყველასათვის, რომ ის კი არის ასეთი, მაგრამ ცვლილებების საჭიროებას გრძნობს და შეუძლია.

მისმა სლოგანებმა - „ცვლილებები

ჩაშლილი
ჩოქონი
ტრამპის
ტრიუმფი

გვკვირდება“, „დაიხა, ჩვენ შეგვიძლია“ - ამ ახალგაზრდა შავკანიან ბიჭუნაში ერთიანად გააერთიანა ქვეყნის შეცვლისა და პრეზიდენტის სკამზე რასის შეცვლის სურველი თუ აუცილებლობა.

თუმცა, ტერორიზმის ბრძოლაში მიღწეული წარმატებისა (ბინ-ლადენის ლიკვიდაცია) და ჯანდაცვის მისაწვდომობის რეფორმის მიუხედავად, ეკონომიკამ დაღმასვლა განაგრძო.

და ამას გრძნობდა პოლიტიკაში გაუცნობიერებელი ის მოქალაქეებიც, რომლე-

ბიც ტელევიზორისთვის საერთოდ ვერ იცლიდნენ, მაგრამ მათი ჯიბის სითხელით შესანიშნავად ატყობდნენ გაღონ რბეზე 1.46 ცენტრიდან ფასმა 3.49-მდე რომ მოიმატა.

ეს შეიძლება ბევრისთვის არაფრის მაჩვენებელი იყოს, მაგრამ როცა რძის ფასი 8 წელიწადში ორმაგდება, ეს ეკონომიკის არარსებობას (როგორც ჩვენში იტყვიან, - ჩამოშლას) ადასტურებს.

იაფი მუშახელისა და გადასახადების მარწუნების გამო შტატები დატოვა ავტონდუსტრიულმა კომპანიებმა და მანუფაქ-

ტურამ. ფაქტიურად, ყველა მასიური ცნობადი ბრენდი - რაღვ ლაურენიდან დაწყებული - ტომი ჰელფიგერით დამთავრებული ჩინეთში იკრებოდა. ის კი არაა, ამერიკაში ვერ იპოვით შეერთებული შტატების დროშას, რომელიც შეკერილია ამერიკაშივე.

მიჩიგანიდან გაიპარა პატარ-პატარა ავტომწარმოებლები მექსიკასა და კანადაში - აწარმოებენ დღესაც ამერიკულ ბრენდს, თუმცა ქვეყნის გარეთ! - რადგან მანქანის ამერიკულ ბაზარზე იმპორტის ტაქს-კოდი მიზერულია, როცა ექსპორტი გვარიანად იბეგრებოდა.

ქვეყანას დღემდე წელში ტესავს ნარკოგზა მექსიკიდან და არაღვგაღური ემიგრაცია.

დიახ, კარგია იაფი მუშა ხელი, რომლებიც დაღამებისას გადიან სამუშაოდ, ან სასიკვდილოდ მცხუნვარე მზეში კრეფავენ ფორთოხალს (რასაც ამერიკელები არ კადრულობენ), მაგრამ როცა წარმოიდგენ ამის პარალელურად ასობით ათასობით იმ ემიგრანტს, რომლებიც არ მუშაობენ (ერთი დღე არ უმუშავიათ), მაგრამ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ კვების ტალონებით, უფასო ჯანდაცვით, უფასო განათლებით და უფასო საცხოვრებლებით (ცნობილი მერვე პროგრამა), - სულაც არ გამოდის ის მუშახელი იაფი - ამერიკელი გადამხდლებისთვის ეს საკმაოდ ძვირადღირებული ტვირთია.

და ამერიკა ეძებდა ადამიანს, რომელიც შეებრძოლებოდა ამ მანკიერ სისტემას, დამყაყებულ ტრადიციებს.

ტრამპმა ეს საქმით დაუმტკიცა ამომრჩეველს - დღევანდელ დღემდე იმდენი ბრძოლა გადაიტანა, რომ ზუსტად ასეთი ბრძოლის უნარიანობა აუცილებელი ამ პოზიციისთვის. ის ჯერ საკუთარ პარტიამში ბრძოლობდა, შემდეგ 17 კანდიდატს მოუგო შიგა პრაიმერებში, ყრილობის 2472 დღე-გატის გადარწმუნებაც შეძლო - განხეთქილება რომ შეიტანეს პარტიამში ყრილობაზე.

შემდეგ ერთიანად დაუპირისპირდა მოწინააღმდეგის ჯიბეში მოკალათებულ მედიას - მსოფლიო გიგანტების მიკერძობაში და ტყუილში დადანაშაულებასაც არ მოერიდა (არც სი-ენ-ენს და არც ნიუ-იორკ თაიმს დღემდე არ მიუმართავთ სასამართლოსათვის - ღირსების შელახვისათვის პასუხის მოსათხოვად). და მერე პირისპირ შეებრძოლა ქალს! და რა ქალს!

საერთოდ, ქალი სხვა ფენომენია ტრამპისთვის. აღმერთებს მორე მუელღეს, ძელანას... თუმცა ჭეშმარიტება და სიმართლე ყველაზე მაღლა დგას, ყოველგვარ ეტიკეტზე და კონიუქტურაზე... როცა სიმართლე მაღლა ადის, ამ დროს ქალიც კი მიწაზე ენარცხება.

გახსოვთ, საპრაიმერო დებატებისას „ფოქსის“ ჟურნალისტის მეგან კელის შეკითხვა? შეკითხვამ წყობილებიდან გამოიყ-

ვანა ბატონი ტრამპი, ემოცია ვერ დაიჭირა და ჟურნალისტიც კი „შემოელანა“.

კითხვა კი ძალიან უბრალოდ გამოიყურებოდა: „ბატონო ტრამპ, ერთი რამ, რაც ხალხს თქვენგან უყვარს, ესაა რომ საუბრობთ რასაც ფიქრობთ და არ იყენებთ პოლიტიკურ ფილტრს. თუმცა, ეს არ ვერცელდება ქალებზე. ქალებს, რომლებიც არ მოვწონთ, თქვენ ეძახით - მსუქანა ლორებს, ძაღლებს, უხეირო, ამზრუნ ცხოველებს.

- ეს მარტო როუზი ლინკოლინი დაკუთმხე - აწვევტილებს ტრამპი.

- თქვენს ტვიტერზე რამდენიმე დამამცირებელი კომენტარია ქალთა შესახებ. თქვენს შოუში, „შევირდში“, მონაწილეს უთხარით, რომ ლამაზი წარმოსადგენი იქნებოდა დაგენახათ ის მუხლებზე დაჩოქილი. როგორ გგონიათ, ასეთი ფიცხი ადამიანი უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტად?“

და გაცხარება და შარვილიდან ამოხტომა მაშინ უნდა გენახათ.

ეს მაშინ, როცა ათეულ მილიონი ადამიანი არათუ შენს პასუხს, შენს სახეზე ნერვის მოძრაობას აკონტროლებს.

საერთოდ, ტრამპთან მიმართებაში ხშირად ასხენებენ „რეიგანის ფაქტორს“ (პოლიტიკაში გამოუცდელის მოსვლას), მაგრამ რეიგანი სიტყვებს ეფერებოდა, აგრესიაც კი იუმორში ჰქონდა გახვეული.

ტრამპი შეულამაზებელი და უემენი სიმართლით შეიყვარა მისმა ამომრჩეველმა - ის სათქმელს ზოგჯერ უტაქტოდ, უხრდელად ამბობდა და - ამ პოლიტიკური თუ დიპლომატიური ტაქტიანობით დაღლილებს გულს მალამოდ ეცხებოდა.

რატომ ჰილარი ვერა?

იგი ყოველთვის აგვიანებდა ცხელ კითხვებზე პასუხის გაცემას - ემაილების სკანდალზე ხანგრძლივმა სინჯიმემ დიდი ბოლმის გუნდა ააგორა. არადა, მისიერად რომ გამოსულიყო და ადამიანურად ეთქვა: „უი, მართლა არ შეიძლებოდა? არ ვიცოდი, მაპატიეთ“ - ამხელა გუნდა დასაწყისშივე დადნებოდა. დროული „ბოდიში“ ყველაზე დიდი იარაღია, რომლის დრო თუ გამოგეპარა, შემდეგ ასმაგ ხარისხში აყვანილიც აღარ შევლის გაფუჭებულ საქმეს, რაც დავიანხეთ კიდევ - მისმა ღუმელი ერთი მუდის უბრალო კრიტიკა მასობრივ აღელვებად გადააქცია.

ტრამპს „ლაგარტიკიდან“ დაწყებული, ტყვიით დამთავრებული, საბრძოლველი იარაღი მრავლად ჰქონდა - ოპონენტის სახელმწიფო მდივნად მუშაობისას რუსეთთან წარუმატებელი „გადატვირთვის“ ჩაგარდნა; ირანთან და კუბასთან მიღწეული შეთანხმებები, სადაც ამერიკის ინტერესები პირველ რიგში არ დგას; კლინტონის ფონდის წინააღმდეგ მიმდინარე ფედერალური გამოძიება; ბენგაზში აფეთქებული დიპლომატიური კორპუსის დაუცველობა...

კლინტონსაც ჰქონდა ასეთი „ხლაპუმიკები“ ტრამპისადმი, თუმცა ამერიკელი ამომრჩეველის უმრავლესობისათვის, „ხლაპუმიკებად“ დარჩა -

ბანკროტის მუხლი იმიტომ გამოიყენე, საგადასახადო კანონი მაძლევედა იმის უფლებას, რომ ბოლომდე არ მიმეყვანა ეს პროცედურა, მაგრამ მის რეჟიმში ყოფნისას კანონში არსებული სფეროებით შესარგებლო.

გადასახადებს იმიტომ ვერ გაჩვენებთ, რომ მილიარდული თავის კონკურენტებს არც კარტს უშლის და არც ჯიბეში ახედებსო.

რუსეთის პრეზიდენტთან ურთიერთობაში და მეგობრობაში ამერიკის ინტერესები იქნება პირველი, ამით რაც შენ ვერ გააკეთე, იმას შეეძლება.

ეს კი მართალია, 28 წლის წინანდელ ინტერვიუში ოპრასთან, იმ დროისათვის გაცილებით ახალგაზრდა ტრამპი ამბობდა, - თუკი პრეზიდენტობას გადაწყვიტავ, უსათუოდ გავიმარჯვებო, დამარცხება ჩემი სტილი არ დამის.

და ასე დამავარებლად წაიყვანა მთელი საარჩევნო კამპანია:

თქვა, რომ ოჯახად მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობას ვაღიარებო, და დაიპირისპირა ათასი ჯურის უფლებადამცველები;

11 მილიონ ემიგრანტს გაყვრი ქვეყნიდანო, კედელს ავაშენებო - და ლათინური ამერიკა და ემიგრაცია მტრად მოიკიდა;

მედია და ტელევიზია მატყუარები ხართ და ჯიბეში უხიხართ ჩემს ოპონენტსო (მართალი იყო, სი-ენ-ენის ანალიტიკოსმა და დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ წინასწარ გაანდო დებატების კითხვა კლინტონს) და ამით ბოლო ხმაზე ააკნავლა ანალიტიკოსებად გადაცემული დემოკრატიული პარტიის ნომენკლატურა; ობამას „ჯანდაცვას“ ახალი რეფორმით ჩავანაცვლებო, დაიყვრა და ამაზე ბარაკი გააგიჟა - დაავიწყდა ჯერაც პრეზიდენტი რომ იყო და თავით გადაეშვა ჰილარის საარჩევნო კამპანიაში მუუღლესთან ერთად.

ოოოო, ამ გადაცდომამ უსამართლო უბირატესობა დაანახა რიგით ამომრჩეველს და ორი საათი წვიმაში ქოლგით დადგა საარჩევნო უბანში შესვლისათვის.

ამერიკა თავის პრეზიდენტად ყოველთვის ირჩევდა ჭკვიანს, სიმპათიურს, გამჭრიახს, გამორჩეულს, მოხერხებულს - წელს ასეთი ფუფუნება არ იყო - კორუმპირებულსა და იდიოტს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი და გააკეთა კიდევ.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ამერიკას გიჟი პრეზიდენტად არასოდეს ჰყოლია და გადაწყვიტა, ამასაც გაუხინჯოს გემო.

ქალს პრეზიდენტს ისევ დაელოდება შტატები - ოღონდ პოლიტიკისათვის გაცილებით სუფთასა და უმწიკველს. ■

ტრამპი | TIME | რეაქცია

იმის შენარჩუნება, რაც არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ძალისხმევის შედეგადაა შესაძლებელი. როდესაც ამ ძალისხმევას პრიმიტიული კლიშეები და ზედაპირული ოპტიმიზმი ჩაანაცვლებს, რეალობა ორივეს უსაფუძვლობას გვიჩვენებს. რადგან სწორედ ამაშია ჩვენი თავისუფლების გარანტია - ის მყარს არაფერს ეფუძნება.

რისი სახელია ტრამპი? პოლიტიკური რეაქციის. ოღონდ 21-ე საუკუნის რეაქცია განსხვავდება მე-19 საუკუნის რეაქციისაგან, რომელსაც ევროპის ისტორიიდან ვიცნობთ. როგორც ყველაფერი დანარჩენი იმპერია, ომი, ძალაუფლება, რევოლუცია - ეს რეაქციაც „ლაითია“. და, როგორც რეაქციის ყველა მონაკვეთი წარსულში, ისიც, სავარაუდოდ, დროში საკმაოდ შეზღუდული იქნება.

ერთი ციტატის ბაზოპიება

ჩემმა მეგობარმა სალომე ასათიანმა მომწერა, Rorty-ს ფილოსოფოსები ხომ ნამდვილად როგორც „რორტის“ თარგმნით ქართულად. დავუდასტურე, თუმცა გამიკვირდა: რამ გაახსენა ტრამპის არჩევის მეორე დღეს ეს საკმაოდ დავიწყებული მოაზროვნე-მეთქი. პასუხი სალომესავე, როგორც ყოველთვის, ძალიან საინტერესო გადაცემაში აღმოვაჩინე, როდესაც მან რორტიდან ციტატა წაიკითხა.

ციტატის მიხედვით, მუშები ამერიკაში ძალიან აღმოაჩნენ, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს სამუშაო ადგილების შესაქმნაროში გადატანის წინააღმდეგ, ხოლო სამუშაო კლასი ისევ წინააღმდეგი იქნება, გადასახადების გაზრდის საშუალებით დაეხმაროს მათ, ვისაც უფრო უჭირს. ერთხელაც ისინი, ვინც არ ეკუთვნის სამუშაო კლასს, აირჩევენ ბელადს, რომელიც მათ დაჰპირდება, რომ იბრძოლებს ელიტების წინააღმდეგ. ამის შემდეგ რასობრივი, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობებისათვის მიღწეული ბევრი მონაპოვარი დაიკარგება, ხოლო ქალების დამცირება ისევ მოღალაში შემოვა. ცხადია, ეს ბელადი ვერანაირ გაუმჯობესებას ვერ მიაღწევს, მაგრამ მოიტანს ნამდვილ კატასტროფას აშშ-სა და მსოფლიოსათვის. ამას რორტი ჯერ კიდევ 1998 წელს წერდა.

აქ უკვე უფრო სერიოზულად გამიკვირდა. საქმე ისაა, რომ რორტის სტუდენტობისას ინტენსიურად ვკითხულობდი და ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისადმი მიდრეკილება მასთან არ აღმომიჩნია. გადმოვიღე მისი წიგნი „მივალწიოთ ჩვენს ქვეყანას“ (ირონიული და საღ აზრზე და-



ფუძნებული მემარცხენე პროგრამა ამერიკისათვის ყოველგვარი თეორიული რადიკალიზმის გარეშე) და, მართლაც, ციტატა რორტის ეკუთვნის, ოღონდ ის სხვა ავტორის, ედვარდ ლუტვაკის ერთ-ერთი ნაშრომის შეჯამებას წარმოადგენს.

ლუტვაკი ვიცოდი. მას დაწერილი აქვს ძალზე გონებაშეზღუდული წიგნი „როგორ მოვაწყობთ სახელმწიფო გადატრიალებას“ და, ასევე, რამდენიმე წიგნი იმპერიების დიდ სტრატეგიებზე. რაც არ ვიცოდი, ყოფილა ის, რომ თურმე 90-იანი წლების დასაწყისში გამოუქვეყნებია წიგნი იმაზე, თუ როგორ ემუქრება ამერიკის მომავალს ფაშიზმი.

თითქოს რა განსხვავებაა - გინდ რორტი ყოფილა, გინდ - ლუტვაკი, დიაგნოზი ხომ იგივეა. გამოდის, რომ ლუტვაკმა 1994 წელს იწინასწარმეტყველა ფაშიზმის აღზევება ამერიკაში, რომელსაც ოცი წლის შემდეგ კიდევ ვხედავთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმავე ლუტვაკს რამდენიმე თვის წინ დაუწერია სტატია, სადაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ მისი ეს აღრინდელი ანალიზი ტრამპს მიუყვანოთ. ამ სტატიაში ლუტვაკი დასცინის ტრამპოფობებს, ამბობს, რომ ტრამპი ჩვეულებრივი კონსერვატორი პრეზიდენტი იქნება და არანაირ განსაკუთრებულ ნაბიჯებს მისგან არ უნდა ველოდეთ. ლუტვაკი

ტრამპს ადარებს რეიგანს, რომლისაც არჩევამდე ასევე ძალიან ეშინოდათ, რადგან ეგონათ, რომ ის ატომურ ომს დაიწყებდა.

ტრამპის ქცევა არჩევის შემდეგ თითქოს ლუტჯაკის პიპოტუნას უფრო ადასტურებს, ვიდრე იმ პანიკის მართებულობას, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს მედია ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. მაგრამ ნუ ვიქნებით ცინიკურები: პანიკას დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს.

რად გმობდებოდა პანიკა?

თანამედროვე კლასიკოსის, ერმალო მაღრაძის ფილმს ჰქვია „აპოკალიფსი არ იქნება“. ამ ფილმის სათაური ზუსტად აღწერს დღევანდელი სამყაროს მდგომარეობას. დღევანდელი მსოფლიო სისტემა სტაბილურია სწორედ იმ პირობით, რომ ყველას მუდმივად აპოკალიფსის ეშინია. „დასასრული“ ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა, რომელიც ინტელექტუალურ დისკურსში არსებობს, მოყოლებული მე-19 საუკუნიდან. ნიცშემ იწინასწარმეტყველა ღმერთის სიკვდილი და მას შემდეგ ფილოსოფია ათასწარადა ახლენს მისი სიტყვების ინტერპრეტაციას, რათა აგვიხსნას, რატომ არის, რომ ღმერთი, ამ სიტყვის ყველაზე ტრივიალური გაგებით, არ მოკვდა; მარქსმა იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის სიკვდილი და მას შემდეგ დაინტერესებული სტუდენტები აგერ უკვე საუკუნუნახევარია, კაპიტალისტურ ქვეყნებში ქმნიან კითხვის წრეებს, რათა გაერკვნენ „კაპიტალის“ დიალექტიკაში; შპენგლერმა იწინასწარმეტყველა დასავლეთის მზის ჩასვენება სწორედ იმ საუკუნეში, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ყველაზე ფართო გავრცელებას მოცისწყობდა; ფუკომ იწინასწარმეტყველა ადამიანის, ხოლო ფუკუიამამ - ისტორიის დასასრული. ეს ყოველივე ვოლანდისოვის რომ მოგვეყოლა, გვეტყოდა, რა ხდება ამ თქვენს ლიბერალურ დემოკრატიებში, რასაც ხელს მოკიდებ, ყველაფერი დაემთავრებათ.

შეუძლებელია, ყველა ეს წინასწარმეტყველება, უბრალოდ, მცდარი იყოს. სინამდვილეში საქმე მათ ჭეშმარიტება-მცდარობაში კი არა, მათ ფუნქციაშია: ისინი ფუნქციონირებს, როგორც ცრუმორწმუნე ადამიანის ლაპარაკი ყველაზე არასასურველი მომავლის შესახებ, რათა ის არ ახდეს. სტრუქტურა დახლოებით გასაგებია:

საკმარისია, ადამიანთა ჯგუფმა დაიჯეროს, რომ მომავალი წინასწარაა განსაზღვრული, რომ ეს მომავალი იცვლება. როგორც კი წარმოსახვას ჰორიზონტი ჩაეკეტება, ჰორიზონტს რეალობა აღებს. როდესაც ადამიანის ცნობიერება უძლურია, დრო თვითონ ნახულობს გამოსავალს. მაგრამ ეს „თვითონ“ სინამდვილეში ფუნქციაა ადამიანური პანიკისა. აპოკალიფსი

არ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოხდენის შესაძლებლობის ყველას სჯერა. აპოკალიფსური წარმოსახვა არის აზრის მონაწილეობის შესაძლებლობა სამყაროში (ცხადია, ეს მოდერნისტული პოზიციაა; ნამდვილი ტრადიციონალისტი იტყვოდა, რომ აპოკალიფსი არ ხდება, რადგან ის უკვე მოხდა: მე-18 ან მე-15 საუკუნეში; ან, შესაძლოა, უფრო ადრეც, ძველ ბერძნებთან ან ძველ ინდოელებთან, რომლებმაც დასაბამისეული სიბრძნე დაივიწყეს). ატომური ომი არ მოხდა, რადგან - ცუმ გარან სალის - მისი საშიშროების შესახებ ფილმები გადაიღეს კუბრიკმა, ბერგმანმა და ტარკოვსკიმ. დარწმუნებული ვარ, ბრიტანელებს რომ დაეჯერებინათ ბრექსიტის შესაძლებლობის, ხოლო ამერიკელებს - ტრამპის არჩევის რეალურობის, არც ერთი მოხდებოდა, და არც მეორე.

თანამედროვე სამყაროს ისტორია ოთხ საფეხურად

არ ვაპირებ ბევრ მარჩიელობას იმის თაობაზე, თუ როგორი პრეზიდენტი იქნება ტრამპი. არც ის მაინტერესებს მაინცდამაინც, როგორ მოიგო მან არჩევნები - მისი აღზევების ფენომენი მაშინაც საინტერესო იქნებოდა, პრეზიდენტად კლინტონი რომ აერჩიათ. თუმცა, ცხადია, მისი გამარჯვება ამ ფენომენს შეუდარებლად უფრო დიდ წონასა და მნიშვნელობას სძენს.

ტრამპის გამარჯვების ფენომენი იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც ის გლობალური ტენდენციის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ამ გლობალური ტენდენციის ჩასახვა სწორედ ჩვენს რეგიონში მოხდა და ჩვენ მას ყველაზე მეტი ხანია ვაკვირდებით, შესაბამისად, მან მაინცდამაინც არ უნდა გავაკვირვოდ. მაგრამ ვაკვირვებ, რადგან არ მოგვეპოვება მისი აღმნიშვნელი სახელი.

პირველი, რაც ტრამპის არჩევისას თვალში გვხვდება, არის მოულოდნელობა. ტრამპის არჩევი ელოდა. ისევე, როგორც ბრექსიტს ბრიტანეთში, ლე პენის აღზევებას საფრანგეთში და პოლიტიკური ორგანიზაციის „ალტერნატივა გერმანიისათვის“ გაჩენას გერმანიაში. მოულოდნელობის მომენტია ის, რაც ამ მოვლენებს აერთიანებს.

რასაკვირველია, ვიცი, რომ ბრექსიტს, ლე პენს, ტრამპს, ორბანს უნგრეთში და კანინსკის პოლონეთში პოპულარულს უკავშირებენ. პოპულარობა - ესაა ლიდერის მიერ ელიტის თავზე გადახტომით პირდაპირ მასზე გასვლა, რაც უმეტესწილად ავტორიტარული ტენდენციების მოჭარბებით მთავრდება. მაგრამ ეს არაა საკმარისი, სწორედ იმიტომ, რომ ტენდენცია ჩვენს რეგიონში, კერძოდ კი რუსეთში დაიწყო, რუსეთი კი სრულიადაც არაა პოპულისტური რეჟიმი. ტენდენციას, რომლის შესახებაც ვლაპარაკობ, პოლიტიკური რეაქცია

ჰქვია. ევროპის ისტორიიდან, ალბათ, გვახსოვს - რეაქცია მუდმივად მოსდევდა რევოლუციას. რატომ?

დიდ ბრიტანელ სოციოლოგ ტ. ჰ. მარშალს რომ დავესესხოთ, მოქალაქეობის ისტორია დასავლეთში სამ საფეხურს მოიცავს: სამოქალაქოს, პოლიტიკურსა და სოციალურს. თითოეულის მიღწევას, ისტორიას თუ დავაკვირდებით, დაახლოებით ერთი საუკუნე სჭირდება. პირადად მე ამ სამს მეოთხესაც დავამატებდი: გლობალურს.

მოქალაქეობის სამოქალაქო ნაწილი მოიცავს გამოხატვის, აზრისა და რელიგიის თავისუფლების, ისევე როგორც კანონის წინაშე თანასწორობის აღიარებას; ამის მიღწევას, უხეშად რომ ვთქვათ, მე-18 საუკუნე დასჭირდა და დღეს ჩვენ მას ლიბერალიზმის სახელით მოვიხსენიებთ; ამისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ბრძოლა პოლიტიკური მონაწილეობის უფლებების დამკვიდრებისათვის - დღეს მოქალაქეობის ეს განზომილება ცნობილია, როგორც დემოკრატია; ხოლო მე-20 საუკუნე - როგორც სოციალური უფლებების აღიარების პროცესი, როცა განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის მინიმალური მოთხოვნები განიხილება, როგორც აუცილებელი პირობა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გამოყენებისათვის.

თითოეულს ამ მიღწევათაგან მოჰყვებოდა მძაფრი პოლიტიკური რეაქცია, რომელიც ცდილობდა ახალგაჩენილი ღირებულებებისა და ინსტიტუტების განადგურებას. რეაქციის პერიოდი მე-19 საუკუნის ევროპაში ამის ყველაზე ნათელი მაგალითია. სხვათა შორის, საინტერესო ფაქტია, რომ იმდროინდელ ევროპულ არქიტექტონიკაში რეაქციის დამცველი სერიოზული ძალა სწორედ მეფის რუსეთი იყო.

21-ე საუკუნეში ამ ყოველივეს დაამატა გლობალური განზომილება - ამ სამი წყების უფლებების ერთიანობა გახდა მოდელი დანარჩენი სამყაროსთვის, მაგრამ ასევე დაიწყო მცდელობები მისი უფრო ფართო მასშტაბით განხორციელების მიმართულებით, ვიდრე ერი-სახელმწიფოს ჩარჩოებია (ევროკავშირის პროექტი).

უკუდარტყმა აქაც ძალიან ძლიერი იყო, პირველ რიგში, იმ ქვეყნებში, რომლებსთვისაც მიუღებელია მოქალაქეობის ეს პირველი სამი განზომილება. ამ ანტიგლობალისტურ, ანტილიბერალურ ტენდენციას სათავე, როგორც ჩანს, რუსეთმა დაუდო ამ ათი წლის წინ. „სათავე დაუდო“ არ ნიშნავს „შექმნას“; ამ ტენდენციის ჩანასახი მანამდეც არსებობდა. უბრალოდ, რუსეთიდან დაიწყო გლობალური ტენდენცია, რომელმაც ჯერ აღმოსავლეთ ევროპაში იჩინა თავი, შემდეგ - დასავლეთ ევროპაში, ახლა კი აშშ-საც მიადრია.



ცხადია, ჯერ არ ვიცით, ტრამპი თანმიმდევრული რეაქციონერი იქნება, თუ ტრადიციულ კონსერვატიზმს დაეყრდნობა. მაგრამ ტალღა, რომელმაც ის პრეზიდენტად მოიყვანა, ჩემი აზრით, რეაქციული იყო, ისევე როგორც ბრეჟნევის, ან ლე პენის მხარდამჭერთა ტალღები.

აქ თავიდან უნდა ავიცილოთ ერთი ძირითადი გაუგებრობა: მოქალაქეობის ამ ოთხი საფეხურის კონცეფცია არანაირად არ გულისხმობს უწყვეტ პროგრესს.

პირიქით. ჯერ ერთი, თითოეული საფეხურის გაჩენის შემდეგ რეაქცია, ანუ უკუდარტყმა, ძალიან მძაფრია, რაც იწვევს წყვეტებს; მეორე, თითოეული ახალი საფეხური აუცილებლად ურტყამს წინას. ჩვენ გვავიწყდება ხოლმე, რომ მე-19 საუკუნეში ლიბერალებს ეშინოდათ დემოკრატიის, გასულ საუკუნეში დემოკრატებს ეშინოდათ კეთილდღეობის სახელმწიფოსი, ხოლო ახლა კეთილდღეობის სახელმწიფოს მომხრეებს ეშინიათ გლობალიზაციის. როგორც დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი უაიტჰედი ამბობდა, ცივილიზაციის ყოველი სერიოზული მიღწევა თითქმის ანგრევს იმ საზოგადოებას, რომელშიც ეს მიღწევა ხდება. ამიტომ არანაირად არ უნდა ამოვიდეთ საფეხუროვანი პროგრესის იდეიდან, არამედ მთელი ეს პროცესი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მუდმივი კონფლიქტებისა და მრავალი ანტაგონიზმის შემცველი ზიგზაგი.

„ზიგზაგი“ - ეს იყო სიტყვა, რომელიც ობამამ შეაგება ტრამპის არჩევის ამბავს. ეს ძალიან ზუსტი სიტყვაა, რადგან ამ პროცესში ბოლომდე გაუგებარია, რომელია „ზიგ“ და რომელი - „ზაგ“: მსოფლიო ისტორიული ტენდენცია მიისწრაფვის გლობალური წესრიგისკენ, რომლის გზაზეც წყვეტებისა და გადახვევების მოწმენი ვხდებით, თუ პირიქით, ჩვენ წინაშეა ქაოსი, რომლის დასტაბილურება მოკლე დროით ხდება, რათა ყოველივე ისევ ამოსავალ

წერტილს დაუბრუნდეს?

და, რაც ძალიან გვაინტერესებს, როგორია საქართველოს ადგილი ამ გლობალურ პროცესებში?

საქართველო

რეაქციის ტენდენცია საქართველოშიც იგრძნობა, ისევე როგორც მიუღს რევიონში. ოღონდ აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან კონსერვატიზმი და რეაქცია. როგორც ცნობილია, კონსერვატორი ისაა, ვისაც ინსტიტუტების შენარჩუნება უნდა, რეაქციონერს კი, პირიქით, ინსტიტუტების განადგურება სურს.

ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, ანუ იქ, სადაც ტრადიციები ათწლეულების და, ზოგჯერ, ასწლეულების განმავლობაში წყვეტას განიცდიდა, დამატებითი გამოწვევა გვაქვს, რადგან ამ ორი მოვლენის ერთმანეთისგან განსხვავება (რაც სხვაგანაც ჭირს) აქ კიდევ უფრო რთულია. ეს მოითხოვს დამატებით ენერჯიასა და გამჭრიახობას, რაც საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც საქართველოში გვაქვს, პანიკის არასაკმარისი ინსტიტუციონალიზაციაა. ჩვენ ვერ ვახერხებთ, ისე გვემზინოდეს აპოკალიფსის, რომ ყოველთვის ავიცილოთ ხოლმე ის თავიდან. რომ არა ჩვენი ტემპერამენტისეული ოპტიმიზმი, 90-იანი წლების დასაწყისის მრავალი კატასტროფა შეიძლება არც მომხდარიყო. სწორედ ეს არის ჩვენი ინტელექტუალური კლასის მნიშვნელოვანი ჩავარდნა. გარდა ამისა, გვჭირდება ინსტიტუტები, რომლებიც იღებენ პანიკის ამ სიგნალებს. მედია, სამოქალაქო სექტორი, აკადემიური სივრცე - აქაც მიმდინარეობს პროცესები, რომლებმაც შეიძლება სულაც არ შეუწყოს ხელი ადაპტაციას. მაგალითითათვის, დღეს არასამთავრობო სექტორიდან, რომელსაც ბევრი აკრიტიკებდა, როგორც ფართო მასების ინტერესებს მოწ-

ვევტილ სფეროს, სიმძიმე გადადის ინდივიდუალურ აქტივისტებზე, რომელთა შესაძლებლობებიც ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე ორგანიზაციებისა. კონსერვისისა და კომპეტენციის პრობლემა ელიტებს შიგნით ტრადიციული გამოწვევაა, რომელსაც ჯერჯერობით ვერაფერი ეშველა. მომატებული აპოკალიფსიზმი ვერაფერს გააწვობს, თუ არ იქნა მისი იმ სიგნალების შთანთქმის მექანიზმები, რომლებიც ყოველთვის ინსტიტუციურია.

და, ცხადია, საჭიროა თვითრეფლექსია. მაგალითად, იმაზე, რატომ გახდა ლიბერალიზმი იმ რწმენის აღმნიშვნელი, რომ „ყველაფერი აუცილებლად კარგად იქნება და, თანაც, თავისით“. რომელმა ლიბერალმა თქვა ეს?

ჰაიეკმა, რომელიც იმაზე საუბრობდა, რომ ლიბერალური ტრადიცია ადამიანის ინსტინქტურ სწრაფვებს ეწინააღმდეგება და კულტურული (ანუ, არა ბუნებრივი) წარმომავლობისა?


თუ ისაია ბერლინმა, რომლის მიხედვითაც ლიბერალური ფილოსოფია ფუნდამენტური ღირებულებების ტრაგიკულ და გადაულახავ კონფლიქტს გულისხმობს?

იმის შენარჩუნება, რაც არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია. როდესაც ამ ძალისხმევას პრიმიტიული კლიშეები და ზედაპირული ოპტიმიზმი ჩაანაცვლებს, რეალობა ორივეს უსაფუძვლობას გვიჩვენებს. რადგან სწორედ ამაშია ჩვენი თავისუფლების გარანტია - ის მყარს არაფერს ეფუძნება.

სიხარულიც და შიშაც მოდიან ერთი და იმავე წყაროდან, რომელიც ჩვენ შიგნით ფუნდამენტურ განუსაზღვრელობაზე მიუთითებს. არაფერ გაყინულსა და გაშეშებულს არ უწერია მარადისობა, რაც უნდა კეთილი განზრახვით გავყინოთ და გავაშეშოთ ის. მოძრაობა და მარტო მოძრაობა.

გიგა ზედაძია

2016 წლის ნოემბერი



ტრაპიკი

და „პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“

ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია ტრამპის აღზევებით შემოქმედებითად იხიროს, ეს არიან სწორედ ინტელექტუალები და ხელოვანები, რომლებზეც ყოველთვის შთამაგონებელი ზეგავლენა ჰქონდა სამყაროს აღსასრულის ფანტაზმებს.

„პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“

როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა, მის ნეკროლოგში ნათქვამი იყო, რომ ბრეჟნევის არა მხოლოდ საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი „პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“ გლოვობს. საბჭოთა იდეოლოგიურ ლექსიკონში „პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“ ადამიანთა იმ კატეგორიას აღნიშნავდა, რომლებიც არ იყვნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, მაგრამ თანაურდობდნენ და გულშემოტკივრობდნენ საბჭოთა ხალხს, ან იმ იდეალებს, რომლებიც ამ ხალხს და მათ სახელმწიფოს აერთიანებდა.

ამდენად, საბჭოთა პროპაგანდა ადამიანებს პროგრესულად და არაპროგრესულად მოაზროვნეებად ყოფდა. არაპროგრესულები ის კატეგორია გამოდიოდა, რომელიც „ცივი ომის“ პირობებში არასწორ და მტრულ იდეოლოგიურ მხარეს იდგა.

საბჭოთა კავშირთან ერთად, ეს გამოთქმაც დაიკარგა, მაგრამ არა თავად ადამიანების პროგრესულად და რეგრესულად დაყოფის პრინციპი, რომელიც არც საბჭოთა პროპაგანდას გამოუგონია და არც მას მიუტოვებია ოდესმე მსოფლიო ისტორიის არენა. ცვლილებას მხოლოდ ვექტორი განიცდის, ანუ სხვადასხვა ისტორიულ

ვითარებაში „პროგრესულად მოაზროვნეობის“ ეპითეთი ის კატეგორია აღინიშნება, რომელიც ჰეგემონ ძალას წარმოადგენს, ან მისი მოპოვებისთვის ემზადება. ასეთი იყო, მაგალითად, ადრექრისტიანული ხანის „ორთოდოქსი“, ანუ „სწორი აზრის მქონე“ და „ერეტიკოსი“, ანუ „თავისუფლად (ან თვითნებურად) ამრჩევი“; მოგვიანებით, მე-17 საუკუნეში ევროპელმა ჰუმანიტებმა უკვე ამ „სწორი აზრის მქონეებს“ უწოდეს ობსკურანტები, ანუ „ბნელები“. მათგან გამოვლენები კი სიბნელის დამთრგუნველი „განმანათლებლები“ იყვნენ.

მოკლედ, ყველა ეპოქას ჰყავს თავისი „პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა“, რომელიც იმდენად არსებობს, რამდენადაც მას თან ახლავს მისი დიალექტიკური წყვილი - არაპროგრესული, რეაქციონერი, ჩამორჩენილი, გაუნათლებელი და ბნელი კაცობრიობა. თანამედროვე სამყაროში „პროგრესულად მოაზროვნე“ ნაწილი ერთმნიშვნელოვნად ლიბერალური საზოგადოება მიიჩნევა (თუ თავს მიიჩნევს), ისაა ჰეგემონი ქვეყნების ჰეგემონი ნაწილი და მასთან საკუთარი თავის გაიგივება, იმავე ღირებულებებისა და სააზროვნო პრინციპების საკუთარ ცნობიერებაში ინსტალაცია, ჰეგემონიაში თანამონაწილეობის განცდას ანიჭებს მათაც, ვისაც განგებამ არაჰეგემონ ქვეყანაში ცხოვრება არგუნა წილად.

ლიბერალურობა ერთ კონკრეტულ, ცენტრისტულ იდეოლოგიამდე არ დაიყვანება, რამდენადაც ამ პოლიტიკურ ცენტრს მარცხნივაც (სოციალ-დემოკრატიები, სოციალისტები, ლეიბორისტები, მწვანეები) და მარჯვნივაც (ქრისტიან-დემოკრატიები, კონსერვატორები, ლიბერალ-დემოკრატიები) თავისი

გრადაციები აქვს. ამ ლიბერალურ ბირთვშია დასავლეთის ძალაუფლების ცენტრი, რომლის ხელითაც ზორციელდება დასავლეთის ჰეგემონური პოლიტიკა მთელ გლობალიზაციის პროცესში მყოფ სამყაროში. დასავლეთის ქვეყნების შიგნითაც ეს ლიბერალური ბირთვი ადგენს კულტურულ და ეთიკურ ნორმებს, ნებადართულის საზღვრებს და კულტურულ ტაბუებს, საყოველთაო ფასეულობებს, მოკლედ, „თამაშის წესებს“ და თავადვე ზრუნავს იმაზე, რომ თამაში ნებადართულის ფარგლებს არ გასცდეს, ანუ უკიდურეს შემარჯვენეობასა და შემარცხენეობაში არ გადაიზარდოს.

რამდენადაც დასავლეთის მედიასივრცე ლიბერალურია, ის ღიაა პოლარულად განსხვავებული აზრების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც ის საწინააღმდეგო პოლუსიდან მოდის, მაგრამ ამ ლიბერალური ბირთვის არეალში თავსდება. ლიბერალიზმი ინტერნაციონალურია და სოლიდარული საერთო ფასეულობების მიმართ, რომლებსაც ყველგან ერთი და იგივე სოციალური ფენა აზმოვანებს.

ლიბერალური ბირთვი - ესაა განათლებული ბიურგერული საზოგადოება. განათლება, ცოდნის ფლობა თავისთავადი ფასეულობაცაა და ლიბერალური საზოგადოების უპირატესობისა და წარმატებულობის საფუძველიც. განათლებას და საგანმანათლებლო იდეალებისადმი ერთგულებას იმდენად საკულტო და იდენტობის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რომ ლიბერალური საზოგადოება, ნებით თუ უნებლიედ, გაუცხოებული აღმოჩნდა სხვა, ნაკლებად განათლებული, ან განათლებაზე ხელმიუწვდომელი სოციალური ფენებისგან.

8-9 ნოემბრის დამეს, როდესაც ხმების დათვლის პროცესი ახალი დაწყებული იყო და თანდათანობით ნათელი ხდებოდა ტრამპის უპირატესობა, არა მხოლოდ კლინტონის შტაბის წევრები, არამედ ევრონიუსის კომენტატორებიც იმედად იმას იტოვებდნენ, რომ ფლორიდის მოსახლეობის 48% უმაღლესი განათლების მქონე ამომრჩეველი იყო და, შესაბამისად, ხმაც კლინტონისთვის უნდა ჰქონოდა მიცემული.

რამდენადაც ლიბერალური საზოგადოება ყველაფერს საკუთარი განმანათლებლური პრიზმიდან ხედავს, ყველა მოვლენას ამ ფასეულობათა შკალით აფასებს, მან „სიბნელებაში მყოფთა“ ხმის აღქმის უნარი დაკარგა, რადგანაც მას უკვე დიდი ხნის შემუშავებული და ამოქმედებული აქვს ტოლერანტობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საგანმანათლებლო პროგრამები და „ტრენინგები“, რომლებმაც სწორი, პროგრესული აზროვნება და იდეალები უნდა დაწერონ. უკვე ათწლეულებია, ლიბერალური ბირთვი ამ გლობალური ლიბერალურ-დემოკრატიული წესრიგის მშენებლობაშია და ამ წესრიგის არამყარობა და ზნაობები მაშინ ხდება წილგადი, როდესაც არა „მესამე სამყაროში“, არამედ ლიბერალური ჰეგემონიის ცენტრში ეუფლება ძალაუფლებას ლიბერალური ფასეულობების მიმართ მტრულად განწყობილი ძალა.

ტრამპი და ლიბერალური დემოკრატიის აპოკალიფსი

დონალდ ტრამპის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს პრეზიდენტად არჩევამ საყოველთაო შემფოთება და განგაშიც კი გამოიწვია არა მხოლოდ იმ ამერიკელებში, რომლებმაც ხმა ჰილარი კლინტონის მისცეს და დარწმუნებული იყვნენ, რომ ტრამპი მალე ცუდი სიზმარით დავიწყებდას მიეცემოდა, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც შფოთვით თუ არა, ირონიით მაინც უყურებდა პრეზიდენტობის კანდიდატობაზე ტრამპის აღზევებას. მილიარდერი ტრამპის გარდაუვალი მარცხის იმედს იძლეოდა მისი პოლიტიკურად არაკორექტული, დიად რასისტული, ჰომოფობიური, ქალთომოძულე განცხადებები, რომლებიც სრულ შეუსაბამობაშია თანამედროვე სამყაროში, ყველაზე მეტად თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში დომინანტი ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებთან.

ბოლო წინასაარჩევნო სიტყვაში ჰილარი კლინტონმა მთელი აქცენტი სწორედ ამ ღირებულებებზე გააკეთა და ამომრჩეველებს მათი დაცვისა და ერთგულებისკენ მოუწოდა, მაშინ, როდესაც ტრამპმა პრეზიდენტად მის არჩევას უწოდა „მშრომელი კლასის საპასუხო დარტყმა“, რომელიც

„კორუმპირებული პოლიტიკოსების“ დიქტატისგან თავს გაითავისუფლებს. თუ დემოკრატ კლინტონის ადრესატი ლიბერალური ღირებულებების დამცველი ბიურგერული კლასი იყო, მულტიმილიარდერი კაპიტალისტის ტრამპი მშრომელთა კლასის წინამძღოლად გამოჩნდა.

ტრამპი თავისი რიტორიკითა თუ თავისი „არაკონვენციურობით“ განსახიერებდა იმისა, რასაც დასავლური მედია „მემარჯვენე პოპულიზმს“ უწოდებს. მემარჯვენე პოპულიზმი ტრადიციული კონსერვატორული ღირებულებების უტრირებული ფორმით ფართო მასებისთვის მიწოდებას გულისხმობს და ამისათვის ის კვლავარძობებს ახდენს ფართო მასებში გავრცელებული სტერეოტიპებისა, რომელთა მეშვეობითაც ტრადიციული ღირებულება და მისი დაცვის აუცილებლობა არატრადიციულისა და განსხვავებულის მიმართ სიძულვილად გადაიქცევა. მაგალითად, ოჯახის სიმტკიცის დაცვა იგვიდება ჰომოფობიასა და ანტიფემინიზმთან, კრიმინალი - ემიგრანტებთან, ტერორიზმი - ისლამთან და ა.შ. ამასთანავე, მემარჯვენე პოპულიზმი სამიზნე ლიბერალური ელიტებია, მათი ძალაუფლებრივი პოზიციები, რომელთა დასაპირისპირებლადც ყველა ლიბერალური ფასეულობის დისკრედიტაცია უნდა მოხდეს, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული შინაარსისაა.

ამა თუ იმ ნიშნით გამოყოფილი ადამიანთა ჯგუფების დისკრიმინაციის უფლება კომპენსაციის ის ნაცადი საშუალებაა, რომლითაც სოციალური უკმაყოფილებიდან ყურადღების გადატანა ხერხდება. ლიბერალური ბირთვის მხრიდან, რომელიც სოციალური თვალსაზრისით მოსახლეობას ვერაფერი რეალურად ვერ სთავაზობს, ამ საკომპენსაციო უფლების ნებისმიერი შეზღუდვა - იქნება ეს პოლიტორექტულობა თუ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა - უმცირესობების მიერ უმრავლესობის ჩაგვრად ითარგმნება. შესაბამისად, უმცირესობები ავტომატურად იგვიდება ლიბერალურ ელიტასთან და უმრავლესობაზე უმცირესობების გაბატონების შეთქმულების თეორიის სახეს იღებს. ეს ტენდენცია უკვე ბოლო ათწლეულებია სულ უფრო მეტად წარმატებით იკრებს ძალას და სულ უფრო ეფექტურად გამოიყენება ულტრამკონსერვატორებისა და მემარჯვენე პოპულიზტების მხრიდან. ლიბერალურმა ელიტებმა, უმცირესობათა უფლებების დაცვასა და ანტიდისკრიმინაციაზე მთელი აქცენტით, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობის ფონზე უმცირესობები ფაქტობრივად რადიკალი მემარჯვენეებისათვის სამიზნედ და განტყვევის ვაცად აქციეს. უმცირესობები, ლტოლვილები თუ ემიგრანტები, მთელი „მესამე სამყარო“ -

ულტრამემარჯვენე, ნეოფაშისტური და რელიგიური ფანატიკოსებისთვის მთავარი მტრის ხატებია, რომლებთანაც ბრძოლა ამ პოლიტიკური მიმდინარეობების „ხსნის“ პროგრამაა.

მემარჯვენე პოპულიზმი, რომელსაც კრიზისის დაძლევის არანაირი რეალური გეგმა არ გააჩნია, ძალას იკრებს იქ, სადაც მოუგვარებელი სოციალური პრობლემებია, რომლებსაც მმართველი ელიტები ვერ, ან არ უმკლავდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ტრამპის აღზევება ობამას მიერ ვერ განხორციელებული სოციალური რეფორმების პირობებში გახდა შესაძლებელი.

დასავლური ლიბერალური დემოკრატია უკვე ბოლო ათწლეულებია, რაც შემამინებელ რყევებს განიცდის და მისი მთავარი სიმპტომი მემარჯვენე პოპულიზტური ძალების აღზევებაა, პირველ რიგში, ვროპაში, სადაც უნგრეთში ვიქტორ ორბანის გამარჯვებით პირველი ავტორიტარული სისტემა შეიქმნა; მარინ ლე პენი და მისი „ნაციონალური ფრონტი“ საფრანგეთში უკვე დიდი ხანია მესამე პოლიტიკური ძალაა, რომელიც თანაბრად უპირისპირდება მემარჯვენე კოლისტებსაც და სოციალისტებსაც; ავსტრიასა და შვეიცარიაში მემარჯვენე პოპულიზტებს ანგარიშგასაწვევი საპარლამენტო ფრაქციები აქვთ, ხოლო გერმანიაში ახლახან შექმნილი მემარჯვენე რადიკალური „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ფედერალურ პარლამენტში შესასვლელად ემზადება.

თანამედროვე მსოფლიოში მემარჯვენე რადიკალიზმის გაძლიერება იმითაცაა გამოწვეული, რომ ცივი ომის დამთავრებამ დაასუსტა მემარცხენე ფლანგი და სოციალისტური ბანაკის კრახმა საფუძვლიანად შეარყია არა მხოლოდ უკლასო საზოგადოებაზე ოცნება, არამედ სოციალიზმის საპირწონე დასავლური სოციალური სახელმწიფოც, რომლის ნეოლიბერალიზმით ჩანაცვლებამ ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ იმ მუშათა კლასსა და სოციალურად დაუცველებს მიაყენა, რომელთა მხსნელებადაც ტრამპი თუ სხვა მემარჯვენე პოპულიზტები ასაღებენ თავს. დასავლური მემარცხენე პოლიტიკა კი იმდენად შესუსტებულია ნეოლიბერალიზმთან ფლირტისა და კომპრომისების გამო, რომ მას პოლიტიკური ალტერნატივის შექმნის რეალური უნარი ამ ეტაპზე აღარ გააჩნია და ის აკადემიური თუ სხვა ინტელექტუალური სიმაღლეებიდან აკვირდება წაგებულ თამაშს.

თუმცა, ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია ტრამპის აღზევებით შემოქმედებთად იხეიროს, ეს არიან სწორედ ინტელექტუალები და ხელოვანები, რომლებზეც ყოველთვის შთამავლებელი ზეგავლენა ჰქონდა სამყაროს აღსასრულის ფანტაზმებს.

გიორგი მანისუბაძე



გყდინგი

ანუ, ნატკენი გყდების ამბავი

ეს ამბავი ჩვენ გვერდით ცხოვრობს და ვერავინ ვერაფერს შევლის. ყველგან - სკოლაში, უმაღლესში, სამსახურში, ეზოში თუ ზაფხულში ნაქირავები აგარაკის საერთო აივანზე. და ზუსტად ერთნაირი სარკასტული ღიმილით დადის ნიუ-იორკის, პარიზისა თუ თბილისის სკოლებსა და თავშეყრის ადგილებში.

ნინო კოტიკოს აძინებდა.
- შენ იცი, რა არის ბულინგი? - ჰკითხა კოტიკომ ისე, რომ უკვე თვალზე ეხუჭებოდა.
- ჩაგვრა, - უპასუხა ნინომ.
- ჰო, - თქვა კოტიკომ და გაჩუმდა.

ნინო მიხვდა, რომ კოტიკოს კიდევ უნდოდა რალაცის თქმა.

- რატომ მეკითხები? შენ იცი, რა არის?
- ვიცი, ისე რომ არ უნდა მოგექცნენ, რომ ხასიათი გაგიფუჭდეს, - თქვა კოტიკომ და კედლისკენ გადაბრუნდა.

„ხასიათი გაგიფუჭდეს...“ ზუსტად!
კი არ დაგჩაგრონ აუცილებლად, ან გცემონ, ან ტანსაცმელი შემოგახიონ, არამედ ხასიათი გაგიფუჭონ. ანუ გული გატკინონ.

კოტიკოს სკოლაში უთხრეს ამაზე - ბულინგის საწინააღმდეგო კვირეული აქვთ. გაუმართლა - სკოლა ღელავს ბულინგის გამო. თანაც კოტიკო ჯერ პატარაა, ბულინგის მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ უკვე იცის. ამაზე რომ ლაპარაკობდნენ, მაშინვე იგრძნო და იცნო. მან უკვე იცის, რა არის ხასიათის გაფუჭება და გულის ტკივილის ამბავი.

ეს იცის ყველამ.
ამ ამბავმა არ იცის ასაკი და ვითარება, ის არ ბერდება და არ კვდება, მხოლოდ

სახეს იცვლის. ჰო, შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ - ეს მხოლოდ ბავშვობაში ხდება, მხოლოდ სკოლაში - გაიზრდება და დაავიწყდება.

გავიზარდეთ და არ დაგვაფიწყდა...

გავიზარდეთ და ახალი ძალით დაგვეჯახა. არა, ჩვენ არა, ჩვენ არა, რა თქმა უნდა... სხვას სჭირს ეს. ასე უნდა ვთქვათ, როცა ამაზე ვილაპარაკებთ და ღამე ვიტიროთ ბალიშში თავჩარგულბმა, ისე, როგორც იმ გოგომ ბავშვობაში ან ბიჭმა, ათჯერ მეტად თავჩარგულმა, იმიტომ რომ ბიჭისთვის ტირილი ათმაგად აკრძალულია.

- რა არის ბულინგი? - შეკითხვა ქუჩაში.

უმეტესად ამბობენ: „ჩაგვრა“, „ვინმეს ამოჩემება“, „შევიწროება“, „გარიყვა“...

ზოგი კი ამბობს: „არ ვიცი“, და მერე ჩაიბურტყუნებს - „მოიგონებენ რალაცას!“ მოიგონებენ, ოღონდ სხვა რამეს:

მოიგონებენ კლასში შესვლის მომენტს, ზოგიერთების ჩაცინებას და გადალაპარაკებას, მერე ალმაცერ მწერას და ისევ გადალაპარაკებას ყოველ ჯერზე, როცა ახლოს გაივლი: მცდელობას, რომ მივიდეს და ჩაერთოს ლაპარაკში, ისინი კი ჩერდებიან და - „მერე გნახავ...“ - ეუბნებიან ერთმანეთს. განა რა, თუნდაც მარტო ეს, ოღონდ ყოველდღე. და მარტობის საშინელი, დამთრგუნველი გრძნობა. მარტობის და არასასურველობის. და მერე, დამდამობით, შეკითხვა: „რატომ? ჩემი ბრალია?“

მოიგონებენ ის ერთად მღვარი ბიჭებიც, უცნაური განცდით: რა მინდოდა? ან რას ვერჩოდით? იმის მაგივრად, რომ მეძებო-

რა! ნახე, რა კაცი დადგა. იმან ამიყლია, მესამე მერხზე რომ იჯდა. რა სულები ვიყავი, იმას ხომ ახლა საერთოდ ვეღარ ვიცნობ, ქუჩაში რომ შემხვდეს, ეს კი ყოველდღე მხვდება და თვალს ვარიდებ...

მოიგონებენ დიდ და ნათელ აუდიტორიას, მზე რომ შემოდის მაღალი ფანჯრებიდან და მხოლოდ ხალისს და სიხარულს ჰპირდება, და მისი ბიჭიც შემოდის აუდიტორიაში და ღიმილით მისკენ მიემართება, და მერე გზად სამი გოგო რომ გადაელობება და რალაცას ეჩურჩულებს... და რომ ცდილობს, მივიდეს და ვეღარ ასწრებს, ის ბიჭი ისე შებრუნდება და წავა. და მერე, ყოველთვის თვალს რომ არიდებს და ის კი ველარასოდეს ივებს, რა მოხდა. და იმ ბიჭზე მეტად ის სამი გოგო რომ სტკივა, რომლებიც უახლოესი მეგობრები ეგონა და არ აღმოჩნდნენ, და რომლებმაც არასოდეს უთხრეს, იმ დღეს რა მოხდა. განა, რა! ისეთი არაფერი, ყველა იტყვის, რომ ჩვეულებრივი ამბავია და ცხოვრება ასეთი. მაგრამ ეს არასოდეს არ არის პასუხი კითხვაზე: „მანც რა მოხდა? ჩემი ბრალია?“

მოიგონებენ ის გოგონები, იმ სამის გვერდით რომ იდგნენ, რომ ესმოდათ, რას უჩიინებდნენ იმ ბიჭს და ხმა არ ამოიღეს. არც მაშინ რომ თქვეს, რა სისულებეს ეუბნებითო და არც მერე, არასოდეს უთხრეს არც იმ გოგოებს, და არც იმ ბიჭს. და მერე როგორ აწუხებდათ მტანჯველი აკვირება ღამეების განმავლობაში: უნდა მეთქვა, უნდა ჩავრეულიყავი. ახლა მანც უნდა მივიდეს და უუთხრა... და მერე გადის და-

მეები და გადის დღეები, მაგრამ მაინც
სამუდამოდ რჩება მტანჯველი დანაშაუ-
ლის შეგრძობა. განა, რა! რა დანაშაუ-
ლი? ბავშვები ვიყავით, სისულელეა! მაგ-
რამ რა ვიცი...

მოიგონებენ მარტო ჯდომას კლასელის
დაბადების დღეზე, ტახტის კუთხეში. „ბი-
ჭუბო, აივანზე გავიდეთ...“ და მერე - „შენ
სად მოდიხარ? შენ რა გინდა? დაგიძახა
ვინმემ?“ მერე ყველა გოგო რომ ცეკვავს
და მასთან - არც ერთი. მშვიდი და გულ-
გრილი „არ ვცეკვავ“, და მერე რომ ცეკვავს,
მაგრამ სხვასთან და თან დროდადრო
მისკენ იყურება და კვდება სიცილით...
განა რა, თუნდაც მარტო ეს, ოღონდ რამდენ-
ჯერმე... და მერე, საკუთარ თავთან შეკითხვა
ლამდამობით: „რატომ? ჩემი ბრალია?“

მოიგონებენ ალმაცერ მზერას უფროსი
დის ფესსაცმლის გამო, ან სულაც უფროსი
ძმის ქურთუკის გამო, რომელიც არ ჰგავს
სხვა გოგოების ჩასაცმელებს. მოიგონებენ
კოლექტიურ გამოხედვას უცნაური ვარც-
ხნილობის გამო - „აუკეცავს ეს თმა რა-
ღაცნაირად...“ ანუ სხვა მინდვრის ყვავი-
ლია, ანუ უარი და მარტობა მას - ჩვენს
მინდვრებზე!

ბავშვები? უწყინარი კინკლაობა? მაგრამ
ჩვენ ყველამ ვიცით, რომ წლების შემდე-
გაც არაფერი შეიცვლება, მთელი ცხოვრება
გაგრძელდება ეს „ტერიტორიული“ დაყოფა
და „ომები“, კეთილი ღიმილი ერთ
ადგილას და იმავე ხალხის „ვერ გხედავ“
სხვაგან. იქ, სადაც სხვა მინდვრებია და,
უბრალოდ, სხვაგვარი ყვავილები.

აი, ეს არის! კი არ დაგჩაგრონ აუცი-
ლებლად, ან გცემონ, ან ტანსაცმელი შემო-
გახიონ. ეს მწარეა, მაგრამ საშველი მაინც
გამოჩნდება. ამას მასწავლებელიც დაინა-
ხავს და მშობელიც და მანდატურიც და
შენც გაუმკლავდები რამენაირად. ბოლოს
და ბოლოს აუცილებლად გაუმკლავდები.

ამას კი ვერავინ დაინახავს და ვერც
ვერავინ მიხვდება. და ხანდახან შენც ვერ
ხვდები, რატომ წაგმწარდა ეგ დღე და
ხასიათი გაგიფუჭდა. და რატომ აღარ
გინდა დღეს აღარაფერი. და მერე რატომ
აღარ გინდა ხვალ აღარაფერი... და ასე
მიდის ცხოვრება პატარა წყენებით. და
გულზე გავლით...

დღის წყენები და ღამის გულები. ტკი-
ვილის სიდრმე, ისეთი, რომ არაფერი არ
შეედრება და ვერასოდეს გადაწონის აღიარ-
ებული ამქვეყნიური პრობლემები. „იმან
რომ ეს მითხრა, მე ასე უნდა მეპასუხა...
არა, ასე ვობდა... არა, აი, ასე, მაგალითად...
ეს როგორ ვერ მოვიფიქრე, როგორ ვერ
კუთხარი, რამ დამამუხჯა...“

ნატკენი გულების ამბავი - გულინგი...
ვინ დაითვალა, რამდენია ასეთი გუ-
ლი? ან როგორ შეიძლება დაითვალო?
გაეროს ბავშვთა ფონდმა შეისწავლა



2008 წელს სკოლებში მომხდარი ძალა-
დობის, მათ შორის ბულინგის, შემთხვევე-
ბი და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ბავ-
შვების 80 პროცენტს თანატოლების მხრი-
დან ერთხელ მაინც ჰქონდა განცილილი
ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა.

ეს - ვინც შეძლო აღიარება და გულ-
წრფელად თქვა. უბრალოდ, ვინც თავს
გამოუტყდა.

და ვინც დღესაც ჯიუტად აჯერებს
თავს, რომ უნდა მოითმინოს, რომ თავს
ზევით ძალა არ არის? ვინც დღითიდღე
ეჩვევა ძალადობას?

გულისტკენა სკოლაში, სახლში, ქუჩა-
ში, ყველგან, სადაც ხალხია ირგვლივ...
და მერე ამ ხალხისაგან ხსნა - ინტერნე-
ტი. მერე კი ახალი მწარე აღმოჩენა:
ბულინგი ვირტუალურ სივრცეში - რეა-
ლურ ცხოვრებაზე სასტიკი და უღმობე-
ლი, სადაც თვალზე ვერ ჩახედავ მო-
ძალადეს.

ბულინგზე ერთ ნაშრომს მივაგენი „აბ-
ლაბუდამი“. საკურსო ნაშრომი იყო. გუ-
ლიანი და ჭკვიანური. „პრობლემურია, რომ
სკოლას არ გააჩნია ვალდებულება, ჰყავ-
დეს საკუთარი, მუდმივი ფსიქოლოგი, რო-
მელიც კვალიფიციურ დახმარებას გაუ-
წევდა ბულინგის მსხვერპლ ბავშვებს“, -
წერია ნაშრომში.

ამაზე უკვე ბევრი ლაპარაკობს დაუფა-
რავად. კარგია, რომ კოტიკოს უკვე ვილა-
ცამ უთხრა გულის ამბავი.

მაინც ნახავდა ინტერნეტის უსასრუ-
ლო ქსელებში უამრავ ფილმსა და სიუ-
ჟეტს, რომლებშიც ამაზე გულახდილად

და ხმამაღლა ლაპარაკობენ თუ ჩვენში,
თუ სხვაგან. სადაც იღებენ ფილმებს და
ვიდეოსიუჟეტებს, აღწერენ, სხვები როგორ
განიცილიან ამ ამბავს და აჩვენებენ, რა
შეიძლება მოჰყვეს ბულინგს!

და ამ უამრავი ვიდეოს ქვემოთ - უამრავი
გამოხმაურება: „მე კი ასე დამემართა“, „მე
ავდექი და ასე ვუპასუხე“, „აღარ შემიძლია,
მირჩიეთ რა ვქნა“, „ბოლო ზღვრამდე ვარ
მისული“, „მე მაგას დედას ვუტირებ!“, „სუ-
პერგარსკვლავი გაეხდები და ნახავენ მე-
რე!“, „აი, როგორ მესმის ეს ყველაფერი,
თქვენ უკვე მოახერხეთ ამის დათმობა, მე
კი ვერა“, „სასტიკად გაგურბივარ ჩემს
კლასელებს, არ მინდა მათი დანახვა.“

ვიცი, რომ ბოლოს რაღაც უნდა დაე-
წერო. გამოსავალი. და არ ვიცი, რა არის
ეს გამოსავალი.

მაგრამ ზუსტად და დანამდვილებით
ვიცი ერთი რამ: ამაზე უნდა ვილაპარაკოთ.
ხმა მივაწვდინოთ კანონებისა და სტრატე-
გიების დამწერთ. ყველა მშობელსა და
მასწავლებელს ერთად, ცალ-ცალკე, და მთელ
ქვეყანას. ადამიანის ბუნებასა და გულს...

რაც ზუსტად ვიცი, გული თუ გტკივა,
ჯობია ილაპარაკო. არ შეგეშინდეს ყალბი
თანაგრძობის, ისევე ქედმაღლური დიმი-
ლისა და ნიშნის მოგებით ჩაცინების.

უფრო მეტი აუცილებლად ასე გეტყვის:
„აი, როგორ მესმის ეს ყველაფერი!“

რადგან ვერასოდეს ვიქნებით ყველანი
ერთი მინდვრის ყვავილები. და ბოლოს
და ბოლოს მივხვდებით, რომ ეს კარგია...

მარიანა ვაშაყშიაძე

ჩვენი ცხელი ხაზი: 347-724-0770

დაინაპით ვიღებ - თქვენგან

ვიბადებით! ჩვენი მშობლები გვზრდიან, ხოლო შემდგომ ჩვენ ვზრდით შვილებს. ბავშვობაში არსებობს უამრავი წუთი, როცა გვიფიქრია, რომ ჩვენ შეცდომებს არ დავეშვებით და არ დავემსგავსებით ჩვენ დედებს და მამებს. არ დავუშვებთ იმ შეცდომებს შვილებთან, რომლებიც ჩვენთაც შესცოდეს, თუმცა ვხვდებით მშობლები და გვაფიქრებს მხოლოდ ერთ რამ - ავლზარდით შვილი.

ჩვენ საზოგადოებაში იმატა ძალადობამ, სიცივემ და ადამიანთა უპატივცემულობამ. ბევრს ვფიქრობთ, თუ რამ განაპირობა მსგავსი რამ. ზოგმა ამოსავალი წერტილი დიდი ფიქრის თუ საერთოდ ფიქრის გარეშე „წართმეულ ქართველობას“ დაუკავშირა და ამერიკას და ევროპას დადო ბრალი. ზოგმა კი საკუთარი შვილის უცნაურ ხასიათს მიაწერა და ღესპოტური მონობით ანგაფიქრებული ცდილობდა ან ეხლაც ცდილობს შეცვალოს საკუთარი შვილის ფსიქიკა და ფსიქოლოგია. ზოგისთვის კი, საერთოდ სულერთია და მისი წარმოსახვით იდეალური შვილის პირობებში ძალიან კონფორტულად გრძნობს თავს.

როდესაც ჯერ ისევ შვილები გვქეპია, ბევრს ვფიქრობთ თუ როგორი მშობლები ვიქნებით. რას გავაკეთებთ ან რას არ გავაკეთებთ. მოგვიანებით კი მშობლის ამბულუა გვაიძულებს შევიცვალოთ შეხედულებები და სტანდარტულ ქართველ მშობლებად ვიქცეთ, მივიჩნევთ თავს მბრძანებლად.

ღიახ! ჩვენ არ გვესმის შვილების და ისინი სრულიად სიცივეში, მარტოობაში ცდილობენ თავის გატანას. არ დავიწყებ დავას იმის თაობაზე ვის უყვარს შვილი ან ვის არა. დარწმუნებული ვარ, რომ სიყვარული ყველას აღმატებული გვაქვს, მაგრამ რას გამოვხატავთ? როგრო ვიქცევით ბავშვებთან და რას ვაკლებთ მათ?

დავაკვირდი ჩემი მეგობრების მშობლებს, ჩემ მეგობრებს, ნათესავებს და მივხვდი, რომ ყველა ქართველ მშობელს აქვს ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ფანატური და ეგოისტური შვილის სიყვარული. რა თქმა უნდა, ამ კატეგორიაში სრულიად ვერ გავიყვან იმ ადამიანთა წრეს, რომელთაც სხვა ხედვები აქვს, მაგრამ უმრავლესობა სიყვარულით ძალადობს შვილზე.

ჩემი მარადიული კითხვა კითხვად მემდგომს - თუ რატომ არ ვითარდებით? ამის საშუალებას თავად ჩვენ არ ვაძლევთ ჩვენ შვილებს და საბოლოოდ იქმნება განუვითარებელი საზოგადოება.

ბავშვი დაბადებიდან დედისგან თავისუფალია. მის ადრეული ასაკის კვებას ხომ სამართლებრივი გარანტიის ფარგლებში, კანონიც კი გვაკვალდებულებს. ხოდა, ნუ დავაყვედრით შვილებს იმას, რაც თავად მორალი და კანონი გვაკვალდებულებს.

ჩვენ ვზრდით ქმედუნარიანობამდე და კვლავით ჩვენივე წლებით ნაშენებ ციხეში

- ჩვენს სახლში, ჩვენს ცხოვრებაში და არ ვაძლევთ უფლებას გავუშვათ. იმის წარმოდგენაც კი გვზარავს, რომ ერთ დღეს ჩვენ მიერ აშენებულ ციხეში არ დაიძინებს. ჩვენ გვენანება შვილები თავისუფლებისთვის. გვენანება მათ ცხოვრებისთვის და საბოლოოდ ვზრდით მოძალადეებს. ძალადობა მხოლოდ ფიზიკური არ არის. ფიზიკური ძალადობა ნაკლებად მძიმეა, ვიდრე ფსიქიკური.

ვიცი, ბევრი გამაკრიტიკებს და იფიქრებს, რომ რა იცის ჩვენი შვილები როგორ აღვზარდით. თუმცა, საკმარისია რამოდენიმე წუთი გაატარო მოზარდთან და მიხვდები მშობლის გავლენას. ეს არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სრულ თავისუფლებაზე ვსაუბრობდე, არ მოვიკითხოთ შვილები და არ ვკითხოთ, რას აკეთებდნენ მთელი დღე?!

სტატისტიკურად ბავშვთა ფსიქოლოგები დღეათა უმაღლესობას მხოლოდ ერთ რეკომენდაციას აძლევენ და დიაგნოზი სიცარიელეა - „ბავშვს აკლია დედა“, „ბავშვს აქვს პიროვნული სიცარიელე“, - რაც ნიშნავს, რომ პატარას ჩვენ პიროვნებად არ ვთვლით და საბოლოოდ ვექცევით, როგორც საკუთარ ნივთს.

შევადარებ და ვიტყვი, რომ ცხოველი რომელიც გავზარდეთ და გვიყვარს, მას ვუბრძანებთ აკეთოს ის, რაც ჩვენ გვინდა, როცა ჩვენ გვინდა - თუმცა ძალიან გვიყვარს. სწორედ ცხოველის დამოკიდებულებას ვავლენთ პატარების მიმართ.

რამდენს ქონია საკუთარ შვილთან დიალოგი? მოზარდ შვილებზე რა იცით? რა ოცნებები აქვთ? სად უნდათ მოგზაურობა? დღის განმავლობაში რა გააკეთეს? რომელი მეგობარი ურჩევნია რომელს? ვის უსაუბრია საკუთარ შვილთან უახლოესი მეგობრით ლოგინზე წამოწოლილს და თუნდაც თავად გადაუშლია გული მისთვის.

ჩვენ შვილებს არ მივიჩნევთ თანასწორებად და ამით მათ უდიდეს პიროვნულ პროტესტს ვუწერგავთ ადრეული ასაკიდან. მშობლის მიმართ პროტესტს და საბოლოოდ ჩვენვე ვქმნით მონასტრებს, ჭირვეულებს, დაზნულებს და პრობლემების გადაჭრის არ მქონე პიროვნებებად. ზოგის ძლიერი ხასიათიდან გამომდინარე, კი პირიქით, ყალიბდებიან მებრძოლებად, გონიერი რაციონალური გადაწყვეტილებებით, რადგან იციან ერთ დღესაც თავს დააღწევენ ციხეს და ამისთვის ქვეცნობიერად ემზადებიან, რომ იცხოვრებენ. მთელი ცხოვრება ამ ციხიდან გაქცევისთვის იბრძვიან და საბოლოოდ აღწევენ, რომელსაც უმაღური შვილი ქვია, - გაიქცა სახლიდან წავიდა

შორს და არჩია მარტოობა.

ჩვენ შვილებს ვართმევთ ცხოვრებს და შემდგომ ვაყვედრით. განსაკუთრებით მძიმეა დედის სირთულე, რადგან დედა ასოცირდება თანადგომასა და სითბოსთან. ხშირად დედა დალილია, დედას არ სცალია და პატარს უწევს ბავშობიდან სახლის საქმის კეთება. დედის გასახარებლად სარეცხის, ჭურჭლის რეცხვა ან კიდევ არცერთის, უბრალოდ დედის გულის მოგება. შვილი გასცემს სითბოს და 20 წლის მერე მიხვდება, რომ შეცდა. რას აკეთებს დედა? იფერებს შვილის განცდებს და ამყით ყვება მეგობრებში, რა კარგი შვილი გაზარდა?! თუმცა შვილის ასაკი კი დათრგუნულია უკვე მოძველით. დაცლილია და არ სურს ზედმეტი პრობლემები.

მეორე კატეგორია - თავისუფალი ბავშვები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქაც შვილი ციარელობს, ნატრობს ფსიქოლოგიურად მოძალადე მშობელს. არ კითხულობს მშობელი სად დადის? ვინ ყავს მეგობარი? რა მოსწონს? რა უყვარს? და საბოლოოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი კი იგივე ეფექტს ბადებს, რაც ფსიქოლოგიურად მოძალადე მშობელი.

მშობლის მიმართ პროტესტი კი ძალიან მძიმეა ზღასრულობაში. რაც ყველაზე სამწუხაროა, ვერასდროს ვხვდებით ჩვენი შვილის საქციელს. არა და, კარგად რომ ვიცნობდით, ხომ მივხვდებოდით რატომ არის უხასიათოდ? რატომ ჩამოუყალიბდა ის მანკიერი თვისებები, რომელიც ჩვენ ასე ძალიან არ მოგვწონს. ყველაფერი ამოცნობადია, უბრალოდ ჩვენ მშობლები არ ვუკვირდებით და არ გვცალია შვილის შესაგნობად.

ჩვენ გვიყვარს ჩვენ შვილები, მაგრამ არ ვიცნობთ. არ მიგვაჩნია პიროვნებებად და ვცდილობთ დათრგუნოთ მათი სურვილები. ბევრი მშობლისგან მომისმენია - არაფერი დამიკლია, - თუმცა მთავარი დააკელით, თქვენ გულთან ახლოს მიშვება.

განათავისუფლეთ შვილები და უფრო ეყვარებით. საუკეთესო მეგობრის აპლუსში მეტი გეცოდინებათ. შეიყვარეთ მათი საყვარელი საგნები და თქვენ თანამოაზრედ ჩავთვლით. შეაფასეთ და დააფასეთ მათი შრომა და ყოველთვის გაუზარდება ისაუბროს თქვენთან შინაგან სამყაროზე. ნაკლებად გაკრიტიკეთ და უთხარით, რომ თავისუფალ აზროვნებაშია მისი განვითარება, რაც თქვენ ძალიან გინდათ. ჩათვალეთ პიროვნებებად და მიიღებთ დადებით შედეგს. დაიცავით თქვენი შვილები თქვენნივე ეგოიზმისგან და აუცილებლად შეგიყვარებთ არა ვალდებულებით, არამედ გულით.

ელენ მურანი

ჯღსნა, ჩაღსნა, თარსნა

ბოლო დღეების განმავლობაში სოციალურ ქსელში ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსის, დავით თარსან-მოურავის ტრაგიკომიკური პერსონის გარშემო არსებული აჟიოტაჟი არა და არ ცხრება. რომელიმე პიროვნების საზოგადოების დაცინვის საგნად ქცევა - არც პირველია და არც ეს უკანასკნელი იქნება უკანასკნელი. თუმცა ეს ამბავი ორი რამით არის ერთდროულად სასაცილოც და სევდისმომგვრელიც:

პირველი იმით, რომ თავად პატივცემულ დავითს გულწრფელად სჯერა, რომ საზოგადოებას შურს მისი სახელოვანი წინაპრების და მხოლოდ ესაა ქილიკის მთავარი მიზეზი. იმას კი ვერ ხვდება, რომ ირონიას არა სახელოვანი წინაპრები, არამედ მისი მიაშიტი თავდაჯერება იწვევს. თავდაჯერება იმისა, თითქოს გამირი წინაპრები მის პერსონას ვინმეს თვალში აამაღლებს, რომ ისინი მას ვინმეზე უკეთესს გახდიან.

მეორე და მთავარი ტრაგიკომიკური სურათი არის ის, რომ ხსენებული ბატონი, რომელიც საზოგადოების სიცილის მთავარ ობიექტად იქცა, თავად ამავე საზოგადოებას წარმოადგენს. საზოგადოებას, რომელიც მუდამ წარსულში იფურება; საზოგადოებას, რომელიც ამაყობს ძველი დიდებით და მხოლოდ ამ მიზეზით ითხოვს სხვებისგან პატივისცემას; საზოგადოებას, რომელიც წარსულით ცხოვრობს, ახალს კი არაფერს ქნის; საზოგადოებას, რომელიც ცდილობს ზემოდან უყუროს ყველას, ვინც ახალ საზოგადოებას, ახალ კულტურას, ახალ წყობილებას ქნის; საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ხელმოცარულობით დაბოღმილი, იძულებულია თავისივე რომელიმე წევრისგან შექმნას უუღუს თოჯინა და ამგვარი არაპირდაპირი გზით იყაროს საკუთარ თავზე ჯავრი.

ეს მცირე, მაგრამ თვალში აშკარად მოსახვედრი დეტალები, ჩვენი ერის შიგნით არსებულ კომპლექსს ააშკარავებს. ასეთი კომპლექსი აქვს საბერძნეთსაც, ირანსაც



და ნებისმიერ იმ ქვეყანას, რომელიც საკუთარ თავს კულტურის აკვნად მოიაზრებს. ჩვენ ვართ იმ სახელმწიფოთა რიგში, რომელიც მიეცნენ საკუთარი კულტურული ტრადიციებით ტკობას და არ ცდილობს შექმნან ახალი. ვართ ქვეყანა, რომელიც ვერ განვითარდა და თავის განვითარების შეფერხებას ზან რუსეთს, ზან საბჭოთა კავშირს და ზან ევროპულ შეთქმულებას აბრალებს. გვეშინია, ამერიკამ არ წაგვართვას კულტურა, მაგრამ ამ დროს კულტურას ჩვენივე უნიათობით ვკარგავთ.

ამას წინათ მოვისმინე ისტორია კაცზე, რომელსაც დააჯერეს, რომ მეზობლის ღვინოს სვამდა, სინამდვილეში კი საკუთარი დააღვინეს. ჰოდა, ამ კაცმა ათასი წუნი უპოვა თავის „უნაკლო“ სასმელს. ამ კაცშიც, თარსანაშიც და თითოეულ ჩვენგანშიც ღრმადაა ჩამარხული ის კომპლექსი, რომელიც სხვის ქილიკს, სხვისი მიღწე-

ვის დამცირებას და ამით საკუთარი როლის წინ წამოწევას ცდილობს. კომპლექსი, რომელიც გვაიბულებს, როცა სხვა დაგვეჯახის, განვითარების ნაცვლად მაშინვე უკან დავიწყოთ ყურება და მოვებნით, ხელჩასაჭიდ ხავსად გავიხსენოთ ის მომენტი, როდესაც ოდესღაც ჩვენს მჯობზე მჯობნი ვიყავით.

არც ერთი კულტურა არ შექმნილა ერთი ხელის მოსმით, ხოლო კულტურას შექმნასთან ერთად განვითარებაც სჭირდება და არა მხოლოდ დაცვა. ჩვენ ვერ ვებდავთ რაიმე სიახლე შევიტანოთ მასში, იმის შიშით რომ ამით უკვე ჩამოყალიბებული ღირებულებები არ გავაფერმკრთალოთ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ანსაბლმა „სუბი-შვილებმა“ ტრადიციულ ცეკვებთან ერთად, განახლებული რეპერტუარი წარმოუდგინეს საზოგადოებას. საზოგადოების ნაწილში ეს ნაბიჯი ძალიან იქცა უკვე კარგად გაგზავნილი კულტურული მონაპოვრის დამკნინებელ ჟესტად. შეიძლება არ მოგვწონდეს არსებული უძრაობა, თუმცა, როცა ვინმე ეცდება ამ ჩაკეტილი წრიდან გასვლას, მაშინვე ვცდილობთ ერთფეროვნების ფერხულში დავაბრუნოთ.

სანამ უკან ყურებას, ადგილის ტკეპნას და მიღწეულით დაკმაყოფილებას არ შევწყვეტთ, სანამ უძველესი კულტურული მქონე ქვეყნების კომპლექსს არ მოვიშორებთ, სანამ არ გავიაზრებთ, რომ მხოლოდ კულტურული სიძველისთვის თანამედროვე საზოგადოება არ გცემს პატივს და ჩვენც ხელი გვაქვს გასანძრევი, მანამდე კიდევ მრავალი „თარსანი“ გამოვა ასპარეზზე, კიდევ მრავალს ავიგდებთ სასაცილოდ და საკუთარი თავზე ასე მაინც ამოვიყრით გულის ჯავრს.

მიხეილ გაფრინდავძილი

ჩვენი მშობარია მშობი მერაბ ბოთარაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მშპრნალობის უახლოესი და მშალახმ მშფმბინი მშთოლი

ლხვილის

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

თქოი ქინაჲ ზოთინის

VEIN & LASER CENTER

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) 1990 წელს ცვლილებები შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში და ჰომოსექსუალობა ამიღო დაავადებათა სიიდან. ის შეფასებულია, როგორც განსხვავებული სექსუალური ქცევა და არა დაავადება.

ახლა გადავხედოთ ექიმის დღიურებს, რადიოში რომ გაიჟღერა. არ შევიძინოთ ის, რომ თავისი კლინიკის უფასო რეკლამას ცდილობს (თანამედროვე მედიცინაში არარსებული სამსახურით), არღვევს სამედიცინო ეთიკას (რადგან მის პაციენტს თავისუფლად შეუძლია ამოიციოს თავი და დაინახოს, როგორია მისივე ექიმის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ), თავი დავანებოთ ამ კომპიუტერულ თამაშებს, „ერევენებს“ და 100 ლარით შვილის მოქრთამვის სრულიად უგემოვნო ისტორიას. ყურადღება შევაჩეროთ, აი, ამ ციტატაზე:

„ვთანხმდებით, რომ პირველი სწორი ნაბიჯი იქნება, რომ მის შვილს ქალი მოვასინჯვინოთ. ეს ჩვენი შეთქმულებაა და ვაღებინებ პირობას, ისე მოიქცეს, როგორც მე ვეტყვი. ის მთანხმდება. დედას ვუშვებ ოთახიდან და შემომყავს ბიჭი. ვეკითხები, რა უნდა? მპასუხობს, რომ არაფერი არ უნდა. ვეკითხები, რომ სულ უნდა, პასიურ როლში იყოს? რა თქმა უნდა არა, მაგრამ არ გამოსდის. ვეკითხები, უნდა თუ არა, რომ შვილი ჰყავდეს? მპასუხობს, რომ უნდა. ვპასუხობ, რომ მე შემძლია ისეთი მეთოდი ვასწავლო, რომ გარანტირებულად შეძლებს აქტიური როლის თამაში გინდა კაცთან, გინდა, ქალთან, გინდა ნიანგთან. თვალები ენთება. მე ვამატებ, რომ ПИО ХОДУ ბავშვის გაკეთებასაც შეძლებს, ოღონდ ამისთვის ჯერ ცოტა ქალებზეც უნდა წავივარჯიშოს. ვეძახით დედას და ამბავს ვატყობინებთ, რომ გადაწყვეტილი ქალთან მოვსინჯოთ, ოღონდაც ამისთვის ჯერ საჭიროა „ლიგაში“ 4-5 დღე წამკურნალება. საბოლოოდ დედა ბედნიერია, შვილი ახალი შესაძლებლობების შანსით დაიმედებული, მე კი კიდევ ერთ ჰომოსექსუალს ბისექსუალური არჩევანის შანსი მივეცი.“

ამ დღიურის გამოქვეყნების შემდეგ ბატონ ექიმს არაერთი დედა „მოუთრევს“ თავის შვილს, მამებმა, ალბათ, ხელი ჩაიქნეს; „ბოზებში“ წყავანამ არ უშველა და გადააბარეს დედას, რომელსაც „ლიგა“ სასწაულს ჰპირდება. თან მხოლოდ და მხოლოდ 5 დღეში! რას უნდა ველოდოთ ამ 5 დღეში? ეტყობა, მაინც არ სურს ბატონ ექიმს, გათქვას თავისი პროფესიული საიდუმლო; ჩვენც იძულებული ვართ, გადავხედოთ ისტორიას - გავისხენოთ ამერიკელი რეჟისორი აიტერსონ ტოსკანო, რომელმაც 30 000 დოლარი დახარჯა „მკურნალობისთვის“ და რომ ვერ იქცა ჰეტეროსექსუალად, ეკლესიას მიმართა. „დემონების-

ქალი, კაცი და ნიანგი



გან განდევნაც“ არაფექტიანი გამოდგა - ცხოვრების წესი კი შეიცვალა, მაგრამ სიზმარში ისევ ჰომოსექსუალად რჩებოდა. იქნებ ჯობია, „მკურნალობის“ სხვა მეთოდები გავისხენოთ? ბუნებრივი საკონცენტრაციო ბანაკი ხომ არა, სადაც ჰომოლერის მითითებით მამაკაცის ჰორმონებით ამიდრებდნენ ჰომოსექსუალებს? ელექტრომოკი? ამის ტრადიცია არსებობს, ოღონდ 50-იან წლებში: უჩვენებდნენ შიშველი მამაკაცის ფოტოებს და დენს უშვებდნენ თავში... საროსკიპოებიც შეიძლება. მამამ თუ არ გაამართლა, ექიმს თავისი ასისტენტები უთუოდ ეყოლება.

რა შეიძლება მოგვიტანოს ასეთმა „მკურნალობამ“? დიან, რა შეიძლება მოუტანოს ყოველ ჩვენგანს? რა შეიძლება მოუტანოს ქვეყანას?

1. „ნამკურნალები ყმაწვილი“, რომელსაც თავისი იდენტობა წაართვეს, გადააკეთეს და დაანგრეეს, ცხადია, მოვა „რომელიმე 17 მისს“ ტაბურეტკით ხელში; მოვა იმიტომ, რომ თავის სიძულვილს მოძალადე დედის, მოძალადე შვილის, კულტურის, ქვეყნის და პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, აუცილებლად სხვაზე გადაიტანს. ის უკვე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ავად იყო და რომ ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა. ჰოდა როგორ არ შეუერთდება იმათ, ვინც ზუსტად მასავით ფიქრობს?! მართალია, დროდადრო, სიზმარში ისევ ეისზმრება შიშველი ბიჭები, უფრო მეტიც, ეაკულაციასაც ვერაფერს უხერხებს, მაგრამ „ექიმმა უთხრა“, რომ ეს ეტაპია - დაქორწინდება, ბავშვები ეყოლება და იცხოვრებს ბედნიერად.

2. „ნამკურნალები ყმაწვილი“ დაქორწინდება და მოვა პოლიტიკაში. ძალაუფლება რომ ექნება, იმასაც მოახერხებს, რომ დროდადრო, კონსპირაციულ ბინებში ყმაწვილები მიიპატიჟოს და გაერთოს ცოტა. აკი გვითხრა „ექიმმა“, ჰომოსექსუალს ბისექსუალად გადავაქცევო. ჰოდა, ხანდახან ხომ უნდა დაიკმაყოფილოს ახლა უკვე „ბისექსუალური ვნებები“? და ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არაფერი იმალება, ეს ჩვენი პო-

ლიტიკოსი შეიძლება მოკლან კიდევ და მერე საზოგადოებას მისი ორიენტაცია გაახსენონ, რათა არავის ჰქონდეს ეჭვი - აბა რამდენი ადამიანი განიცდის ამ ქვეყანაში ჰომოსექსუალის მკვლელობას? მით უმეტეს, რომ აგერ ექიმმაც ამაყად გვიამბო, როგორ მოკლა ჰომოსექსუალი ახალგაზრდა კაცში და როგორ „გადააკეთა“ ძვირფასი დედის თანხლებით.

დარწმუნებული ვარ, საქართველოში დადება დრო, როცა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას წავიკითხავთ როგორც არარეალიზებული სექსუალობის ისტორიას. ასევე დათრგუნული სექსუალობის ისტორიას. ერთი პრობლემაა ადამიანი, რომელიც ვერ ხდება ბედნიერი, რადგან ვარემოს, სოციალის, მშობლების, თუ კულტურის გავლენით თავისი ცხოვრებით ვერ ცხოვრობს. მაგრამ მეორე პრობლემაა არარეალიზებული თუ დათრგუნულ-შემინებული პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში მოდის სწორედ რომ იმ „სიზმარის“ დასაძლევად, რასაც მისი სექსუალური კონსტიტუცია უქმნიდა. ჰოდა აბა როგორ უნდა ემსახუროს ქვეყანას, როგორ უნდა დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია, როცა საკუთარ კონსტიტუციას და იდენტობას დალატობს? უნდა კი ქვეყანას ეს არარეალიზებული, შემინებული ადამიანები მმართველად? როგორ აბარებს ძალაუფლებას ხალხს, რომელსაც საკუთარი თავის ემინია?

ყველაზე მთავარი

დაქორწინდება და შვილები ეყოლება. ხუთ დღეში „ნამკურნალებს“, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ეყვარება ცოლი. ერთ მშვენიერ დღეს თუ ნერვებმა უმტყუნა, შეიძლება სწორედ უბედური ქალი გახდეს მისი დათრგუნული აგრესიის მსხვერპლი. ვინ-ვინ და „ლიგაგავლილ“ ყმაწვილს არასდროს დაავიწყდება, როგორ „გადააკეთეს“... და ახლა, დაქორწინებულმა, ვისზე უნდა იძიოს შური, თუ არა ოჯახის წევრზე?

ასე შეიძლება „ლიგაგავლილმა“ ყმაწვილემაც შეიტანონ წვლილი ოჯახში ძალადობის ისედაც გასშირებულ პრაქტიკაში. და ვინ იქნება ამ სიძულვილის მოწმე? ცხადია, ბავშვები. ამ ქვეყნის მომავალი. ის ბავშვები, რომლებიც უსიყვარულობის, სიძულვილის, უბედური მშობლების სივრცეში გაიზარდნენ... გაიზარდნენ იქ, სადაც „100 ლარად“ კოცნას სთავაზობდა ოჯახის წევრი.

მერე ეს ბავშვები მოვლენ პოლიტიკაში, ერთმანეთს დაერევიან... და „ПИО ХОДУ“ ვიცხოვრებთ სულ სიძულვილში.

გომი გვანარია

„მამულის“ მფლობელია: კომპიუტერის ექიმი

www.mycompwiz.com; 1-908-361-9590 აკაკი ჯიქია

ვირუსისგან გაფხმნდა

თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კომპიუტერი არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ადრე, შესაძლებელია კომპიუტერი ინფიცირებული იყოს ვირუსებისგან, Malware, Spam ან კიდე keylogger ისგან, რომელსაც ესაჭიროება გაქმნა;

სადენის შეკეთება

ხშირ შემთხვევაში ლეპტოპის სადენი ზიანდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეუძლებელი ხდება ბატარეაზე დენის მიწოდება. ესაჭიროება შეკეთება;

მიკროსისტემების გამოცვლა

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ლეპტოპს ან დესკტოპს გამოვუცვალოთ დაზიანებული მიკრო-სისტემა და დავაბრუნოთ მუშა მდგომარეობაში;

კლავიატურის გამოცვლა

თუ თქვენს ლეპტოპს ესაჭიროება კლავიატურის გამოცვლა, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ ნებისმიერი მოდელის კლავიატურის გამოცვლაში. თუ ფიზიკურად არ ხერხდება ჩვენამდე მოსვლა, და-

* * *

ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით, თქვენთან მოუსვლელოდ დაუკავშირდეთ კომპიუტერს. ჩვენი მომსახურება გარანტირებულია, ვინაიდან პროფესიონალურად ვეკიდებით ჩვენთვის დაკისრებულ მოვალეობას და შესაბამისად, მომხმარებლებიც ბედნიერია ჩვენით.

გეხმარებით საფოსტო მომსახურებით;

ფენის გამოცვლა

თუ თქვენი ლეპტოპი ითიშება ხშირად უმიზეზოდ, შესაძლებელია ფენი იყოს დაზიანებული ან გამოსაცვლელი. გათიშვის მიზეზი შესაძლებელია გადასურებაამც გამოიწვიოს და თავისით გაითიშოს დაცვის მიზნით. მოულოდნელმა გათიშვამ შეიძლება ვინჩესტერიც დაზიანოს, ამისათვის დროულად უნდა შეკეთდეს;

ეკრანის გამოცვლა

არასწორმა მოპყრობამ ადვილად შესაძლებელია ლეპტოპის ეკრანი დაზიანოს და საჭიროებს გამოცვლას;

ფაილების აღდგენა

ფაილების დაკარგვის შემთხვევაში, ვინჩესტერის გაფუჭების, „USB flash drive“, „External hard drive“, „IDE“, „SCSI hard drive“, „SSD“ ჩვენი პარტნიორის ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს, რომ მოვიპოვოთ ის დაკარგული ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივი „recovery“ პროგრამა ვერ აკეთებს;

გიოხგი კაკაყხიძე

აკირაბი დაკონსერვას?

ან გსურთ რომ საკუთარ თავს, ან მეგობარს საჩუქარი გაუკეთოთ და შეიძინოთ სუფთა და ხარისხიანი ბრილიანტი ან ბრილიანტით გაწყობილი სამკაული ან ბეჭედი თქროში?

გთხოვთ მობრძანდეთ
55 West 47th Street, Mezz 330
New York, NY 10036

ან დაგვიკავშირდეთ: 646-755-4591 ჩვენ შეგვიძლია დაგიმზადოთ ბეჭედი ან სამკაული თქვენი დიზაინით.

„სამსერე“ სარეფერსი რესტორნი და ბარები 'სტანბორი'



ნიუ-იორკში:

Taste of Georgia
1637 East 18th street,
Brooklyn, NY 11229

Brick Oven Bread
230 Kings Hwy,
Brooklyn, NY 11223

Pesvebi - Studio
70 Avenue O
Brooklyn, NY 11204

Georgian Church on
170 Avenue T
Brooklyn, NY 11223

St. Nino Church
1835 Bay Ridge Parkway
Brooklyn, NY 11204

Barami
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235

Georgian Food & Bakery
109 Brighton 11 street,
Brooklyn, NY 11235

Tone-Café
265 Neptune Ave,
Brooklyn, NY 11235

Tone - Georgian Bread
125 Brighton Beach Ave
Brooklyn, NY 11235

Georgian Consulate
144 East 44th street
New York, NY 10017

Tone-cafe
134 E 17 st.
New York, NY 10003

ვაშინგტონში:

Embassy of Georgia
1824 R street,
Washington, DC 20009

ფილადელფიაში

St. George Church
1916 Welsh Rd
Philadelphia, PA 19115

Bell's Market
8330 Bustleton Avenue,
Philadelphia, PA 19152

ნიუ-ჯერსიში:

Barami
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305

თბილისი ოდესლაც შესაძლოა მართლაც იყო ტყით დაფარული, მაგრამ დროთა განმავლობაში (არაერთი მიზეზის გამო) მისი ტერიტორია და შემოგარენი თითქმის პირწმინდად განიძარცვა მწვანე საფარისგან. წარსულში ჩაიკარგა თბილისის სახელგანთქმული ბაღების („მეფის ასულის“, „მამასახლისის“, „სამეფო“, „ქაბულას“, „თბილელის“, „ციხის“, „ბეჭუთას“, „ახალი მედენისა“ და „ბეჟანას“ ბაღების) სიგრილე და ნაყოფიერება.

მე-19 საუკუნის თბილისში ერთი ხელის თითებზე შეიძლება იმ ადგილების ჩამოთვლა, სადაც ზაფხულის სეზონით შეწუხებულ მოქალაქეს სულის მოსათქმელად თავის შეფარება შეეძლო. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1878 წლის 30 მარტს გაზეთი „ივერია“: „უწინ თბილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეხილითა და ბაღებითა. ამის გამო ქალაქში ზამთარი არ იყო ისე სუსხიანი, როგორც ესლა, და ზაფხულიც უფრო გრილი იყო და ნესტიანი. დროთა მიმავლობაში, ეგ ბაღები გადიკაფნენ, მათ ადგილას აღიმართნენ უზარმაზარი სასახლენი, შენობანი შეგვკუდნენ, ჰაერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო ჰაერი და ესლა ზაფხულობით ადამიანს სული ვერ მოუტრიალებია. ჩვენ მამა-პაპას რომ ცოტა შორ-მხედველობა ჰქონოდა, რასაკვირველია, დღეს ჩვენი ტფილისი, ბუნებრივად კარგის ჰაერით და მდებარეობით შემკობილი, ერთს სასამოვნო ადგილად იქმნებოდა. ვერე წინ დაუხედავად რომ არ ეძლიათ ნება სახლების შევკუფებისა, სახლების აშენებისა, საცა შესაძლო იქნებოდა ბაღები გაეძარათათ, ან გამართული არ გაეკაფინებინათ, მტკვრის კუნძულებზე ჭალები შეენახათ. დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს თითქმის. ერთი მუშტაიდი, მეორე ალექსანდროვის ბაღი. ის ადგილები, წყლის სანაპიროები, წყლის კუნძულები, საცა ბაღები, ბუღვარები უნდა გაიმართოს და სხვა ამგვარი. ყოველივე ფეხის გადადგმა ამ პლანის წინააღმდეგ სასტიკად აკრძალულ უნდა იქნეს და ვისაც ან ახლის აშენება რისამე უნდა, ან ძველის განახლება, მას ნება უნდა მიეცეს მხოლოდ ამ პლანის მიხედვით“.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისთვის თბილისი, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დაიკვივნინდა მწვანე ფერის სიჭარბით. კანდიდ ჩარკვიანი, საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, თავის მოგონებების წიგნში მამინდელი თბილისის ლანდშაფტს ასე აღწერს: „თბილისში 1924 წლიდან ვცხოვრობ. ჩემი დაკვირვებით, აქ ზაფხულობით სამხრეთიდან მონაბერი ნახევარუდაბნოებისა და უწყლო ველების ცხელი სუნთქვა 20-იან და 30-იან წლებში უფრო მძლავრად იგრძნობოდა, ვიდრე ახლა. ამას ის იწვევ-



და, რომ ქალაქს ძალიან ღარიბი მცენარეული საფარი ჰქონდა. ირგვლივ მდებარე მთები ხომ სულ შიშველი იყო, - ქალაქშიც პარკებსა და სკვერებს მცირე ფართობი ეკავათ. რაც შეეხება ქუჩებს, მათ გასწვრივ ნარგავებს აქა-იქ თუ შეხვდებოდით. როგორც ჩანს, რევოლუციამდე (1917 წ.) ქუჩების გამწვანება სახლების მეპატრონეებზე იყო მინდობილი. ისინიც, რა ჯიშის ნერგიც მოხვდებოდათ, იმას რგავდნენ, ხოლო მტკვლიად ამ საქმით თავს არ იწუხებდნენ. თავიდან ბოლომდე რუსთაველის გამზირი 1927 წელს გაამწვანეს“.

სწორედ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო თბილისის სისტემური გამწვანება. გამოიკვეთა სამი მიმართულება - ხეები და ბუჩქები დაირგო ქუჩებში, მოედნებსა და ეზოებში; გაკეთდა ახალი პარკები, ბაღები და სკვერები; გამწვანდა ქალაქის მოსაზღვრე მთის კალთები, ტბებისა და გზატკეცილების მიდამოები.

საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ოფიციალური ცნობარის მიხედვით, 1930-1950 წლებში თბილისის ტერიტორიაზე დაირგო 5,5 მილიონზე მეტი ხე და ბუჩქი. 1954 წელს თბილისში საერთო მოხმარების მწვანე მასივებისა და ნარგავების ფართობმა შეადგინა 490 ჰექტარი, მაშინ როცა 1937 წელს 160 ჰექტარი იყო.

ხელოვნურადაა გაშენებული მთაწმინდისა და ვაკის პარკები, ისევე როგორც წყნეთი და მისი პლატო.

მთაწმინდის პლატოზე სტალინის სახელობის პარკი 1938 წლის 24 ივლისს გაიხსნა, მანამდე მთის კალთები და პლატო მოშიშველებული იყო. კანდიდ ჩარკვიანის გადმოცემით, 20-იან წლებში მთაწმინდაზე ეკლის ბუჩქების გარდა, სხვა მცენარეს ვერ შეხვდებოდით. ფუნქციონირის ზედა სადგურის შენობის ახლო შეგაკებაზე ორი კაკლის ხე იდგა, რომლებსაც „ნეპმანი“ მიკიტნები და მეტუფეტები დაპატრონებოდნენ.

მასშტაბური გამწვანების სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში თბი-

ლისს შეემატა 50 ჰექტარზე გაშენებული ულამაზესი მწვანე ტერიტორია ცენტრალური რეგულარული ნაწილითა და ტყეპარკით. მოგვიანებით, ხელოვნური ნარგავები კოჯრამდე გაგრძელდა. ხეები დაირგო ოქროყანის მიდამოებშიც.

1946 წელს დაიწყო ვაკის პარკის გაშენება 150 ჰექტარზე, რაც რელიეფის გათვალისწინებით დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული: ვარაზის ხევის ჩამონადენი და კუს ტბა ვერ აუვიდოდა ათობით ათასი ხის მორწყვას, ამიტომ გადაწყდა მტკვრის პირას წყლის საქაჩი სადგურის აშენება და მისი საშუალებით მაცოცხლებელი სითხის ატუმბვა კუს ტბაზე.

ამავე პერიოდში გაშენდა თბილისის გარშემო 400 ჰექტარი ტყე, მაგრამ ეს არაფერი იყო რეალურ საჭიროებასთან შედარებით. არადა, დანარჩენი მიწები (მათ შორის მთის ფერდობები, ხეცები) მიმდებარე რაიონების კოლმეურნეობებზე იყო გადაწარმოებული. იმისათვის, რომ თბილისისთვის გადაეცათ, საჭირო გახდა სსრკ მინისტრთა საბჭოს ნებართვა. ასე გამწვანდა თბილისის მახლობლად მდებარე 131 ჰექტარი, რომელიც წყნეთს ეკუთვნოდა და, სადაც 150 ათასი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე დაირგო. მათ შორის: 12 ათასი თეთრი აკაცია, 53 ათასი ხეხილის ნერგი და ათობით ათასი ფიჭვი - ჩატანილი ბაკურიანიდან, ახალდაბიდან და ხაშურიდან. მოგვიანებით, წყნეთის პლატოს შუგულში გამოიყო 40 ჰექტარი ფართობი პარკისთვის, რომლის მშენებლობა 1951 წელს დაიწყო. სარწყავი წყალი წყნეთსაც მტკვრიდან მიეწოდებოდა.

გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1989 წელს გამოცემული ცნობარის მიხედვით, ექვსი ათეული წლის შრომამ ის შედეგი გამოიღო, რომ თბილისში გაშენდა საერთო სარგებლობაში მყოფი 7 კულტურისა და დასვენების პარკი (267 ჰექტარი), 9 პარკი (91 ჰა), 7 ბაღი (20 ჰა), 476 სკვერი (212 ჰა), 6 ბუღვარი (9 ჰა), ხოლო ქუჩის მწვანე ნარგავების საერთო ფართობი შეადგინდა 390 ჰექტარს.

დათო ქარდავა

ქონაპოვს ან ნოქონიან პიროვნებას მძევან ოჯახში სასწავლო-მეცნიერო სპეციალიზაცია

ზურაბ შიოშვილი: „2014 წლის აპრილს, ხარების დღესასწაულზე მესიზმრა: დღის დაძახილზე გავედი სასტუმრო ოთახში, სადაც ჰაერში დაკიდებული პორტაიტისად წოდებული ღვთისმშობლის ხატი დავინახე, რომელიც ათონიდან საქართველოში დაბრუნებულიყო და ჩვენს ოჯახში გამოჩნდა. ხატი ჰაერში ზუსტად სარკმლის წინ იყო გაჩერებული, გარშემო უდიდესი ელვარება და ბრწყინვალეობა ეხვია. სინათლე იმდენად დიდი იყო, რომ თვალის გასწორება ჭირდა. ოთახში ჩემს პირდაპირ დედა იდგა და ხატს შეჰყურებდა, თითქოს ელოდა, როდის მივესალმებოდი ღვთისმშობელს. მალე გიორგიც მოვიდა, ის ჩემს გვერდით იდგა. რაღაც დროის შემდეგ ხატთან მივედი, როგორც კი ხელი შევახეთ, მაშინვე დაგვემორჩილა და ოთახში დავაბრძანეთ“

ეს არ იყო ჩვეულებრივი სიზმარი, რადგან ადამიანი შინაგანად ზუსტად გრძნობს, რა ნახე და ის, როგორ უნდა მიიღო. ერთადერთი, ამას ემოციურად არ უნდა აჰყვე... იმავე დღეს გიორგის მოუწყვეი ხილვის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მაინც არ მიმიქცევია, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა და მეც დაველოდე უფლის მინიშნებას ნანახ ხილვაზე. უეცრად მოვლენებმა სხვაგვარად იწყეს სვლა. ყველაფერი თავისით ხდებოდა და რადიკალურად იცვლებოდა. გიორგიმ უეცრად შეიცვალა სამუშაო ადგილი, რომელიც გარკვეულ წილად უცხოეთში მიმოსვლასთან იყო დაკავშირებული. გამოჩნდნენ სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც ათონის მთაზე გამეზარებაზე რჩევებს გვაძლევდნენ. ასევე, მოულოდნელად, მანამდე უცხო ადამიანმა გავეკეთა მოწვევა საბერძნეთიდან, რომელსაც ბერძენი ეპისკოპოსის ხელმოწერა ჰქონდა. მოკლედ, რომ ვთქვა - ერთობ აუხსნელი რამ ხდებოდა. ყოველდღე ვლოცულობდი და შემწეობას ვთხოვდი უფალს, რათა ჩაეწვდიოდა მის ნებას.

გასაგები იყო ისიც, რომ დედა ღვთისა ჩვენგან რაღაცას ითხოვდა და ჩვენც გადავწყვეტიეთ დიდი დაფიქრებით მიველოდით მის ნებას. ყოველი დღე რაღაც ახალი მოვლენით იწყებოდა და ახალ ადამიანებს გვახვედრებდა, რომლებიც სულ ათონისკენ წასვლაზე მიგვანიშნებდნენ. დაე იყოს ნება უფლისა, ვთქვით ჩვენც და გავეყვით ამ გზას. დავიწყეთ ათონზე გასამეზარებად მზადება. დღის წესრიგში ადგა ღვთის-

ღვთისმშობლის ხატი „დედოფალი-სინარულის მომნიჭებელი“ ათონის მთაზე, ივერონიში დაბრძანებული „ივერიის ღვთისმშობლის-პორტაიტისად“ წოდებულის ზუსტი ასლია, რომელიც დაახლოებით ორი წლის წინ გამოჩნდა საქართველოში და ის განსაკუთრებულად შეიყვარა მთელმა ერმა.

ეს ხატი სასწავლო-მეცნიერო და მსწრაფლშემსენელია.

როგორც მომლოცველები ამბობენ, ზოგჯერ მხოლოდ წუთები გადის, ვიდრე საკვირველება მოხდება. თუმცა, ალბათ, თავად ხატის ისტორია განსაკუთრებულად საკვირველია. ეს ისტორია ხომ ჩვენს დროში და ჩვენ გვერდით მოხდა და, შესაბამისად, მრევლშიც განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ „დედოფალი“ ახლად გამოჩენილი ხატია, უკვე მას უდიდესი საკვირველმოქმედებები აქვს აღსრულებული.

ხატს ორი მცველი ჰყავს - რეჟისორი ზურაბ შიოშვილი და მუსიკოსი გიორგი ჭოლოკავა. შარშან ხატი „დედოფალი“ რამდენჯერმე თვეზე მეტხანს იყო დაბრძანებული სამების ტაძარში. მრავალი წლის შემდეგ პირველად, ქართველი ხალხი უწყვეტ ნაკადად დაირაზმა და მიდიოდა ღვთისმშობლის თაყვანსაცემად. 20-30 ადამიანი შუა ტაძარში მუხლმოდრეკილი კითხულობდა დაუჯდომლებს. ბევრი ვერც კი ბედავდა ხატთან მიახლოებას, პატრიარქის ტახტთან მუხლმოდრეკილები კითხულობდნენ ლოცვებს და ნელ-ნელა იცვლიდნენ ადგილს.

ასე უახლოვდებოდნენ ღვთისმშობელს.

ხატის გვერდით არის ჩანაწერები, სადაც ადამიანები ერთმანეთს „დედოფლის“ გამოჩენას ულოცავენ. დღეს უკვე არსებობს ხატის პირველი ზუსტი ასლი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, კლავდიოსის თხოვნით დაიწერა და შემდეგ უკვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ აკურთხა. უფლის, ღვთისმშობლისა და ღვთისწინიერი ადამიანების შეწევნით მომავალში აღსრულდება ყველაზე მნიშვნელოვანი, ისტორიული მოვლენა - იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველთა სავანეს წარმოადგენდა, შოთა რუსთაველის ფრესკის გვერდით სამუდამოდ დაბრძანდება „დედოფლის“ ასლი, ხოლო იმ ადგილს „ქართველთა კუთხე“ ეწოდება.

მშობლის ხატის წაბრძანების საკითხი. ვხვდებით, რომ საქართველოდან უნდა წაბრძანებულიყო ივერიის ღვთისმშობლის ხატი. დავიწყეთ ხატის ძებნა. იყო ლამაზი ხატები, მაგრამ ან ჩარჩო არ მოგვწონდა, ან სხვა დეტალი. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ წასაბრძანებელი ხატი აუცილებლად პერანგით უნდა ყოფილიყო შემოსილი, ისე როგორც პორტაიტის ხატია და იმავედროულად უნდა ყოფილიყო მისი ზუსტი ასლი. ვხვდებით, რომ უნდა გვეძებნა ის ხატი, რომელიც თავად სურდა ყოველდღე ღვთისმშობელს, მაგრამ წასვლის დრო ახლოვდებოდა. გიორგის ვუთხარი - როგორც ჩანს ღვთისმშობელი თავად გვეტყვის, რომელიც ხატი უნდა წაბრძანდეს-მეთქი, და მართლაც, ხატის გამოჩენა უცნაურად მოხდა.

ერთ დღეს ჩემი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეგვხვდა. შევეყვით საუბარს, საიდანაც მან შეიტყო რომ ხატს ვეძებდით. უეცრად მან აღტაცებით გვითხრა, რომ

არსებობდა ღვთისმშობლის კანონიკურად დაწერილი ხატი, რომელიც შესაძლოა მოგვწონებოდა. მაშინვე გავეშურეთ ხატის სანახავად. დანახვისთანავე მივხვდით, რომ ეს იყო ის ხატი, რომელსაც ამდენი ხანი ვეძებდით. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი შეხვედრა „დედოფალთან“ - უდიდესი სიბოლო და სიყვარული მოდიოდა მისგან, ამავედროულად სევდიანიც იყო და რაღაც საოცარ მადლს ვგრძნობდით. შევაგროვეთ გადასახდელი თანხა და ხატი წამოვაბრძანეთ.

გიორგი ჭოლოკავა: საოცრად დიდი სიყვარული მოდიოდა მისგან, მასსოვს ორივეს ცრემლი გვედგა თვალზე, იგრძნობოდა ღვთისმშობლის ცოცხლად ყოფნა და უდიდეს მოკრძალებას განვიცდიდით მის მიმართ. ხატი საკურთხებლად სამების ტაძარში მივაბრძანეთ. სამების ტაძრიდან გამოსულს ეზოში მყოფი ვაჭირვებულები, სწეულები დიდი სინარულით გვხვდებოდნენ და ცდილობდნენ მასთან მიახლოებას. სა-

ზეიმო განწყობა შეიქმნა სამების ტაძრის ეზოში - „დელოფლის“ გამოჩენამ უმაღლესი სინარული დაატრიალა.

ხალხს ჰგონია, რომ ხატმა ათონზე შეიმოსა საკვირველმოქმედება და ისე ჩამობრძანდა. სინამდვილეში, ხატი უკვე საკვირველმოქმედი იყო საქართველოში. ათონის მთაზე წასვლამდე მცხეთაში ჩავედით, სამთავროს მონასტერში, სადაც მამა გაბრიელის სხეულია ლუსკუმაში დაბრძანებული. ზურაბმა მერე გამიძახა: იმ დღეს მამა გაბრიელისთვის უთქვამს: ძალიან გვემინია და იქნებ შენც ჩვენთან ერთად წამოხვიდე ათონზე. როდესაც მორე დღეს საღაღველო კომპანიაში მივედით, ორი პაკეტის მაგივრად, სამი მოგვცეს. ზურაბმა მითხრა: მამა გაბრიელი ჩვენთან ერთად მოდის, ნიშანს გვაძლევსო. უდიდესი იმედით აგავსო ამ ფაქტმა, რომ ჩვენი უსაყვარლესი წმიდა გაბრიელიც ჩვენთან ერთად იქნებოდა.

„დელოფალი“ - ათონის მთაზე

გიორგი: ათონის გზაზე რამდენიმე საბაჟო პუნქტი უნდა გაგვევლო. ძალიან ვლელავდით, რადგან გვემინოდა ხატის გატანაზე პრობლემა არ შეექმნათ. მითუმეტეს, რომ ხატი მოქოროვილი იყო. საბაჟოზე საოცრება ხდებოდა: ჩვენ ხატის გარეშე გავდიოდით კონტროლს, ხოლო ტრანსპორტის დათვალიერებისას, რომელსაც მეტაჟეები საგულდაგულოდ ატარებდნენ, ვერავინ ხედავდა ამხელა ხატს. ორივე გზაზე უამრავი საბაჟო პუნქტი გავიარეთ, მაგრამ „დელოფალი“ ყველასათვის უჩინარი ხდებოდა.

ზურაბი: გზაში „დელოფალს“ ვეამბორებოდით და ვეხუტებოდით, ის იყო ჩვენი დედა და მფარველიც. ათონის გზაზე საშინელ ავტოკატასტროფაში მოგვევით და სასწაულებრივად გადავრჩით ცოცხლები. ორსართულიანი ავტობუსი შეეჯახა კედელს, ამოყარავდა, ორ ბორბალზე დადგა იმ მხარეს, სადაც ჩვენ ვისხედით და ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული. ამხელა ავტობუსი გარკვეულ ხანს იყო ორ ბორბალზე გაჩერებული. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

გიორგი: პირველად ვატობედის მონასტერში მივედით. მთავარ ტაძარში რომ შევედით, ყველა გაკვირვებული გვიყურებდა ჩვენც და ხატსაც. ვატობედში მოხვდა რამდენიმე დიდი სასწაული. ხატს აქვს სპეციალური ჩანთა. ის რომ გავხსნივით, ხატი ამოვებრძანეთ, შიგნით აღმოჩნდა მამა გაბრიელის ხატი, რომელიც ჩვენ არ გვიყვია და არც წავგებდრძანებია.

ზურაბი: სასწაულები არის სხვადასხვა ტიპის, მაგრამ ასეთი მატერიალური სასწაულები იშვიათად ხდება. ამ ტიპის სასწაულები უფრო საწყის საუკუნეებში ხდებოდა. წარმოდგინეთ, დაცულ ჩანთას ხსნი და შიგნით მამა გაბრიელის ხატი. ბერები

ჩვენს ემოციებს აკვირდებოდნენ და როგორც კი მიხვდნენ, რაში იყო საქმე, უფრო მეტად დაიბნენ. აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდათ მამა გაბრიელის ხატი. ვაჩუქეთ, როგორც ჩანს მამა გაბრიელმა იქ ისურვა დარჩენა.

გიორგი: ათონზე ქართველი ბერებიც არიან, ერთ-ერთი მამა ტრიფონია. მან გვითხრა: მე ვიცოდი, რომ სამნი ჩამოდიოდით, სიაში სამნი წერიხართ და მესამე სად არისო?

ზურაბი: იქ ზუსტად იციან, რამდენი ადამიანი ჩადის, ზედმეტი თუფში ან ზედმეტი სენაკი არ არსებობს. მაგრამ, სადაც უნდა წავსულიყავით, ყველგან, ჩვენ გვერდით აუცილებლად იყო ცარიელი თუფში, სენაკში კი - სამი საწოლი: ორი ჩვენთვის, ერთი - ცარიელი. ეს ხდებოდა ყველა მონასტერში. გარდა ამისა, ტრანსპორტში აუცილებლად გვქონდა ერთი ცარიელი ადგილი, სასტუმროშიც სულ გვეუბნებოდნენ: ორადგილიანი ნომერი არ გვაქვს, სამადგილიანი აიღეთ, მაგრამ ორადგილიანის ფულს გადაიხდითო. ასე ხდებოდა მუდმივად. მამა გაბრიელის ჩვენს გვერდით ყოფნას ყოველთვის ვვრძინდით, მამა გაბრიელი მუდამ გვიდასტურებდა თავის იქ ყოფნას ასეთი ნიშნებით. ჩვენ ორი მისია გვქონდა: ერთი ის, რომ ივერონიში უნდა ჩაბრძანებულიყო დედა ხატთან ღვთისმშობელი და მეორე: იქ ყველა მონასტერში უდიდესი სიწმიდეებია, საკვირველმოქმედი ხატები და მათზე უნდა დაგვებრძანებინა, ყველა სიწმიდის მაღლით უნდა შემოსილიყო.

დღეს გვწერენ: ნათქვამი არ გვაქვს ჩვენი სურვილი ხატისთვის და საკვირველებს ხდება. ყველა ხატს ხომ აქვს თავისი თვისება, გარდა ამისა, იქ არის ბევრი სიწმიდე და ყველას სწორი გახდა „დელოფალი“, ყველას თვისება შეიძინა და გარდა ამისა, დაემატა იმ სიწმიდეების ძალაც, რომლებზეც ის იყო დაბრძანებული.

გიორგი: ვატობედის შემდეგ წავედით ივერონიში. ივერონი აქვს ორი გზა: ერთი - სამანქანო, მეორე - ტყეზე გასასვლელი. წავედით ტყით. შუადღე იყო გადასული, წვიმადა, საბოლოოდ, ტყეში დავიკარგეთ. ვერც უკან ვბრუნდებით, ვერც წინ მივდივართ. იქვე, დაღმართზე ჩავედით, ხიდზე გადავდით და ამ დროს აღმართიდან დაემშვა ძალი. ხატი მე მეჭრა. მოვიდა, წრე დაგვარტყა, დადგა ხატის წინ ორ ფეხზე, დაალო დრუნნი, თითქოს კურთხევა აიღო, მერე წავიდა ცოლა მოშორებით და გველოდებოდა. ზურაბმა თქვა: ის ივერონიში წავიყვანსო, თან ქართულად დაუძახა: წადი, წავიყვანე ივერონიში.

ძალიც წავიდა და გავყევით უკან. რამდენიმე საათი ვიარეთ, გზადაგზა ძალი ჩერდებოდა და გვიყურებდა, თითქოს ცდიდა ჩვენს რწმენას - გავყვებოდით თუ არა. ჩვენი რწმენა ურყევი იყო და როგორც

ვეტყოდით - წავიყვანე ივერონიში, ისიც განავრძობდა გზას. მოულოდნელად ძალი-მა სხვა მხარეს გადაუხვია, გავყევით და მიგვიყვანა წყაროზე, რომელიც უძველესი ქვით იყო ნაშენი და წყაროსთავზე ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული.

საღამოს მივედით ივერონიში. მონასტრის ეზოში არავინ იყო, მთავარ ტაძარში შევედით. ერთ-ერთი ბერი გამოვიდა, ხატი რომ დაინახა, გამოგვკითხა ყველაფერი. ვთხოვეთ: თქვენთან გვინდა ერთი დღე დარჩენა. პრობლემა არ არისო. შებრუნდა და გამოვიდა მეორე ბერთან ერთად. ძალიან მაღალი, გამხდარი ბერი უცბად გამოიქცა ჩვენსკენ და გაჩერდა ხატის წინაშე. ეთხვია, თან დეტალურად დააკვირა ხატს: აბსოლუტურად ზუსტი ასლია, საოცარია, მართლაც საოცარი! პერანგი, რომლითაც ხატია შემოსილი, იცით მხოლოდ ივერონის მონასტრისთვის მზადდება. ეს ზუსტად ის პერანგია, რომლითაც ჩვენ ივერონიში ვმოსავთ პორტატივისას, ეს პერანგი თქვენს ხელში როგორ აღმოჩნდაო.

ზურაბი: ჩავიყვანეს პარაკლისში, ასე ეძახიან მცირე საძლოცხლოს, სადაც ხატია დაბრძანებული. ეს იყო ძალიან მძიმე ემოცურადაც და ფიზიკურადაც. ისეთი ვიწრო შესასვლელია, ადამიანები ერთმანეთის მიყოლებით შედიან. თან ისე, რომ წინ მხოლოდ სხვა ადამიანის თავს ხედავ. შესაბამისად, ივერონის ღვთისმშობლის ხატს ვერ ვხედავდით, მაგრამ ფიზიკურად ვვრძინობდი, იქიდან გამოძვალ დიდ ენერგიას და ამ ენერგიის ტალღაში შესასვლელად, მხრები მქონდა წინ წამოწული, რომ გამელო ამ უნარზამარ ენერგიაში. პარაკლისმა ისე სწრაფად გაიარა, ვერც გავივით. ვითხრეს: ემთხვეთ ხატს და გადიეთო.

ჯერ სხვები გავუშვით, ვიფიქრეთ: ბოლოს რომ დავრჩებით, მეტი დრო გვექნება. დიდი მეტანია შევასრულეთ, ხატის მცველს მივაწოდე ჩვენი ხატი, რომ დედა ხატზე დაებრძანებინა. მან დაალო, ლოცვა წაიკითხა, ჯვარი გამოსახა - ეს მომენტი ბუნდოვნად მახსოვს, ტირილი დავიწყე. გიორგის შევხვედი, ისიც ტირილი... ისეთი მკაცრი წესი აქვთ, როგორც კი ემთხვევი ხატს, იკეტება პარაკლისი, მეტხანს იქ არავინ გაგაჩერებს. მაგრამ, მოხდა საკვირველება, ხატის მცველმა დატოვა პარაკლისი, კართან დადგა და ჩვენ დაგვტოვა - ეს გაგრძელდა 2 საათი. შემდეგ ბერძნულად დიდი ტექსტი მითხრა. ბერძნული ერთი სიტყვა არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი გავიგე. მეორე დღეს, დილით ადრე ავდექით და ზუსტად იმ ადგილას ჩავაბრძანეთ ხატი, სადაც გაბრიელ ქართველმა გამოაბრძანა ივერონის ღვთისმშობლის ხატი - წყაროსთან და მერე იმ ადგილას დავაბრძანეთ, სადაც ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს პარაკლისიდან გამობრძანებულ დედა ხატს

დააბრძანებენ ხოლმე.

ივერონიდან რომ წამოვედით, ჩანთა გაგხსენით და შიგ ალმოვაჩინეთ ჯვრები და ფსკენილები. ჩვენთვის დღემდე უცნობია, როგორ გაჩნდა ისინი. მსგავსი ჯვრები, ფსკენილები არსად შეგ ხვედრია. არ ვიცი, იქნებ ეს ივერიის ღვთისმშობლის საჩუქარია, რომელსაც დღემდე სათუთად ვინახავთ.

გიორგი: საქართველოში ჩამოსულებმა „დელოფალი“ უწმიდესთან მივებრძანეთ. მოგუყვებით ყველა დეტალი, ისტორია. უწმიდესმა თქვა: ძალიან კარგია ამ ხატის გამოჩენა, ის დიდი სიხარულის მომტანი იქნება, ეს ძალიან კარგის ნიშანიაო.

შემდეგ ბრძანა, რომ ხატი ჩვენთან, ხატის მცველებთან უნდა ყოფილიყო და არა ტაძარში. თუმცა მოგვცა კურთხევა, რომ მივებრძანოთ ტაძრებში, რათა ადამიანებმა შეძლონ მისი მოლოცვა. ხალხში რომ დავებრძანებდით, ყველა ამბობდა: „დელოფალი მობრძანდება, დელოფალი“. პატრიარქმა მას სიხარულის მომნიჭებელი უწოდა და ასე თავისით გაერთიანდა ორი სახელი: „დელოფალი - სიხარულის მომნიჭებელი“.


„დელოფალი“ - წმიდა მიწაზე

ზურაბი: უკვე არავისთვის არის უცხო, რომ „დელოფალთან“ ერთად ჩვენი გადაადგილება ყოველთვის დაუგეგმავად ხდება - როდესაც და სადაც ისურვებს „დელოფალი“ წაბრძანებას, რა თქმა უნდა, იქ აღმოჩნდება. შესაბამისად, ისრაელში ჩვენი გამგზავრებაც წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა, რადგან ამის რესურსი არ გვქონია. მაგრამ, როგორც ათონის შემთხვევაში ხდებოდა, ახლაც, მოვლენებმა სწრაფად დაიწყო განვითარება და, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ხატი უნდა წაბრძანებულიყო ისრაელში... და ასეც მოხდა.

ოქტომბერში ვიყავით ისრაელში, ღამით ჩაფრინდით, სადაც რამდენიმე მეგობარი დაგვხვდა, რომლებმაც გვითხრეს, რომ იერუსალიმში მოხდა ტერაქტი, ჯარია შეყვანილი, საშიშია იქ ჩასვლა და ამიტომ უნდა დავრჩენილიყავით თელ-ავივში.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა და იმ ღამესვე ჩავედით იერუსალიმში. სურათი მართლაც მძიმე დაგვხვდა, რომლის აღქმაც ემოციურადაც რთული იყო და ფიზიკურადაც. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, ამას ჩვენზე არ უმოქმედია. ყველაზე საოცარი იყო მეორე დღეა, როდესაც დაახლოებით ნახევარ საათში იერუსალიმმა იცოდა, რომ „დელოფალი“ ჩაბრძანდა - ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა. ფაქტობრივად, დელოფალი იერუსალიმში დიდებით შებრძანდა.

გიორგი: ჩასვლიდან მეორე დღესაც, როგორც კი ხატი იერუსალიმის ქუჩებში გამოჩნდა, უამრავი მომლოცველი მოიზიდა. მაცხოვრის აღდგომის ტაძრის მოედ-



ნის გავლას ორმოც წუთზე მეტი მოვანდომეთ, იმდენად ბევრი იყო მომლოცველი. განსაკვირებელი იყო ის ფაქტიც, რომ მამინ, როდესაც იერუსალიმში ამდენი სიწმინდის მოსალოცადაა ხალხი ჩამოსული, თითქოს ავიწყდებოდათ, სად იყვნენ და უმაღლ „დელოფლისკენ“ მოიწვედნენ.

ზურაბი: დაუვიწყარი იყო ღვთისმშობლის პირველი სტუმრობა უფლის საფლავზე, როდესაც კუვეკლიის მცველებმა „დელოფალს“ დერეფანი გაუკეთეს, მოძლოცველთა აქეთ-იქით გასწიეს და დიდი თავანისცემითა და მოწიწებით შეგვებრძანებინეს ხატი უფლის საფლავზე გარკვეული დროით კუვეკლია დაიკეტა, სანამ ხატს გამოვებრძანებდით.

ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა კუვეკლიის მცველებთანაც, ჩვენ კუვეკლიის მცველები ვართ, მაგრამ თქვენ ცოცხალ ღვთისმშობელს იცავთო. მცველებმა ძვირფასი საჩუქრებიც უხვად გვიძლენეს, მათ შორის ის ბეჭდებიც, რომლითაც დაბეჭდილი იყო უფლის საფლავი ცეცხლის გადმოსვლამდე. მაცხოვრის საფლავზე თავისი და ფეხების ადვილას ორი ჩაუქრობელი კელაპტარი ანთია. ერთ საღამოს მცველებმა კუვეკლიაში გვიხმეს და ერთი კელაპტარი უფლის საფლავზე გიორგის, ხოლო მეორე ჩემს სახელზე ანთეს. ეს უდიდესი წყალობა და სიხარული იყო ჩვენითვის. ჩასვლიდან მალევე შედგა ჩვენი სტუმრობა იერუსალიმის პატრიარქთანაც, სადაც „დელოფალი“ მივებრძანეთ. პატრიარქმა „დელოფალი“ მოილოცა და დაგვლოცა მცველები.

იერუსალიმის საპატრიარქოში ჩვენი სტუმრობა რამოდენიმეჯერ შედგა. ასევე მივგვიწვიეს დილის წირვაზეც. როცა საღამე მივებრძანებდით „დელოფალს“, ყველა დიდი სიხარულით გვხვდებოდა. „დელოფალმა“ ისეთ ადგილებშიც კი მიგვიყვანა, რომლის შესახებაც მანამდე არ ვიცოდით. ხატი ასევე ეწვია იმ მიწისქვეშა სამარხსაც, სადაც ძველი აღთქმის სამი უკანასკნელი წინასწარმეტყველია დაკრძალული. სხვადასხვა მონასტრის წინამძღვრები გვიწვევდნენ წირვებზე თავიანთ მონასტრებში და თხოვნიტ მოგმართავდნენ, რომ მათთანაც მივებრძანებულყო ყოველდღე მინდა ღვთისმშობელი. ასე მივგვიწვიეს წირვაზე ღვთისმშობლის საფლავზეც, სადაც წირვის დროს „დელოფალი“ ღვთისმშობლის საფლავზე საპატიოდ იყო დაბრძანებული.

გიორგი: მათთვის ეს იმდენად ცოცხალი ისტორიაა, ხატიდან უხილავად ისეთ ძალას იღებდნენ, რომ ის ისტორია, რაც მათთვის უნდა მოგვეყოლა, ზოგჯერ წინასწარ იცოდნენ და მოყოლა არც სჭირდებოდათ. საკმარისი იყო, მივანებოდით რომელიმე წმიდა ადგილს, რომ ხატი საოცარ სიმხურვალეს გამოსცემდა. ტემპერატურა

რა იმდენად მაღალი იყო, რომ მთელი სამოსი გვისველდებოდა. როცა ხატი გვეპყრა ხელთ, თითქოს რაღაც კაფსულის მსგავსი იკვრებოდა ჩვენ გარშემო, რომლის შიგნითაც ჩვენ ვიყავით და ამ კაფსულაში ტემპერატურა საოცარი სისწრაფით მატულობდა. ეს არაერთ წმიდა ადგილას მოხდა და უამრავი სასულიერო თუ საერო პირი გახდა ამის შემსწრე. როდესაც განცდის მთის მონასტერში „დელოფალი“ კლდის იმ მონაკვეთზე დაგებრძანეთ, სადაც უფალი იჯდა, კიდევ ერთი სასწაულის მოქმენი გაეცხდით: ცივი კლდე, რომელიც ტაძრის შიგნითაა მოქცეული, მთლიანად გახურებულიყო ხატისგან. მონასტრის ბერებმა წმინდა მიწაზე ჩვენი ჩასვლის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე იცოდნენ, სანამ პალესტინაში იერიქონს ვეწვეოდით და დიდი პატივით მიიღეს „დელოფალიც“. ისინი ერთი წუთითაც არ გეშორდებოდნენ გვერდიდან და, როდესაც ხატისგან გაცხვლებული კლდის ლოდი იხილეს, მათ განცვიფრებას სახლვარი არ ჰქონდა. ბერები საოცრად ღელავდნენ ესოდენ დიდი სასწაულის ხილვისას და ბოლოს მოკრძალებით გვთხოვეს, მონაცვლებით, ცოტა ხანს, ეს უდიდესი ხატი ხელში სჭეროდათ. ბერები ჩვენ წინ იდგნენ და თითქოს სულ ცაცხვებდნენ. უცებ, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ხატი ეპყრა ხელთ, ხმამაღლა ძახილი დაიწყო: „ცხელია, ცხელია, სულ გავცხვლდა“; შემდეგ მეორემ გამოართვა და იგივე განმეორდა - მეორე ბერსაც სულ გავცხვლდა გულმკერდი. ეს უდიდესი გამოხატულებაა „დელოფლის“ ცხოველმყოფელობისა, რაც არაერთხელ განმეორდა წმიდა მიწაზე.

გიორგი: პალესტინაში რამოდენიმეჯერ ვიყავით. ერთ დღესაც, როდესაც დილას ადრე ავდექით, რათა იორდანესკენ წაგვებრძანებინა „დელოფალი“, ისეთი კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ხილვადობა ჰქონდა. ადგილი, სადაც ნათლისღება მოხდა, ადრე სულ დაკეტილი იყო და მხოლოდ წელიწადში ერთხელ ეძლეოდა სასულიერო პირებს შესვლის საშუალება. ახლახანს იქ შესვლა მოძლოცველთათვისაც შესაძლებელი გახდა და ის იხსნება მხოლოდ რამდენიმე საათით. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დროის იმ მცირე მონაკვეთში, როცა იორდანეზე შესვლა შესაძლებელია, ათასობით ადამიანი მიდის. როცა ნათლისღების ადგილს მივუახლოვდით, კვლავ წვიმა და ძლივს მივებრძანეთ ხატი მდინარემდე. როდესაც იორდანეში ხატის ჩაბრძანება გადაწყვიტეთ, ნაპირზე „დელოფლის“ სანახავად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ხატი შეგებრძანეთ თუ არა წყალში, უცერად მზემ გამოანათა და ცაზე არც ერთი ღრუბელი აღარ იყო - ეს მოხდა წამიერად.

საოცრება იყო ისიც, რომ მდინარეში მხოლოდ ჩვენ ვიყავით და როდესაც ნაპირისკენ გავიხედეთ, ყველა მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, თითქოს რაღაც ძალა მიერეკებოდა ხალხს იმისათვის, რომ ღვთისმშობელი ამ საკრალურ მომენტებში მარტო დარჩენილიყო. ჩვენი გამყოლი, რომელიც უკვე მრავალი წელია ხალხს დაატარებს, გაოცნებული ყვიროდა: „შეხედეთ ხალხო რა ხდება, გარშემო არავინაა, სიცარიელეა, სიცარიელე, ნუთუ ეს სასწაული არ არის!“ სანამ ხატი არ ამოვებრძანეთ, მდინარის ნაპირი არ დავტოვეთ, ფეხი არავის დაუდგამს.

გიორგი: როდესაც საქართველოში ჩამოვედით, რამდენიმე დღის შემდეგ მივედით სამთავროში და მაცხოვრის საფლავიდან ჩამოტანილი კელაპტარი ავანთეთ მამა გაბრიელისთვის მადლობის გადასახდელად. მეორე დღიდან ვიგებთ ამბავს, რომ მოხდა მამა გაბრიელის გამოცხადება. რა თქმა უნდა, ჩვენც წავედით სანახავად და, იქ, გარდა იმისა, რომ არის წმიდა მამა გაბრიელის გამოხსნულება, ასევე გამოხსნულია წმიდა ნიკოლოზი, რომლის აქეთ-იქიდან ღრუბლებზე არიან ანგელოზები და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს სვეტიცხოველში დაბრძანებულ წმიდა ნიკოლოზის ხატს. ასევე, არის ღვთისმშობლის, მაცხოვრის და ფეხზე მდგომი ორი წმიდანის სრული გამოხსნულება.

„დელოფალი“ ჯვრის მონასტერში

ზურაბი: სადაც უნდა შევსულიყავით ან სადაც ჩავივლიდით, კათოლიკური ეკლესიაც რომ ყოფილიყო, ყველგან ჩვენი შესვლის ან ჩავლის მომენტში ზარების რეკვა იწყებოდა. ზარების რეკვებით შებრძანდა „დელოფალი“ ჯვრის მონასტერში და, ეს დღეც და ყველაფერი, რაც ჯვრის მონასტერში მოხდა, მთელ ამ ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რა თქმა უნდა, თავად მონასტრის წინამძღვარი შეეგება ხატს, მოკრძალებით მიეხლა და მოილოცა ხატი, შემდეგ მან აღასრულა უძველესი წესი: როდესაც დიდ სავანეში უდიდებულეს ხატს მიაბრძანებდნენ, წინამძღვრის მიერ ხდებოდა ხატის მირონცხება. დღეს ეს წესი უიშვიათეს გამოხატვის შემთხვევებში აღესრულება, ასეთი ფაქტები ერთეულიც კია. სწორედ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სადაც იზრდებოდა ხე, რომლისგან დაშადებულ ჯვარზეც მაცხოვარი გააქრეს, მონასტრის წინამძღვარმა უძველესი მირონი გამოაბრძანა საკურთხევილიდან და „დელოფალს“ მთლიანად სცხო, რის შემდეგაც წინამძღვრისგან წამოვიდა კურთხევა, შემოთავაზება და თხოვნა, რომ დაშადდეს „დელოფლის“ პირველი ასლი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩაბრძანდება; ამისთვის სადღესასწაულო წირვას გადაიხდიან და შემდეგ „დელოფლის“ ასლი

სამუდამოდ დაბრძანდება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, დაახლოებით იქ, სადაც შოთა რუსთაველის ფრესკაა და ამ ადგილს „ქართველთა კუთხე“ ეწოდება.

სხვათა შორის, როგორც კი წინამძღვარმა წარმოთქვა: ამ ადგილს „ქართველთა კუთხე“ დაერქმევაო, ზარებიც დაირეკა. ასე რომ, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა აუცილებლად აღსრულდება - „დედოფლის“ ასლი უკვე დაწერილია.

როდესაც გაბრიელ ქართველმა ივერიის ღვთისმშობლის ხატი ეგეოსის ზღვიდან გამოაბრძანა და ათონის სანაპიროზე ივერონის მონასტრის მახლობლად დააბრძანა, ზუსტად იმ ადგილას სასწაულოთმოქმედმა წყარომ ამოხეთქა. ეს წყარო ივერონის წყლის სახელწოდებითაა ცნობილი. ათონის წმინდა მთაზე „დედოფალი-სინარული“ მომნიჭებელის მოგზაურობის დროს ჩვენ ეს წყალი პატარა ჭურჭელში ავაკვეთ, საქართველოში წამოვიღეთ და ვინახავდით როგორც სიწმინდეს. ასევე ათონის მთიდან წამოვიღეთ ათანასე დიდის წყალი. როდესაც „დედოფალი-სინარული“ მომნიჭებელის ასლის შექმნისათვის მზადება დაიწყო, გადაწყვიტეთ, ივერონის წყალი გამოგვეყენებინა. ივერონის წყალს შევკურთხეთ ათანასე დიდის წყაროს წყალი, იორდანეს წყალი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების წყაროს წყალი და ამ წყალში გაზავდა ბუნებრივი პიემენტები, რომლითაც ხატი დაიწერა.

„დედოფლის“ აღსრულებული კურნებები

გიორგი: უამრავი ადამიანი გვწერდა და დღესაც გვწერს „დედოფლის“ საკვირველებების შესახებ. ერთმა ქალბატონმა ასეთი რამ გვიამბო: ახლობლის შვილი ლეიკემიით არის დაავადებული, მშობლებს მკურნალობის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ და ვერც დაფინანსებას იღებდნენ. ამ ქალბატონმა დედას ურჩია, რომ სამებაში მისულიყო და „დედოფლის“ ხატი მოელოცა. ბავშვის დედა მივიდა სამებაში, ილოცა ხატთან და ტაძრიდან გამოსული არ იყო, როცა ტელეფონზე დაურეკეს: თქვენი შვილის მკურნალობა სრულად დაფინანსებულიაო.

იყო მეორე შემთხვევა: ბავშვს ჰქონდა ბოლო სტადიის სიმსივნე. ოპერაციის დროს ხელიც ვერ ახლეს, უცხოეთში გაგზავნის მიზნით მეორედ გაუკეთეს ბიოფსია. ელოდებოდნენ პასუხს, რომელიც რეალურად თვე-ნახევარში მოდის. ამ დროს მისი ნათლია იყო „დედოფალი“ მისული, ილოცა. სამ დღეში მოუვიდათ პასუხი: ბავშვს აღარ ჰქონდა სიმსივნე. თუმცა, ის ჯერ კიდევ ცუდად იყო, სახლში იწვა, ვერ დგებოდა, თითქმის კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა ხატის რეპროდუქცია

იყიდა, ბავშვთან სახლში მიაბრძანა და როგორც კი მის საწოლზე დააბრძანა, ბავშვი წამოდგა, დაიწყო სიარული, ლაპარაკი, საჭმელი მოითხოვა, კომატოზური მდგომარეობიდან გამოვიდა ბავშვი.

ზურაბი: ხატიდან განსაკუთრებული ცხოველმყოფელობა იგრძნობა ღვთისმშობლისა. უამრავი საკვირველება აქვს აღსრულებული „დედოფალს“ და ამას თავად მრევლისგან ვიკვებ.

განსაკუთრებულად აღვნიშნავთ იმას, რომ ხატის რეპროდუქციებსა თუ ჟურნალში დაბეჭდილ გამოსახულებებს ხელები მუდამ თბილი აქვთ. ეს პირველად ერთმა მომლოცველმა მოგვწერა, მერე მეორემ და ასე გამოჩნდა უამრავი ადამიანი, ვინც ამ ფაქტს აღნიშნავს. უცხოეთშიც მრავლად გაგზავნეს ასლები და იქიდანაც გვწერენ ამაზე. ეს იმდენად დიდი სასწაულია, რომ მსგავსი მოვლენის შესახებ არსად ამომიკითხავს. თავად ხატიდანაც მოდის უზარმაზარი სითბო. მნიშვნელობა აქვს თავად მომლოცველსაც: ზოგის მიახლებისას სითბო იმატებს, ზოგჯერ კი - არა. ხატის ასლებზეც ასე ხდება. ეს მართლაც უიმედო-თესი მოვლენაა საქრისტიანოში. სხვადასხვა ტიპის სასწაული, საკვირველება, ზოგადად, ქრისტიანულ სამყაროს ახასიათებს. მაგრამ ის, რომ ხატი თბებოდეს - ასეთი ფაქტი არ ხდება. ერთადერთი, ასეთი გადმოცემა არსებობს გვადალუპეს ღვთისმშობელზე. ბევრი ადამიანი აღასტურებს ამ ფაქტს. თავად „დედოფალი“ ხომ აღასრულებდა სასწაულებს, მაგრამ უამრავი კურნება მის რეპროდუქციებს უკავშირდება. მაგალითად, ადამიანი ცუდად იყო - რეანიმაციაში იწვა, აპარატზე შეერთებული. ჰემოგლობინი ჰქონდა ძალიან დაბალი. ორგანიზმი არაფერზე აღარ რეაგირებდა და ექიმებმა ნებისმიერ ჩარევაზე უარი განაცხადეს. მისმა შვილმა ტელეფონში ინტერნეტით დაგამოწერა „დედოფლის“ ხატი, ილოცა ღამე და დილით კლინიკაში რომ მივიდა, დიდი აუთოტაჟი დახვდა - მამამისს ჰემოგლობინი აეწია და მკურნალობაც შესაძლებელი გახდა. გავიდა რაღაც პერიოდი და აღდგომის დღეს მოგვწერა: ჩვენს ოჯახში უდიდესი სინარულია, დღეს დილით მამა ახავადმყოფოდან გამოწერეს, კარგად არის.

გიორგი: არის კურნებები ისეთი მძიმე დაავადებებისგან, როგორიცაა სიმსივნე ან თუნდაც ლეიკემია. უმეტეს შემთხვევაში ეს დადგენილი დიაგნოზია, პაციენტი მკურნალობს, მაგრამ, ხატის მოლოცვის შემდეგ მიდიან გამოკვლევაზე და დაავადება, უბრალოდ აღარ არის.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რეანიმაციაში გადაყვანილი, უკვე იმედგადაწურული პაციენტები გამოკეთებულან. მხოლოდ კურნებები როდია, არაერთს უთ-

ქვამს, რომ შეუთხოვიათ კეთილად დაოჯახებაზე და ძალიან მალე ასეც მომხდარა. ზოგს მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვს, ისიც კი უთქვამთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახში ყველა უშუშეგარი იყო, მაგრამ ღვთისმშობლის ხატის მოლოცვის შემდგომ ოჯახის ორი წევრი რამდენიმე დღეში დასაქმდა.

ძალიან დიდ სიყვარულსა და სითბოს იწვევს „დედოფალი“ მრევლში, ის ყველას დედა და მფარველი, მთავარია, ადამიანმა სიყვარული საკუთარ გულში იპოვოს. მომლოცველები უცხოეთიდანაც ჩამოდან, ბევრი მათგანი უიმედოდაა სნეულების გამო, მაგრამ რამდენიმე დღეში წერენ, რომ სასწაულებრივად განიკურნენ, რაც ჩვენ ძალიან გვახარებს. არის ნარკომანიისგან განკურნების შემთხვევებიც. მოდიან უშვილო წყვილებიც, ორსულებიც უამრავი პრობლემით. არაერთ ადამიანმა შეიტყო საკუთარი ფეხბიძობის შესახებ, როდესაც „დედოფალი“ მოილოცა. ჯერ კიდევ ათონზე ახალჩასულებს გვითხრა ათონელმა უხუცესმა ბერმა, ეს ბოლო დროის უდიდესი ხატიაო. მაშინ არ ვიცოდით, რომ მომავალში ასეთი დიდი მოვლენების წინაშე დავდებოდით.

ზურაბი: ერთ ადამიანს მეუღლე ჰყავდა მძიმედ ავად. დედაომ მას მისცა ჟურნალი, სადაც „დედოფლის“ ისტორია ეწერა და ასევე ურჩია სამებაში წასვლა ხატის მოსალოცად - „დედოფალი“ იმ დროს სამებაში იყო დაბრძანებული. მან მოილოცა ხატი და ჟურნალში დაბეჭდილი „დედოფლის“ ფოტო ხატს დადო. სახლში რომ დაბრუნდა, ეს ამბავი ქმარს მოუყვა, რომელმაც სთხოვა ხატი ჟურნალიდან ამოეჭრა და მის სასოუქმალთან მდგარ კარადის მიწებს შორის ჩაეღო, რადგან მასთან ახლოს ყოფილიყო და ეყურა. ერთ დღეს შენიშნეს, რომ ხატს რაღაც ლაქა ჰქონდა. როდესაც დააკვირდნენ - წვეთები იყო, ხატს მირინი სდიოდა. გადაწყვიტეს ხატი ჩარჩოში ჩაესვათ, მაგრამ მინაზე იყო მიკრული და ვერ აცალკევებდნენ. ამიტომ ამოიღეს მინა, ხატის გარშემო შემოჭრეს და მინიანად ჩააბრძანეს ჩარჩოში.

ზურაბი: არსებობს „დედოფლის“ ხატის დაუჯდომელიც. ეს ერთადერთი დაუჯდომელია, სადაც ქართველი ემიგრანტებიც არიან მოხსენიებულნი, რომლებიც უცხო მიწაზე უფლისა და დედა ღვთისას შეწვევას ნამდვილად საჭიროებენ. მეც და გიორგიმაც დაუჯდომლის წერისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ ემიგრანტების მოხსენიებას. ჩვენთვის ისინი განსაკუთრებული არიან, ჩვენი დები და ძმები, რომლებიც უცხო მიწაზე უამრავი განსაცდელის წინაშე დგანან და ჩვენი ლოცვა მათ ძალიან სჭირდებათ.

ნათია უტიანოვი



საქართველო
და
ქვემოქვეყნის
თათბარ

ამ ქვეყანას გავრის მახლობლად მოეკლინა. სიმონ ხაინდრაავა 18 წლის იყო, კონსტანტინე გამსახურდიას 17 წლის დახე - სოფიოზე რომ იქორწინა, მაგრამ შვილი არ უჩნდებოდათ, არ უჩნდებოდათ 22 წლის მანძილზე და აი, ქორწინებიდან 22 წლის თავზე, ქვეყანას მოეკლინა თათია ხაინდრაავა, მოეკლინა გავრაში. გავრაში იმიტომ, რომ შშობლები გემით მოგზაურობდნენ და სწორედ გავრის მახლობლად გამხდარა დედა შეუძლოდ. ბედნიერმა ბავშვობამ მხოლოდ 7 წელიწადს გასტანა... პატარა თათია მტირალა ყოფილა, კონსტანტინე გამსახურდია სწორედ იმხანად წერდა „მთვარის მოტაცებას“ და კაროლინას შვილსაც ამიტომ დაარქვა თათია... მერე მოვიდა ავბედითი 37, მართლა სატირალი ხანა... სოფიო გამსახურდიას 2 ძმა დაუხვრიტეს, დაუხვრიტეს ძმისშვილიც და ქმარსაც თავი მოაკვლევინეს. მამის თვითმკვლელობამდე იყო ბარბაროსული გამოსახლება კუთვნილი ბინიდან - არ გაატანეს არათუ ავეჯი, ტანსაცმელიც კი. მალე კი ავლაბარში, ერთ ბნელ ოთახში თათიასთან შეხიზნულ სოფიო გამსახურდიას ამცენს, რომ სიმონი ცუდად იყო... სოფიო გამსახურდია ავა თიანეთში, სადაც იმალება დევნილი სიმონ ხაინდრაავა. ავა და ნახავს ფილტვების ანთებით გათანგულ ქმარს. წუთით ეზოში გამოდის, უკან შებრუნებულს კი შემზარავი სურათი ხვდება - მომაკვდავი ქმარი და სიტყვები: „თათიას კონსტანტინე გაგიზრდის“...

კონსტანტინე გამსახურდია მართლაც ითავებს თათიას გაზრდას. ცოცხალი კლასიკოსი სამუდამოდ აღიბეჭდება მის მენსიერებაში - ფეხქვეშ გაშლილი დათვის ტყავით, ძვირფასი კაღმით, მაგიდაზე ერთი ბოთლი შავი ღვინით, მუქი ჩაით ან ყავით, შავი ქლიავით... თათია ლექსებს უკითხავდა პატარა ზვიადსა და თამარს.

„ერთხელ დიდ ოთახში ბავშვებს ვუკითხავდი ლექსებს. კონსტანტინემ დაძიძხა და მითხრა: „აბა, ერთი ხმამაღლა წამიკითხო“. მომიწონა... იმ დღიდან მხატვრული კითხვა უმთავრესი გახდა ჩემს ცხოვრებაში“, - დაწერს თათია ხაინდრაავა წლების შემდეგ. პატარა თათიას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჰყვება ის სითბო და მზრუნველობა, რასაც მის მიმართ ავლენდნენ კლასიკოსი ბიძა და მისი უსათნოესი მეუღლე - მირანდა ფალავანდიშვილი.

ეს სითბო იმდენად დიდი იქნება, რომ, როდესაც თათიას ქალიშვილი შეეძინება, მას სწორედ მირანდას დაარქმევს - საყვარელი ბიცოლას პატივსაცემად.

მირანდას შემენამდე კი დიდი ვზაა - ტკივილებითა და ტრაგედიებით დანაღმული. ტკივილები და ტრაგედიები არც მერე მოაკლდება.

ტკივილები, დრამები, ტრაგედიები -

„ბუნებამ მას ყველაფერი მისცა: სილამაზე, შესანიშნავი ხმა, ნიჭი და ერთში დაჩაგრა - არ მისცა ბედი“ - იტყვის რობერტ სტურუა... მას მართლაც საოცარი სილამაზე აშვენებდა, სწორედ 19 წლის თათია ხაინდრაავა იქცა მხატვარ უნა ჯაფარიძის შთავიზების წყაროდ და ნესტან-დარეჯანის მიწიერ განხორციელებად, როცა „წერილის ეპიზოდის“ ილუსტრაციას ქმნიდა.

მას ჰქონდა იშვიათი ხმა, პოეზიის არსში წვდომისა და გადმოცემის უბადლო ნიჭი და იყო დიდოსტატი მხატვრული კითხვის. „მისი კითხვა უშუალო იყო, ლაღი, მსუბუქი, მთის ჰაერით გამჟვრვალე და სუნთქვასავით ბუნებრივი!“ - ამბობდა ანა კალანდაძე.

მას არ რგებია არც ერთი პრემია, არც ერთი წოდება, არც ერთი ჩინი, მას მხოლოდ მერაბ კოსტავამ უბოძა ჩინი - „უჩინო თათია“



სურათზე: კონსტანტინე გამსახურდია, თამარი, თათია, ზვიადი, მირანდა ფალავანდიშვილი

მისი ცხოვრების განმეორებადი და შეუქცევადი ფაზებია. თათიას ჰქონდა ბრწყინვალე გარეგნობა, საამო ხმა, კითხულობდა „კვევინსტაოსანს“, კითხულობდა საოცრად, მაგრამ დედას არ უნდოდა, მის შვილს თეატრალურზე ჩაებარებინა. გოგონა დაჰყვა დედის ნებას - უნივერსიტეტს მიაშურა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს, მაგრამ ერთმა საღამომ მისი ბედი ისევ სცენას დაუკავშირა.

უნივერსიტეტში იოსებ გრიშაშვილს ხვდებოდნენ სტუდენტები. თათიამ გრიშაშვილის „ხელთათმანის ლილი“ წაიკითხა. საღამოს დასრულებისთანავე აღფრთოვანებული გრიშაშვილი კულისებში შევა და თათიას ამცნობს: ხვალ კონსტანტინეს დავეურეკავ და თეატრალურ ინსტიტუტში უნდა წაგიყვანო.

წაიყვანს კიდეც. თათია წაიკითხავს „ხელთათმანის ლილს“ და მას მამინვე ჩარიცხავენ თეატრალურ ინსტიტუტში.

ბედნიერ სტარტს უბედურება მოჰყვა. თათია მეღანიას თამაშობდა დოღო ალექსიძის დადგმულ მაქსიმ გორკის „შის შვილებში“. თამაშობდა იმდენად კარგად,

რომ პედაგოგმა უთხრა კიდეც: იმდენად კარგად გამოვივლიდა, შენ ამას ვეღარ გაიმეორებო.

რეჟისორის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა - თათიას მანქანა დაგვასა და კარგა ხანს ჩამოშორდა სცენას. დაამთავრა ინსტიტუტი, მეტყველების კათედრაზე დატოვეს, გამოჯანმრთელებულს კი... თეატრებში აღარ იღებდნენ. ის არ გააკარეს სცენას, მისთვის ყველა თეატრის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. რეალურად კარი დაკეტილი იყო მაშინაც კი, როცა თეატრში უშვებდნენ და... როლებს არ აძლევდნენ, ან თითქმის არ აძლევდნენ. არადა ნიჭიც ჰქონდა, ბრწყინვალე ხმაც და გარეგნობაც და არც პროტექტორები ჰკლებია.

თავადვე იხსენებდა, რომ მის თეატრში მისაყვანად ბევრს იბრძოდნენ სერგო ზაქარიაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ლაღიანი, იოსებ გრიშაშვილი... ის კი არა, თამარ წულუკიძე რუსთაველის თეატრის დირექტორთანაც შეჰყვა და კატეგორიულად მოსთხოვა - მე ისევ წავალ გადასახლებაში და ჩემს შტატში ეს ახალგაზრდა მიიღეთო, მაგრამ მაინც



არ მიიღეს.

არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ თათია ხაინდრაგას აქტივში უკვე იყო შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილები“ - რადიოდადგმა, რომელიც შესულია ოქროს ფონდში. თეატრებში არ იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკოსი ბიძა დაჰყვებოდა თეატრებში და რეჟისორებს სთხოვდა, შტატში მიეღოთ. წიგნებსაც ჩუქნიდა ავტოგრაფებით, მაგრამ... თათიას თეატრში არ იღებდნენ.

მოგვიანებით სევდიანად იტყვის თათია ხაინდრაგა, რომ მათთვის (რეჟისორებისთვის) მაშინ რაიკომის მდივნის ტელეფონის ზარს უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვას... შემდეგ, როგორღაც თითქოს ნავსი გატყდა, თათია ბათუმის თეატრში მიიწვიეს, მთავარი როლიც ერგო, მაგრამ ამ ხანამ სულ ერთი წელი გასტანა. პატარა მირანდას უღედოდ უჭირდა და თათია იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. იმხანად სანკულტურის თეატრს ლილი იოსელიანი ჩაუდგა სათავეში. თათიაც წაიყვანა. თამაშობდა კიდევ ლილი იოსელიანის სპექტაკლში „ჩვენი ერთი საღამო“.

ლილი იოსელიანი გაიხსენებს, რომ თათია ხაინდრაგა იმ როლში განუმეორებელი იყო, შესანიშნავად ძღუროდა, ცეკვავდა, მისი პლასტიკით აღფრთოვანებული იყო ლეგენდარული იური ზარეცკი. მაგრამ ეს ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდა, თეატრს მოშურნეები გამოუჩნდნენ. „სანკულტურის“ თეატრი უცებ ძალიან პოპულარული გახდა... შემურდათ და ბრძოლა დაგვიწყეს. ისეთი ქება და მოწონება გვექონდა, რომ სხვა თეატრებს შემურდათ. დაფინანსება მოგვისპეს, არსებობა შეგვაწყვეტინეს“ - იტყვის ლილი იოსელიანი.

შემდეგ ძლივძლივობით თათიას შტატი გამოუჩნრიკეს მარჯანიშვილის თეატრში. თითქმის 30 წელი დაჰყო თეატრში, მაგრამ მეტი ბედის დაცინვა რა გინდა, რომ ხმით განთქმულ მსახიობს მხოლოდ უსიტყვო როლებს აძლევდნენ. მასოვკაში კლავდნენ მის ნიჭს. „30 წლის განმავლობაში, მხოლოდ „რას იტყვის ხალხში“ ვითამაშე. ლალი ნიკოლაძემ მომცა როლი. ერთხელ ზანდა იოსელიანმა მცა პატივი - თავი მოიავადმყოფა და ზუხაშვილის „მოსამართლემი“ დედა ვითამაშე. მარჯანიშვილის თეატრში ვიმუშავე მთელი 30 წელი, მაგრამ ხმა არ ამოძაღებინეს. მასიურ სცენებში კი, იცოცხლე, წარამარა მათამაშებდნენ. თუ რომელიმე მსახიობი ავად გახდებოდა, მხოლოდ მაშინ მადირსებდნენ სცენაზე გასვლას“, - იტყვის მოგვიანებით.

არ გააკარეს სცენას, არც ეკრანს. ერთადერთი როლი აქვს კინოში ნათამაშები - ელისაბედი სიკო დოლიძის გადაღებულ „კაცია ადამიანში?!“ „დიდოსტატის მარ-

ჯვენაში“ ცოქალის როლი მქონდა. რეჟი-
სორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა გადაღებუ-
ლი ფირიდან ამომჭრა“, - იტყვის გულმოკ-
ლული.

ის არ გააკარეს არც ეკრანს, არც
სცენას. მიაჯაჭვეს მხოლოდ რადიოს, მაგ-
რამ ის მაინც ავიდა სცენაზე. 1976 წელი
მისთვის ყველაზე ბედნიერი იყო. უკვე 48
წლისა გახლდათ, მისი რეპერტუარით რო-
ბერტ სტურუა რომ დაინტერესდა.

სტურუა, რომელიც იმხანად „კავკა-
სიურ ცარცის წრეს“ ღვამდა, რომელსაც
უკვე დადგმული ჰქონდა „სეილემის პრო-
ცესი“, „ზანუმა“, „ყვარყვარე“... რეპეტი-
ციების შუალედებში მთელი თვე უსმენდა
სტურუა თათია ხაინდრავას მხატვრულ
კითხვას, ზღვა რეპერტუარს. დაბოლოს,
თათია კითხულობს თარაშ ემხვარის წე-
რილს და გაისმის სტურუას ვერდიქტი:
„მე თქვენ დაგიდგამთ სპექტაკლს!“.

შვიდი თვე მუშაობდნენ სპექტაკლზე.
ამ უბედნიერეს წუთებშიც არ დაინდო
ბედმა - აფიშები უკვე იუწყებოდა, რომ
რუსთაველის თეატრში გაიმართებოდა
„მზეო თიბათვისა“, რომ თათია სასწრაფო
ოპერაციის გასაკეთებლად გადააფრინეს
მოსკოვში. მაგრამ 1976 წლის 17 მაისს
ის ახლად ნაოპერაციები მაინც წარდგა
მაცურებლის წინაშე. ერთი კვირა ტევა
არ იყო რუსთაველის თეატრში. „მზეო
თიბათვისა“ 170-ჯერ აჩვენეს საქართველოს
სხვადასხვა ქალაქებში. „რობერტ სტურუ-
ამ ოქროს გვირგვინი დამადგა თავზე“, -
ასე აფასებდა ამ ფაქტს თათია ხაინდრავა.
ის მაინც დაბრუნდა სცენაზე, დაბრუნდა
მარტო - იდგა და კითხულობდა ქართულ
პოეზიას. პოეზიას, რომელსაც მუდამ ერთ-
გულებდა და არც პოეზია ღალატობდა მას.

ბედმა მარტო დგომა არგუნა ცხოვრე-
ბის სცენაზეც. ტრავიკული აღმოჩნდა მისი
პირველი სიყვარული. მას და აკადემიკოს
ვიქტორ კუპრადის ვაჟს - გურამ კუპრადეს
უყვარდათ ერთმანეთი. „რამდენჯერაც შევ-
ხვდებოდი, მუხლები მიკანკალებდა, მაშინ
ასეთი სიყვარული იყო“ - გაისხენებს
უკვე ღრმად მოხუცებული. მაგრამ ბედმა
არც აქ დაინდო. გურამ კუპრადე 19 წლის
დაიღუპა - თევზაობისას თავბრუ დაეხვა
და მტკვარში დაიხრჩო.

იმ საბედისწერო დღესაც შეხვდა თათი-
ასა და თათიას დედას სათევზაოდ გზადმი-
მავალი და უთქვამს კიდევ, თევზს დავიჭერ
და პირდაპირ თქვენთან მოვალო. თათია
და დედადისი მაშინ კონსტანტინესთან ცხო-
ვრობდნენ. ელოდნენ იმ დღეს გურამს,
მაგრამ... კლასიკოსის სახლში ტელეფონ-
ის ხმა გაისმა. ტელეფონი თათიამ აიღო
- „ვიქტორ კუპრადის ვაჟი წყალში დაიხ-
რჩო, ვეძებთ და კონსტანტინემ თავისი ვი-
ლისი გამოგვიგზავნოს“.

თათიას ტყუილი ეგონა, მაგრამ დაბეჯი-



თებით ითხოვდნენ კონსტანტინეს. არც
შემდეგ გაუმართლა სიყვარულში. ქალიშვი-
ლი რამაზ ჩხიკვაძისგან შეეძინა, მაგრამ
მათი თანაცხოვრება არ შედგა. თუმცა ამ
სიყვარულმა მისცა მას ყველაზე დიდი
ბედნიერება - მირანდა. „მე ვიპოვე ბედნიე-
რება ჩემი შვილის სახით!“ - ამბობდა ის.

ცხოვრებამ არ დაინდო თათია. რაღას
არ მოასწრო, რა ტკივილი არ გადაატანინა
- ჯერ მირანდა ფულავანდიშვილის სიკვდი-
ლი, შემდეგ სრულიად ახალგაზრდა თამარ
გამსახურდიას დაღუპვა, კონსტანტინეს
გარდაცვალება... ურთულესი პერიპეტეი-
ები, რაც თან ახლდა მის ხელში გაზრდილ
ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღ-
ვაწეობას. შემდეგ ზვიადის სიკვდილი.

ბედმა არ დაინდო უჩინო თათია, მაგრამ
ამ ცხოვრებამ მასზე მაინც ვერ გაიმარჯვა.
ის ვერ გააბოროტა, ვერ დაბოღმა, ვერ
წაართვა სხვისი წარმატებით სიხარულის
უნარი, ვერ წაართვა მადლიერების გრძობა.

მადლობელი იყო დოლო ჭიჭინაძის,
რომელიც საშუალებას აძლევდა, ხანდახან
მაინც ეთამაშა არზაყანის დედის როლი
„მოვარის მოტაცებაში“, მადლობელი იყო
ზანდა იოსელიანის, რომელმაც ერთხელ
ავადმყოფობა მოიმიზეზა, რომ სცენაზე თა-
თია გამოსულიყო. მადლობელი იყო რობე-
რტ სტურუასი - უკანასკნელ ამოსუნთქ-
ვამდე - თვლიდა რომ მან ოქროს გვირგვინი
დააღდა.

მართლაც ბევრ მსახიობს არ ღირსებია
ასეთი გვირგვინი, მაგრამ ვკონებ, არც თავად
სტურუას არ ღირსებია ბევრი ასეთი მად-
ლიერი არტისტი შემოქმედების თუ ცხოვ-
რების გზაზე. რეჟისორის ზვედრია გაუძ-
ლოს გუშინ მადლიერი არტისტის ზვალ
და ზევ უმადურებას. თათია ხაინდრავამ
30-ზე მეტი წელი ატარა მადლიერება
ოცნებასთან ერთად - ერთხელ მაინც ეთამა-
შა მოხუცი ქალის რაიმე ეპიზოდური
როლი სტურუას რომელიმე სპექტაკლში.

დროული მასტირ- კლასი



ბოლოს და ბოლოს, ჩავისწავლოთ ქალის სულები!

- გენდერი - როგორ უყურებს ამ თემას მწერალი ოტია იოსელიანი?

- ჯერ ერთი, „გენდერი“ უცხო სიტყვაა, ბრჭყალებში ჩასვი. მერე - ჩვენთან, საქართველოში, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრობლემა არასოდეს არსებულა. ჩვენ სხვა ტრადიციებიდან მოვდივართ. „გენდერი“ გამოიგონეს იქ, სადაც ამის პრობლემა იყო. ჩვენში ქალს მუდამ ჰქონდა განსაკუთრებული ძალა. ნანამ მიიღო ქრისტიანობა და მიიღო საქართველომ. მირიანს რომ არ მისძაღებოდა, შეიძლება, მეფეს არც მიეღო. ვისზე აქვს აქცენტი ერს? - ნანაზე. ქალმა მიიღო სარწმუნოება, დედა, ისაა თავი და თავი, იმაზე აგებული ერის მომავალი და შვილი და თაობა, ხომ?!

არ მიიღო შუშანიკამ მახდენობა და არც მიიღო არაფერი. აბა, სულელი კი არაა ი კაცი, ვარსკენი, რო ახრჩობს მაგას! იცის, რო არ გამოვა არაფერი ამის გარეშე, იმ დონეზე დგას ქალის როლი საქართველოში. გასაწონასწორებელი პირიქით იყო - რა ქვიან - კაცი უნდა გათანასწორობოდა ქალს.

მერე... ახლა რო მოგაქვს „გენდერი“ და ემანსიპაცია, ჩემთვის, ქართველი კაცისთვის, კი არაა ეს პრობლემა! ეს იმ კაცს ჰქონდა, ალბათ, თავის ქვეყანაში პრობლემა და... კი, ბატონო! ჩემთვის რა საჭიროა!

მე არ ვლაპარაკობ მეფეებზე, არ ვლაპარაკობ წმინდანებზე, არ ვლაპარაკობ შუშანიკაზე და, ვთქვათ, ნანაზე, რომლებიც დედოფლები იყვნენ. საერთოდ, ქართველ ქალზე ვლაპარაკობ, მის როლსა და ძალაზე. აი, ამ ქვეყნის პატრონს, რა ებუფუტურება და რა ესულელება იმაზე!.. 8 მარტი,

კი ბატონო, დღესასწაული დღესასწაულად შემოიტანე, მაგრამ გათანასწორობა ქალისა და კაცისა საქართველოში პრობლემა არასდროს ყოფილა: ჩვენ ვიცით მართო მეხუთე საუკუნის ძეგლი - „შუშანიკის წამება“, მაგრამ ეს ხომ უფრო შორეული ტრადიციიდან მოდის. მაშინ, მეხუთე საუკუნეში, კი არ შექმნილა, ეს მომდინარეობს ძველთაგანვე, იმხელაა ქალის დონე.

შემოიტან, კი, საქართველოში „გენდერს“, მაგრამ არ უნდა გააცნობიერო, ბრძედ უნდა შემოიტანო?

- თქვენ ქალის ფსიქოლოგიის დიდ მცოდნედ ითვლებით, გამორჩეულ პორტრეტისტიად. როგორ შეაფასებდით ქართული მწერლობის მიერ ზოგადად დახატულ ქართველ ქალს?

- ჩვენ არ გვეცალა ამისთვის, რომ ფსიქოლოგიური რომანები გვეწერა, ჩვენ ვიყავით მებრძოლი ხალხი, გაჭირვებული ხალხი. გვიჭირდა, ქვეყანა გვესოდა, მტერი და მოყვარე, ამიტომ ქალი ჩვენ დრომანზე დავახატეთ! და გვჭირდებოდა იქ, რომ ის დედა ყოფილიყო, აღმზრდელი ყოფილიყო, გაეზარდა შვილი ცხრა. და ცხრაზევე ეთქვა: არ დევინახო ჭრილობა ზურგშიო, გულში უნდა მოგარტყას! ეს ჭირდებოდა ქვეყანას. სადაც ქალები აკეთებდნენ ამას, ქვეყანა შინაგანად ძლიერი იყო.

ამას გარდა, ამ იდეას შთააგონებდა ხალხს დიდი ილიაც და მთელი ქართული მწერლობაც. ჩვენ გვჭირდებოდა ეს, ჩვენ უნდა გვებრძოლა და ქალის სახეც შეგვექმნა შესაბამისი.

როგორ შეიძლება, დედა იმხოდეს; დეი-

საერთაშორისო ინსტიტუტები უამრავ პროექტს აფინანსებენ, რათა ქართულ საზოგადოებაში გენდერის თემა აქტიურად წამოსწიონ წინ, მამაკაცისა და ქალის პოლიტიკური თუ სოციალური აქტიუობა დააბალანსონ, ხელი შეუწყონ ქალის, როგორც ხელმძღვანელის და საზოგადოებრივად აქტიური არსების, იმიჯის განმტკიცებას.

მართლაც ისე ცუდად გვაქვს საქმე, რომ ამ თემაზე ასე სისტემატური და საყოველთაო მსჯელობა გვიწევს? მართლაც ასე ფესვმოკიდებულია არქაული სტერეოტიპები დემოკრატიული ფასეულობებისკენ მიმართულ ქართულ საზოგადოებაში?

თუ გამოჩენილ მწერალს ოტია იოსელიანს მოვუსმენთ, - არა! და მეტიც - დღეს, 21-ე საუკუნეში, უხერხულიც კია, გენდერულ პრობლემაზე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ილაპარაკო ნანას, შუშანიკის, თამარისა თუ სხვა დიდი ქალბატონების მშობლიურ ქვეყანაში.

ეს ინტერვიუ წყალტუბოში, მწერლის სამუშაო ოთახში ჩავიწერეთ წლების წინ. მწერლისთვის დამახასიათებელი სასაუბრო სტილი, ცხადია, დაცულია.

ხოცეთ, შვილებო, სუყველაო! მარა ეს ჭირდებოდა ქვეყანას. ცხრა ძმა ხერხეულიძე გვყავდა ჩვენ, არაგველები და სხვები, - ეს იდეა მართო ჰაერში გამოკიდებული კი არ იყო, ლოზუნგებად დაწერილი!

და ამ დროს ქალი, როგორც ქალი, დაგვეკარგა!

იმ ქართველ ქალს კი თავისი სამყარო აქვს, თავისი ფსიქოლოგია. იდეალური და პოეზიის ქალი, თავისთავად, ეგერაა, „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ პროზაულად ქალის სამყაროში ჭვრეტა, ფსიქოლოგიის ამოკითხვა?! ეს, სხვათაშორის, პირველად ჯავახიშვილმა სცადა „ჯავახოს ხიზნებში“, მაგრამ არ აცალეს საწყალს და მიაკლეს ზედ, თორემ იმას ღრმად შეეძლო ქალის ფსიქოლოგიის ამოკითხვა. იმას ქალი როგორ ჰყავს დანახული, ხომ ხედავ? - რას უშვრება ჯავახო, ცხვირპირში ურტყამს, წისქვილში დაათრევს და მიადგა ეს ინტელიგენტი გამოთაყვანებული, წამოდო, მაგრამ არ წაყვას! იმიტომ, რომ მარცხ ქალია! იმიტომ, რომ ჯავახო დათვია, მაგრამ კაცია!

ჩვენ გვავიწყდება ხანდახან, რომ ჩავიხედოთ ქალის სამყაროში. ამიტომ ჩვენთან (თავის შემოქმედებას გულისხმობს. ნ.ც.) არის მცდელობა იმისა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩავიხედოთ ქალის სულში. მსოფლიო ლიტერატურაში ქალების მეტი რაა ასახული და მართო ტოლსტოი კმარა, მისი „ანა კარენინა“, მაგრამ ეს, ჩვენი, ქართველია მაინც! კი, ანნა ისეა განზოგადე-

ბული, მე ქართველიც ქე მგონია ხანდახან, მარა შენსას აქვს შენი სამყარო. ამას უნდა წაპკითხავი, ამას უნდა დამნახავი.

- მსოფლიო ლიტერატურაში ქალის საუკეთესო პორტრეტად, მაინც, რომელი მიგაჩნია?

- ნატაშა როსტოვა, სოფიოც, ანაც, თუ გნებავთ, მაღამ ბოვარიც. და რამდენიც ვინდათ, იმდენია მსოფლიო ლიტერატურაში. აგერ მყავს, კაცო, ნესტან-დარეჯანები და თინათინები... და, რა ქვიან, როგორი განსაკუთრებული სახეა მსოფლიო ლიტერატურაში - ასმათი! ნახეთ ქალისა და კაცის მეგობრობა!

- საიდან დაგიგროვდათ ასეთი ცოდნა ქალის ხასიათისა, ვინ არიან თქვენი გმირების რეალური პროტოტიპები?

- ტოლსტოის ჰკითხეს: კი, ბატონო, ლევინი შენ ხარ, მარა ნატაშა როსტოვა ვინააო (13 წლის გოგო)? მე ვარო! თვითონაა იგი, მისი სამყაროა, რაც გადასცა მან თავის ნაწარმოებში. მწერალი, რაც თვითონ არ უცხოვრია, იმას ვერასოდეს შექმნის. თავისთავად, გათვითცნობიერებულად თუ გაუთვითცნობიერებულად, მისი ცხოვრება გადადის მისსავე შემოქმედებაში.

ყველა მწერალს აქვს თავისი სტილი, თუ, რასაკვირველია, სხვისგან არ იწერს და სხვისგან არ გამოიგონებს, იმიტომ, რომ ჩვენ განუმეორებელი ვართ ცალ-ცალკე. თუ შენი თავიდან მოდინარ და შენ მარტო ისა ხარ, რაც შენგან გამოდინარეობს, მაშინ ეს, თავისთავად, უკვე შენი სტილია, ნაწარმოების სამყაროც შენია, შენი ადამიანებია. სახელები, შეიძლება, ვერც დაარქვა. „ვარსკვლავთცვენაში“ ბოლოში რომ ჩავვლი, მერე მივხვდი, თურმე, ჩემი გრიგოლ ბაბუა ყოფილა ეზიკა! მე არც ვიცოდი, წერისას არც მიმიქცევია ყურადღება. არადა, თურმე, ყველას ცოდნია: ეს გრიგოლია, ბაბუაშენი, ეგერო! ის ისე გადასულა ეზიკაში, მე კი არ გამიცნობიერებია! და ვინც იცნობდა იმას, ყველა ამბობდა: ბაბუაშენიაო (ბაბუას ძმა იყო, მაგრამ იგივე ბაბუა იყო ისიც, რასაკვირველია).

აი, ტოლსტოის წიგნი: შიგ მისი ცხოვრებაა, იმის სამყარო და ყველა გმირი თვითონაა. ნატაშა როსტოვა თუ თვით ტოლსტოი იყო, მაშინ, ვინდა დარჩებოდა, რომ არ ყოფილიყო ტოლსტოი?

- მიუხედავად იმისა, რომ თქვენი არაერთი ნაწარმოები უკვე კლასიკაა, მაინც ვბედავ, როგორც ძველმა მკითხველმა - ნაცნობ და საყვარელ მწერალს, გკითხოთ: დღევანდელი თაობის თვალში ცოტათი ხომ არ გაიცრიცნენ თქვენი პერსონაჟი ქალბატონები, ხომ არ გიფიქრიათ ზოგიერთ მხატვრულ სახეში ახალი შტრიხების შეტანაზე? ამის თქმას ის მამედვინებს, რომ ჩემთვის ცნობილია, როგორ მკაცრ რედაქტირებას უკეთებთ ხოლმე ძველ ტექსტებს...

- ჩვენ ისე გვაქვს დანაგვიანებული ენა, რომ... თუნდაც, „საინტერესოაო“, ვიძახით, ხომ? ახლა ისეა დამკვიდრებული, არა მგონია, ამოვადონ ხმარებიდან, არადა, ეგი არის ლათინური „ინტერესნა“ და გადმოვიდა ქართულში, ხომ?

აგილოთ აგერ „ვეფხისტყაოსანი“, ზღაპრებიზა მარტო ნუ ვკითხულობთ იმას! ნახეთ: თუ ეს პოემა ქართულ ენაზე დაიწერა ზეგენიალურად, ჩვენ არ გვეყოფნის საბუფუტუროდ? რაც არა აქვს იმ კაცს პოემაში, რატომ ხმარობ ისეთ სიტყვებს?

ამ თვალსაზრისით, ენობრივი თვალსაზრისით ფევიკითხით მწერალი, რომ არ სჭირდება რაცხას შემოთრევა.

ამ მხრივ მაინც არა გვაქვს სამათხოვროდ საქმე, ენა მაინც გვაქვს უმდიდრესი, ხომ? და რამდენია კიდევ გაბნეული სიტყვა!.. მე იმდენი მაქვს ამოწერილი სიტყვა, რომელიც არსადაა შესული, რომ ერთი ტომი გამოვა, ალბათ.

- ჩემს კითხვას უფრო დავაზუსტებ, ბატონო ოტია. თქვენი მაკა - რომანიდან „იყო ერთი ქალი“ - რამდენად შეიძლება დღეს ახლავაზრდა მკითხველისთვის საინტერესო გმირი იყოს?

- სხვათა შორის, აი, ჩვენ ვერ წავიკითხეთ ეგ რომანი. ვერც რუსებმა. რუსებმა იციან წაკითხვა, სხვათაშორის. მაგალითად, „შავი და ცისფერი მდინარე“ რუსებმა ისე აიჭყეს, რომ (ჩვენ ხი არ წავიკითხია სულა!), მაგალითად, „ლიტერატურნოე აბაზრენიე“ რო გააკეთა მიმოხილვა მაგ რომანის თაობაზე, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, და გააკრიტიკა „ლიტერატურნაი ვაზუტაშ“: კი, ბატონო, კაი რომანი დაწერა იოსელიანმა, მარა თქვენ ტოლსტოის დონეზე რატო იხილავთო. ამ დონეზე შეაფასეს „შავი და ცისფერი მდინარე“ რუსებმა.

ეს ვერ გაიგეს - „იყო ერთი ქალი“. ითარგმნა პოლონურადაც და იქ გაიგეს.

ამ დროს კარდინალი იყო პოლონეთში, მერე რომ გახდა პაპი, იოანე, უძლიერესი კარდინალი! მაგას ჰქონდა პოლონეთში უდიდესი სასულიერო გამოცემლობა და იმიტომაც იყო ის ძლიერი. ანტირუსი იყო საშინელი, კომუნისტებს ებრძოდა უბედურად. მაგის გამოცემლობა იყო ძაან ძლიერი, მარა ასე კი არ ცემდა მაგი ყველაფერს, უნდა ყოფილიყო სულიერებასთან ახლოს.

მაგან გამოსცა ჩემი წიგნი. აი, ნახეთ, ამ წიგნს მაკა ლეჟავა როგორ ახატია! წმინდანად ახატია! წიგნითხეს და იმიტო. იმას ჩაწვდნენ, შიგნით რაც იყო, ჩვენ მარტო გარედან დევინახეთ, რო ქმრიან კაცს ვინცნა ყავს საყვარელი.

მაგრამ ეს ხომ ძალადობა იყო! და მერე კიდევ, თქვენ რა იცით, რა ხდებოდა იქ: იქნებ, მაკამ თვითონ დააჭირა ფეხი პედალს?

- დღევანდელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ქართველი დედა-კაცი, პირდაპირი მნიშვნელობით, დედა-მარჩენალად გარდასახა. თუ გიფიქრიათ, ახალი ნაწარმოების გამოებად გექციათ საზღვარგარეთ გადახვეწილი ჩვენი დედა-მარჩენალები?

- როცა ჩვენი ქალები სტამბოლში და ისპაჰანში, თუ საცა ვინდა, ჯავჯვებით მიჰყავდათ, ჩვენ ბედნიერები ვიყავით მაშინ. როცა ის თავისი ფეხით წავა, ე, მერე არაფერი აღარ გადაგარჩენს, დალუპული ხარ!

- და აპირებთ ქართველი ქალების მიგრაციაზე რაიმეს დაწერას?

- არაფერს. მაგაზე არ არის ლაპარაკი. ახლა ლაპარაკია იმ ათლომეულზე, რომელიც, ჯერ ერთი, თავიდან დასაწერია. იმიტომ, რომ მაგას რომ ვწერდი, მე წერაკითხვა არ ვიცოდი მაშინ (მე რო წიგნი წევკითხე, ჩემი დაწერილი იყო - მანამდე მე არ მქონდა წიგნი). ეხლა მაგის დაბეჭდვა და მაგის აკადემიური გამოცემა!..

ნეტავი, ამის გაკეთება და დამთავრება შემადღებინოს ღმერთმა და, ახლა მე ახალ ტომს დაწერე თუ არა, ვერ გეტყვი. იმიტომ, რომ უკვე აღარ მაქვს ამის იმედი. თქვენ არ აცნობიერებთ, ამას რა შრომა სჭირდება! მითუმეტეს, ეს ჩემი ახალი ტომი პოეზია უნდა იქნეს. პოეზია მე მარტო ის გამოვაქვეყნე, „შორი სიახლოვე“ (ახალი გამოცემაცაა მისი), დანარჩენი - სუყველა დასამუშავებელია: როგორ შეიძლება, პოეზიის ქვეყანაში შენ პოეზიას მოკილო ხელი, თუ მკითხველს არ უთხარი რამე ახალი? სისულელიე იკითხონ?

- და ბოლოს, კვლავ ქალის თემას მიუბრუნდები: რას ფიქრობთ მწერალ ქალებზე, ისეთებზე, როგორიც არიან: საფო, მისტრალი, სანდი, ანმატოვა, ცვეტაევა, ანა კალანდაძე, სამუკანთ ზვარაშვი (ფოლკლორიდან)... რითი ვერ უდებენ ისინი ტოლს მამაკაცებს?

- ცურტაევის ქვეყანაში როგორ შეიძლება განასხვავო ქალისა და კაცის შესაძლებლობები! ვინც აზროვნებს, აზროვნებს. თამარი თვითონ, შენ გგონია, ცუდი პოეტი იყო? მიტომ დეიწერა ის „ვეფხისტყაოსანი“, რომ თამარმა იცოდა პოეზია. გონებაში მოთას ცენზურად უვდა, იმხელა განათლებული იყო. ნოდარ დუმბაძე იძახოდა: „ვეფხისტყაოსანი“ დაკვეთითაა დაწერილი, მარა ცუდიაო? კი, ბატონო, დაკვეთა დავარქვათ, თუ გნებავთ. მაგრამ ეს მეორე საკითხია. არავითარი მაგაში მე არ წარმომიდგენია ქალის და მამაკაცის აზროვნების სხვადასხვაობა. იმიტომ, რომ თუ მოაზროვნეა ის, ქალიც შეიძლება იყოს და კაციც, მითუმეტეს, ამისი ჩვენ უამრავი გამოცდილება გვაქვს, რასაკვირველია.

ნანული ცხვედიანის
ოქროს არქივიდან

- გამარჯობა, ბატონო ჯოზეფ. დღეს მინდოდა, ქართულად მოგსალმებოდით. ეს სიტყვა „გამარჯობა“ გამარჯვებას ნიშნავს. ასე ესალმებიან ქართველები ერთმანეთს, რადგან როგორც ფსიქოლინგვისტები განმარტავენ, მუდმივად ბრძოლის ფერხულში ჩაბმული ქართველები გამარჯვებას უსურვებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

- დიდი მადლობა ამ კეთილი სურვილისთვის. ჩვენ ყოველ დღე ვართ ჩაბმული ბრძოლის, ცხოვრების ორომტრიალში.

ჯოზეფ კონტენონი:

მიანიჭეთ თქვენი სიბიძე ჩვენს კულტურულ ქვეყანას

- ეთანხმებით გამონათქვამს, რომ „ცხოვრება ბრძოლაა“?

- ცხოვრება მართლაც ბრძოლაა - ყოველი დღე თუ ყოველი წუთი... ზოგი ინდეფერენტულია და ცხოვრების დინებას მიჰყვება, ზოგს ლუკმა-პურისთვის უხდება ყოველდღე ზრუნვა. ჩემთვის კი ბრძოლაა, ეს იმ ხალხთან ურთიერთობაა, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში. მათ მსურს, რომ ვასწავლო, მეტი აქტიურობით, როგორ შეუძლიათ გააკეთონ სწორი არჩევანი და შეცვალონ. მიიღონ გაცილებით უკეთესი, ვიდრე აქვთ, შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება და იყვნენ წარმატებული. მე მაქვს მსგავსი ვალდებულება აღებული „Eastern Queens“-ის რაიონში, სადაც მე და ჩემი გუნდის წევრები მაქსიმალურად ვცდილობთ ავუხსნათ საზოგადოებას, თუ რამდენად ეფექტური იქნება მათი დამოკიდებულების, აზრისა თუ ხედვის გაზიარება და დაფიქსირება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დადებითად წარმართვის საქმეში. მინდა, მოვიწვიო ქართული საზოგადოება, ქართული სათვისტომო „ქუინსის რესპუბლიკურ კლუბში“, ისე როგორც, ამ დღეებში, „პაკისტანის ქრისტიანული საზოგადოების“ გაწევრიანება მოხერხდა და საკმაოდ წარმატებითაც. „ქუინსის რესპუბლიკურ კლუბს“ კიდევ ერთი ღირსეული პარტნიორი შეუერთდა. „პაკისტანის ქრისტიანული გაერთიანება“ დიდი ძალაა და ამ სიდიერეშია ჩვენი წარმატებაც. ჩვენ გვსურს, რომ ქართული სათვისტომო, ქართველი ემიგრანტები ამ პროცესების აქტიური მონაწილე გახდნენ.

- ბატონო ჯოზეფ, ორიოდე სიტყვით მოგვიყვით თქვენს შესახებ. როცა თქვენზე ინფორმაციას ვეძებდი, ძალიან საინტერესო

რედაქტორისაგან:

სხვა ქვეყნების დიასპორასთან განსხვავებით, ჩვენი დიასპორის ნაკლია, რომ ამერიკაში ფართოდ არ ვეძებთ მოკავშირეებს, ლობისტებს, რომ სვალ თუ ზეგ ჩვენი ქვეყნისათვის, ან თუნდაც ჩვენი დიასპორისათვის საჭირო საკითხების განხილვისას შეგვეძლოს გვყავდეს მეგობართა წრე, რომელთაც ხელი მიუწვდებათ მთავრობის მაღალ ემელონებთან, ან თუნდაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ.

ასეთი შექმნილი, საქართველოზე და ქართველებზე შეყვარებული ადამიანი ბატონი ჯოზეფ კონტენონი, რომელსაც აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ და მხარს ვუჭერდეთ.

ფაქტს წაგაწყდით, - პედაგოგი ბრძანდებით. ეს ურთულესი პროფესიაა, შეიძლება ითქვას, მოწოდება, რომელიც განსაკუთრებულ ნებისყოფასა და ამ პროფესიისადმი თავგანწირვას მოითხოვს. პოლიციის კაპიტანიდან მასწავლებლობამდე. არ გაგიჭირდათ? როგორ ფიქრობთ, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამ ორ პროფესიას ერთმანეთთან?

- ნიუ-იორკის პოლიციის ოფიცრის ცხოვრება საკმაოდ მძიმეა და მინდა ვითხრა, უდიდესი მნიშვნელობით დატვირთული და პასუხისმგებლობით სავსე. ეს დაახლოებით ისეა, სანგარში რომ ზიხარ მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაში. რადგან მასწავლებლის პროფესია ასხენით, ამასაც გეტყვით - დიდი ხანი ვასწავლიდი ფარმინგელის უნივერსიტეტში. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, რამდენადაც დაუჯერებლად არ უნდა ედრედეს, ამ ორ პროფესიასაც აქვთ საერთო გადაკვეთის წერტილები. ორივე შემთხვევაში ფხიზლად ხარ, რათა უმნიშვნელოვანესი დეტალიც კი არ გამოვრჩეს, სადაც შეცდომა არ დაუშვა, რადგან პატარა ლაფსუსიც კი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. პირველ რიგში, თავად უნდა იყო მაგალითი. როგორც მასწავლებლის, მათი (ვგულისხმობ სტუდენტებს) გაცილებით მეტი გმართებს, ვიდრე მათ შენი. პოლიციის ოფიცრის ცხოვრება განა დიდად განსხვავდება ამ ვალდებულებებისგან, იმ განსაკუთრებული სიყვარულისა და თავდადებისგან თქვენ რომ ასხენით? დღეს ჩემი, როგორც პოლიტიკოსის, ცხოვრება ძალიან ჰგავს იმ პოლიციის ოფიცრის ყოფას, რომელსაც არ აქვს უფლება ყურადღება მოადუნოს. მინდა ვითხრა, მე არ მაშინებს ეს მდგომარეობა. არსებულ რეალობაში ვცხოვრობ და თავს არ მივ-

ცემ უფლებას ჩემი ვალი პირნათლად არ მოვიხადო.

- ცოტა რამ საქართველოს შესახებ. როდის გაიგეთ პირველად სიტყვა „საქართველო“?

- მახსოვს, როცა პირველად საქართველო ვახსენე... ერთ-ერთი კონფერენციის შემდეგ დროს, როცა სხვა საკითხებთან ერთად რეგიონში შექმნილ სამომარტოვარ განვიხილავდით, ვთქვი: „შეხედეთ, რა შეძლო საქართველომ“-მთქვი. მოგახსენებთ, რაც ვიგულისხმე, - ეს ის პერიოდაა, როცა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი აქტიურ ფაზაში შევიდა და ქართულმა სამხედრო ძალამ შეძლო გამკლავებოდა და წინააღმდეგობა გაეწია ტექნიკურად მასზე აღმატებული მოწინააღმდეგისთვის. ეს არ არის მარტივი რამ, რადგან ტექნიკა შეიძლება ნებისმიერ დროს მწყობრიდან გამოვიდეს, გაითიშოს ელექტროენერგია, ვერ მოხერხდეს კომუნიკაციის დამყარება. მთავარი სწორედ ის არის, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო ადაპტირება და მობილიზაცია.

- დღეს, მთელს მსოფლიოში, საქართველოს იცნობენ როგორც სტალინის სამშობლოს. თუმცა, მე თუ მკითხავთ, ვერაფერი თავმოსაწონი ამბავია. თქვენ თუ გსმენიათ რამე, სტალინის გარდა, რითიც მოგზიბლათ საქართველომ?

- რატომაც არა? ქართულ ღვინოს განა რამე შედრება? ძალიან მდიდარია ქართული სამზარეულოც. ყველაზე მთავარი კი, - ადამიანური რესურსია. ნიჭიერი და გონიერი ხალხი, რომელმაც არაჩვეულებრივი ხელოვნების ნიმუშები შექმნა. თქვენი ქვეყანა ხომ წალკოტია თავისი უძველესი ისტორიითა და კულტურის მრავალფეროვანი წახნაგებით.

- როდის შედგა თქვენი პირველი ნაცნობობა ცოცხალ ქართველთან?

- პირველი ქართველი ნიკი იყო (ასე

მოიხსენიებს რესპოდენტი ნიკოლოზ ჩხეიძეს. თ.ჯ.), რომელსაც ბენზინგასამართ სადგურზე გადავეყარე. მაშინ ქალაქის საბჭოს არჩევნები იმართებოდა და აქტიურ საარჩევნო კომპანიას ვაწარმოებდი. ქვინსის ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან ვიდექი და ბუკლეტები მეჭირა ხელში. ბუკლეტს რომ მართმევედა, მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. მოვიხილე მისი დახვეწილი მანერით. საიდან ბრძანდებით-მეთქი, ვკითხე. მითხრა „ჯორჯიადან ვარო“. გამიკვირდა, ჯორჯიის შტატებიდან ჩამოსულს არ ჰგავდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, საქართველოს თუ გულისხმობდა. თურმე, თქვენ ქართველები, ასე პასუხობთ, როცა გეკითხებით, თუ საიდან ხართ. ჩვენი სადაურობა კი ასე შორს არ მიდის. ქალაქებს ან შტატებს ვასახელებთ - ჩვენ ან ბრუკლინელი ვართ, ან ვესთჩესტერიდან, ან ჯორჯიდან.

ნიკის მეშვეობით ბევრი რამ შევიტყვერევიონში არსებული გეო-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ პირველი წყაროსგან მივიღე ინფორმაცია. ბევრი რამის გადაფასება მოხდა ჩემში. ნიკი კარგი მთხრობელია და საკმაოდ განსწავლულიც. მაღლობელი ვარ მისი.

- თქვენი ნაცნობობა და მეგობრობა ქართველებთან არ მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს. მაგრამ, იქნებ დაგვისახელოთ, რამდენიმე თვისება, რაც მოვწონებით და ისიც, თქვენში რომ აღშფოთება გამოუწვევია.


- სამწუხაროდ, არც ისე კარგად ვიცნობ ქართველ ხალხს, რომ მის უარყოფით ან დადებით თვისებებზე ვისაუბრო. რა იყო თვალმისაცემი? ალბათ, ხმაურიანი ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, მხიარული ხალხი ხართ. არ ვიცი, მე ნიკიდან გამომდინარე შემიძლია შევაფასო და მასზე ცუდს კი ვერაფერს ვიტყვი. ასე მგონია, ქართველები მაქსიმალისტები არიან თავიანთი ბუნებით, გულწრფელები და ერთგულები.

- ყველა რესპუბლიკელს ვეკითხები და მინდა თქვენც გკითხოთ, ძირითადი კრიტიკიუმები, პრინციპები, რითიც განსხვავდებით დემოკრატებისგან. უფრო მარტივად, თქვენი სავიზიტო ბარათი.

- დიდი მაღლობა ამ კითხვისთვის. აუცილებლად მინდა განვმარტო, რადგან უმრავლესობას საქართველოში, და სხვაგანაც, დამახინჯებული წარმოგენა აქვს რესპუბლიკურ პარტიაზე.

რესპუბლიკური პარტიის მრწამსი და პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

პირველი, - თავისუფლება, ინდივიდუალიზმი. იდექი მყარად შენს საკუთარ ორფენზე და იმ ბუმბერაზი ადამიანების მხრებს დაეყრდენი, ვინც გააკაფა გზა თავისუფლებისკენ. დღეს „სსოვნის დღეა“ და ჩვენ პატივს მივაგებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც



უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის ჩამოყალიბებისა და განვითარების წმინდა საქმეში. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ შეერთებული შტატები, დღემდე საფლავმანო გემივით დაცურავს მსოფლიოს ხალხთა იმედად.

თავისუფლება, ეს არ ნიშნავს გქონდეს ყველაფრის უფლება. თავისუფლება უფლებების გარდა მოვალეობაა, ვალდებულება საკუთარი თავისა და სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებმა, კარგად ვიცით ეს. ჩვენ ყოველდღე ვიბრძებით და ვშრომობთ ამ თავისუფლებისთვის ამ ქვეყნის, ქალაქის თუ სოფლის ყოველ კუთხე-კუნჭულში. ჩვენი ბრძოლა უკეთესი მომავლის შექმნაა ამ დიდებული ერისთვის (შეგნებულად ვამბობ ამას, რადგან თავს უფლებას ვაძლევ, ჩემს ხალხს დიდებული ვუწოდო სრულიად ობიექტური მიზეზების გამო). ამიტომაც მგონია, რომ ქვეყანას სჭირდება დღეს დონალდ ტრამპის მსგავსი ლიდერი (ინტერვიუ არჩვენებამდე გაცილებით ადრე ჩაიწერა. რედ.). ხისტი, თუმცა პიროვნულად ძლიერი და გონიერი, რომელიც ძველა, შეერთებულ შტატებს იმ ბერკეტებს გაუმყარებს, რომელიც წლების მანძილზე მას წამყვანი სახელმწიფოს პოზიციაში აყენებდა.

მეორე, - შეზღუდული მართველობა. მთავრობა საკმაოდ ადჭურვილი იმისთვის, რომ გადაჭრას ყველა მტკივნეული საკითხი, რაც ჩვენ ხალხს აწუხებს და არა შეზღუდოს ჩვენი თავისუფლება და უფლებები. უფრო კონკრეტული რომ ვიყო, მოგახსენებთ, რომ ობამას ადმინისტრაცია ხშირ შემთხვევაში ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, რამაც გარკვეულწილად დააზარალა სახელმწიფო ინტერესები. ეს მმართველობა დეტალურად მართვის ელემენტებს შეიცავს. ყველაზე ცნობილი მაგალითი რომ დავისახელოთ, პრეზიდენტმა საყოველთაო დაზღვევის ე.წ. „ობამა ქეარის“ ამოქმედებით თავდაყირა დააყენა ჯანდაცვის სისტემა.

მესამე, - მთავრობა ხალხის სამსახურში. მთავრობა არ უნდა გვკარანახობდეს წესებს. სხვაგვარად ამას „დიქტატი“ ჰქვია. ხალხია დიქტატორი, ხალხი განსაზღვრავს და კარანახოს წესებს. ხალხი ირჩევს და შენაბამისად იხდის საფასურს, რათა აღსრულდეს მათი ნება. ჩვენ გარკვეული პრეტენზიები გვაქვს საკანონმდებლო სისტემასთან.

მეოთხე, - ეროვნული თავდაცვის გაძლიერება. ჩვენ პაციფისტი ხალხი ვართ. ზოგი იმასაც ამბობს, რომ საკმაოდ რთულია შეერთებული შტატები დაძრა ადგილიდან. იმას გულისხმობენ, რომ საკმაოდ ტოლერანტები ვართ. მაგრამ, არც ასე მარტივად და ყველაფერი. თუ საფრთხე ვიგრძენით, ჩვენ ვიმოქმედებთ. ჩვენი ქვეყანა ის ლობია, რომლის გაღვიძებასაც არავის უურჩევდი.

მეხუთე, - ჩვენ კანონმდობრივი ხალხი ვართ. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ყველა კანონს და მათ, ვისაც აღსრულებაში მოჰყავს იგი.

მექექსე, - ქორწინება არის „ქალს“ და „მამაკაცს“ შორის თანაცხოვრება - ობამას ადმინისტრაციამ თავდაყირა დააყენა მარტივი ჭეშმარიტება. ეს სირცხვილია. როცა ამას ვამბობ, ვცდილობ უაღრესად კორექტული ვიყო.

მეშვიდე, - ტოლერანტობა ალტერნატიული ცხოვრების სტილის მიმართ. ამას კანონი იცავს. შეერთებული შტატების კონსტიტუცია უზენაესია და კანონი, რაც უნდა მომწონდეს ან არ მოგვწონდეს იგი, ვალდებული ვართ პატივი ვცეთ, დავიცვათ.

მერვე, - გარემოს დაცვა, მაგრამ არა ის მარაზმი, რომელიც ობამას ადმინისტრაციის მიერ მიღებული რეგულაციით მივიღეთ.

მეცხრე, - რელიგიის თავისუფლება. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სიტყვას დავძრავდი ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სამწუხაროდ, მიწვეს ამაზე ყურადღების გამახვილება. ყველას აქვს უფლება იყოს თავისუფალი არჩევანში და მრწამსში. მე კათოლიკე ვარ და ბუნებრივია მაქვს უფლება გამოვხატო ჩემი რელიგიის მიმართ პატივისცემა და სიყვარული, მაგრამ ეს გამოხატვის თავისუფლება არ უნდა გადასცდეს იმ ზღვარს, სადაც სხვისი უფლებები იზღუდება.

- მე როგორც მესმის, თქვენთა გსურთ, რესპუბლიკური პარტიის მთავარ პრინციპებზე და იდეოლოგიაზე აგებული სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერება. მთავარია, ქვეყანა ძველ კალაპოტს დაუბრუნდეს, ხოლო ხისტი მეთაური თუ იგი პიროვნულად ძლიერია და პრინციპული, მხოლოდ ხელს შეუწყობს შეერთებული შტატების გაყვლების სფეროების გაძლიერებას მხოლოდ და მხოლოდ, თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის.

- დიან, სწორედ ასეა. მითუმეტეს, თუ პრეზიდენტმა სწორი გუნდი შემოიკრიბა.

- ბევრი მსმენია, რომ უბრალო ადამიანები, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართული საარჩევნო ფერხულში და ნაკლებად ერკვევიან პარტიათა პოლიტიკურ მრწამსში, ფსონს მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატებზე დებენ. იმას ვგულისხმობ, რომ ისინი აფასებენ პიროვნებას და არა პარტიის პლატფორმას. უფრო მეტიც, ამერიკელები ესთეტიკები და სენტიმენტალურები არიან და ხშირად ადვილად ეგებიან ისეთ ანკესზე, რაც მათ ემოციურ ფაქტორებზე მოქმედებს, აღაფრთოვანებთ და აღტაცებაში მოჰყავთ. რესპუბლიკელთა საპრეზიდენტო კანდიდატზე კი, რბილად რომ ვთქვათ, ამას ვერ ვიტყვით. როცა ქართველებს ვეკითხები, თუ რატომ ამინებთ ასე დონალდ ტრამპის

კანდიდატურა, მეუბნებიან, რომ იგი პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში პირველ დღესვე ემიგრანტებს „დაერევა“, მართლა ასეა?

- ვიცი, ამას რატომაც მეკითხებით. ემიგრანტებს ძალიან მარტივად აქვთ გაგებული ის, რასაც ტრამპი „კანონის უზენაესობას“ ეძახის. დიან, არაღეგალმა ემიგრანტებმა, კანონის თანახმად, უნდა დატოვონ ქვეყანა. ეს ქვეყანა, პირველ რიგში, კანონის უზენაესობას აღიარებს. ემიგრანტებს არაფერს ვერჩით, პირიქით, ეს ქვეყანა ემიგრანტების შექმნილია და შეუძლებელია, რამე ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდეს ჩვენი საკუთარი ემიგრანტი მამების მიმართ, უბრალოდ, ჩვენ სწორი ემიგრაციის მომხრე ვართ! ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ქვეყანამ შეიფარა და მისცა შანსი თავიდან დაეწყო ცხოვრება, ზიანს აყენებდეს ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს. არაღეგალმა, რომლებიც კრიმინალში იყვნენ მხილებულნი, უნდა დატოვონ ქვეყანა. ხოლო ამერიკის მოქალაქეთა ოჯახის წევრები, რომელთაც სუფთა, არაკრიმინალური წარსული აქვთ და გადამხდელი უნარიანები არიან, არ უნდა გახდნენ დეპორტაციის მსხვერპლნი. თქვენ, ჩემზე უკეთ მოგესხენებათ - არათუ რესპუბლიკელების, არამედ, ობამას ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში, როცა სწორედ დემოკრატიები უჭერდნენ მხარს ე.წ. გამარტივებულ საემიგრაციო რეფორმას, ადგილი ჰქონდა მსგავს ფაქტებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ მიერ განხორციელებული რეფორმები, ფარსია.

- კითხვა, რომელიც ასევე ძალიან გვაწუხებს და იქნებ მეტი სიცხადე შეიტანოთ იმ გავრცელებულ მასალებთან დაკავშირებით, რომელიც დონალდ ტრამპის განცხადებებს ეხება, - თითქოს ის სიმბატიითაა განწყობილი რუსეთის პრეზიდენტის მიმართ და ყირიმის სუვერენიტეტის აღიარებასაც აპირებს.

- დონალდ ტრამპი პატივს სცემს უკრაინის სუვერენიტეტს და ეს საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა. რაც შეეხება მის სიმბატიობას, - იგი მხოლოდ იმ ხალხს ეკუთვნის, რომელთაც მძიმე პირობებში უწევთ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლა. ჩვენი კანდიდატი აუცილებლად გამოიყენებს შეერთებული შტატების გაყვლას იმ ქვეყნების მხარდასაჭერად, რომლებიც იბრძვიან ამ თავისუფლებისათვის. დონალდ ტრამს კარგად აქვს გათავისებული, რომ შეიძლება წლის მანძილზე ობამა და კლინტონი მხოლოდ მაყურებლის როლს დასჯერდნენ რეგიონში, რადგან ქვეყნის სამინაო პოლიტიკა კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩნდა, არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკური პრო-



შენხვედრები თბილისში ვიზიტის ფარგლებში

ცესებისთვის, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხებისა და ქვეყნებისთვის, სადაც ამერიკის ავტორიტეტი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა.

ღონაღდ ტრამპი აუცილებლად გადასინჯავს იმ პოლიტიკურ კურსსაც, რომელიც უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთთან მიმართებაში. იგი არასდროს შევა რუსეთთან ღია კონფლიქტში. ამიტომაც, აუცილებელია ამ ქვეყნის პრეზიდენტთან დიალოგი, რათა შეჯერდეს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა რუსეთთან და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებთან ერთადერთი მიზნით, - ხელი შევეწყოთ სუვერენული სახელმწიფოების შემდგომ განვითარებას და მათი სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას.

შეერთებული შტატები მხოლოდ სამხედრო სიძლიერით არ გამოირჩევა, მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სადავეები უპყრია ხელთ და გარკვეულ პროცესებს წარმართავს მსოფლიო ეკონომიკურ არენაზე. ჩვენ შეგვიძლია ეს ბერკეტები უფრო აქტიურად ავაძოქმედოთ და რუსეთი საკმაოდ მტკივნეული პროცესების პირისპირ აღმოჩნდეს. ერთი სიტყვით, ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში შედის და უმჯობესია, თუ რუსეთი თავის ხალხს თავიდან ააცილებს მარყუჟში თავის გაყოფას.

- როგორ წარმოიდგენიათ კონკრეტულად რა შეიძლება გაკეთდეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარე-

ბისთვის?

- პირველ რიგში მინდა ქართული წარმოშობის ამერიკის მოქალაქეებს მივმართო და ვუთხრა, რომ თქვენ ხელში უზარმაზარი ბერკეტებია. 80 000 ქართველი ამერიკაში საკმაოდ დიდი ძალა იმისთვის, რომ საკუთარი სიტყვა თქვით ქვეყნის განვითარების ისტორიაში. თქვენზე დამოკიდებული, რამდენად გააცნობიერებთ იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვა საკმაოდ დიდ უპირატესობას მოგანიჭებთ. თუ თქვენ ეთანხმებით რუსუბლიკელთა მთავარ დოქტრინას, ურიგო არ იქნება გაწვერიანდეთ ჩვენს პარტიაში, რაც ტრიბუნის გამოყენების შესაძლებლობას მოგცემთ. პირველ რიგში, აუცილებელია, დარეგისტრირდეთ წინასწარჩვენოდ თქვენს უბნებში. ჩვენ კი აუცილებლად დაგეხმარებით, რათა მაქსიმალურად მოგაწოდოთ ინფორმაცია პროცესულურ საკითხებთან დაკავშირებით. მერწმუნეთ, თუ თქვენ არ შეცვლით, არავინ გააკეთებს ამას თქვენს ნაცვლად და მითუმეტეს, თქვენს სასარგებლოდ. ყველა თითონ ჭედავს თავისი ცხენის ნალს. გამოიყენეთ უზარმაზარი პოტენციალი და მიიღეთ გაცილებით მეტი.

- ბატონო ჟოზეფ, იქნებ თქვენი გეგმების შესახებაც გვესაუბროთ?

- მე პირადად, ვაპირებ ისევ ქალაქ ნიუ-იორკის საბჭოს არჩევნებში ვიყარო კენჭი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგიწოდოთ, რომ აუცილებლად დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია. ქენისის რაიონი ნაკლებად დასასრლებელი ქართული დიასპორით, თუმცა მე, როგორც თქვენს ქვეყანასა და ხალხზე შეყვარებული რიგითი ამერიკელი, როგორც წამყვანი პოლიტიკური ძალის აქტიური წევრი, გაპირდებით რომ აუცილებლად დავიცავ თქვენს ინტერესებს ნიუ-იორკის ნებისმიერ რაიონში.

- და ბოლოს, მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ საინტერესო საუბრისთვის და გთხოვით, მიმართოთ ქართველ მკითხველს.

- დაცავით თქვენი მრწამსი, იყავით მეტად კონსოლიდირებულნი, რათა ძლიერ სათვისტომოდ ჩამოყალიბდეთ. ძლიერი სათვისტომო და ერთიანობა თითოეული თქვენგანის კეთილდღეობის საფუძველია. ეს ის მყარი კედლებია, რომელსაც ისევ თქვენ უნდა დაეყრდნოთ. მეტად მოახდინეთ საზოგადოებაში ინტეგრაცია და მიანიჭეთ თქვენი ხიბლი ჩვენს მულტი-კულტურულ ქვეყანას. როგორც მოგახსენეთ, ქართული დიასპორა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რაც გაძლევთ იმის შანსსაც კი, რომ გყავდეთ თქვენი წარმომადგენელი კონგრესში.

ღმერთმა დალოცოს ამერიკა. ძლიერი შეერთებული შტატები - თქვენი ქვეყნის კეთილდღეობის გარანტიაა.

ესაუბრა **თეა ჯანაშია**

ინტერვიუ იბეჭდება ჟურნალ „მაშელისა“ და ასოციაცია „თვისტომის“ ურთიერთ-პარტნიორობის ფარგლებში.

**დღეს ორი წელი
გავიდა ჩვენი ჟურნალის
ვებოგის, ლეგენდარული
„ილუზიონის“ ავტორის
ოთარ სეფიაშვილის
გარდაცვალებიდან.**

ჩვენ გუანსოვს!

ქუჩნაღის
ღღეკანდელი
ნომეხი მის
ნათელ ხსოვნას
ედღვნება



მედიუმი
კომუნიკაცია

საბა

პოეზია-კოქუს

ჩვენს მკითხველს დღევანდელი ნომრიდან უჩვეულო სანუქარს ვთავაზობ, -ემიგრაციაში შექმნილ ქართულ ისტორიულ რომანს.

საერთოდ, ქართული ემიგრაცია ქართული წიგნების ნაკლებობას განვიცდით. ვფიქრობ, ან ნაკლებობას თუნატრულობას, გარკვეულწილად, შეავსებს კიდევ ეს რომანი, - უოველ ნომერთან ერთად ლიტერატურულ წყურვილსაც დავიოკებთ.

თანაც, „მამულის“ მკითხველებისათვის ექსკლუზივია, რადგან იბეჭდება წიგნად გამოცემაძღე კი არა, არამედ წერის დასრულებამდე - რომანის სამი ტომი დასრულებულია და ორი ტომია დაჩენილი.

ეს არ არის მარტოდენ ისტორიული რომანი - კლასიკური გაგებით. მასში მოცემულია ადამიანთა ჰორტრეტების მრავალფეროვნება და არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ ისტორიულ სიზუსტეს, - ჩემთვის ისტორიული ფაქტები წარმოადგენს თეატრალიზებულ ბუტაფორიას, რომელშიც მიმდინარეობს ეპოქალური კატაკლიზმები. აქ, ადამიანთა სანებების გალერეა თავისი ნეგატივითა თუ ჰოზიტივით სადღეისოობის პერიპეტეებს ეხმიანება.

თვით დიდი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი ბევრად იყო დამოკიდებული ეპოქაზე და იმ ხალხზე, ვინც მის გარშემო ტრიალებდა და ქმნიდა საბას ფენომენს.

რატომ საბა?

მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაქარწყლდეს მითი ევროპის უგულობისა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინგრეს მითი „ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა“...

რომ ვკითხულობ ამ ლექსს, მგონია, საბა ცეკა-ს მდივნებთან იმეოფებოდნ მიღებაზე. ეს უკუღმართი სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს.

ევროპა, მართალია აღმაცერად გვიეურებდა და დავიწეებულიც ვეავდით, მაგრამ რაფინირება ამღევდა იმის საშუალებას, რომ ეფიქრა მაინც უოველ წინადადებაზე სიღრმისეულად.

სწორედ იმიტომ საბა, რომ კარვად გავანანალიზოთ, ახლა მაინც, ჩვენი ორიენტირი.

დანარჩენი რომანის ფურცლებზე...

ამბონდებიანი
საუკუნე

პირველი კამარა



ცნაური კაცი იყო ლევან დადიანი - მეორე. სწორედ მეორე და არა პირველი, ან რიგითობით მერამდენე... მხოლოდ ეს ნუმერაცია იყო მისთვის ზედამოჭრილი, თითქოს ბუნებამ მისთვის და მხოლოდ მისთვის შექმნა ეს ციფრი სამოქმედო და სამოძრაო დამდად, თორემ სხვაფრივ ერთი ერთს მიმატებული ორი ვერაფრით იქნებოდა, ან რაღაც უთვალავ რიცხვს ორით ნაკლები რომ გამოგეკლო, საანგარიშო ჩოთქი ორს ვერაფრით მიიღებდა. ამიტომ იყო ეს მხოლოდ ლევანისთვის განკუთვნილი საკრალობა. თვითონაც ებრძოდა ამ მეორეობას, მთელი ცხოვრება შეაღია, რათა ის იანუსური მეორე აჩრდილი ჩამოსცილებოდა თავიდან და ვერ კი დასძლია. თუმცაღა საუკეთესოდ ესმოდა, რომ ის არათუ პირველი, არამედ თავის საბრძანებლოსა და სამეზობლოში ერთადერთი იყო. მეორეობის დამლა არ ასვენებდა, ღრღინდა მის შინაგან წესს. ყველა მტერი გარშემო დაამარცხა, შექცევებული არავინ იყო -

იმერეთი, გურია და აფხაზეთი დაჯაბნა, სვანეთში არაფერი ესაქმებოდა, ქრთამავდა ოსმალოსაც და რუსსაც. ლიხს იქეთა საქართველოზე არ ჰქონდა პრეტენზიები. სადაც იყო, იმას სჯერდებოდა; იქ ყოველი აჩრდილი მისი თანატოლობისა და თანასწორობისა ან გაანადგურა, ან წყობიდან გამოიყვანა ისე, რომ არ გატოლებოდა არავინ არასდროს.

ქუთათისში სამეფო გვირგვინის დადგმას ეზმანებოდა. ყველაფერი გააკეთა ამისთვის - ომით წავიდა აფხაზეთზე და შერვაშიძენი დაახარკა; ურთიერთ შორის მოპაექრე გურულებს შორის ჩადგა თავისი ლაშქრით შუამავლად და მისთვის სასარგებლო პრეტენდენტი გააგურიელა გურიის სამთავროში;

ქუთათისის მეფეებს ებრაელები და ვაჭრები მოსთხოვა გოჭაურის ბრძოლაში გამარჯვების ალაფად. გადარეული გარეულივით ებრძოდა ადამიანთა და „ძლიერთა ამა სოფელისათას“ მიღმა მთელს მის წარმოშობა ეპოქას, თითქოს სურდა უნიდავო ნიადაგზე დაემყარებინა თავისი მეუფება.

სწორედ რომ, გარეთ გარეულს უფსებდა თვალს თავისი ბრწყინვალეობით და შინ - შინაურს. იტალიელი მისიონერები შენატროდნენ მას. მეგობრობდა და გულუხვ-

ვად მასპინძლობდა რომის პაპის ჯამუშსა და თიატია-ნელთა ორდენის ბერს, რომაული ქრისტიანობის გამავრცელებელსა და ალვირასნილ დიპლომატს არქანჯელო ლამბერტის, კონგრეგაციის მითითებით რომ ცხოვრობდა ოდიშის სამთავროში.

უფრო ადრე იმავე ორდენის წევრები პატრები - დონ კრისტოფერო დე'კასტელი, ანტონიო ჯარდინა და ბერი კლაუდიო ივერიითა და ივერიელებით მოიხიბლნენ და განიხიბლნენ კიდეც. ეს იყო რომ, გურიაში ლევანის ხელდასხმულმა გაგურიელებულმა მეორე ვახტანგმა თავისი სამფლობელოდან გააძევა უცხო რწმენის კაცები და დევნილი სტუმრები გულმოწყალედ შეიკედლა ოდიშის ცის ქვეშ მზებრწყინვალე ლევანმა. კარგად იცნოსა საიდანაც უბერავდა ზურგის ქარი და საით უნდა მიექცია პირი. მთელი ქართული სტუმართმოყვარეობა გადაუშალა თვალწინ და დაჩრდილა უღიმღამო მოგონებანი გურიისა იტალიელი მისიონერების ცნობიერებაში.

დონ კრისტოფერო ხარბად ხატავდა ლევანსაც, მის ოჯახობასაც, მთელი სამეგრელოს ეთნოგრაფიას. ლევანიც ანცვიფრებდა თავისი ერუდიციითა და განსწავლულობით მრავლისმცოდნე ევროპელებს. მედიჩებისა და ვალუების პატრონი დადიანს შენატროდა, ნეტა ჩვენ გვყავდეს ასეთი მთავარი და ქვეყნის მოჭირნახულეო. ბაღლებთან და ლეკვებთან ბაღლურად და ლეკვურად თამაშობდა, შემდეგ კი ლომად გადაქცეული არბევდა გარშემო მყოფთ - იმერეთის სამეფოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროებს. დაუნდობლობით ვერავის გააკვირვებდა, მაგრამ მისი დაუნდობლობა სხვა იყო - მიზანსწრაფული და არა აღზნების შედეგად გამოწვეული. მისი საარაკო სიმკაცრე უფრო ფილოსოფიური ქმედება იყო, ვიდრე გონებაშეზღუდულობით გამოწვეული განრისხების შედეგი.

ეპოქაც არეული იყო და ადამიანებიც. ლევანმა კარგად იცოდა, რომ ყველას თვალი ჰქონდა დადგმული მასზე, ერთგვარად მტერთა ალყაში იყო მოქცეული და ამიტომ იგი ვალდებულიც იყო ყოფილიყო უძლიერესი ძლიერთა შორის. საქართველო კი ის ქვეყანაა, რომელიც უძლიერესთა კუთვნილებაა და არა კანონმდებლობითა და წესთ-დგინებით გამოწვეული მესაკუთრისა. ეს გარეშეხეც ითქმოდა და შინაურზეც. ლევანს ეს დაუწერელი კანონი მთელის სიცხადით ჰქონდა გასიგრძეგანებული. ამიტომ თავის სამყოფელში ზღუდე-შეუზღვრეველ გოლოლად ქცეულიყო. ზვავრიელი მოწყალეც იყო -

პატრონობდა ეკლესია-მონასტრებს, დანგრეულებს აღდგენდა და ახლებს აშენებდა.

თვალსა და ხელს შუა აზიდა კლდის ქიმზე წამომართული რუხის ციხე-ქალაქი ზღვასთან და თავისთან ახლოს. გულზვიად რუხში ცხოველი ვაჭრობა მიმდინარეობდა საგარეო და საშინაო. ტოლს არ უდებდა ისტანბულს, მდიდრდებოდა ოდიშის ხაზინა, ხაზინით პატრო-

ნობდა ეკლესია-მონასტრებს, დანგრეულებს აღდგენდა და ახლებს აშენებდა.

თვალსა და ხელს შუა აზიდა კლდის ქიმზე წამომართული რუხის ციხე-ქალაქი ზღვასთან და თავისთან ახლოს. გულზვიად რუხში ცხოველი ვაჭრობა მიმდინარეობდა საგარეო და საშინაო. ტოლს არ უდებდა ისტანბულს, მდიდრდებოდა ოდიშის ხაზინა, ხაზინით პატრო-

ნობდა ეკლესია-მონასტრებს, დანგრეულებს აღდგენდა და ახლებს აშენებდა.

თვალსა და ხელს შუა აზიდა კლდის ქიმზე წამომართული რუხის ციხე-ქალაქი ზღვასთან და თავისთან ახლოს. გულზვიად რუხში ცხოველი ვაჭრობა მიმდინარეობდა საგარეო და საშინაო. ტოლს არ უდებდა ისტანბულს, მდიდრდებოდა ოდიშის ხაზინა, ხაზინით პატრო-

ნობდა ქვეყანას.

ზემოთ და ქვემოთ აგზავნიდა ქრთამებს,
აძლიერებდა ჯარს,
წყალობდა ილორის წმინდა გიორგის და
ილორის წმინდა გიორგიც იფარავდა მას.
აწერინებდა ხატმწერებს,
პატიოსანი ქვებით მოსავდა და
ძვირფას ლითონში სვამდა ხატებს.
სახარებებს,
სამოციქულოებს,
ფსალმუნებსა და
ლოცვანებს
უკვეთდა მეწივნეთ გადასაწერად.

გულმოდგინეთ სწავლობდა ევროპიულ ენებს დანტეს
„კომედითა“ და სერვანტესის „კეთილგონიერი ღონ
კინოტ ლამანჩელის“ მიხედვით. თავის მხრივ იტალიელებს
უთარგმნიდა, როგორცადაც შეეძლო, რუსთველისა და „ქარ-
თლის ცხოვრების“ წიგნებს.

საგანგებოდ ამხვილებდა ყურადღებას ბალვამთა საგ-
ვარეულოს ისტორიაზე და ღიმილით დასძენდა:

- ამდროებაში კლდეკარის საერისთავოს ზღუდემტკი-
ცება ოდიშს გადმოვიტანე იმ სხვაობით, რომ ბაგრატიანთა
ძლიერება ჩემს გარშემო არ ჭაჭანებდესო.

ალმაცკრად გადახედავდნენ მისიონერები მოტრახა-
ზე მთავარს და ისიც მზერაში მიუხვდებოდა კითხვას.

- გადახედეთ ჩემს სამეზობლოსო, - დასძენდა ბოლოს,
- სად გეგულებათ დავით მეფის სადარი მეფეო. ისევე
და ისევე დავითობაც მე უნდა ვიკისროო, - გადაიხიბითებ-
და გულიანად და ამ ხითხითში არწმუნებდა თავის სი-
მართლეში მსმენელსა და თანამოსაუბრეს.

ესეც იყო: მტრები თუ შემოიწყო ლევანმა თავის
გარშემო, მოკეთებდნენ საკმაოდ მოიძრაველა.

როსტომ ხანის გამეფების პირველსავე წელს საკუთარ-
ი დაი მიათხოვა ქართლის მეფეს; დამოყვრდა ქართლი
და ოდიში, თანაც ძლიერ მოკავშირეობას გაუწევდა
ცოლის-ძმას სიძე და სიძეს ცოლის-ძმა. თავისი სურვილე-
ბი და ოცნებები ქართლშიც გაატანა მზითვად მარიამს
- მანუჩარ დადიანის ასულსა და მეორე ლევანის დედამის
შვილს.

ერთი მოყვარე წაახდინა და ამის ფასად მეორე
შეიძინა - გაუგო რა შეთქმულება სიმონ გურიელს მის
ძიერ გაგურიელებულსა და სიძეს, ლანჩხუთს თვალები
დათხარა და ცოლი წაართვა, თავისი დაი, მერმე იგი
როსტომ ხანს მართვა ცოლად.

საბრალო დიდგვაროვანი ქალები, ყოველთვის პოლი-
ტიკური სვლებისა და ამათ ვაჭრობის საგნად ქცეულიყ-
ვნენ ოდითგან, თამარ მეფე იქნებოდა ეს, თუ დადიანის,
ამილახვრის, ერისთავის, თუ წერეთლის და სხვათა და
სხვათა ასულები. ეს კარგად იცოდა ლევანმაც და არ
კარგავდა შესაძლებლობებს - უმოყვრდებოდა ბაგრატიონ-
ებს, შერვაშიძეებს, გურულებს და სხვათ.

სწორედ პოლიტიკური წინასწარგანჭვრეტა იყო ახ-
ლადგადადიანებული თოთხმეტი წლის ლევანის ქორწი-
ნება აფხაზეთის მთავარ სეტემან შერვაშიძის ასულზე.
თვითონაც ხომ კახთა მეფის ალექსანდრე II-ის შვილიშ-
ვილი იყო მანუჩარ დადიანისა და ნესტან-დარეჯანის
ქორწინების შედეგად შობილი.

დედა ადრე გამოეცალა პატარა ლევანს და პაპამ
მამის თანხმობით აღსაზრდელად თავისთან წაიყვანა
შვილიშვილი. ასე იზრდებოდა კახეთის სამეფო კარზე
ოდიშის მომავალი მთავარი და სწავლობდა

სიავეკარგეს ალექსანდრესეულად,

სივერაგეს შააბასისეულს,

დაუნდობლობას ყიზილბაშურს,

თავზეხელაღებულობას დიდმოურავისეულად...

რომ არა მამის საბედისწერო დალუპვა, ლევანი კარგა
ხანს გაატარებდა კახეთში და მეტად გაერკვეოდა ეპოქა-
ში. თუმცა, თავისი შესასწავლი მაინც შეისწავლა.

ირმებზე ნადირობისას ცხენდაცხენ შეჯახებია მანუ-
ჩარი თავის აზნაურს. მომაკვდავს ბიძაშვილისთვის ჩაუ-
ბარებია თოთხმეტი წლის ლევანი და გადადიანებული

ლევანი ბიძის - გიორგი ლიპარტიანის რეგენტობით
მართავდა სამთავროს. ცოლიც მამინ შერთეს - აფხაზე-
თის მთავრის ასული. არადა, ლევანს თვალი ჰქონდა
დადგმული საკუთარ ბიცოლაზე - ბიძისა და რეგენტის
ცოლზე მშვენიერ ნესტან-დარეჯან ჭილაძის ასულზე.

ითმინა,

ითმინა და

ავხორცობამ თავი ვერ დამალა.

ცოლს ორგულობა შესწამა - ოთხი შვილის დედას,
თითქოს თავის პირველ ვეზირთან მერაბ ქორთოძესთან
შეისწრეს...

და გააძევა მერაბი სავეროდან, გურიელის მეთვალყუ-
რეობით გაჰგზავნა იგი რიონს გაღმა მხარეში.

საკუთარ ცოლს ცხვირი მოაჭრა და ასე დასახინრე-
ბული გაუგზავნა თავის მამას, თან დასწრებაზე წავიდა
- წინდაწინ იფიქრა:

- ვინძლო, შარვაშიძემ დამარბიოს, სანამ გონს მოგება,
იქეთ უნდა დავარბიოო.

გათვლამ გაამართლა - სეტემანი ჯერაც გონს ვერმო-
სული ყაბარდოს გაიხიზნა, გონს მოგებული კი გამუდმე-
ბით აწიოკებდა ყოფილი სიძის სამფლობელოს დაუზო-
გავად და დაუნდობლად. მნიშვნელოვნად ვერ შეარყია
ლევანის ტახტი, რადგან იქეთ უფროსოდა დადიანის
ლაშქრობას შვილის დასახინრებით თავზარდაცემული
მამა.

ერთი წუთითაც არ უნანია ლევანს საკუთარი ცოლი-
სადმი ასე უდიერად მოპყრობა. ახლა მას ხელ-ფეხი
გახსნილი ჰქონდა - სალიპარტიანოში წავიდა და ძალით
დაისვა ყოფილი ხარჭა და ბიცოლა ცოლად.

გაოგნდა გიორგი ლიპარტიანი რქების დადგმისგან.
რქები ბევრჯერ დადგმია მოხუც ქმარს ახალგაზრდა

ცოლისგან,

მაგრამ ამჯერად ვისგან!

ეს აცოფებდა მას და

ისე აცოფებდა,

რომ მოკვდა კიდევ.

სამაგიეროს ასეთი მიზღვევა სწორედ შაბასური, მეფეთა და მათთა მემკვიდრეთა უმაღლრობის გაკვეთილებიდან თუ აითვისებდა ყმაწვილი, თორემ სხვაფრივ ბავშვურად სპეტაკი გული სპეტაკადვე დარჩებოდა,

ან იქნებ არც...

ეს უკვე ვისაც როგორ სურს, ისე წარმოიდგინოს.

ღალატის და ღალატობანას გათამაშებასაც არაერთხელ აუძღვრევია ლევანისთვის გონება და წაღმართიანად სავალი უკულმა უვლია.

არ უპატიებია „ქების დადგმა“ მერაბ ქორთომისთვის - უებრო ვაჟაყვისა და ერთგული ყმისთვის.

შეიპყრო,

მოაკვდინა,

მისი დანაკუწებული სხეული ზარბაზანში ჩადო და გაისროლა.

ოდიშის მთავრის მოკვდინების სურვილთა აღძვრა არც ძმისთვის იესესთვის უპატიებია -

შეიპყრო და თვალები დასთხარა.

საკუთარი სიძე და მამის მკვლეელი სიმონი ლანჩხუთში იძულებითი დაბრძანების შემდეგ ბერად შეაყენა. სწორედ მისი ცოლი წარუგზავნა როსტომ ხანს ცოლად, დის შვილი ოტია კი თვითონ წაიყვანა აღსაზრდელად.

სიმაძრყოფილზეც იყარა ჯავრი - ორგზის ილაშქრა აფხაზეთზე და თავბედი აწყველია შარვაშიძეს. ამ გავების შედეგად გურიამ კარგა ხნით შეწყვიტა არსებობა, როგორც სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა და ის სრულად დაემორჩილა ოდიშის მთავრის რკინის ხელს.

ლევანს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა 1611 წელი და ქორწილი. მის ცხოვრებაში ქორწილი და ეს წელიწადი ერთად იყო გადაჯაჭვული. ადრე გაზაფხულზე გრემის ციხეში კახეთის მეფემ და ლევანის ბიძაშვილმა თეიმურაზ I-მა იქორწინა ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის დაზე ზორემანზე. ეს მისი მეორე ქორწინება იყო. იმ ქორწილში რატომღაც უგუნებოდ იყო ლევანი. მეფე და ნეფე მამიდაშვილს ყველანაირად ართობდა, მაგრამ ვერ მოახერხა ყმაწვილის გუნებაზე მოყვანა. ცოლის უჩუმრად ჩაუჩურჩულა ყმაწვილს:

- ხარჭებში წაგიყვან და დარდს გაგაქარვებინებო.

ცალყბად გაუღიმა ლევანმა მეფესა და ნეფეს, თვითონაც არ იცოდა, რად იყო ასე უგუნებოდ.

ზაფხულზე სპარსეთს წაიყვანა თეიმურაზმა - ირანის ლომს საკუთარი დაი მიართვა ცოლად კახეთის მეფემ. ისპაანის თვალისმომჭრელ სასახლეშიც დაღვრემილი იყო ლევანი. არ იტაცებდა სპარსი ქალების მოშიშვლებული მუცლის როკვისა და სავსე ბარკლების თქაფუნის სიამისმომგვრელი მხერა. თრიაქსა და ხილეულს მიეძალა

ხორცისა და ავხორცობის მოყვარული ოდიშის უფლისწული. არც შაბასის ყოვლისგამჭოლ მხედველობას გამოჰპარვია დაფიქრებული ჭაბუკი. თავისი გამქირდავი სიტყვით შეამკო ლევანი:

- ვგონებ მეტისმეტად მოწოლია ბავშვს კოლხიდის ჭაობების სიყვარული და ასე-რივად ამიტომ ხომ არ გვიმზერსო? ან იქნებ ჩვენს წინაშე სპარსეთისა და სამუსლიმანოს თავსატეხიაო?

- ასე შორს ვერ წავაო, - ღიმილითვე უპასუხა სიძეს ცოლის-ძმამ, - კარგად შეითვისა ბავშვმა „კახეთის გაკვეთილები.“

ულვაშებზე გადაისვა ხელი შაბასსა და დაურიდებლად უთხრა თეიმურაზს:

- გაკვეთილებს რაც შეეხება, ჯერ ყველაფერი წინ გვიდევს მეც და ივერისაცო.

შემოდგომაზე კიდევ ერთი ქორწილი შედგა - თეიმურაზის ცოლის-ძმამ ლუარსაბმა ცოლად შეირთო დიდი მოურავის დაი თეკლაი. ამ ქორწილში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს გიორგი სააკაძე და ლევან დადიანი. არც გიორგის გამოპარვია ლევანის გონიერი მხერა, შეზარხოშებულმა მოურავმა დაურიდებლად მხარზე ხელი დაჰკრა და მეფეების წინაშე წარმოსთქვა ლევანის სადღეგრძელო ასეთი სიტყვებით:

- თუ განგებამ დაგვაცალა, მე და ეს ყმაწვილი გავაერთიანებთ საქართველოსო, - ესა თქვა და გრძელი დაგრაგნილი ჯიხვის ყანწი სულმოუთქმელად გამოსცალა.

- საიდან მოიტანა მოურავმა ლევანის დალოცვაო, - გაუკვირდა თეიმურაზს.

- სად ლევანი, სად გიორგი და სად საქართველოს გაერთიანებო, - წარბი ასწია ლუარსაბმა.

- განგებო... - მრავალმნიშვნელოვნად ჩაფიქრდა ლევანი და რაღაც ინიშნა ამ ნათქვამში.

ამ ქორწილიდან ერთ კვირაში ირმებზე ნადირობისას დაილუპა მანუჩარ დადიანი - ლევანის მამა. ახლალა მიხვდა თეიმურაზი ლევანის უგუნებობას სამივე ქორწილში. ასე ჩათვალა, წინასწარ გრძნობდა მამის დაღუპვასო.

ცოტა ხანში ამბავი მოვიდა სადადიანოს:

- ლუარსაბ მეფე ცოლს გაჰყვია და დიდი მოურავის მოკვდინება მოუწადინებიაო შადიმან ბარათაშვილის ჩაგონებით. ირანის შაჰთან გაქცეულა გიორგი სააკაძე თავისი სახლეულითურთო. მოურავის ნაცვლად მძევლად ხელში ჩაგდებული მისი დაი მოუკვდინებიათო.

ის საბედისწერო ქორწილები გაახსენდა ლევანს და მწარედ ჩაეღიმა. ამის მერე უსწავლია სიმწრისაგან ღიმილი და როცა ყველაზე მეტად უჭირდა, მაშინ იცინოდა. გულს შვება ეძლეოდა. ეს მეტად და მეტად ამძვინვარებდა ოდიშის მთავარს.

ასე იყო, როდესაც პირველი ცოლისაგან ნაყოლი შვილები მოაკვლევინა თავის ჯალათს. იცინოდა გაგიჟებული ჟინით მეორე ცოლისგან გახელებული, თითქოსდა თუ შენი ცოლი სხვასთან გლალატობდა, ეს ბავშვე-



ბი შენი შვილები როგორღა იქნებოდნენო. ჯალათს კი მთელი ცხოვრება შიში ზარავდა:

- ესაო-და ლევანმა ჩემი შვილების მოკვლაც არ მიბრძანოსო, - თვითონვე ჩამოუტანა ამბად სპარსეთიდან ჩამოსულმა, თუ როგორ მოაკვლევინა შააბასმა საყვარელი შვილი სეფი-მირზა ბებუთ-ხანს და გამოგლოვილზე რომ მოითხოვა ბებუთ-ხანისგან მისი შვილის მოკვდინება ერთგვარი შურისძიების სურვილით აღვსილმა. ამ შიში-ანობაში თანდათან დაილია კაცი და გაქრა დედამიწის ზურგიდან. ლევანი სისასტიკეში ვერ გაუტოლდებოდა შააბასს, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდებოდა, ქრისტიანულმა ზნემ ცოტა-ოდენი კეთილშობილება შეარჩინა.

პატრონობდა ტაძარ-მონასტრებს, ხატებს სწირავდა

ილორისა და მარტვილის ეკლესიებს, წიგნებით ამარაგებდა ბერ-მონაზვნებს. ამით სურდა საკუთარ თავში აღმოჩენილი ცოდვების შენდობა ეთხოვა უფლისთვის. თუ ლოცულობდა, ყოველთვის გულმხურვალედ ლოცულობდა, თუ არადა ცუდ კაცობას სჩადიოდა, ან მეზობლებს არბევდა. მისი სისასტიკის, ან მისდამი შიშის წყალობით მომძლავრდა ოდიშის სამთავრო.

ყველაფერს კი მანაც გიორგი სააკაძეს აბრალებდნენ. ოდიშამდეც ჩამოვიდა მოურავის სადღეგრძელო და ყველას გაკვირვება, თვით ლევანისიც. ეს პირველი შეხვედრა იყო და ყველას უკანასკნელი ეგონა.

საგანგებოდ მოუტანეს დადიანს სააკაძის საქართველოდან გაქცევის ამბავი, იქნებ როგორმე დაცხრეს გულმხურვალე მთავრის გული და გიორგისგან ჩაწვეთებული ჭინკები იქნებ თავიდან გაუქრეს ამის შემდგომადლო. უცნაური ღიმილით შეეგება იგი მოურავის გაძევებას.

არც მას ეგონა, თუ მათი გზები ისევ გადაკვეთდნენ ერთმანეთს. მოღალატედ ჩათვლილ მოურავთან ურთიერთობა ერთობ სახიფათო იყო, მაგრამ მისთვის ეს დამლა დაბრკოლებას სულაც არ წარმოადგენდა. ლევანი სპარსეთში იმყოფებოდა, როცა მოურავ-ხანმა ყანდაარი და ბაღდადი მიწასთან გაასწორა. არათუ მტერს, არამედ მოწინააღმდეგეს თავისი ხმლის ძალა აგემა. ამის გამო მთელი სპარსეთი იყო შეძრწუნებული.

დიდი და პატარა,

სტუმარი და მასპინძელი,

შაჰი და ნაზირ-ვეზირები

გაოგნებული საუბრობდნენ გიორგის შეუბრალებლობაზე. შააბასს რომ არ გამოეწვია გიორგი, უთუოდ ამბის გამტანს აღარ დატოვებდა მის მიერ დარბეულ მხარეებში. ამბობდნენ:

- მოურავ-ხანს ცოცხალი არავინ დაუზოგავსო - არც ადამიანი და არც პირუტყვიო.

ლევანმა ჰკითხა უკან მობრუნებულ მხედარმთავარს:

- ნუთუ შააბასის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ასე უნდა გადაგეჭარბებინაო?

თვალი თვალში გაუყრია მოურავს მთავრისთვის, კარგა ხანი პასუხი არ გაუცია, ლევანი კი პასუხს ელოდა და ჯიქურ შესცქეროდა თვალებში მომზირალს. მერე სააკაძემ თავი ასწია, ცას შეხედა და უპასუხა:

- მე შაჰის კეთილგანწყობა ისედაც მიღებული მაქვს და დავალების ზომიერი შესრულებაც საკმარისი იქნებოდა მისი კეთილგანწყობა რომ არ განელებულიყო, მაგრამ...

- აქ ისევ შეხედა გიორგიმ ლევანს, ოდნავ ლმობიერი გამოხედვა ჰქონდა ამ წუთს მოურავ-ხანს, - შაჰიც უნდა შეძრულიყო ამ ამბით, რადგან მანაც უნდა იცოდეს, რომ გიორგი სააკაძესთან ხუმრობა და თამაშობა არ შეიძლება. რამ გამაკეთებინა? ობუზები და ქურთები ქართლის მეფის მამამძუძედ და სუფრაჯად დავსახე. ამიტომ არ გამჭირვებია ამ ბედშავ ხალხზე ჩემი ბოლმის სრულად გადმონთხევა. დაე იქ, საქართველოში ძრწოდეს

შადიდან ბარათაშვილი, რომ მისდა თავსატეხად გიორგი სააკაძე ცოცხალია. იფიქროს და იჯავროს, ამ უილაჯო ხალხს თუ ასე ეპყრობა ჩემი პირადი მტერი, მე რა დღეს დამაყრისო.

სინანული შეატყო მოურავ-ხანმა ოდიშელ ყმაწვილს.

- რატომ მიყურებ ასეო?

- აკი საქართველოს გაერთიანებას მეფიცებოდი სად-ღეგრძელოში?! ნუთუ ყველაფერი იმ სიმთვრალეში ჩარჩაო?

- რისთვის ჩამოსულხარო? - შეუბრუნა კითხვა გიორგიმ. ალაღად უპასუხა ლევანმა:

- შაჰს ძღვენი ჩამოვუტანეო.

- შენც წაგახდინეო? - მწარედ ჩაეღიმა მოურავხანს და ჩაიქნია ხელი.

პასუხიც ამ ხელის ჩაქნევაში ამოიკითხა ლევან დადიანმა და გულწრფელად შერცხვა, ისპაჰანის სასახლეში რომ იმყოფებოდა.

ეს იყო მთავრის უკანასკნელი სირცხვილი, საკუთარი საქციელის გამო რომ განუცლია ოდესმე. ამის მერე ყმაწვილის ისედაც გაუხეშებული სული კაციჭამიად გადაიქცა.

ერთხანს თითქოს უნდოდა ყველაფერში მიებადა დიდი მოურავისთვის. თავისი გულბოროტება ყოფინადა, ახლა სააკაძის გაკვეთილები დაემატა. სპარსეთიდან მობრუნებულს აღარ ეგონა, თუ კიდევ გადაიკვეთებოდა მისი და სააკაძის გზები. მაგრამ ცხოვრება უამრავ გამოცდას უწყობს ადამიანებს და არც ლევანი ყოფილა გამონაკლისი.

მოურავთან მომდევნო შეხვედრა ოდიშის სამთავროში შედგა, როდესაც მარტყოფის შემდეგ მარაბდისთვის თეიმურაზს უხმობდა დიდი მოურავი, რათა ხელმწიფურად გაძლოლოდა ქართველთა ლაშქარს გამარჯვებული. “გამარჯვებული” იმიტომ, რომ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, გამარჯვების მეტი არაფერი იყო დარჩენილი.

ბიძაშვილ-მამიდაშვილი იმხანად ნადირობით ირთობდნენ თავს. თეიმურაზი იმ დროს კახეთიდან გამოძევებული იყო და იმერეთის სამეფოს შეხიზნულიყო და უსაქმობის ჟამს მამიდაშვილს წვეოდა ზუგდიდს. მოურავის ჩამოსვლა ეამათ დამხვდურებს, თუმცა სააკაძის აკაცობის ამბავს ოდიშამდეც ჩამოედღწია. ფრთხილად მოეკიდნენ ამიტომ სტუმარს. ჯარის გაძლოლა სთხოვა მხედარმთავარმა მეფეს, ისევ ლევანში ჩაბუდებულმა ეჭვებმა წამოყვეს თავი და დაურიდებლად ჰკითხა გიორგის:

- აბა, სადღეგრძელოო?

თეიმურაზი ვერ მიხვდა კითხვის არსს. სააკაძემ კი უმალ უპასუხა:

- ახლა ამის დრო არააო.

- მაშ ყანდაარიო?

გიორგიმ ახალადა შეატყო ლევანის ძირეული გარდატეხა. იგი აღარ იყო ის ბავშვი, ოდესღაც რომ მისი სადღეგრძელო შესვა, არც ის ყმაწვილი, ისპაჰანის სასახლეში რომ შესვდა. ახლა მის წინ იდგა ერთიანი საქართველოს მეფობისთვის გამზადებული კაცი, შეიარაღებული სირძნითა და სიმხეცით, ვერავინ და ვერაფერი რომ ვერ

გადაუდგებოდა მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ვერც ეს კახეთიდან გამოგდებული მეფეა. ასე უთხრა გიორგიმ ლევანს თეიმურაზის გასაგონად:

- ნეტა ამის ადგილად შენ ყოფილიყავიო. მთებს გადავდგამდი შენი კეთილდღეობისთვისო. აბა ესენი რა ღირსნი არიან მათთვის თუნდაც ერთი ქართველის სისხლი დაიღვაროსო.

ვერც ახლა მიხვდა ვერაფერს თეიმურაზი, ბეცის ღიმილით შეჭლიმოდა ორ ტიტანს და ალბათ გეგმებს აწყობდა, თუ როგორ დაიბრუნებდა წართმეულ ტახტს მოურავის ხელით. უსუსური ჩანდა ამ ღიმილში ქეთევან დედოფლის შვილი და დავითისა და თამარის ჩამომავალი. ორივემ გახედა ამ მომღიმარს და ლევანმა გესლიანად უთხრა სააკაძეს:

- შეხედე ამას და კარგად დაიხსომე: ამათგან ხეირს ნურასოდეს ელიო.

დასტურის ნიშნად თავი დაუქნია მოურავმა.

- ჯერ გარეშეა მომდგარიო, მერე შინაურს მოვდებოი.

- რომ გააძლიერებ, აღარ დაგინდობენო.

თეიმურაზი მხოლოდ ახალადა მოეგო გონს და ჩაერთო საუბარში. სააკაძემ სთხოვა მეფეს, ახლავეს გადავიდეთ ლიხს და უმეთაურე შეკრებილ ჯარსო. ჯართა რაოდენობა იკითხა, მერე განლაგება. რამდენად შეგვიძლია გავიმარჯვოთო. ამდენი კითხვებით თავგაბუნებულმა მხედარმთავარმა მოკლედ მოუჭრა:

- წამობრძანდით ბანაკს და ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და დავეგემოთო.

- როდის წავიდეთო?

- ახლავეო. - და წავიდნენ.

ლევანი დარწმუნებული იყო, რომ კიდევ ერთხელ მიეცემოდა საშუალება გიორგი სააკაძის ხილვისა, მაგრამ როგორ და რა ვითარებაში, ეს კი არ იცოდა.

ფიქრობდა,

ბევრს ფიქრობდა.

ფიქრები გამძაფრდნენ უსაშველოდ.

მოსვენება დააკარგინა მთავარს ამ აბეზარმა ფიქრებმა.

ძილიც კი გაუკრთა.

სულ ელანდებოდა ძილ-ღვიძილში -

აი, მოდის ომებში სისხლამოსვრილი მხედარი,

მოიჩქარის.

იცის,

იგი ომიდან მოვა,

მხოლოდ ომიდან,

რადგან თვითონ დიდი მოურავი გამხდარიყო ომი.

სხვანაირად ვერ წარმოედგინა ლევანს ეს კაცი. იქნებ აღარც კაცი და მხოლოდ ცხენ-კაცი, დროთა ვითარება ხომ მათ სხეულებს შეადუღებდა, როგორც ცეცხლში გამოწრთობილ ფოლადს. ცხოვრებამ ერთმანეთს დაამყნო ცხენი და გიორგი სააკაძე - ეს ახალი მითოსი ქართული სინამდვილისა. ელანდებოდა კიდევ თოფ-აბჯრიანი მხედარი მისკენ მომავალი. ისეთი უფერული იქნებოდა ეს

ზმანებები, ცხენის ფერი რომ ვერ გაერჩია. უცებ წამოხტებოდა, თავი ომში ეგონებოდა და რა დანახავდა დადიანისეული სასახლის საწოლ დარბაზს, ღრმად ამოიხრებდა და ძილს განაგრძობდა. არ ასვენებდა მანც ხელთავიდან დაძინებულს ფიქრები.

დილით პატრესა და კარის მოძღვარს უამბო თავისი ფორიაქის შესახებ. ორივემ ერთი და იგივე უთხრა - ერთმა იტალიურად,

მეორემ ქართულად,

მაგრამ ნუგეში ვერაფერი. გამოცხადების მეექვსე თავის პირველი რვა ლექსი წაუკითხეს და ბოლოს ჰკითხეს, მოკრძალებულად:

- რომელი მხედართაგანი იქნება თქვენის ბრწყინვალეების თვალსაზრისით, თქვენი უმფოთველობის დამრღვევი? ტანში გააჟრჟოლა ამ წიგნის წაკითხვამ ლევანს და ხმამინაველებულად გაიმეორა აპოკალიპსური სიტყვები: „და აჰა ცხენი მწუხანე, და მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკუდილი...“

- კარგად დაფიქრდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, - მიმართა ერთ-ერთმა მოძღვართაგანმა, - სხვა ხომ არაო? ხელში მისცეს წიგნი და უთხრეს:

- თუ არ გაგვირისხდები, თქვენი წაიკითხეთ და დაფიქრდით, რომელი მხედარი იყო...

ლევანმა ანაზღად წაიკითხა:

„და გამოვიდა სხუაი ცხენი წითელი, და მჯდომარესა მას ზედა მიეცა აღებად მშვიდობაი ქუეყანით, რაითა ერთმანეთი მოსწყვიდონ, და მიეცა მას მახვილი დიდი.“

მცირე ხანს დადუმდა მთავარი, მერე კი დაბეჯითებით თქვა: - ეს ორი მხედარი ერთსა და იგივე საქმეს აკეთებდნო. ამიტომ ვერ გამირჩევია რომელი აპოკალიპსური მხედარი მეზმანება ყოველ ჟამს.

სულიერმა მოძღვრებმა თავისებურად უგალობეს და ულოცეს ლევან დადიანს, უფალს შეავდრეს, სულის მშვიდობა მიანიჭო. საცეცხლურებით უკმეის პადრემაც და დეკანოზმაც.

- ნუ იფიქრებ ბევრო, - უქადაგეს ბოლოს, - მოსასვლელი მანც გვეწვევა, ამიტომ ნუ შფოთავ ნაადრევად.

ეს იყო მთავრის უკანასკნელი შიში, რაც განუცდია თავისი ცხოვრების მანძილზე. ამის მერე შეიქმნა უშიში და უსირცხვილო ლევან დადიანი.

მერმე უკვე უთავო მხედარი ეზმანა. ეს ზმანება აღარც აპოკალიპსში ეწერა თავისი უცნაურობითა და შემადრწუნებლობით. აღარ შემინებია თავწაჭრილი მხედრისა ლევანს. მიუახლოვდა და ჰკითხა:

- ვინა ხარო?

- საქართველოო, - უპასუხა მხედარმა.

- შენი თავი რა იქნაო?

- მე თვითონ შევკამეო.

- ჩემთან რატომ მოხვედიო?

- შენი თავი დამადგი თავზეო, - სთხოვა საქართველომ. ვერ გაბედა საკუთარი თავი მიეცა მხედრისთვის

დადიანს.

- ჩემი თავი მე მჭირდებაო, - მკვახედ უპასუხა ლევანმა საქართველოს.

არაფერი უპასუხა მხედარმა მას, გაწბილებული გაუჩინარდა ღამეულ უსასრულობაში. გამოიღვიძა ლევანმა. ინანა, საკუთარი თავი რომ არ მისცა მხედარს თუნდაც ზმანებაში.

ეს იყო მთავრის უკანასკნელი და საბედისწერო გაუბედაობა. ამის შემდეგ მასში გამბედავი ჩამოყალიბდა.

ერთი ერთმანეთზე მოვიდა ცნობები მარაბდის ბრძოლის შესახებ. ყველა მსტოვარი თავის პატრონს აქებდა და მის მხედარმთავრულ სიბრძნეს მიაწერდა ქართული ლაშქრის ღირსეულ წინააღმდეგობას რიცხობრივად აღმატებულ მტერზე. ყველას თავისებურად ჩამოჰქონდა ამბები და მოვლენათა მსვლელობას თავისებურ ჭრილში ჰყვებოდა. განტევიების ვაცი და ყველა უბედურების სათავე აქაც გამოკვეთეს - დიდი მოურავი.

- აკი ჩამოაცილეს სარდლობას სააკაძე და მისი საბრძოლო გეგმა დაიწუნესო? - ჩააცივებოდა ათასგვარი კითხვებით ოდიშის მთავარი.

- მაინც გიორგი სააკაძეა ყველაფერში დამნაშავეო, - უაზროდ გაიძახოდნენ წინასწარ დასწავლილ სათქმელს მაცნეები, ხოლო როცა მათივე ნაამბობიდან გამომდინარე კითხვებს უსვამდა ლევანი, თავს არიდებდნენ მოპასუხენი პასუხის გაცემას. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალი თავი წამოჩიტილიყო ამ ერთ საბედისწერო ბრძოლაში. საბოლოოდ კი ასე ასკვნიდნენ თავიანთ ნათხრობს:

- აკი შააბასმა თავის სანუკვარ საწადელს ვერ მიადწია და დიდი ზარალი ვაწვნიეთ როგორც ცოცხალ ძალაში, ასევე საბრძოლო აღჭურვილობის თვალსაზრისით. თანაც შემდეგი წინსვლა აბასმა ვეღარ შეძლო და ახლა მცირე-მცირე რაზმეულებით ვებრძვით ტყეს შეფარებულნი. მართალია შაჰმა ტფილისი აიღო, მაგრამ დღე-დღეზე იგი დატოვებს ქალაქს, რადგან აუტანელი პირობები შეუქმენით ირანის ლომსაო. ტფილისი მისთვის ქალაქი კი არა, მარწუხებია და ცდილობს, როგორმე გამოაღწიოს თავი ამ აუტანელი პირობებიდან.

ახალმა და ახალმა მსტოვრებმა ახალი ამბები მოიტანეს:

- შააბასმა ტფილისი დატოვა და კუდამოძუებული გაიქცა საქართველოდან. ახლა შესაფერის დროს ეძებს, რათა ისევ დაგვეხსნას თავს და ჩვენზე გაიმარჯვოსო. ჩვენ კი დღე-ნიადავ ვფხიზლობთო. დიდი მოურავი ისევ შემართულია და ძერა-ქორივით დასტრიალებს ქართულ სამეფოს, მტარვალმა რომ ვერ მოიტაცოს ერთი გოჯი მიწაც.

- თეიმურაზი რასა იქმსო? - იკითხა სხვათაშორისად ოდიშის მთავარმა.

- მეფობსო, - სიამაყით სთქვა მოენემ, - მეფესა და მოურავს შორის სრული თანხმობააო, - დაამატა ნათქვამს,

რადგან მიხვდა, სწორედ ამას შეეკითხებოდა საბოლოოდ მსმენელი.

- მაღლობა ღმერთსო! - კმაყოფილებით ამოთქვა კარის მოძღვარმა.

მერმე ერთ ბნელ ღამეს ოდიშს შემოაჭვნა ცხენი ერთმა უსახურმა მსტოვარმა. მხოლოდ ღამისთევა ითხოვა. შორი გზიდან მოსულს მოსვენება სურდა. არ მოასვენეს, კითხვები ყიზილბაშების ისრებივით დააყარეს. ტუნწად პასუხობდა ყველაფერზე, პასუხების მიხედვითაც ვერ მიხვდებოდი გიორგი სააკაძის მსტოვარი იყო იგი, თუ თეიმურაზ მეფისა. ერთი კი ცხადი იყო, ისევე არიეს მისასვლელი გზები მეფეებსა და სააკაძეს შორის გულ-ღრმოდ თავადებმა. ისევე მოიდრუბლა საქართველოს ცაზე გაერთიანების ზღურბლთან. ყველაფერი ეს ავს მოასწავებდა.

ასეთი ამბები ჩამოუტანეს ლევან დადიანს:

ნოსტეს მამულში მყოფ მოურავთან თურმე ერთ საღამოს მისულა ზურაბ არაგვის ერისთავი და თეიმურაზის შემონათვალე სიტყვა-სიტყვით უთქვამს ცოლის ძმას სიძისთვის. გაბრაზებულია გიორგი, წარბები შეიყარა და ზე-წამოიჭრა:

- როდის იყო სამეფო საქმეებში ვერეოდიო! მე მეფე კი არა, მოურავი ვარო. მეფობა რომ მდომოდა სამალავიდან არ გამოვიზნობოდი იმ უგნურს და ქართლ-კახეთს არ ჩავაბარებდიო.

თურმე ისიც გამორკვეულა:

იმ მეფეუკას ზურაბის ხელით მოურავის მოკვლა ნდომია თურმე. ესეც გამოირკვა მოგვიანებით, მისკენ მოღერილი ხრმალი აიცილა სააკაძემ და განაიარაღა ერისთავი. მშვიდობით გაუშვა სამტროდ მოსული ცოლისძმა სიძემ. სხვა არხებით ისიც გარკვეულა - თეიმურაზი შააბასმა შეაგულიანა, მოკალი გიორგი სააკაძე და მისი თავი გამოვიგზავნეო, სამაგიეროდ კახეთიდან აყრილთ დავაბრუნებ სამშობლოში და მთელს ქართლ-კახეთზე უპირობოდ გაგაბატონებო. თავის მხრივ უხეირომ ზურაბ ერისთავი მოიმხრო:

- მოკალი შენი სიძე და მისი ადგილ-მამულის ბატონ-პატრონად გაგხდო.

დიდმა მოურავმა ზურგში მოქნეული მახვილი სწრაფი მოძრაობით აიცდინა და ამით ააცდინა მაცდურ ოცნების ასრულებას ერთის მხრივ ზურაბ არაგვის ერისთავი, მეორეს მხრივ თეიმურაზ მეფეუკა და მესამეს მხრივ შააბასი.

- ხმაღმა გაგვასწოროსო, - შეუთვალა მეფეუკას განიარაღებული შემოგზავნილი მსტოვრის პირით.

ახლა ორივე მხარე სალაშქროდ ემზადება და ჯარს იკრებსო.

ისიც დაწვრილებით ჩამოვიდა ამბად: ვინ სად რამდენი მოლაშქრე მოაგროვა.

- თეიმურაზმა ორი ათასი კახელს მოუხმო, ზურაბ ერისთავმა სამი ათასი ხუთასი მთიელი ცხენოსანი მისცა

მეწინავედ, ექვსი ათასი ხუთასი მოიერიშე დავით ქსნის ერისთავმა გამოუყვანა მეფეუკას.

- გიორგი სააკაძესო? - ახლა სხვა მოენეს ჰკითხეს. იმანაც ჩამოთვალა:

- ახალციხის ფაშამ ორი ათასი მესხი მოლაშქრე მიჰგვარა მოურავს დავით გურამიშვილის სარდლობით, ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა და ქართლის გამგებელმა სამი ათასი ქართველი გამოუყვანა ქედზე კაცად, იმერეთს ყოფილა გიორგი სააკაძის მსტოვარი. გიორგი მეფეს სთხოვა დახმარება, სამაგიეროდ ქართლ-კახეთში მისი ვაჟის გამეფებას დაჰპირდა და ამით იმედოვნებს ქვეყნის გაერთიანებასო, - დასძინა მსტოვარმა.

- რაო მერე იმერთა მეფე გიორგიმანო? - მწარედ ჩაელიმა ლევან დადიანს და სულ რაღაც ერთი კვირის წინ მასთან საიღუმლოდ წვეულ გიორგი სააკაძესთან შეხვედრა გაახსენდა.

თვალეში ჩახედა ღამის სტუმარმა ღამეულ მასპინძელს და დიდ ხანს უყურა უბრად. ისიც დაჟინებით უცქერდა მოურავს არათუ როგორც მტერს, ან მოყვარეს, არამედ შესაძლო მოკავშირეს ან მოწინააღმდეგეს. მათ ზომ ერთმანეთში არა ჰქონდათ გასაყოფი რა. ბოლოს ჯარი სთხოვა გაუბედავად, იცოდა რა, რომ უარს მიიღებდა არათუ შიშის ან იდეების, არამედ ბიძაშვილ-მამიდაშვილობის გამო. ესეც დასძინა:

- ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ქართლ-კახეთზე გამეფდი და ახალ სამეფო გვარს დაუდე საფუძველიო.

- რატომ შენ არ იზამ ამასო? - ჰკითხა მთავარმა მოურავს.

- მე ბევრი მტერი მყავს და სახელიც შებღალულიაო, შენ ხეირიანად არავინ გიცნობსო.

- ეს რომ გავაკეთო, მე მეყოლება ბევრი მტერი და სახელიც შემებღალეაო. ძმათა კვლით გაერთიანებული საქართველოსი არა მწამს რაო. არათუ თეიმურაზის გამო არ მოგცემ ჯარს, არამედ ქართველთა გამო. დაიხსომე გიორგი, ეს ყველაზე სამარცხვინო ომი იქნება საქართველოს მატთანეში და არ მინდა ამ ომის მონაწილე ვიყო. შენ იცი, გამზრდელ ბიძას გადავუდექი, ცოლი წავართვი და სამარის პირაზე მივიყვანე იგი, არც თეიმურაზის დასამარებისთვის ამიკანკალდება ხელი, მაგრამ არაა ეს კარგი საქმე და გირჩევ შენცა და იმ დოყლაპიასაც ეს ომი არ მოახდინოთო.

გაწბილებული დარჩა გიორგი, მაგრამ არა ნაწყენი. მაღლობა გადაუხდა გულწრფელობისთვის ოდიშის მთავარს და იმავე ღამეს დატოვა სამთავრო.

ამის მერე იყო:

იმერთა მეფეს მიაკითხა დასახმარებლად მაცდუნებელი წინადადებით. ისიც იმერელთა და გურულთა ოთხი ათასიანი ლაშქრის წარგზავნას დაჰპირდა ლიხს გაღმა ალექსანდრე უფლისწულის გამეფების სანაცვლოდ. ამით ქართლ-კახეთის მეფე იმერეთის სამეფოს პირდაპირი მემკვიდრე ხდებოდა. ხელის ერთ გაწვეუნაზე ჩანდა

ქვეყნის გაერთიანება.

ეს იყო მთავრის ცხოვრებაში უკანასკნელი შემთხვევა, როცა მან ომსა და ბრძოლაზე უარი განაცხადა. ამის იქით ლევან დადიანი ხრმალამოწვდილი შეებრძოლება ბაგრატიონებს, შერვაშიძეებს და გურიელებს. ყოველთვის მოგებული დარჩება და არა გამარჯვებული.

თეიმურაზი თურმე მოურავზე იმის გამოც განაწყენებულია, რომ რად დაიჭირე ოსმალეთის სულთანთან კავშირი ჩემი დასტურის გარეშეო. განრისხდა ამის გამო გიორგი სააკაძე. ამის იქით მის წინ ივერიის მთრონცხეული მეფე აღარ იდგა და შეპყვია ბატონკაცურად:

- სულკურთხეული დედაშენის ხათრი და რიდი რომ არ მქონდეს, ახლავე გაგაგდებინებდი თავსაო! ვისთან საიდუმლო კავშირებს მიწუნებ, იქეთ შაბასს ეპირფერები და აქეთ მის ზურგს უკან ძღვენით ავსებ ღორ ერთმორწმუნეებსო, - ცოტა ხნით შეყოვნდა, რუსეთის სახელწოდება ვერ გაიხსენა და მერე ხელი ჩაიქნია. დაუსახელებლად ცხადი იყო ვის გულისხმობდა „ღორ ერთმორწმუნეებსო,“ - სამცხის ათაბაგისა და მისი მეშვეობით ხონთქარის მხარდაჭერით გავწმინდე ასპინძა და მთელი მისი შემოგარენი ყიზილბაშებიდან და შენც რომ მომშველებოდი კახეთზეც გადავიდოდი. შაბასს დედაშენისა და ჩვენი შვილების სისხლს ბაღდადამდ ამოვადენდი ცხვირში, მაგრამ ამას შენს გარეშე გავაკეთებო.

თეიმურაზისთვის არ იყო ცნობილი გიორგი სააკაძის საქმიანობა სამცხეში, თუ რა დიდი სამსტოვრო და საომარი საქმეები მოიმოქმედა მოურავმა და ახლა ამ სვეგამწყვრალი მეფუკას გადაჰქიდა ყველაფერი თუ არა, უმეტესი საქმენი წყალში უნდა ჩაყრილიყო.

- ყველაფერი თავიდან იქნება დასაწყებო, - ფიქრობდა მოურავი. საქართველოს ერთი უდიდესი მტერი სამეფო ტახტზე უზის და სანამ მას არ ჩამოვიცილებთ გზიდან, ქვეყანას არაფერი ეშველებაო. აბასზე არანაკლები მავნებელია იგი საკუთარი მამულისაო და ამიტომ ომში წასვლა მის წინააღმდეგ საღვთო და მამულიშვილურ საქმედ ჩამეთვლებაო.

ამიტომ სამცხიდან მოზიდული ძალა აბასისკენ მიმართული თეიმურაზისკენ შემობრუნა.

ისმენდა ამ ამბებს ლევანი და საკუთარ თავს არ უჯერებდა, როგორ შეიძლებოდა ამდენი სიქველის შემდეგ მოურავი ვინმეს მტრად და მოლაღატედ გამოეცხადებინა. ტაშისკარი რომ დაევიწყოთ, მარტყოფი წინ გვიდევსო, მარაბდის წარუმატებლობა ხომ ამ უბედური შუღლის ბრალი იყო და სხვა არაფრისა. მინდობოდნენ მოურავს ეს უვიცი სარდალუკები და აქაც სამშვიდობოს გავიდოდით. თუმცაღა ისევ სააკაძის წყალობით ვერ ნახა მარაბდით ვერანაირი სარგებელი შაბასსა და იქით მესხეთიც წაავო. შიდა ქართლის ყველა მნიშვნელოვანი ციხე მოურავს ხელში ეჭირა. მთელი კავკასია და წინა აზია სულგანაბული შესცქეროდა ამ ორთაბრძოლას -

შაბასსა და გიორგი სააკაძეს შორის,

არა რომელიმე ქვეყნებს შორის,

არამედ ამ ორ დიდძალოვან და გონებამახვილ ადამიანს შორის, რომლებსაც ემორჩილება ხალხი (ერთს ბევრი, მეორეს - ცოტა). უთანასწორობა იმთავითვე თანასწორია, იმდენად აღმატებულია მოურავ-ხანი მზებრწყინვალე შაჰზე. საკმარისი იქნებოდა ძალთა თანაფარდობა, რომ სპარსეთი გამანადგურებელი საფრთხის წინაშე დადგებოდა უთუოდ.

თეიმურაზები და მისთანები არ იჯერებდნენ, ამიტომ გადაეკიდა თავდაპირველად ლუარსაბი, ახლა თეიმურაზი. შური ლუბავდა ყოველთვის საქართველოს. სამეფო გვარის პოტენციალი და ენერგეტიკა დაკნინდა ამ უთავ-წყამო ბრძოლებში, ერთმანეთთან ქიშპობაში და სულმდაბალ ქვენა გრძნობების დაქვემდებარებაში. არაერთი იყო სისხლის აღრევა მათში - აღმოსავლელი ბაგრატიონი დასავლელს თხოულობდა, ეს უკეთეს შემთხვევაში და ისიც იმიტომ, რომ როგორმე გამხდარიყვნენ დამოყვრებულთა ტახტის მემკვიდრეები და არათუ საქართველოს გაერთიანებისათვის, არამედ საკუთარი გავლენის სფეროების განსავრცობად. ჩვეულებრივი შემთხვევა იყო, ბაგრატიონნი თავიანთ ქვეშევრდომებს თხოულობდნენ და ათხოვებდნენ ქალებს მათზე, რათა გამდგარი დიდ-აზნაურნი ამით მოედრიკათ და მოეთაფლათ. სხვა უკეთესი ვერა მოეფიქრებინათ რა. მეზობელი ქვეყნები აღარ კადრულობდნენ თავიანთი ქალები რძლებად გამოეშვათ ამ საშიშ ქვეყანაში, აქედან არავის სურდა ქალები წაეყვანათ რძლებად, რადგან გაჭირვებულ მოყვარესთან არავის სურდა წილი დაედო; გაჭირვებულ სიძეს ხომ უნდა დახმარებოდნენ ან ფულით, ან ჯარით, ან თავისი გავლენით. სპარსეთთან და ოსმალეთთან კი არავის სურდა გაეფუჭებინა ურთიერთობა თავიანთი, თუნდაც ირიბი ჩარევით. დამოყვრების შემთხვევაში კი ვალდებულნიც იყვნენ ჩარეულიყვნენ თავიანთი მოყვრების შიდა საქმეებში.

ამიტომ

სისხლი გახუნდა ბაგრატივანთა,

გული დაბერდა და

გონება დაჩლუნგდა.

ერთხელ ნადირობისას ლევანს შეესიტყვა ანტონიო ჯარდინა:

- დროა ივერიამ სამეფო გვარის გამოცვლაზე იფიქროსო.

- ვინმემ არ გაიგოს, თორემ შეთქმულებას დამწამებნო, - თავისთვის ჩაილაპარაკა ლევანმა. მერე სტუმარს ნაძალადევი თავაზიანობით მიმართა:

- რასა ბრძანებთ, პადრე, ბაგრატიონნი ხომ ღვთით კურთხეული გვარია, თავად დავით მეფსალმუნის ჩამომავალნიო. სხვა რომ არა იყოს რა, ბაგრატიონი დედა იყო ჩემი სულკურთხეული ნესტან-დარეჯანი, ასული კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა.

ცალყბად ჩაეცინა მთავრის ნათქვამზე პადრეს და იცოდა რა ლევანის პატივმოყვარეობის ამბავი, დარწმუნე-

ბული იყო, არ შერისხავდა ამის გამო მასპინძელი სტუმარს, ისეთი კუთხიდან დაანახებდა სინამდვილეს, რომ არ ეფიქრა, მაგულიანებს ეს ოხერიო, არადა, არც უამისობა უნდა ყოფილიყო, და უთხრა:

- არავინ დავობს ამაზე, ჩემო კეთილო ლევან-ბატონო, მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ახალი, ან, ასე ვთქვათ, ახლებური გონებაა საჭირო სამეფო ტახტზე. ივერიამ თავისი მოქმედებანი უნდა შესცვალოს, მტერს ეს ძველი თქვენეული სვლები კარგადა აქვს შესწავლილი და თვითონ ახლებურ ცბიერ თამაშს გთავაზობთ. თქვენ კი ვერაფერი დაუპირისპირეთ მათ შესაფერისი და საპირ-წონე. თქვენს საწიგნეში გავეცანი ყდაშემოცლილი ბაგრა-ტოვანთა ცხოვრებას. ვერ შემოგკადრებთ, ლევან-ბატონო, მიაბიტი ბრძანდები-თქო, ბევრი რამ მსმენია თქვენი გონებაგამჭრიახობის შესახებ და პირადადაც ბევრჯერ დავრწმუნებულვარ თქვენთან ურთიერთობისას ამაში, მაგრამ რატომღაც ამ საკითხს მაინცა და მაინც მიაბიტურად უმზერო...

წარბები შეიყარა გოროზმა ოდიშელმა.

- რაებს რომავს ეს გადაღეშილი გადამთიელიო.

ცალი წარბი ზე-აწია, აწეული წარბის მხარეს ნერვიულად უღვაში შეათამაშა, ჩამოღუშული წარბიდან გახედა პადრეს და ჰკითხა:

- როგორ გავიგო თქვენი ნათქვამი, პადრე ანტონიო? სიბრაზისგან ხრმლის ვადას მოუჭირა ხელი.

საყოველთაო უხერხულობა ჩამოწვა დარბაზში, სახეზე გაფითრდნენ დანარჩენი თიატიანელები პადრენი. იმასაც ფიქრობდნენ:

- როგორ დაიძვრენს თავს პადრე ანტონიო.

არადა, მისმა სრულიად უმფოთველმა მზერამ და სიბეჯითემ ცოტა ფერზე მოიყვანა იტალიელები. მიხვდნენ, მკვანხედ მოტრიალე სათქმელის დასრულების შემდეგ ნათელი გახდებოდა დაუსრულებელი აზრის არსი, ასე ბუნდოვნად და შეურაცხყოფლად რომ ჩანდა თავქარიანი დადიანის ცხვირწინ წამოსროლილი.

- ახლავს აგისნით, - მშვიდად განაგრძო თხრობა პადრემ, ისე, თითქოს არც ჩამოვარდნილიყო არანაირი უხერხულობა, ან არადა თავად ვერ გრძნობდა ამას, - ვინც ამ ტახტზე დაჯდება, სწორედ ის გახდება მეფსალმუნე დავითის შთამომავალიო. უბრალოდ, ამ წიგნში ერთი უმნიშვნელო ცვლილება შევა - მეთაურ გვარს ჩაანაცვლებს ახალი მეთაური გვარი და ღვთივკურთხეულობაც მათზე გადავა. გადახედეთ ირგვლივ სახელმწიფოებს - რამდენი დინასტია გამოიცვალა სპარსეთმა, ბიზანტიამ, ფრანგებმა... და ვინ იცის კიდევ ვინ არა... თვით რუსეთში სულ ახლახან შეიცვალა დინასტია. ამ შეცვლას, მართალია, მრავალი ომი და სისხლისღვრა მოჰყვა, მაგრამ იმ გიჟმა ივანემ ამოწურა თავისი საგვარეულოს ყოველი შესაძლებლობა. ახლა ახალი გონება დაეუფლა რუსეთს, უფრო ხალასი და ნორჩი. ღვთივკურთხეულობისა და მირონცხებულობის მაღლს ყველა ახა-

ლი დინასტია მეძვიდროებით იღებს, თუნდაც ის წარმოშობით მდაბიო იყოს... ასეა, ჩემო კეთილო ლევან-ბატონო.

სახე გაეხსნა ლევანს, იღუმალ ჩასწვდა პადრეს ქარაგმული ნათქვამის არსს და გაიბადრა. სრულ ღუმილში ლევანის მრავალმნიშვნელოვანი ჩაცინება გამოიკვეთა. ვერავინ მიხვდა,

ჭკუაში დაუჯდა მას ეს მოაზრება, თუ არა,

გაუხარდა, თუ ეწყინა,

მაგრამ ერთს კი მიხვდნენ, რომ

წყენამ გადაუარა.

მერე ატრიალ-დატრიალდა ახალგაზრდა თავში ჩაწვეთებული ამპარტავნობის ჭია. უცნაურად შეიშშშუნა, ორივე უღვაში გადაისწორა ხელების ნელი მოძრაობით და უღვაშებში ჩამალული ეშმაკური ღიმილით მიმართა პადრეს:

- რახან ასე დაკვირვებული ყოფილხარ, ღირსო მამაო, ჩვენს აწინდელ და წარსულ ყოფა-ცხოვრებაზე, იქნებ ისიც გაგვიძხილოთ გულწრფელად, ვინ გეგულება დღევანდელ საქართველოში ახალი დინასტიის მოთავედ? ვინ ჩაანაცვლებს ბაგრატოვანთა უძველეს სამეფო გვარს?

თამამად და პირუთენელად უპასუხა თითქმის დაუფიქრებლად პადრე ანტონიომ:

- ლიხს იქით ქართლის მოურავი, ლიხს აქეთ ოდიშის მთავარიო.

პასუხმა ნირი უცვალა ლევან დადიანს. აქამომდე თუ შეპარული ირონიით ესაუბრებოდა სტუმარს, ახლა ის მაცდური ღიმილიც გაქრა სახიდან. ლევანი ამ პასუხმა დაარწმუნა, რომ პადრე სულაც არ ხუმრობდა და არც ისე წაკიდებული ჰქონდა ბახუსი. იმაშიც დარწმუნდა მთავარი, რომ რამდენიმე წუთის წინანდელი დამაბულობა არც კი უგრძენია პადრეს, ისე თავისუფლად და დაუბრკოლებლად ჩამოაყალიბა თავისი აზრი.

- იქნებ ესეც მითხრა, მოძღვარო, - ლევანის ხმაში ახლა რკინისებურმა სიმკვეთრემ იჭარბა, - რატომ ის და მე; და რატომ ის იქ და მე - აქ?

ისევე აუღელვებლად და უმფოთველად პასუხობდა პადრე: - ბუნებრივია, მთავარო, ამ ბოლო ორ საუკუნეში სააკაძეზე მეტად არავინ გამოკვეთილა მსოფლიო თვალსაწიერში ქართველთაგან, არც ერთი თქვენი მეფე, არც ერთი თქვენი მთავარიო. იგი ყველას ებრძვის მეფეებს, შაჰებს, თავადებს. შლეგი ხალხი ხართ ქართველები - ეს გამხეცვებული დევ-კაცი საკუთარ თავს რომ შემოამტერეთ. მიგეცათ მიმართულება და კალაპოტი და ისიც თქვენდა სასიკეთოდ იმოღვაწებდა ღიად და დაუფარავად შაჰებისა და ფადიშაჰების საზიანოდ. დავითი გყავდათ ერთი ასეთი, ზღვიდან ზღვამდე რომ გაჩუქათ საქართველო... ბედი მისი და თქვენი, რომ იგი მეფე იყო და მან წარმართა მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი ღვთივკურთხეულობითა და მირონცხებულობით. სამაგიეროდ საბედისწერო აღმოჩნდა სააკაძისთვისაც და თქვენთვისაც, იგი რომ მეფე არაა. ოღონდ ესაა, რომ შენ შენი სამბრძანებლო

გაქვს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ბევრს მოასწრებ ქვეყნად. ისე კი კარგად დაკვირვებულვარ როგორ მინდობით უყურებდი მოურავს შენთან სტუმრობისას და ისიც არ ყოფილა გულგრილი შენს მიმართ. მამა-შვილურად გიყურებდა, არათუ შურით, ან ქვენა გრძნობით, ხარბად გისმენდა შინაგანი დაძაბულობით და თითქოს ამოყვირება უნდოდა „გაუმარჯოს ლევან მეფესაო!“ ამას ვგრძნობდი მის თვალელებში. ცოტაც, ცოტაც და მართლაც ამოხეთქავდა მისი გულიდან იძულებით დაოკებული ზვირთი და ტალღა გრძნობებისა.

სხვა მხრით შეუბრუნა კითხვა ლევანმა:

- აბა, თეიმურაზი? სვიმონი? იმერთა მეფე გიორგი? გაეღიმა პადრეს და შეაწყვეტინა მეფეთა სახელების ჩამოთვლა.

- და სხვანი... და სხვანი... სხვანი - სხვანია, ბევრნი არიან ღირსეულნიც და უღირსნიც, შარვაშიძეებიც ბევრნი არიან, დადემქელიანებიც, გურულებიც, ხოლო გიორგი სააკაძე და ლევან დადიანი მხოლოდ ერთნი არიან, რომელთაც არ გააჩნიათ სადარნი, თუნდაც მეფეები იყვნენ ისინი და თუნდაც მთავრები. მერწმუნე, ჩემო კეთილო ლევან-ბატონო, სააკაძეებიც ბევრნი ყოფილან და მომავალშიც ბევრნი იქნებიან და დადიანებიც, თუნდაც ერთ გვარში არაერთი გიორგი დაიბადოს სააკაძე და მეორე გვარშიც არაერთი ლევან დადიანი, მათ ნუმერაცია განსაზღვრავს მხოლოდ. ეს ის გიორგი სააკაძეა ერთადერთი და ის ლევან დადიანიც ერთადერთი, რომელთაც ჭეშმარიტად დაშენდებოდათ საქართველოს სამეფო გვირგვინი. ღმერთმანი, არ გეპირფერებო.

- მაშ, მე და გიორგი, არა?!

- ასეაო, - დაუდასტურა პადრემ და თანაც დაუმატა ნათქვამს, - სხვა დროში რომ დაიბადოს სააკაძეებში ვინმე გიორგი და დადიანებში ვინმე ლევანი, მათ თქვენი დამლა გაჰყვებათ სამუდამოდ და საკუთარ სახელს ვერ დაიშვილებენ ვერასგზით. ისინი მუდამ განწირულნი იქნებიან ლევან დადიანისა და გიორგი სააკაძის ჩრდილისთვის, თქვენზე მეტადაც რომ გაუმართლოს ბედმა იმ თქვენს შორეულ შთამომავალთ.

ახლა გამომცდელად ჰკითხა ლევანმა ისე, მხოლოდ პირუთვნელ პასუხს რომ მოთხოვს კითხვა, სხვა პასუხები რომ თვალნათლივ გამოიასკარავებს თავს არაგულწრფელობითა და პირფერობით...

და ჰკითხა:

- ახლა ესეც დამიზუსტე, ღირსო მამაო, რა გააჩნია ერთს, რაც არ გააჩნია მეორეს და რა არ გააჩნია ერთს, რაც გააჩნია მეორეს. ქვეყანა ერთია, ტახტიც - ერთი, ასე იყო ოდითგან და არა ისე, როგორც ახლაა. ამ ტახტზე ორი ვერ დაჯდება, დადიანი თუ სააკაძე საბოლოოდ, და რატომ?

პადრე არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

- მოურავს სურვილი აქვს ქვეყნის გაერთიანების, ძალაც შესწევს საამისოდ, მაგრამ არ გააჩნია ხელმწიფე-

ბა, რათა წარუძღვეს ერს. დადიანს არ უფიქრია ქვეყნის გაერთიანებაზე, ძალაც არ გაუწვრთნია საამისოდ, მაგრამ გააჩნია ხელმწიფეობა ქვეყნის გაძლიერების. სააკაძის უკან წლებია, გამოწვრთნილია მისი ხასიათი ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ბნელ თამაშებში. იგი ომია და არა მშვიდობა, შენ მშვიდობა ხარ და არა ომი, ჯერ-ჯერობით მაინც. შენი ხასიათი იწვრთნება და ჯერაც არ გადმოღებულა ქურადან. შენ რომ ომი გახდები, არავინ იცის როგორ შეითავსებ საკუთარ ცნობიერებაში ომსა და მშვიდობას. სააკაძემ იმთავითვე დათრგუნა საკუთარ თავში მშვიდობა. როცა ლაპარაკობს, მაშინაც კი იბრძვის და ომობს. შენ ოქროს შუალედი ხარ ომსა და მშვიდობას შორის... და ამიტომ შენ და მხოლოდ შენ და სხვა არავინ.

ასე დაასრულა პადრემ სიტყვა. ყველას კი ეგონა, რომ გრძელზე უგრძელესი იქნებოდა და ბრტყელ-ბრტყელი ქება-დიდებათ აღსავსე. მან კი საქმიანად ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი... და ეს არ იყო მარტოდენ ყალბი ხოტბა, ეს იყო ნამდვილი სურათის ჩვენება.

ვერ ვიტყვი, ესამოვნა ლევან დადიანს პადრეს სიტყვებით, ან ნაწყენი დარჩა მაინც და მაინც, ან იმედგაცრუებულიო.

არც მოულოდნელობით გამოწვეული გაოცება გამოუწვევია ლევანში. ერთი კია, რომ ამის შემდეგ განსაკუთრებული პატივი დაიმსახურა ლათინურმა ეკლესიამ ოდიშის მთავრისგან ყველა ქართველ მეფე-მთავრებს შორის. არნახულ განცხრომაში ჰყავდა თავისი ძვირფასი სტუმრები -

თავის ოჯახს,

თავის სიმდიდრეს,

თავის ავლა-დიდებას,

ბოლოს და ბოლოს თავის ტახტსაც მისიონერებს უტოვებდა საომრად გამზადებული,

ან სადმე შორს მიმავალი.

მისი არყოფნის ჟამს ვერავინ გადადიოდა პადრეების ბრძანებებს, უფრო გულმოდგინედაც ასრულებდნენ მათ, ვიდრე თვით მრისხანე მთავრისას. ყველამ იცოდა ოდიშში:

რომ დაეხებლებინა ისინი რომელიმე კათოლიკე მისიონერს თავისი ბრძანებების შეუსრულებლობის გამო, სასტიკი ლევანი გაცილებით მკაცრად დასჯიდა მათ, ვიდრე თავისი ბრძანების შეუსრულებლობისათვის. ხალხიც ლათინებთან გარბოდნენ ძღვენითა და მოსაკითხავებით, რათა მათ და სწორედ მათ ემუშადგომლათ ლევანთან შემწეობისათვის ამა თუ იმ გასაჭირში. არ დარჩენილა სამთავროში კუთხე-კუნჭული, რომლის ქონება არ სცოდნოდათ მისიონერებს. ზოგიერთი აბარებდა კიდევ მათ ამ ქონებას განსაკარგავად, ანდერძებსაც მათ უწერდნენ დასამოწმებლად. ყოფილა შემთხვევები, როცა პადრეების რჩევით ანდერძში ესა თუ ის პირობა შეუცვლიათ მონადერძებს ერთი შვილის საზიანოდ და მეორის სასარგებლოდ, ან უკეთეს შემთხვევაში ყველა შვილის

სასარგებლოდ და უარეს შემთხვევაში ყველა შვილის საზიანოდ. ამ უკანასკნელს პადრები

ან ქვენა გრძნობით სჩადიოდნენ,

ან მთავრის სურვილიდან გამომდინარე,

ან მონაქრთამევის ანგარიშით.

სუფრიანობის დროს, დიდი იყო ის თუ მცირე, პადრებს ყოველთვის დედოფალთან და მის მსლებელ ქალბატონებთან სვამდა ლევანი. ამით ხაზს უსვამდა მათთან სიახლოვეს. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპის მხარდაჭერა მოეპოვებინა ოდიშს, ყველაზე ახლოს რომ იმყოფებოდა მსოფლიო გულისძგერასთან და ამ გულისძგერის ტალღებს თვალნათლივ რომ შეეგრძნობდა სისხლ-ხორცეულად ლევანი.

დანარჩენ საქართველოებში ასე საღად არ უყურებდნენ ევროპას, ოდენ რუსეთი იყო მათთვის ხსნის ერთადერთი გზა თანამორწმუნეების ძარღვით შეკავშირებული. რუსეთს ლევანიც უწევდა ანგარიშს, ოღონდ ალმაცერად უყურებდა მაინც, რადგან მის სიახლოვეს უნით შეკრული ძალა და ძალმომრეობა იდგა. კარგად იცოდა პონტიფიკოსის სიტყვის ძალა, საუკუნეების განმავლობაში თუ როგორი გულმოდგინებით არბევდა სარაცილებს წმინდა მიწაზე...

თუ ყველაფერს ისეთი გულმოდგინებით გააკეთებს, რომ ნუნციუსთა მთელმა ამაღამ გული მოუფონა პაპს, საჭიროების შემთხვევაში პაპის დამახილზე მთელი ევროპა დარაჯად დაუდგება ოდიშს, და შეიძლება სრულიად საქართველოსაც. ამიტომ ყველაფერს ისე გააკეთებს ლევანი, როგორც საჭიროა და არა ისე, როგორც ამას თვლის იგი საჭიროდ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ნუნციუსები სიხარულით წერდნენ პაპს:

„ოდიშის მთავარმა „არასწორად“ მონათვლის გამო თავი ხელმეორედ „ჭეშმარიტად“ მოინათლა და მასთან ერთად თავისი ღრმად მორწმუნე ერიც ლათინურადვე მონათლაო. ოდიში არათუ უნიაში შევიდა რომის წმიდა ეკლესიასთან, არამედ სრულად გადავიდა ლათინურ წესზეო. ჩვენი მიზანიც ეს არისო. ლევან მეფეს ჩვენი კონგრეგაციის წევრები თავისი სამთავროს მფარველ ანგელოზებად მიაჩნიაო.“

თავიანთ წერილებში ნუნციუსები ოდიშის მთავარს სავლესა და კონსტანტინე კეისარს ადარებდნენ და დასძენდნენ:

„სხვას არაფერს ხედავს, თვინიერ რომის სარწმუნოებისაო და სხვას არაფერს ნატრობს, თუ არ პონტიფიკოსის ნახვასაო, რათა მის ფერხთ ემთხვიოს და მის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც უკვე მიიღო პატრე არქანჯელო ლამბერტის ხელითაო.“

გონებაში ეცინებოდა ლევანს, მაგრამ სინამდვილეში სასაცილო არაფერი იყო ამაში - თვალს უხვევდნენ ერთმანეთს:

ლევანი - კონგრეგაციას და

კონგრეგაცია ლევანს.

ლევანმა:

- აი, ხომ ხედავთო, უმწვერვალესი თავი ჩემის სამფლობელოსი გავაკათოლიკეო და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში როგორც ერთმორწმუნემ ჯვაროსნული ლაშქრობით უნდა მომეშველოთო.

კონგრეგაციამ:

- კიო, კარგია ლათინურად რომ მოექცეო, ახლა შენს საფიქრალს ჩვენ ვიფიქრებთო.

პაპმა ამის პასუხად ბულა აფრინა ოდიშს:

- პროპაგანდის კოლლეგია დაგაარსე და ჩემის სამწყვსოდან ყველა აგზავნის ყმაწვილებს სასწავლებლადაო.

პირდაპირ არ უთქვამს ოდიშის მთავრისთვის შენც წარმოაგზავნე შენი სამთავროდან მოწაფეებიო, რადგან შენც ჩვენი სარწმუნოების ერთი მრევლთაგანი ხარო, მაგრამ ამ წერილში ეს იგულისხმებოდა.

პატრეებმა ურჩიეს ლევანს საპასუხო წიგნი მიეწერა პაპისთვის და რომს წარეგზავნა ყმაწვილები. თანაც, პაპის შესაფერისი პატივის გამოსახატავად სარწმუნო კაციც გაეგზავნა და მას მიერთმია პაპისთვის საპასუხო წიგნი. პატრეები ფიქრობდნენ ვიღაც ოდიშელს გამოძებნის ლევანიო, მან კი ეს მისსია ისევ იოსებ ჯუდიჩის დაავალა:

- შენზე უკეთესს ვერავის ვიპოვი ჩემს სამფლობელოშიო, - დასძინა.

რით გადაერწმუნებინა ლევანი პატრეს, არ იცოდა. რალაც მიზეზები უთხრა, თავი მოიავადმყოფა, მაგრამ დადიანი მტკიცე იყო თავის გადაწყვეტილებაში და იჭკნეულად შეეკითხა:

- რაო, ღირსო მამაო, პაპთან წასვლას თაკილობ, თუო?

ეს უკვე მეტის-მეტი იყო და უხმოდ დათანხმდა პატრე იოსები მისთვის მონიჭებულ მისსიას. არადა, ლევანისთვის არ უნდოდა გაემხილა, მის ნაცვლად ვინმე ოდიშელი დიდებული რომ ყოფილიყო, იქ, რომში ტვინს საფუძვლიანად გადაურეცხავდნენ და ასე ტვინგადარეცხილი დაბრუნდებოდა სამშობლოში.

ლევანმაც იცოდა ეს და ამიტომ მოხერხებულად და შეფარვით აარიდა თავისიანნი ტვინის გადარეცხვებს. აქაც კმაროდნენ ტვინგადარეცხილები, ახლა იქედანაც რომ არ დამატებოდნენ. ხაზგასმითაც მიანიშნა მისსიონერებს:

- თქვენი მოიმედე ვარ ამ საქმეშიო, - სხვა ქვენა აზრები რომ არ დატრიალებულიყო მათ თავებში. ყმაწვილებიც გაუგზავნა, ერთი და ორი კი არა, რამდენიმე - არაერთი და არაორი. იფიქრა:

- ამათ მაინც ნახონ ეუროპა და რალაც მაინც ისწავლონო.

ეს ყველაფერი მერე და მერე მოხდა.

მანამდე კი:

ქართველთა ორი დაჯგუფება სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს. ატალახებულიყო შემოდგმის წვიმებისგან მთელი საქართველო. კაცი არ დარჩე-




ეს შენი ტელევიზიაა

TVOYO

www.tvoyo.tv

საუკეთესო ხარისხი ფასად

- 
160 არხზე მეტი
- 
HD ხარისხი
- 
გადახვევა არტევი
- 
ინტელექტუალური მენუ
- 
მსოფლიოს წებამიერ სერტიფიკატი
- 
ვიდეოთეკა



<p>1 წელი ყოველთვიური გადახდა 25 \$</p>	<p>1 თვე წინასწარი გადახდა 30 \$</p>	<p>6 თვე წინასწარი გადახდა 120 \$</p>	<p>1 წელი წინასწარი გადახდა 215 \$</p>
<p>+45\$ STB სულ 95\$</p>	<p>+45\$ STB სულ 75\$</p>	<p>+30\$ STB სულ 150\$</p>	<p>+25\$ STB სულ 240\$</p>

პირველი და ბოლო თვე

საუკეთესო ხარისხი ფასად



24 საათიანი მომსახურება

1 800 563 7705
1 347 462 1924
1 347 748 0459

ნილა ცხენთა თქარა-თქურისგან გამოსროლილი ტალახი რომ არ მოხვედროდა, არ დასვრილიყო და არ გასვრილიყო.

ერთი ლევანი დარჩა სუფთა ამ უბედურ შემოდევს. იჯდა თავის სასახლეში და ნაღვლიანად უყურებდა მოღრუბლულ ცას, თუ როგორ აუფერულებდა გარემოსა და გარემოებას ჩამოწოლილი ღრუბელი და თქეში წვიმისა. იმ წლის შემოდევმა ხასიათი გაუფუჭა ყმაწვილკაცს. ეს იყო მთავრის ყველაზე ხანგრძლივი დრო, ერთსა და იმავე ადგილას ორ-სამ დღეზე მეტ ხანს რომ გაჩერდა, თითქმის მთელი თვე, ვიდრემდე შიკრიკები არ ჩამოუვიდა ქართლიდან და არ ამცნეს მას ბაზალეთის ომის ბედ-იღბალი. ამის მერე ლევან დადიანი ორ-სამ დღეზე მეტ ხანს ერთ ადგილას არასოდეს გაჩერებულა,

სულ მიმოდიოდა სადღაც,

სულ ომობდა,

სულ შრომობდა,

სულ ავკაცობდა და

სულ კაი-კაცობდა.

რა შეიტყო ლევანმა ბაზალეთის ამბები, ზეწამოიჭრა:
- ცხენი მომგვარეთო! - დაიყვირა.

გადაიკვა თორი და გარეთ გავარდა. შემოახტა ცხენს და თავსხმა წვიმაში იმ ღამის-პირს გავარდა სასახლიდან. არავინ იცოდა სად წავიდა, შიშით არავინ გაჰყვოლია თან.

გარბოდა თავაწყვეტით ცხენი,

სად,

ვერ ხედავდა,

მხოლოდ ფეხები გრძნობდნენ მიწის სიმაგრეს.

მიწას დანდობოდა ცხოველი,

კაცი - ცხოველს.

ნისლი თვალსაწიერს აწმობდა, მაგრამ რაღაც მანძილზე თეთრონი შენიშნა. ძნელი სათქმელია კაცმა შეამჩნია თუ ცხენმა. მოჩვენებას ჰგავდა ეს ხილვა. მხედარმა მისკენ მიაგლო ცხენი.

ნელ-ნელა მიუახლოვდა ჩვენებას, თითქოს ეშინიაო, ისეთი ნაბიჯი ჰქონდა. მხედარი აძალებდა ნაბიჯის გადადგმას. ცხენსაც არ უნდოდა მისვლა ხილვასთან სიახლოვეს, თითქოს რაღაც სიმძიმე ჩამოაწვა ფეხებზეო.

იელვა და წამიერად განათდა ყველაფერი. თეთრონი სისხლში იყო შეღებილი და წვიმა რეცხავდა სისხლს მისი სხეულიდან. თეთრონი თრთოდა. მხედარს შავი მოსასხამი ეცვა, ოღონდ ესაა, რომ თავი არ უჩანდა. თეთრონი იდგა და მისკენ მიმავალ მხედარს უყურებდა.

ლევანს შესცივდა. ახლალა მიხვდა, ამინდის შეუფერებლად რომ ეცვა.

ისევ იელვა და საზარლად დაიგრუნუნა ზეცამ, თითქოს ეს-ესაა არმაგედონის ზღუდეებთან ანგელოსთა და ეშმაკეულთა დასნი შებმანი ერთმანეთსაო.

ლევანმა ამ წამიერ გაელვებაში დაინახა, რომ მხედარი უთავო იყო. ამიტომ გამოლაპარაკება არ უცდია მასთან, ახლოს მივიდა მასთან, შემოუარა ირგვლივ დაჩეხილ-

დაგლეჯილ სხეულს. ეს მისი სისხლი ეღვრებოდა სხეულზე თეთრონს. უთავო მხედარს ხრმალი ვადაში გადატეხოდა. ხრმალის ერთი ნაწილი ერთ ხელში ეჭირა, მეორე, ორლესული ნაწილი კი - მეორეში. ამის მნახველი იფიქრებდა, ხრმალი თვითონვე გადატეხაო. საკვირველება ის იყო, რომ უთავო მხედარს მტკიცედ ეჭირა ხრმალის ორივე ნაწილი ორთავ ხელში და ასევე ცხენის აღვირსაც მართავდა.

ამის შემხედვარე ლევანი მიხვდა, რომ მხედარი მკვდარი არა ყოფილა. იმაშიც დარწმუნდა, რომ იგი ბაზალეთიდან მოდიოდა. მხოლოდ ეს ვერ აეხსნა, რატომ გამოვიდა თვითონ ასე გადარეულივით სასახლიდან. ნუ-თუ ამასთან შესახვედრად?

და ვინ იყო ნეტა ის -

მოურავი თუ მეფე,

ან რომელი მათგანის მომხრე?

შეკითხვას აზრი არა ჰქონდა, დარწმუნებული იყო, პასუხს ვერ მიიღებდა უთავობის გამო, მაგრამ მაინც ყასიდად იკითხა, იქნებ უპირანია ვთქვა - საკუთარ თავს შეეკითხა, რათა გამოეცნო მხედარის ვინაობა:

- ვინა ხარ შენო?

თავს რას ჩაქინდრავდა უთავო, მაგრამ თქვა, თავჩაქინდრულის შთაბეჭდილებას რომ ქმნიდა:

- საქართველოო...

პასუხი მოულოდნელი არ ყოფილა ლევანისათვის, დაახლოებით რაღაც ასეთ პასუხს ელოდა, მაგრამ არა ასე სრულყოფილს.

- ეს რა დაგმართესო! - სინანულით ჩაილაპარაკა თავიანმა მხედარმა.

- „რა დაგმართეს“ არა, „რა დავიმართეთ“, ასე უფრო სწორია კითხვის დასმაო, - შეუსწორა ნათქვამი უთავომ თავიანს.

ლევანი ცდილობდა გაერკვია, ხმაში სინანული ისმოდა, სიბრაზე, იმედგაცრუება, მოწოდება თუ კიდევ სხვა რამ.

ვერ გაარკვია,

ვერ მიხვდა,

ვერ დაადგინა.

ყველაფერს ჰგავდა და არაფერს არ ჰგავდა საქართველო. გრძნობდა, მთავრის თავში რაც ტრიალებდა, ამიტომ თვითონ დაეხმარა მას და ამ დახმარებაში უფრო დააბნია იგი:

- ამას თავით ვერ განსაზღვრავ, გული უნდა მომაპყრო და შენი სისხლი და ძარღვები ჩემსაში გაატარო. მერე ჩემი ტკივილი შენ გადმოგეცემა. თხემით ტერფამდის რომ გაიჟღინთები ჩემით, მერე მიხვდები, რაც უნდა მოიმოქმედო, გონებაც მხოლოდ მერე ამუშავდებაო.

არაფერი უპასუხა ლევანმა, მხოლოდ უმზერდა უთავო მხედარს და ფიქრიც შეწყვიტა. ერთიანად დაიცალა ყველანაირი გრძნობებისგან, თითქოს სხეულში არ დაუტოვეს არანაირი საარსებო ორგანო და მხოლოდ უსაზმანოდ დაჰქროდა მასში სული არსობისა, ან სულაც ქარი,

ახლა რომ სუნთქვის საშუალებას არ იძლეოდა.

თავის სიმძიმესაც ვერ გრძნობს, ისეა დაცლილი ყველაფრისგან და მოძრაობის სურვილიც არა აქვს. საქართველომ კი ისევ უთხრა მდუმარეს:

- შენ რომ მე მგრძობდე, უპირველესად სინდისი შეგაწუხებდა, არა პირადად შენს გამო, არამედ ქართველობისათვის. მერმე კი ეს სინდისი ტკივილში გადაიზრდებოდა.

ძლივს ამოილულულა ლევანმა:

- ჩემგან რას ითხოვ?

დაუფიქრებლად უპასუხა უთავო მხედარმა:

- დამადგით თავი სათავეშიო.

კარგად ვერ ჩასწვდა ამ ქარაგმას თავიანი მხედარი, მაგრამ ირიბულად მიხვდა, რომ საქართველო სახელმწიფოებრივ სათავეებზე მიაწინებდა, ხოლო ვის თავს ისურვებდა უთავო მხედარი, ეს არ დაუზუსტებია.

- იქნებ გაუხედნავ გიჟმაჟ რაშსავით გადარიო ჩემს მიერ მოწოდებული თავი და ისიც გადაავლო?

- რასაც შემომთავაზებთ, არაფერს ვაგდებ. ეს თქვენ არ შეგიძლიათ თავობა გაწიოთ, უთაური თავები ხართ, და მიტომო.

- ჩემთან რატომ მოხვედით?

- მე მარტო შენთან არ მოვსულვარო. მე შენთანაც მოვედიო.

- და რატომო?

- მხოლოდ იმიტომ, რომ დამადგათ თავი სათავეშიო.

ესა თქვა, მოაბრუნა თავისი ცხენი და წვიმისა, ნისლისა და საღამოს სიმორში გაუჩინარდა.

ლევანისთვის არ იყო მოულოდნელი უთავო მხედრის ცხადება, მაგრამ ერთი რამ არ იცოდა და ვერც გაერკვია,

სიზმარი იყო ეს თუ ხილვა,

წინასწარმეტყველება თუ გაფრთხილება.

უკან გაბრუნებულმა რამლის ჩხრეკა დაიწყო. სახიერო ვერა გაიგო რა. დამაბულობა ერთგვარ აზარტში გადაიზარდა, აზარტი კი გართობაში. ასე თამამ-თამამში გადაიარა ზამთარმა. გაზაფხულის პირზე ნადირობას და მცირე ლაშქრობას მიჰყო ხელი, წაეკინკლავა მეზობლებს. ძალა მოსინჯა საკუთარი, ჭარბი ძალა იგრძნო სხეულში... და დაიწყო...

* * *

პირველი რაც იყო, თავის ცოლს მოაჭრა ცხვირი, ღალატით დასწამა და მიტომ, ზოგი შინა-მოსამსახურე იმასაც ამბობდა, ენაც მიაყოლა ცხვირსაო, არაფერი რომ არ დასცდენოდაო. მდუმარედ გააგლო სასახლიდან და აფხაზეთისკენ გაუყენა გზას. თან ისიც იფიქრა, სეტემანი ჩამომხტებო და ამაწიოკებს, და უმჯობესია იქით შევედავო, რათა შემრჩესო. წინ ცოლ-ყოფილი გაიგლო და უკან ოდიშის რაზმით მიჰყვა, გონს მოსვლა რომ არ დასცლოდა აფხაზთა მთავარს შარვაშიძეს. ეს ლევანისთვის არა, მაგრამ სრულიად საქართველოსთვის

ყველაზე საბედისწერო გადაწყვეტილება იყო. ლევანმა ყურადღება არ მიაქცია ერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას: თავისი სივერაგით მხცოვანება გაუმწარა მთავარს - სეტემან შარვაშიძე სახლეულითურთ ჩერქეზეთში გადაიხვეწა. ამ ნაბიჯით ქართველობამ გავწირეთ აფხაზეთი დასალუპად.

იქ, კი, შეიფარეს დევნილი მთავარი,

მაგრამ დაიწყეს ამასთანავე მისი ტვინის გადარეცხვა - ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ ჩერქეზი და აფსუა გადამთიელები კეთილშობილ ქართველ დიდაზნაურ შარვაშიძეს.

- აი, ქართველებმა რა დღე გაყარესო...

- აი, ქართველები როგორ მოექცნენ შენ უიღბლო შვილსა და შვილიშვილებსაო...

კოლხი მედეაც გაასხენეს:

- შვილების მკვლელი ხალხია გიურჯებიო, - დაასკენეს.

იმ ღამით სეტემანმა საბედისწერო სიზმარი იხილა, ალბათ უფრო ხილვა და ცხადება, ვიდრე რაღაც სიზმართაგანი:

თითქოს უთავო მხედრის ბეჭისთავი ყოფილიყო თვითონ. მჯიღებს ურტყამდა ბეჭისთავს მხედარი და ტკივილის შეგრძნება გამქრალიყო. სამაგიეროდ სხეულის იმ ნაწილზე გადადიოდა ყველა ტკივილი, რომელსაც გვემდნენ. თავი მობეზრდა ბეჭისთავს, ტურა-აფთრებს მიანდო თავი და ისინიც დაუზოგავად ზრავდნენ მას. შეჭმის დროს ტკივილს არ განიცდიდა. ბოლოს მიხვდა ბეჭისთავი, რომ სხვა სხეულში განსხეულებულიყო, გაუცხოებულიყო მისი პირვანდელი სხეულისაგან. ის უკვე მხედარი კი არა ნადირად გადაქცეულიყო და წყუროდა სისხლი თავისი ყოფილი სხეულისა. აზრითაც და გონებითაც ტურა-აფთრებს დამსგავსებოდა. ახლა უკვე შეეშინდა ბეჭისთავს

საკუთარი თავისიც,

თავისი შესხეულებული ნაწილისიც და უთავო მხედრისიც.

გაორება იგრძნო ბეჭისთავმა:

- რა ვიყავი, სად ვარ და სად უნდა ვიყო.

ტურა-აფთრები მიიწვედნენ უთავო მხედრისკენ, ისიც თან მიჰყავდათ. უთავო მხედარს დაკარგული ბეჭისთავის ნაცვლად სპილოს ძვალი ჩაასვა და ბეჭით გამოირჩეოდა იგი ყველა დანარჩენი მხედრისგან.

გამოეღვიძა სეტემანს. გული დამძიმებული ჰქონდა. უგუნებოდ უთხრა მასპინძელს:

- ცხუმს უნდა დავბრუნდო.

გაუკვირდა აფსუა მთავარს:

- რა საჩქაროა? იქ ლევან დადიანი არბევს შენს მამულებს, ცოტა მოვმძლავრდეთ და ჩვენ გავიძლებით მამულის დასაბრუნებლად.

რაღაც მზაკვრობა ენიშნა სეტემანს ამ ნათქვამში, მაგრამ სახელდობრ რა, ვერ აეხსნა, ჯერ მაინც.

იუარა სეტემანმა:

- არაო, რაც მალე დაგბრუნდები აფხაზეთს, მით უფრო მალე შეწყდება დადიანის რბევაო.

გაიღიმა აფსუამ და მთავარს ბეჭისთავზე მოუთათუნა ხელი. ცინიკურად იღიმიდა და იმ წუთს ეს აფსუა ძალიან წააგავდა სიზმრად ნანახ ტურა-აფთარს. ბეჭისთავმა ის ტკივილი იგრძნო, რაც სიზმრად განიცადა. ძალიან მძიმე ხელი ეჩვენა აფხაზს აფსუასი. ამ სიტყვებშიც უცნაური მსგავსება დაინახა -

„აფხაზი“,

„აფსუა“...

ვინ, თუ არა სუფთა სისხლის აფხაზმა და ისიც შარვაშიძემ, კარგად იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო, მაცდურებელი, ქვენა გრძობების აღმძვრელი.

დაყოლოდა ამ სიცრუეს?

სადამდე მიიყვანდა, ეს უკვე აღარ იცოდა. ვერანაირი სიბრძნე და წინათგრძობა ვერ განჭვრეტდა ამას. არადა, ისეთ მარწუხებში მოქცეულიყო, სხვა გზას არ უტოვებდა მასპინძელი სტუმარს, თუ არა ამ გზაზე შედგომას.

გაუცხოებას უკვე ისედაც მოეკიდა ფეხი გულგოროზ შარვაშიძეში, ახლა პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო და მისგანვე ითხოვდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას გადამთიელები. ეს ცინიკური ღიმილი არ სცილდებოდა ამ უტიფარ აფსუას...

- ჩვენც თან წამოვალთო, - ეღრიჯებოდა, - არ მიგატოვებთო.

- თუ გინდა შენი შვილი ჩვენ მოგვათხოვე და ერთი სისხლი და ხორცი გავხდებითო.

- განა თქვენმა მეფემ ყივჩაღების წყალობით არ შექმნა ზღვიდან ზღვამდე იმპერიაო?!

- სათქმელიც მეტი იქნება - თქვენ ბაღვაში გყავდათ, მე ბალაფში ვიქნები, ერთი ჯიშისანი გავხდებით ბოლოს.

- თუ იჩქარებ და ცხუმს დაბრუნდები, დადიანები და ბაგრატიონები ერთად ვარბიოთ და ჩვენი გავხდება აფხაზეთი, აფხაზები კი ჩვენ გავხდებითო.

გველის ნაკბენივით დაუარა სეტემან შარვაშიძეს სხეულში ამ ნათქვამმა. ერთი კი მოისაზრა იმისათვის, რომ როგორმე ჩამოეცილებინა აბეზარი მასპინძელი გზიდან:

- მე ოდიშის მთავრის ენა ვიცი, ბოლომდე არ გამწირავს. თქვენ ვაგლახად შეაწყდებით დადიანის მარბიელ ლაშქარსაო, თანაც მეტისმეტად გაღიზიანდება ლეონი და არც მე დამხოვავს თქვენთან ერთადო.

- შენ ჯავრი ნუ გექნება, სეტემან ბატონო, - უთხრა აფსუა-მთავარმა, - ჩვენ შენთან ერთად წამოვალთ, შენ გვიწინამძღვრე. დავიზოცებით, მაგრამ დავბინავდებით ზღვისპირეთში. როგორც აფხაზები, ისე შევერევით მოსახლეობას და როცა დრო დადგება, ჩვენ დავარბევთ საეგროს და მის ადგილ-მამულს დავიძვევებთო. შენ იქნები ჩვენი მეღრომე და გზამკვლევი აფხაზეთისკენ, აფხაზეთის დიდო მთავარო სეტემან! მერე შენი ქალიშვილის სისხლი და გვარი ჩვენზეც გადმოვა და ლამაზ თამუნიას, ასე

დამახინჯებულს უგულო ლეონის მიერ, ჩვენ გავალამაზებთ ჩვენივე სისხლითო.

შარვათივით ათრობდა აფხაზს აფსუას ნათქვამი. კიდევ ბევრი რამ ასეთი ჩააწვტა ისედაც მოწამლულ შეგონებას. ნახევარს აღარც უსმენდა, მაგრამ რაც მოისმინა, ესეც საკმარისი იყო. ახლა იგი ფიქრობდა და აფსუაც მიხვდა ამას და მარტო დატოვა საკუთარ ფიქრებთან გულამაყი შარვაშიძე.

გავზავნა საიდუმლოდ მსტოვარი დადიანთან და წვრილად მოუთხრო მისთვის ჩერქეზეთის მღულარე ამბები, დასახინჩრებული შვილის სახება არ აძლევდა იმის უფლებას, რომ დაჰყოლოდა აფსუათა ნებას. ისედაც ისმოდა კოლხეთის ზღვისპირეთში მოლების მგლისებრი ყმუილი. აფხაზეთი ხომ ისედაც განწირულია გადასაჯიშებლად, ახლა საქმე ისაა ოსმალო თათარი მოასწრებს მის გადაჯიშებას, თუ ეს ურჯულო გადამთიელი აფსუები? ივერიამ მიწა მიგვაყარაო, ერთმანეთს მტრობენ ქართველთ შვილები, დაუნდობლობაა ქვეყანაზეო. ვერც ის გაგვირკვევია ხეირიანად, რას გვერჩის ოდიშის მთავარი ასე უმოწყალოდ რომ გვექცევა, მორჩილება თუ უნდა ჩვენი, უსისხლოდ დაგვიმორჩილოს. ჩვენ ხომ ბაგრატი მეფის დრომით გავერთიანდით და ლეონ მეფის ქუთათურობით ვიწრობოდითო. ლევან დადიანს რომ მივენდოთ, ალგვევის პირისაგან მიწისა, ოსმალო მონებად გავგვიდის, ეს ჩერქეზები და აფსუები შეგვერევიან და სისხლი მაინც განახლდებაო.

ბევრს ფიქრობდა სეტემანი სამ უბედურებას შორის რომელი იქნებოდა აფხაზეთისთვის ყველაზე ნაკლებად მანე და შედარებით სასარგებლო. ბევრი აწონ-დაწონა და მაინც ყველაზე საშინელი და საბედისწერო არჩევანი გააკეთა - აფსუების ჩამოსახლება აფხაზეთს და მათი გააფხაზება. იმ თვალთახედვიდან მეტი უკეთესი ვერ დაინახა სეტემანმა, თვალეხი ყოველის მხრით დახეულ-ბული ჰქონდა, და მიტომ. ესეც ქართული უბედობის ბრალი იყო მხოლოდ და მხოლოდ, რომელიც იმჟამად ტრიალებდა მთელს საქართველოში. შინაგანად გრძობდა შარვაშიძე, რომ ამ გადამთიელებსა და ურჯულოებს ისევე ქართველთა მათრახი ჯობდა. ქართველი აფხაზს არ გაანადგურებდა, რადგან ისინი ჯიშითა და მოდგმით ქართველები იყვნენ. პეტრე იბერის სისხლი დულდა აფხაზისა და ქართველის სხეულში. ქართველი უკანასკნელ აფხაზს შეიფარებდა, მორღუობის მაღლი იმოქმედებდა გაავებულ ქართველზეც და აფხაზზეც. არც თურქი და არც აფსუა არ დაინდობდა იმ უკანასკნელ აფხაზს - ერთი მონად გაყიდა სტამბულსა და დამასკოში, მეორე თვით ძირძველ კოლხეთის მიწაზე გადაავარებდა მას და გურგენ მაგისტროსისა და დავით კურაპალატის ნაშვილებს სამკვდროდ გადაკიდებდა ერთმანეთს,

დღეს თუ არა,

ხვალე,

ხვალე თუ არა,

მერე...

მაგრამ ეს

„მერე“

სეტემან შარვაშიძისთვის უსასრულოდ შორეული მომავალი იყო, რომელსაც ვერავინ მოესწრებოდა...

და იქნებ ზედმეტი იყო ასეთი შიში გაუცნობიერებელ მომავალზე და იქნებ იბერიულ მოდგმას ემძლავრა გადამთიელზე და გაექართველებინა აფსუები, როგორც ეს თამარის დროს მოხდა -

ყოფილი რომ ნაყოფიარად იქცა და შეერია ქართველობას.

ერთის სიტყვით,

ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ისიც აჰყვა ამ სახიფათო თამაშს.

სულ მალე დაეშვნენ მთებიდან. სამზადისიც საუცბათო იყო. სეტემანს თავისი მამული ასე თუ ისე მინც დაურბეველი დახვდა, უარესს მოელოდა. ცხუმის სასახლეში ყველაფერი ისე დახვდა, როგორც დატოვა. ოდნავი შიში იგრძნობოდა მის ნაბიჯებში:

- ვაი თუ დადიანი სადმე ახლოს იყოს და მომვარდეს გამხეცებულიო.

იქეთ აფსუათა გამო ეშინოდა, როგორ მიიღებდნენ აფხაზები მათ, ესენი როგორ მოიქცეოდნენ. შინ იყო და გული საგულეს არ ჰქონდა, ყოველ წუთს ელოდა შიკრიკებს ავისმაუწყებელი ამბებით, ან გახელებულ თვისტომებს. სეტემანის ასეთი შინაგანი ფორიაქი არც თუ უსაფუძვლო იყო. სანამ აფხაზეთის მთავარი უფროსოდა ყველას -

შინაურსაც და გარეულსაც.

ამასობაში აფსუებმა ფეხი მოირთხეს კოლხეთის მიწაზე და უმაღლესი ერთმანეთთან მჭიდროდ დასახლდნენ.

აფხაზმა უხუცესებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ლეონ დადიანისგან თავდასახსნელად დაიქირავა გადამთიელები სეტემან შარვაშიძემ. თანაც აფსუათა ეს მეცადინეობა ჩათვალეს დროებით საჭიროებად, რათა ადგილობრივი მოსახლეობა არ შეწუხებულიყო მათი ჩამოსვლით. მაგრამ ვიღაცამ შენიშნა, რომ გადამთიელები იქცეოდნენ არა როგორც მოწვეული დროებითი მოსახლეობა, არამედ როგორც ბატონ-პატრონი იმ ალაგებისა, რაც შემოიღობეს.

ვიღაცამ ხელი წაატანა აფხაზ გოგონას,

ვიღაცამ სახნავ-სათესი დაისაკუთრა,

ვიღაცამ დაიჩემა აფხაზი ვარო,

ვიღაცამ თავისი წესის დამკვიდრება სცადა...

ვიღაცამ რალაც გააკეთა, მაგრამ ეს საყოველთაო ქართული ყოფით, წესითა და ადათით გაფუჭება იყო.

პასუხი რომ მოთხოვეს,

ვერაფერი გააწყვეს -

იარაღი მოუღერა.

აფხაზმა უხუცესებმა უმაღლეს აფრინეს შიკრიკები

ლევან დადიანთან და წვრილად მოუთხრეს, ამ ცოტა ხანებში რა ამბებიც დატრიალდა ანაკოფიდან კელასურამდის, სეტემანს შავ-ნალგლიანობა შეჰყროდა და დადიოდა უბრად.

აფხაზი შიკრიკი ზუგდიდში მერე ღლეს ჩავიდა, როცა ლევანმა უთავო მხედარი იხილა. შეკრიბა სასწრაფოდ თავისი ლაშქარი და აფხაზეთს გაემართა. ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაარბია აფსუები ოდიშის ლაშქარმა. მიეჭრა ლევანი სასახლეში სეტემანს და გაოგნებულმა ჰკითხა:

- რა ხდება, სეტემან, რა ამბები დაგიტრიალებია შენს სამთავროში?

არა უპასუხა რა ლევანზე გულმოსულმა, ხელი ჩაიქნია და განზე გადაგა.

- ან ეს ჩია კაცი ვინაა ასე წვრილი თვალებით, სულ რომ კუდში დავსდევსო?

ეს აბეზარი აფსუა მიხვდა, მასზე რომ ეკითხებოდა დადიანი შარვაშიძეს და თვითონვე უტიფრად უპასუხა ძლივს ნასწავლი აფხაზურით:

- მე ბალაფში ვარ, - შეეშალა სათქმელი და უცებვე გამოასწორა, - ბალვამიო, - დაუმარცვლა ასო-ასო ოდიშის მთავარს აფსუათა მთავარმა.

ცალი წარბი ზე-აწია ლევანმა და ზემოდან ისე დახედა პასუხის გამცემს, რომ გვეგონებოდა მიწასთან გასწორებულ უხსენებელს უყურებსო.

- ერთი, ესეც მომასხენე, რომელი ბალვამი ხარ - ლიპარტი თუ რატიო? - ბრანზმორეულად ჰკითხა ლევანმა აფხაზურად.

ენა ჩაიგლო აფსუამ, დადიანის რისხვას შეუშინდა და ოდნავ უკან დაიხია.

- უნდა წაგაცალოს კაცმა თავიო!.. - ჩაილაპარაკა ლევანმა ქართულად და წაიწია „ბალვამისკენ“ სილის გასაწნავად. შუაში ჩაუღვა სეტემანი და ქართულად შეეპასუხა ლევანს:

- თავი დაანებო! შენ მაიძულე, ესენი რომ ჩამომეყვანა აფხაზეთს და დამეკარებინაო.

თვალებში ჩახედა ლევანმა სეტემანს და არათუ წყენით, ან ბრანით, სინანულით უთხრა:

- საშიშ ხალხს გადაყრისხარ, სეტემან, ისინი არც შენ დაგინდობენ და არც მე. რაღა მე და შენ, პირადი წყენაც რომ გვერდზე გადავდოთ, ნათლად დაინახავ, აფსუები როგორ გააფხაზდებიან და დაგვაშორიშორებენ ერთმანეთს, ჩვენ დროში თუ არა, მომავალში მაინცო, - ხელი ჩაიქნია ლევანმა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო, - შენ ჩემთან გაქვს ანგარიში გასასწორებელი და არა ხალხს ერთმანეთთან, რომლებიც ჩვენ გვაბარია საპატრონოდ. შენ ფიქრობ, ბრალი მიმიძღვის შენს წინაშე. ჰოდა, აქა ვარ, ხელს არ გავანძრევ, რაც გინდა მიყავი, ოღონდ ეს აფსუები გადარეკე მთებს გაღმა, აქაურობა რომ დაივიწყონ, ისეო. თორემ ქართველების და აფხაზების სისხლით შეღებავენ თავიანთ ხრძლებს. ესენი სპარსზე

და ოსმალოზე საშიშნი არიან. ისინი გვარბევენ და გვორგუნავენ, რამდენადაც შეძლება აქვთ, ესენი კი სულში გვიძვრებიან და იმ სულს მოკლავენ საბოლოოდ, რითაც ვსულდგმულობთ. შენ კიდევ ვერ გაგივია, რა საშიშ საქმეს ჩაჭიდებინარ, თორემ მიუხედავად პირადი წყენისა, გვერდით ამომიდგებოდი და ერთად გადავრეკდით ამათ, საიდანაც ჩამოთესლებულან, რადგან შენ თანურის ცხვირს იქით ვერ იხედებო!

ზურგი შეაქცია ლევანმა სეტემანს და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ სეტემანის შეყვირებამ შემოაბრუნა.

- თანური არ ახსენო, შე ბილწო! - შეკბდავლა შეურაცხყოფილმა მამამ.

- დამიბეგრიხარ, აფხაზეთის მთავარო! რაც გემართა ისევ იმით - ჯიშინი აფხაზური ცხენები, ლამაზ-ლამაზი ქალ-ვაჟი... და ყველაფერ ამას დაამატებ ვაჭრებსა და ებრაელებს. მოსავლის მესამედი ჩემს ბელელში უნდა დაბინავდეს ყოველი წლის ბოლოს; ფულს გაპატიობ, არ მინდა შენი ფული, მოსავლით გამისტუმრებ დარჩენილ ვალსაცო.

დაუგლო სიტყვა თუ არა, გავიდა დარბაზიდან.

იმ დღეებში მაცნე მოვიდა ფრიად სამწუსარო ამბით -

საქართველოდან გადახვეწილი გიორგი სააკაძე და მისი ამაღლა, კარგად რომ მიიღო თავის კარზე სულთან-მან ოსმალეთისამან, მოუკვდინებიათ. გადაკიდებია თურმე დიდ მოურავს პირველი ვაზირი. შეუპყრიათ სააკაძე და ყველა მისი მხლებელი, სულ ორმოციოდე კაცი, მოურავის შვილიც - ავთანდილიც. რაღაც მოგონილი ბრალდებით დატუსაღებიდან რამდენიმე დღეში ყველა მათგანისათვის თავები დაუყრევინებიათ. პირველად გიორგი სააკაძისთვის გადაუსხეპავს თავი ჯალათს, მერმეთ მისი ვაჟისთვის და მიყოლიან ასე და სულ პირწმინდად ამოუწვევტიათ ოსმალეთს თავშეფარებული ქართველებიო.

გული დაწყდა ლევანს გიორგი სააკაძის დაღუპვის გამო. მისი პირველი სადღეგრძელო გაახსენდა და სინანულით თქვა:

- ესეც საქართველოს თავიო...
არავინ იცოდა რა იგულისხმა ლევანმა ამ ნათქვამში.
იმ ღამით
დიდ ხანს,
დიდ ხანს
არ დაძინებია ლევანს.
ბოლოს ფიქრებმა დაღალეს და ჩასთვლიმა. ახლა უკვე მხოლო-თავი ეზმანა ლევანს, ტანს გარეშე. ვერ გაარჩია ვისი თავი იყო -
გიორგი სააკაძისა,
ქაიხოსრო მუხრან-ბატონისა - მასთან ერთად დაღუპულისა,
ავთანდილ სააკაძისა,
თეიმურაზ მეფისა,
გიორგი იმერთ მეფისა,
თავად ლევანისა,

სეტემანისა,
იმ უღლეური ბლაფშისა, ბლავამდ რომ მოჰქონდა თავი, თუ კიდევ ვილაცისა...

იგივე გაუმეორა ლევანმა, ოღონდ უფრო მტკიცედ:

- ვინა ხარო?

მანაც უპასუხა:

- საქართველოო...

- ჩემგან რას ელიო?

- დაადგით თავი სათავეშიო! ეს თავი დაადგით სათავეშიო, - დააზუსტა თავმა და ლევანის კალთაში აღმოჩნდა, არა როგორც ცოცხალი, არამედ როგორც ჩონჩხი თავისა, ძველთ-უძველესი ჩონჩხი, რომელიც ხორცშესხმას ითხოვდა და ეს თავი ლევანს ჰქონდა ხელში.

გამოღვიძებულმა კარგად ინიშნა, რასაც მოასწავებდა ნანახი -

სიზმარი თუ ხილვა და განუმტკიცდა რწმენა საკუთარი თავისადმი. ორივე ხილვა ერთარსად ააწყო, დაუკავშირა ერთმანეთს და მხოლოდ საკუთარი თავი დაინახა იმ უთავო მხედარსა და უსხეულო თავში და შეუდგა საქმეს, მაგრამ...

* * *

იყო ერთი „მაგრამ“ -

ამასიის ზავი, დადებული სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ოცწლიანი პაექრობის შემდეგ, როცა ერთმანეთს შაკ-თამაზი და სულეიმან სულთანი შეებნენ. სამშვიდობო ზავი ქალაქ ამასიაში დაიდო...

და დაიდო საზღვარი ლიხის ქედზე ორ მოქიშპე იმპერიას შორის -

დასავლეთ საქართველო სამბრძანებლოდ ოსმალეთს გადაეცა,

აღმოსავლეთი კი ირანს.

ამ წესის დარღვევა არავის ეპატიებოდა -

არც ქართველს,

არც სპარსს,

არც ოსმალს...

ასეთი რამ პირველად მოხდა, როცა ქართველთა ბედი ქართველების გარეშე გადაწყდა. აქამომდე თუ საზავო მოლაპარაკებებში პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას იღებდა ქართული მხარე, ამიერიდან ბედი ქართველისა გადაიბარა მისმა ოდითმა დაუძინებელმა მტრებმა.

ერთის მხრივ ამ ავბედითმა ზავმა ქართველ დიდაზნაურებს დათვური სამსახური გაუწია - ამასიის პირობების საფუძველზე ისინი უფრო და უფრო მეტ განკერძოების საკენ მიისწრაფოდნენ. ეს ხელს აძლევდა ამ ზავის მოსარგებლე მხარეებს. შედგა რა ფეხი სპარსეთის ყურეში, სულეიმან დიდებული ზღვათა მპყრობელი გახდა: ქვეყნიერების ყოველი მხრისკენ გაეხსნა გზები და მეტი ზეწოლით წამოვიდა ევქსინის პონტის სანაპიროებისაკენ.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთეს ძღვენს მიართმევდა სულთანსა და მის საყვარელ ცოლს როქსოლანას. ამ უკანასკნელთან

აბამდნენ ურთიერთობებს, რათა სულეიმანი მეტად გულ-
მოწყალე ყოფილიყო.

ისედაც პატარა ქვეყანა,

ისედაც სამეფოებად დანაწევრებული და იოლად
სამართავი,

თვით ეს დანაწევრებული სახელმწიფოებრივი წარმო-
ნაქმნებიც იშლებოდა სათავადოებად.

ერთიანად ამოვარდა ქართველთა ცნობიერებიდან მთ-
ლიანი სახელმწიფო და ამ მთლიანობის გემო მტრებსაც
დავიწყებოდა და მოყვრებსაც. ზავის პირობებით, დასავ-
ლეთ და აღმოსავლეთ საქართველოებს ეკრძალებოდათ
ერთმანეთზე გალაშქრება, ერთმანეთის ტახტის მიტაცება,
ან გადაცემა ნებაყოფლობით. ამით საგარეო ვითარება
დაიძაბებოდა პირველყოვლისა სპარსეთსა და ოსმალეთს
შორის. მთელი ხუთი ათეული წელი იტანჯებოდნენ ქა-
რთველი მამულიშვილები, თუ ვინმე იყო ასეთი - მეჭირ-
ნახულენი და მესვეურნი ივერიის გაერთიანებისა. ვინც
კი მოიწადინებდა სიტყვის დაძვრასაც, მათ პირველები
სამთავრო-სამეფოებში გამაგრებული თავადობა გადაეპტე-
რებოდა, რომლებსაც პირდაპირი საფრთხე ემუქრებოდა
მეფისა და ერის გაძლიერებით, რაც ამ ავად-სახსენებელი
ამასიის ზავით ჰქონდათ მინიჭებული. თვითონ ეს ხეირი-
ანად არც იცოდნენ, იცოდნენ მხოლოდ ის, რომ მათი
უსაფრთხოებისთვის ზრუნავდა ერთის მხრივ სპარსეთის
შაჰი, მეორეს მხრივ კი ოსმალეთის სულთანი. როგორც
კი ამ თავისუფლებას და უსაფრთხოებას რაიმე დაემუქ-
რებოდა, საქმეში შუამავლად თავიანთ „მფარველ-პატ-
რონებს“ ჩართავდნენ...

და იწყებოდა გაუთავებელი ელჩობანი -
„მამა-შვილური“ დარიგებანი:

ესაო, შვილი გამომიგზავნეო,

ესაო, ძმაი გამომიგზავნეო,

ესაო, დაი მომათხოვეო...

უამრავი მლიქვნელობა თავბრუს ახვევდა ისედაც
დაკნინებულ ქართველთა აზროვნებას.

უარეს შემთხვევაში:

თავად გადამთიელი „პატრონები“ სანადიროდ იწვევ-
დნენ გაურჩებულთ,

ან წვეულებაზე

და

ან უთავოდ დატოვებდნენ,

ან უთვალის-ჩინოდ,

ან საწამლავის წყალობით გააჩერებდნენ;

უკეთეს შემთხვევაში ლაშქარს ჩააბარებდნენ

და

ან ავღანეთს წარგზავნიდნენ საომრად,

ან საქართველოს დაალაშქრინებდნენ.

XVI საუკუნის მიწურულს იმერეთი უმართავი გახდა
და ამით სვიმონ ქართლის მეფემ ისარგებლა, ჯარით
გადმოვიდა ლიხის ქედზე, შემოეწყო ქუთათისს და გამეფ-
და იმერეთშიც. ეს კი საერთაშორისო არეულობას მოას-

წავებდა, რომელსაც არ დაუშვებდა ჯერ საზავო ხელშეკ-
რულების დამდები მხარეები, შემდეგ ამ ზავით განპირო-
ბებული სამთავროები, და რაც მთავარია ვატიკანი და
მის უკან მდგარი ევროპული სახელმწიფოები. ვატიკანის-
თვისაც და ოსმალეთის მეზობელი ევროპული სახელმწი-
ფოებისათვისაც ოსმალეთის ნებისმიერი აბოთქრება მათი
სიმშვიდის დარღვევას ნიშნავდა. ამიტომ, როგორც შუა-
მავალი და სიმშვიდის უზრუნველმყოფი კათოლიკური
ეკლესია თავისი მისიონერების მეშვეობით ადგილებზევე
აცხრობდნენ მშფოთვარებას, ან მათ მიერ გაბმული აბ-
ლაბუდებით ახერხებდნენ საწადელის მიღწევას.

ოსმალეთიც უმადლოდა ამისათვის ვატიკანს, ამ მომ-
სახურებით სპარსეთიც ნახულობდა სარგებელს. პონტი-
ფიკოსის ლეგატები და ნუნციუსები დიდის პატივით
იყვნენ მიღებულნი როგორც ისტანბულის, ასევე ისპანის
სასახლეებში. გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ გაჩა-
ლებული იტალიურ რესპუბლიკებთანაც და ესპანელ საეკ-
ლესიო თუ საერო წარგზავნილებთან.

ლათინური ეკლესიის ბნელმა აჩრდილებმა ასე ჩაა-
გონეს მანუჩარ დადიანი ქრისტეს სახელით წინ აღდგო-
მოდა სვიმონ მეფეს და გაეძევიანა იგი ლიხს გაღმა.
მანც და მანც რთული არ ყოფილა მანუჩარის დაყოლი-
ება, რადგან ქართლის მოძალეა დასავლეთზე თვით
ოდიშის მყუდროებასაც უქმნიდა საფრთხეს. ამას ზედმეტი
მაცნეებისა და ჯაშუშების ჩარევის გარეშე გრძნობდა
ოდიშის მთავარი. ლევანი ყოველთვის ნანობდა:

- რატომ მე არ ვიყავი მამის-ჩემის ადგილზე, რათა
მომეძლიერებინა ქართლი და ამით შექმნილიყო მყარი
საფუძველი ქვეყნის გაერთიანებისა. არაფრად არ ჩავაგ-
დებდი იმ წყეულ ზავს და მერე ვერარავინ გაგვიორგულ-
ლებოდაო.

- წინდაუხედავი კაცი იყო მამაჩემი მანუჩარ დადიანიო,
- ამას კი უახლოეს გარემოცვაში აღიარებდა.

- ასე იყო, - განაგრძობდა თხრობას შეზარხოშებული
ლევანი, - ოსმალური ჯარი რომ ექსპონის პონტს გვეცი-
ლებოდა, ოდიში და გურია ცალ-ცალკე და ერთობლივად
იმერეთს ერჩოდაო, ნაცვლად იმისა, რომ ერთობლივი
ძალით ზღვაზე გამსვლელი დაგვეცვა და გაგვეღვენა
ურჯულო თათარი, ან არადა იქ ყოფნა აუტანელი გაგვე-
ხადა მათთვის, - ამას წყენითაც ამბობდა და სინანულითაც.

ახლაც მიტომ ემდუროდა იმერეთს, რომ ეგრისიო-
ნის ძველი დიდების აღდგენას არ ანებებდნენ და ყოველის
მხრით ხელს უშლიდნენ ამ საქმეში ლევანს, თავად
იმერელ მეფეებს კი საამისო ჭკუა და ძალა არ შესწევ-
დათ. ძალა რაა, გონებაში არც უშვებდნენ ქვეყნის გამ-
თლიანების საჭიროებას.

მთელი ნახევარი საუკუნე უთმინეს ერთმანეთს ოსმა-
ლეთმა და სპარსეთმა,

მთელი ნახევარი საუკუნე ჰქონდა მიჯიბული ოსმა-
ლეთს ერაყი, სპარსეთის ყურე, ქალაქი ბაღდადი,

მთელი ნახევარი საუკუნე სპარსეთმა ოსმალეთს

დაანება ერასის, სპარსეთის ყურისა და ქალაქ ბაღდადის მიტაცება,

მთელი ნახევარი საუკუნე ილესავდნენ ერთმანეთზე კბილებს და ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა ისე წაკიდებოდნენ განახლებულის ძალით მუჰამედის სარწმუნოების ეს ორი ოდითი ქურუმი, რომ ახალი ზავით მეტი წილი მიეღოთ მოწინააღმდეგეთა მიწა-წყლიდან და მეტად განევრცოთ გავლენის სფეროები საქართველოზე.

პირველად სპარსეთმა წაიწია ოსმალეთისკენ.

შაჰინშაჰად კურთხევის შემდეგ აბას I-მა თავისი ყმაწვილური ჟინი ოსმალეთზე გადაანთხია და განაახლა ომი მეზობელთან და ერევანს შეება იგი. დახმარებისთვის კახთ-ბატონს ალექსანდრეს მიმართა. ისიც დროის გაჭიანურებით ეახლა შაჰს. ეს უყურადღებობა არ გამოპარვია აბასს და გულში ჩაიღო ალექსანდრესადმი წყენა.

ბაბუის ისპაანს წასვლა ლევანმა მამას აცნობა, მანაც უსაფრთხოების მიზნით ჭაქვიჯაშში გაიწვია შვილი. მანამდე ფიქრობდა მანუჩარი ლევანის გადმოყვანას ოდიშში, როცა ალექსანდრე შეუძლოდ შეიქნა და დროებით ტახტი შვილს - დავითს დაუთმო, მან კი იძულებით აღკვეცა ბერად მამა და ტახტი მიიტაცა.

ეს მაშინ მოხდა, როცა შემახიის ხონთქარს შეუშინდა ალექსანდრე და ხარკი ასძლია, ხოლო ამაზე გაბრაზებულმა აბასმა:

- როგორ თუ ჩემმა ქვეშევრდომმა ჩემის ნებართვის გარეშე ხარკი გაიღო!

დაემუქრა კახთა მეფეს.

ლოვინად ჩავარდა ალექსანდრე.

არეულობა მაშინ მოულოდნელი იყო და მანუჩარმა ვერ მოასწრო შვილის კახეთიდან გამოტაცება. ამ ნაბიჯით გულგორიზ ცოლის-ძმას მეტად გაახელებდა და შეეშინდა, რაიმე არ მოწიოს ლევანსო.

ბავშვს მერე ბიძა - გიორგი მფარველობდა.

როდესაც გიორგი უფლისწული დავით მეფემ თორღვის ციხეში გამოკეტა, მისი მომხრენი კი ჭოეთის ციხის გაღავნიდან გადაჩხა, ხოლო ალექსანდრე მეფე-ყოფილი ალავერდის ტაძარში იძულებით შეაყენა ბერად, უპატრონოდ დარჩენილ ლევანზე მზრუნველობა ქეთევან დედოფალმა აიღო და უფლისწულ თეიმურაზთან ამყოფებდა დღენიადაგ. იმჟამად კი ყველაფერი ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო -

გაურკვეველ ვითარებაში დავით მეფე ავად გახდა და გარდაიცვალა. რა ხმები არ დადიოდა ქვეყანაში - ესაო-და,

დავითს მამის წყევამ უწიაო,

მამამ შვილი თავის მსტოვრებს მოაკვლევინაო

და სხვა.

ბერად შემდგარი მეფე-ყოფილი შესაძლოა არაფერ შუაში ყოფილიყო შვილის სიკვდილთან, მაგრამ ყველა გზა მაინც ალექსანდრესკენ მიდიოდა. გამოთქმულ ვარაუდს საბაბი ჰქონდა -

დავითს, ახალგაზრდას სასიკვდილო არა სჭირდა რაო. ვიღაცამ ესეც თქვა:

- მეხი დაეცა თავში მირონცხების უპატიებლად მოპყრობისთვისო.

ერთის სიტყვით, ალექსანდრესთვის იძულება მალე დასრულდა და ტახტიც მალევე დაიბრუნა.

აი, შაბასის შემოჩენით კი მანუჩარ დადიანისთვის ცხადი გახდა დაძაბულობის თანდისთანობითი მოზგავება... და განარიდა შვილი ამ საშიშროებას.

იგი არც შემცდარა -

ომიდან დაბრუნებულმა შაბასმა მეფე ალექსანდრეს თან გამოაყოლა გამუსლიმანებული კონსტანტი-მირზა, რომელმაც ძეგამში ყიზილბაშთა ხელით მოაკვდინა მამა და ძმა გიორგი და აბასის ნებართვით დაიჭირა კახეთი. კახეთმა კი არ იგუა მამისა და ძმის მკვლელი მეფედ და აუჯანყდა მას. ქეთევანმა, დავით მეფის ქვრივმა, შეკრიბა ლაშქარი ზემო ქართლიდან და კახეთიდან და კონსტანტი-მირზა და მის მიერ არდებილში დაქირავებულ მკვლელებს, მძარცველებსა და ნაძირლებს დაუხვდნენ. გადამწყვეტი ბრძოლა ბელაქინის წყალზე გაიმართა. დავით ჯანდიერმა, ბებურ და თამაზ ვაჩნაძეებმა მოაკვდინეს მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტი-მირზა.

ამ ამბავს რომ უყვებოდნენ ლევან დადიანს, ზეწამოიჭრა ყმაწვილი და მამისგან კახეთს წასვლის ნებართვა ითხოვა. გაეცინა მანუჩარ დადიანს. არ დაუშალა შვილს მოჭარბებული აღტკინების გამოხატვა. თვითონაც წავიდა კახეთს და მამა-შვილმა ერთად მიულოცეს გამარჯვება მუხრან-ბატონთა გულზვიად შთამომავალს. დიდის კდემამოსილებით დაუხვდა ქეთევან დედოფალი სიძესა და მულის-შვილს, ისეთივე სათნო და მომხიბლავი იყო, როგორიც ახსოვდა ლევანს. მის იერში გამჭრალიყო ის მეტროლი სული, რაც ასე კანის სულის მატარებელი კონსტანტის წინაშე. დედოფალმა ესეც უთხრა ნადიმზე სტუმრებს:

- კახეთს ორი ალექსანდრე ჰყავდა - პაპის მამა და შვილთაშვილი. ორთავე საკუთარი შვილების მსხვერპლნი გახდნენ - ავ-გიორგისა და კონსტანტისი. ღმერთმა ჰქნას ან მესამე ალექსანდრე არ მოსულიყოს, ან ამ ორის ბედი აცილებოდეს, თუ მოვა, იმ მესამესო.

- ჭეშმარიტადო, - დაუდასტურეს სტუმრებმა და ქეთევან დედოფლის სადიდებელი შესვეს.

ერთხანს ლევანი კახეთს დარჩა და უფლისწულ თეიმურაზის გამეფების ცერემონიასაც დაესწრო ბოდბეს წმინდა ტაძარში. მანამდე კი უფლისწულის ამაღლაში იყო, როცა სამეფოდ გამზადებული შაბასს წარუდგა. აბასი მხიარულ გუნებაზე იყო, ქართულად საუბრობდა, ოხუნჯობდა, სვამდა ქართულ ღვინოებს. კიდევ ერთხელ გახდა ლევანი აბას პირველის ქართულად მოღვინის მომსწრე, როცა ტფილისს ჩავიდა და ქართლის მეფედ ლუარსაბი დასვა. გაუკვირდა ოდიშის პრინცს.

- ნუთუ შაბასი ქართველია, ან ასე ზედმიწევნით

როგორ იცის ქართული ენა და ჩვენი წეს-ჩვეულებანიო. რომ არა სპარსული სამოსი, ქართველებისგან ვერც კი გავარჩევო, - ეუბნებოდა ლევანი თეიმურაზ მეფეს.

- ძალიან საშიში კაცია აბასიო, - უპასუხა თეიმურაზმა, - ძალიან კარგად ვიცნობ მის თვისებებს. იგი, ჩვენდა საუბედუროდ, თავის სახელს ავად ჩაწერს ქართულ მატრიანეშიო.

- საიდან იცის ასე კარგად ქართულიო?

- ჰმ, - ჩაიღიმა თეიმურაზმა და კეფაზე მოუთათუნა ხელი ყმაწვილს, - ბებია ჰყავდა ქართველი, ამას გარდა სამეფო კარზე მრავალი ქართველი ჰყავს შეკრებილი. მარტო ალავერდი-ხანი და ხოსროვ-მირზა ეყოფოდა მის გაქართველებას, მაგრამ ვერავინ გაიგებს შაჰის ზნეს სრულფასოვნად. იქით გაარჯულა ეს წარჩინებულნი, ქვეყანას წაჰკლიჯა ქაიხოსრო ბატონიშვილი და უნდი-ლაძიანთ ალავერდი-ხანი. ამ ალავერდიმ თავისი ქართული სახელიც კი აღარ იცის, ესაა რომ გვარი ახსოვს საკუთარიო...

- შენც ხომ ისპანის კარზე იზრდებოდი, შენ როგორღა გადაურჩი გადაგვარებასო?

- დედაჩემი ყოველისფერს ღონილობდა, რჯული და ქართველობა რომ არ შემებლწა. ცხონებულმა პაპაჩვენმა ალექსანდრემ ეს ვერ შესძლო და საკუთარ თავზე ზღო გადარჯულებული შვილის გემოო.

ლევანი მაშინ ბავშვი იყო და ბევრი რამ კარგად არ ესმოდა, მაგრამ ერთი რამ საფუძვლიანად შეითვისა - არას გზით რჯული არ უნდა გამოეცვალა და ქრისტიანობის სადარაჯოზე მდგარიყო მუდამჟამს. ზრდამ გონებაც შეჰმატა ყმაწვილს, ცხოვრებისეული გამოცდილება და მაგალითები თავსაყრელად ჰქონდა, ადამიანური ბუნება რომ შეესწავლა.

ამ შაბასს მაინც ვერა გაუგო რა.

ჯერ ერთმანეთზე მიყოლილი გამეფებანი იყო თეიმურაზისი და ლუარსაბისი, მერე ზედმოყოლილი მათი ქორწინება, რასაც ლევანის გადადიანება მოჰყვა. ეს შაბასი კი გამუდმებით თავს დასტრიალებდა მის მიერ გამეფებულ ქართველ გვირგვინოსნებს.

სათვალავი აერია ლევანს -

რამდენჯერ შემოესია სპარსეთი ჯერ კახეთს და მერმე ქართლს, მეფეები კი გარბი-გამორბოდნენ ლიხს გამოღმა თავშესაფარში. მერმე აჯანყების უმაღლეს კან ბრუნდებოდნენ, მეტწილად თეიმურაზი.

ერთხელაც აბასმა შემახიის დასალაშქრად კახთ-ბატონს ლაშქარი სთხოვა. მეფემ ყურები არც კი გააპარტყუნა, იჯდა საწერ მაგიდასთან და რუსთველს ეპაექრებოდა ლექსთა თხზვაში. აბასსაც გულწრფელად პოეტური შემართებით შეუთვალა:

- ლექსებსა ვწერ და ჩემს ახალმოყვანილ ცოლთან ვერთობიო.

- რა დროს ლექსებიო, აბასი ამის პასუხად ყველას დაგვარბევსო, - ეუბნებოდნენ ვეზირები.

თეიმურაზი კი დაძაბული ეძებდა შესაფერის რითმას, რათა ახალაწყობილი ტაეპი დაესრულებინა. ბოლოს, როცა მიაგნო შესაფერის სიტყვას,

- ესეც ასეო... - წამოიძახა და მიუბრუნდა ვეზირებს.

- რა გნებავთო? - ჰკითხა.

იმათმა ვერ გაუბედეს პოეტურ შთაგონებაში მყოფ მეფეს რეალობაში გადმოყვანა, რალაც საყოფაცხოვრებო საკითხები მოხსენეს.

- ამისთვის მაცდენთო? - დატუქსა მეფემ ისინი.

- მაშინო, - მოახსენეს, - შაჰინშაჰი ლაშქარს ითხოვდა, თქვენი უდიდებულესობის უარით შეიძლება აბასი განრისხდესო.

- განრისხდეს მერეო, - მკვახედ მიოგო მეფემ ვეზირებს, - თქვენც რომ იცოდეთ რა საუცხოო შეპაექრება გამოძღის რუსთველთან, საერთოდ შეწყვეტდით ომიანობას ქვეყნიერებაზეო.

შაბასმა ლექსის დათავება არ აცალა თეიმურაზს, ისე უმაღლ შეესია მის სამფლობელოს და აიძულა იგი იმერეთს გადახვეწილიყო. როდესაც აბასი შევიდა ლტოლვილი ხელმწიფის სადგომში, საწერ მაგიდაზე ეტრატე ედო, ზედ კი ლექსი ეწერა ჯერ კიდევ დაუსრულებელი. ხელში აიღო გრაგნილი, ირონიულად ჩაეღიმა და გრძელ უღვაშზე გადაისვა ხელი. მერე დახედა ნაწერს და ხმამაღლა წაიკითხა ბოლო ტაეპი, რაზეც შეჩერდა მწერლის ხელი:

„ნეტაი ყველამ იცოდეს, სოფელი როგორ მქნელია, კაცსა მიანდობს ლალატსა, მტბიერი - ვითა მელია, ანასდად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია, მას არვინ უნდა მიენდოს...“

- დაუსრულებელიაო, - ჩაილაპარაკა შაჰმა და იქვე ჩამოდებულ საწერს დასწვდა და თავისი ხელით მიაწერა, თან ხმამაღლა თქვა ის, რაც დაწერა, - „ესე ნათქვამი ძველია...“

- ასე აჯობებსო, - დაამატა და საწერი უკან მოისროლა. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა და ამ ნათქვამში მთელი თეიმურაზის სურათი დახატა:

- არც ამაში უქნია გამჩენს ეს საცოდავი თეიმურაზიო. ესა თქვა, ეტრატე მაგიდაზე დადო და იქაურობა დატოვა. მაგრამ არ მიუტოვებია თეიმურაზის დევნა - გამოედევნებოდა,

ისიც გადაიხვეწებოდა,

მერე შემოირიგებდა,

მერე ისევ გაუწყობოდა და

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ვიდრემდე გიორგი სააკაძემ არ აიღო საკუთარ თავზე შაჰის თვითნებობის ალაგმვა.

თეიმურაზი მოურავის უმაღურიც დარჩა.

იქით ოსმალო იქაჩებოდა და ლუარსაბს უტევდა. ურდოს ფერად ფაშა მიუძღოდა, გადათელეს ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისი. კველთაში ბერი დაიჭირეს ერთი და გზის ჩვენება უბრძანეს. მან მეფის სადგომს

უქცია მტერი და სხვა გზით ატარა. ქართველებმა დროულად შეატყობინეს ლუარსაბს ქართლში შემოპარული ოსმალების ლაშქრის შესახებ, აბა, შეუმჩნეველი ხომ არ დარჩებოდნენ... სწრაფად შეჰყარა ლაშქარი გიორგი სააკაძემ და ტაშისკარის ვიწროებში გაანადგურა ოსმალთა რიცხოვრივად ქართველებზე აღმატებული არმია. რომ არა ბერი თევდორეს თავდადება, შეიძლებოდა სავალალოდ დასრულებულიყო თითქოსდა ეს თავაუტკივებელი მდგომარეობა, შეიცვლებოდა მდგომარეობა ქართლში და ვითარება ისედაც საომარ მდგომარეობაში მყოფი ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობაში. საპასუხოდ სპარსეთი შემოესია კახეთსა და ქართლს.

ისევ ლტოლვილობა იმერეთში ორთა მეფეთა - თეიმურაზისა და ლუარსაბისი.

დავით ჯანდიერი კი განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. დაუმორჩილებელმა გურჯებმა იმთავითვე მიიპყრო დამპყრობლის ყურადღება. ცალკე ქუთაისს წარგზავნა თავისი ელჩები:

- ქართლისა და კახეთის მეფეები გადმომეციო, - გიორგი იმერთა მეფეს შეუთვალა, - მათთან ნადიმი მომნატრებია და მეწვიონო. ისე მომენატრა ისინი, რომ ტფილისს ჩამოვედი მათ სანახავად, ისინი კი თქვენსკენ გამოქცეულან ჩემის შიშითო. განა ასეთი საშიში ვარო?!

რომ არა განახლებული ომი, შაჰი ვერ გაბედავდა ოსმალების გავლენის ქვეყნებში ულტიმატუმებით მისვლას. ეს კარგად ინიშნა ლევან დადიანმა -

ოდითგან დგინებული საზღვრების ურღვევობა თურმე შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დაირღვესო.

როცა აბასმა თეიმურაზი მოითხოვა, კახეთის მეფე იმხანად ლევანთან აფარებდა თავს და ისე იყო შემინებული, ლექსებისთვის არც კი ეცალა. მაშინ

არც რუსთველი გახსენებია,

არც ლამაზი ცოლი,

არც პატარა ლევანი, მრისხანე მამიდაის-შვილის საპატივცემულოდ რომ დაარქვა თავის უმრწემეს ძეს. სულ იმის შიში ჰქონდა:

- ვაი თუ ლევანმა გადამცა შაჰის ელჩებსაო.

ლევანმა კი დაამშვიდა ბიძაშვილი:

- რომ არა ელჩობის წესი და შენს მომავალზე ფიქრი, თავის ყურებს ხელში დავაჭერიანებდი და ისე გავგზავნიდი აბასთანო. მაგ ვერაგს ოდიში ქართლი და კახეთი ხომ არ ჰგონია?! აქ ლენგ-თემურმაც ვერ მოიკიდა ფეხი და ოსმალებიც თავაზიანად მეპყრობიან. მე რომ ეს ელჩი წამეხდინა, ავეია აბასი შენ გადაგეკიდებოდა და არ გაგახარებდა. ამიტომ გავუშვი ასე მშვიდობითო.

ქალაქიდან ჯერაც არ იქნებოდა გასული სპარსი, რომ ქუთათისიდან მოლემსრბოლი გამოგზავნა ლევანთან გიორგი იმერთა მეფემ:

- სადარბაზოდ გიწვევ შენცა და შენს სტუმარსაცო. ესეც დასწერა წიგნში:

„ასეთივე წვევა მამია გურულსაც გავუგზავნე და

ისიც გვეწვევა დათქმულ დღეს გეგუთის სასახლეში. ჩემთან ერთად ლუარსაბ მეფეც იქნებაო.“

ქუთათისისკენ გზად მიმავალთ ამბავი მოუტანეს კახეთითგან:

- მეტისმეტად შეაწუხა თურმე დავით ჯანდიერმა შემოსული სპარსი და აბასს სულ ქართულად დააწყებინა გინებაო.

- რაც მეფემ შეწყვიტა ბრძოლა და დასავლეთს გაიხიზნა, მის მერე მომეტებულის ძალით ავიწროვებს ქართლისა და კახეთის ტყეებიდან მომხვდურებსო.

- ყოველ ღამით ქართული რაზმები ჯგუფ-ჯგუფად ესხმიან თავს ქალაქებში დაბანაკებულ სპარსელებს და არბევსო.

- კარიბჭე არ მოიძებნება ივერიაში, დავით ჯანდიერს რომ არ დაემორჩილოს და იღუმალ არ გაიღოსო. ძილი დაუფროსა შაჰინშაჰს. დღითაც და ღამითაც უსაფრთება ვიწროებში პატარ-პატარა რაზმებით სპარსულ კოპორტებს და გაერთიანების საშუალებას არ აძლევსო.

- ბოლოს დაგმანეს კარიბჭენი ქალაქისანი, მაგრამ კარჩაკეტილნი აღმოჩნდნენ.

- შაბასს ცოცხალი თავით არ უნდა წასვლა საქართველოდან, სანამ დატყვევებულ მეფეებს არ წაასხამს ირანს.

- არადა, დღითიდღე საშიში ხდება აბასის საქართველოში გაჩერება, ეს ბებიით ქართველი ჯიუტი გამოდგა და ფეხს არ იცვლის ტფილისიდან.

- პირობა დაუდო ლელაის - თავის ცოლს და ბეჭდით დაამტკიცა, რომ არათუ დასასჯელად, არამედ გასაწვრთნელად მჭირდება ლუარსაბ მეფეო, ერთხანს თან წავიყვან და მერმეთ უვნებლად დაეუბრუნებ თავის სამეფოსაო.

- ასეთსავე პირობებს აძლევს თეიმურაზს, მაგრამ მასთან კიდევ სხვა ანგარიშები აქვს და ასე იოლად ვერ გადაურჩება შაჰის რისხვას.

- თუმცადა მასთანაც ფიცი-მტკიცით ადასტურებს, თეიმურაზის სიცოცხლეს საფრთხეს არ შეეუქმნი და პირადად ვაგებ პასუხს ორივე მეფის უსაფრთხოებაზეო.

გეგუთს ჩასულებმა მოისმინეს ყველას აზრი, წაიკითხეს შაჰისა და ლელაის წიგნები. აბასი ირწმუნებოდა და დაწვრილებით იწერებოდა, თუ რას უპირებდა იგი ლუარსაბ მეფეს:

ერთი-ორი დატუქსვა შეუსმენლობისთვისო, ხრმალში წვრთნა და ახალი საომარი მოქმედებების დაგეგმვა ოსმალების წინააღმდეგო. თანაც ახსენებს და ალლაჰს მადლს წირავს, ასე იოლად რომ გადაურჩა ოსმალთაგან დატყვევებას. ამის გამო მადლით მოიხსენია თევდორე ბერი და მოურავ-ხანი.

იგივეს იმეორებდა გიორგი იმერთა მეფისადმი მიწერილ წიგნშიც. აქ უფრო მეტი მლიქვნელობა ჩადო თავის სიტყვაში -

მოიკითხა გულთბილად მასპინძელი, მისი ოჯახი და

შესთავაზა მოწმედ შაჰის სიტყვის ურყეობისა ისიც თან წამოჰყოლოდა ლუარსაბსა და თეიმურაზს და საკუთარი თვალთ ეხილა ამ ორთა წვრთნა და თუ რამ საკუთარი თავის შიშიც გაეჩინდეს, თავდებად ევროპელი პატრეები და აბატები იახლე და მათ გარემოცვაში იყავიო. თავდებობისთვის მზადყოფნას ფრანცისკანელთა ორდენი და იეზუიტები აცხადებენო. მათი დასტურიც დაურთო თავის წიგნს.

ლელაი თავის ძმას თხოვნა-მუდართი სავსე წიგნს უგზავნიდა:

„დაუჯერე შაჰსაო, ჩემი ქმარი და ბატონი გულმოწყალეაო, სულაც არა აქვს გამიზნული შენი დასჯაო. უბრალოდ გულდაწყვეტილია შენზე, კახთა მეფე თეიმურაზს რად აჰყვავა; ასე ამბობს შაჰი: მართალია, თქვენ ერთმანეთისთვის სიძე-ცოლისძმანი ხართ, მაგრამ არც მე ვარ უცხო, ოჯახის წევრად ვითვლები, რაც არ უნდა იყოსო. ჯანდიერმა და თეიმურაზმა თავის საქმეს მიხედონ, ღმერთი შეეწყვა მათ, შენ კი შენს საქმეს მიხედე. გევედრები, ძმაო, ჩამოდი და მიხედე შენს სამწყსოს. ერთხანს ისპაანს წავიდეთო, გული გადავაყოლოთ დაღლილობისგან და მერმე ისევ განაგრძე მეფობაო.“

საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა ლელაის წიგნი, მაგრამ ლევანი და თეიმურაზი შაჰასს იცნობდნენ კარგად თუ არა, ზომამზე მეტად. თეიმურაზმა უთხრა დამსწრეთ:

- ლელაის, მართალია, ეჭვიც არ ეპარება თავისი ქმრის გულწრფელობაში, მაგრამ ჩემი და ლუარსაბის ხელში ჩაგდების მიზნით აბასისთვის დიდ სირთულეს სულაც არ წარმოადგენს ლელაის მოტყუება და თვალის ახვევა. ეს კაცი თვალთმაქცია და თავისი აკვიატების აღსასრულებლად ყველაფერზე წავა. მის კარზე ვარ გამოზრდილი, მე აბასს ვიცნობდი როგორც უფლისწულობისას, ასევე შაჰად ყოფნიდანაც. ამიტომ სრული საფუძველი მაქვს, არ ვენდო მას, ლუარსაბმა კი როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოს თავისი საქმეო...

მერმე ლევანმაც დაამატა:

- აბასს მეც ვიცნობ, ლელასთან მის ქორწილში თეიმურაზს მეც ვახლდი. მან კარგად იცის ქართული ბუნება და ჩვენს გრძნობებზე ხშირად თამაშობს. თეიმურაზიც ბევრს მიაშობდა მის შესახებ. იგი ქართველი კი არაა, მას მხოლოდ ბებია ჰყავდა ქართველი, ეს არის და ეს. ამიტომ არ უნდა მოვტყუვდეთო. აბასზე უკეთ იეზუიტებსა და ფრანცისკანელ ბერებს ვიცნობ. ისინი არასოდეს წავლენ პაპის ნების წინააღმდეგ, პონტიფიკოსი კი სპარსეთთანაც და ოსმალეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაშია, შიშობს, არ დაძრას ოსმალთა თავისი ჯარი შუა ეუროპის მიმართულებით. ამიტომ იგი კუდს უქციანებს ერთის მხრივ სპარსეთს, რათა ეომოს ოსმალეთს და ამით ეუროპისკენ ვერ გამოიხედოს, მეორეს მხრივ კი ოსმალეთს ქრთამავს და ელაქუცება, რათა ამ ურჯულთ არ წაახდინოს საქრისტიანო ეუროპა, თანაც სპარსეთზე აქეზებს, ამასიის ზავს იმოწმებს, აიო, როგორ დაარღვია

პირობა ირანის შაჰსაო. ასეთი მერყევი მოკავშირე საყრდენად არ ივარგებს ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებისას ამას ფიქრიც არ უნდაო.

გიორგი იმერთა მეფე არ ერეოდა ამ სჯაბასში, მხოლოდ ესა თქვა:

- მე კარგად ვერ გავრკვეულვარ აბასის ასეთ დაჟინებულ მიზანდასახულობაში. ერთს კი გეტყვით და გაბრდებით - რასაც თქვენ გადაწყვეტთ, მეც თანახმა ვიქნები. ვნებავთ, ომით წავიდეთ აბასზე და დავლაშქროთ ქართლი და გავათავისუფლოთ კახეთიც, სანამდის ძალა გვეყოფა. ოსმალეთი ამაში ხელს არ შეგვიშლის, პირიქით, დაგვეხმარება კიდევ. ერთიანი ძალებით გადავდენოთ ყიზილბაშები ჩვენი მიწა-წყლიდან. გუშინ ლუარსაბ მეფის აღმზრდელი და სასახლის სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი გვეწვია და სთხოვა პატრონს, აბასს ხლებოდა, მე თვითონ წავიდვებიო, არრას დაგიშავებს შაჰინშაჰიო. მეორეს მხრივ დავით ჯანდიერი გზავნის მალემსრობოლებს და თეიმურაზ მეფეს თხოვს საჩქაროდ დაბრუნდეს კახეთს და სათავეში ჩაუდგეს აჯანყებას. ეს მხოლოდ მეფეთა გადასაწყვეტია, ვინ რას იზამს. ჩვენი შეკრების მიზანია რჩევა მიცეთ და დავენმართო, თუ გეთხოვენ დახმარებასაო.

მამია გურიელმა მდაბლად დაუკრა თავი მეფეებსა და ოდიშის მთავარს და თქვა:

- წიგნებით თუ ვიმსჯელებთ, აბასი ისე დაგვიხატა დედოფალმა, რომ ისღა დაგვრჩენია ქრისტეს რჯულზე მივაქციოთ და საქართველოში გავამეფოთ. მაგრამ ლუარსაბისა და თეიმურაზის წვევის ასეთი დაჟინებული მოთხოვნა მის ავ ახირებად მიმაჩნია, თორემ მას რომ კეთილი განზრახვა ჰქონდეს, არ ააოხრებდა ქართლსა და კახეთს, დაბრუნდებოდა ისპაანს და მეფეებიც მშვიდობით დაუბრუნდებოდნენ თავიანთ სამბრძანებლოებს. ჩვენ წარსულიდან გვხრავს სულკურთხეული ღემეტრე მეფის მაგალითი, საკუთარი ფეხით რომ ეწვია ნოინებს ურლოში. იგი მოაკვდინეს, რა თქმა უნდა. თვითონაც იცოდა ეს და არც მტერი მალავდა თავის განზრახვას. ამ შემთხვევაში კი აბასს მოტყუებით სურს თეიმურაზისა და ლუარსაბის ხელში ჩაგდება. ვერავითარი ეუროპა, ვერავითარი მოყვრობა, ვერავითარი სუფრაჯის კეთილგანწყობა ვერ შეატოკებს აბასის გულს. მას შეუძლია მკვლელები აქაც შემოუგზავნოს და ისე მოაკვდინოს თავისი მტრები და მოწინააღმდეგენი. ამისი ბევრი მაგალითი არსებობს. მარტო ალლავერდი-ხანის იღუმალი სიკვდილი იკმარებდა მაგალითად. ჩვენ ძალა არ შეგვწევს წინ აღვუდგეთ შაჰისა და სულთანის მსგავს ქმედებებს. როცა უნდათ, მაშინ შემოგვიგზავნიან საკუთარ სახლში მკვლელებს და თავიანთ ახირებებს მაინც დაიკმაყოფილებენ. ვერავინ - ვერც ლელაი და ვერც შადიმანი ვერ დამარწმუნებენ: აბასმა ხელში რომ ჩაიგდოს ლუარსაბი და თეიმურაზი, იგი ერთ მშვენიერ დღეს რაღაც ხრიკს არ მოუფიქრებს მათ და ტყვედქმნილთ არ მოაკვდინებს. ახლა, ამ ცხელ

გულზე კი აბასი არც ერთ მათგანს არასფერს დაუშავებს. იგი მხოლოდ მამა-შვილური მზრუნველობით დაატყვევებს და საქვეყნოდ დაარწმუნებს ყველას - იეზუიტებსაც, ლელაისაც, შადიმანსაც, ლუარსაბს ასე კეთილად რომ მოვექეცი, სამაგიეროდ მან ასეთი და ასეთი ავკაცობა ჩაიდინა და ყველა მათგანს ათქმევინებს, სიკვდილის ღირსნი ყოფილან ეს მეფეები, ასე რომ გამოვიდეთ ერთ დროს მათთვის თავით. ახლა გიორგი მეფისა არ იყოს, გადაწყვეტილება მეფეებმა თავად უნდა მიიღონ.

- მოდით სუფრაჯსაც მოვუსმინოთ, რას ითხოვს და რა უნდაო? - თქვა დადიანმა.

- უარზე დგას, დადიანო ბატონო, უთხრა გიორგი მეფემ, - ასე ამბობს, პირველად პირადად უნდა შევხვდე ლუარსაბ მეფეს, მერე თქვენის თავყრილობის წინაშეც წარვსდგები.

- არ მომწონს, მეფე ბატონო, შადიმანის ასეთი კეკ-ლუცი. ჯერ იყო და, გიორგი სააკაძე დაუკარგა საქართველოს, ახლა ლუარსაბს მიადგა, მერე ალბათ ყველა ჩვენგანის ჯერიც დადგებაო, - გაბრაზებული ტონით თქვა ლევანმა.

- ნუ ცხარობ, ყმაწვილო, - შეაშველა გიორგი მეფეს სიტყვა გურიელმა, - აქ პირად-პირადი გრძობები უნდა გადავლოთ და საქვეყნო საქმისთვის უნდა ვიმსჯელოთ.

- ჰოდა, მეც საქვეყნო საქმეს მოგახსენებთ, გურიელი ბატონო, ეს ჩუმათობა რა საჭიროა. თუ სათქმელია ღვთისა და ერის წინაშე ითავოს შეამავლობა და პასუხიც აგოს თავის ქმედებაზეო.

აქ ზე-წამოდგა ლუარსაბ მეფე და თქვა:

- მართალს ამბობს ლევან ბატონი, მაგრამ ჩემი ვალია, როგორც აღზრდილისა, აღმზრდელს ყური დაგუგლო და მერმე გადაწყვეტილებას ისე მივიღებო.

ყველას დაუკრა თავი, მაღლი მოახსენა რჩევისთვის და დარბაზი დატოვა.

შადიმანი გეგუთის მოსასვენებელ პალატებში ელოდა. მან კარგად იცოდა, ლუარსაბი რომ უმისოდ არ გადაწყვეტდა საქმეს. არ გავიდა ორიოდ საათი და ლუარსაბი დათრგუნული სახით შემობრუნდა საათობირო დარბაზში და განუცხადა იქ მყოფთ, რომ:

- მე და შადიმანი დღესვე გავემგზავრებით ტფილისსო.

მძიმე დუმილი ჩამოწვა, დაიძაბა ვითარება. ყველას სახეზე მწუხარება გამოიხატა იმისა, რომ ერთიანობა ისევ გაიბზარა და ყველას თავ-თავისით უნდა ებრძოლათ.

- ასე ვიცოდით! - წამოიყვირა ლევან დადიანმა.

უმალ ყველამ თეიმურაზს გადახედა. დათრგუნული ლუარსაბი თავჩაქინდრული იდგა შუა დარბაზში, მერე ყველას სათითაოდ გამოეთხოვა, მასპინძელს განსაკუთრებული მაღლობა გადაუხადა და დარბაზი მძიმე ნაბიჯებით დატოვა.

- მე ჩემის ლაშქრით გავუკვალავ გზას თეიმურაზს და კახეთამდის ჩავაცილებ. თუ საჭიროება მოითხოვს,

მეც ჩავებები დავით ჯანდიერის ამბოხში! - წამოიყვირა ლევანმა.

- ახლა ვიცი, - ღიმილით თქვა გიორგი მეფემ, - რატომ არ შემოუძღვა სუფრაჯი თავის მეფეს და თავად რატომ არ გვაუწყა ლუარსაბის გადაწყვეტილებაო.

- რატომო? - იკითხა მამია გურიელმა.

- ლევანის რისხვისა შეეშინდა. იგი, ასე თუ ისე, იცნობს ოდიშის მთავრის ფიცს ბუნებას, ბევრიც სმენია. იცოდა, ხრმაღში რომ გამოიწვევდა და არ დაერიდებოდა მის ხანდაზმულობას. თავი არ გაიფუჭა მოხუცმაო, - დაადასტურა არც თუ ხუმრობით თეიმურაზ მეფემ.

- კეთილი და პატიოსანიო, - თქვა გურიელმა, - ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს ლუარსაბ მეფეს და ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგესო. ახლა კახეთისა და თეიმურაზ მეფის საქმე გვაქვს გადასაწყვეტი. მართალია ლევან ბატონმა აღუთქვა თავისი ლაშქრით კახეთს წასვლა და აჯანყებაში ჩართვა, მაგრამ იქნებ ლუარსაბის გადაწყვეტილების შემდეგ მანაც იცვალა აზრი და ეახლება თეიმურაზი შაბასს.

- ეს გამორიცხულიაო, - დაადასტურა თეიმურაზმა, - მაგრამ ვერც იმას დაგავალებთ, ჯანდიერს შეუერთდეთ. მე ვჭირდები ახლა კახეთს, როგორც არასდროს და როგორც არავინ. ამიტომ მე მზადა ვარ იღუმალ გადავიდე ლიხს და აჯანყებულ კახეთს გადავიპარო.

- რასა ბრძანებთ, მეფე ბატონო, - თქვა გიორგი მეფემ, - ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი თვისტომისა და სისხლხორცის გაწირვას. არც ლუარსაბ მეფის გადაცემას ვაპირებდი, ღმერთია მოწმე. ეს თავად მან გადაწყვიტა შადიმანთან მოთათბირების შემდეგ. მაგრამ დაწყებულ საქმეს დაგვირგვინება სჭირდება - დე, იყოს ისე, როგორც ლევანმა თქვა. მეც ჩემის ამალით და, ვიმედოვნებ, გურიელიც თავისი რაზმებით წარვუძღვებით თეიმურაზს არავის საერისთავომდის. იმის იქით კახელნი დაუხვდებიან და არასფერს გაუჭირვებენ. თავის მხრივ, არც იგი გვიწყენს, ჩვენ თუ ვერ ჩავერთვებით ამ აჯანყებაში, აქეთაც გვაქვს მისახედი ჩვენ-ჩვენი მამულები. თუ რომ ასე არ ვქენით, ოსმალო უომრად წაახდენს ჩვენს ქვეყანას. ამის იქით შაბასს გაუოლდება კახეთთან შებმა და ირანსა და ოსმალო თურქს შორის საომარი ველი საქართველოში გადმოინაცვლებსო.

ყველას ჭკუაში დაუჯდა გიორგი მეფის წინადადება. ამ აზრისა იყვნენ იმთავითვე თათბირობის დაწყებამდის.

წინდაწინ ყველას სათანადო თადარიგი დაეჭირა და თავ-თავიანთ სამბრძანებლოში შემზადებული ჰყავდათ ლაშქარი. ლიხის ქედის გადალახვაც მომდევნო დღესთვის დათქვეს. სიჩქარე გადამწყვეტი იყო ამ შემთხვევაში.

საჭიროების შემთხვევაში ბრძოლებით უნდა გაეკაფათ გზა თეიმურაზ მეფისთვის. იმერეთის საზღვართან მომდგარმა გურიელთა და ოდიშართა ლაშქარმა ნიშნის მიცემისთანავე გადმოლახეს ცხენისწყალი და სალამოის-თვის აჯამეთის, ვარდციხისა და გეგუთის სანახებში



Barami
LOGISTICS

Tel: 201-333-5555
www.barami.us

აშკიკაჟი:
60უ-00რკუ0:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

60უ-ჟერსუ0:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელაჟარუ0:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თხილსი
ჰუთსილსი
ჩესთსი
ჰატსი
ჰოი
ჰოლსი
თსლსი
ჰარსი



ამანათუ

4-5 სამუშაო დღეში
აშუ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50\$-დან;

ამანათების გამოგზავნა **სამსროპელოდან**

ავტომობილს

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილს, კომერციული
და პირადი ტვირთის
უილა გადასიღვუ
აშუ-ში.



ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან ალების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

დასცეს კარვები. დასავლეთ საქართველოს ამ გაერთიანებულ ლაშქარს წინ მიუძღოდნენ ორი მეფე - იმერეთისა და კახეთისა; და ორიც მთავარი - ოდიშისა და გურიისა. იშვიათი ერთსულოვნება გამოავლინეს ქართველებმა. შემდგომად ამისა ჩვენთა მტერთა გასახარად ეს ურთიერთანადგომა და შეხმატკბილება სულ მალე დაიშალა - თეიმურაზი უთავკამოსავით ხან გამეფდებოდა კახეთში,

ხან წაართმევდნენ ტახტს,

ხან დაიბრუნებდა,

ხანაც ქართლსაც მიიტაცებდა და

მერე ორივეს ერთად წაართმევდნენ.

ერთის სიტყვით, იგი იმერეთსა და ოდიშს ხშირად სტუმრობდა, რა თქმა უნდა, როგორც დევნილი და ტანტწართმეული, უკეთ რომ ვთქვათ - უმუშევარი. მეფეებზე, კი, ასე ითქმის მაგრამ პიტიკოსს შეუფერებელია ასეთი რამ უწოდო. მისთვის მთავარი სამუშაო მუხების გამასპინძლებაა,

ან თუ არა -

მათთან მეტოქეობაა,

ან უკეთუ მათთან ბრძოლა, რათა დაიწეროს შაირნი მრავალნი და ხმატკბილნი.

ეს თეიმურაზი...

აქეთ:

ლევანმა თავისი დაი მარიამი ცოლად შერთო მამია გურიელის ძეს - სვიმონს იმის პასუხად, რომ იმერთა უფლისწული ალექსანდრე გაეყარა იმავე მამია გურიელის ასულს. შეიკრა ახალი სამოყვრო კავშირი იმერეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ალექსანდრეს თავისი ცოლყოფილისთვის ცხვირ-პირი არ მოუჭრია და ისე არ გაუგზავნია მამამისისთვის თავისი ასული, მაგრამ მამისთვის ფრიად შეურაცხმყოფელი იყო შვილის ოჯახის დანგრევა და მისი საქვეყნოდ გამოტყენება; და მერე ვისი - იმერეთის დედოფლისა. ამას მამია გურიელი ვერ შეეგუებოდა. ლევანს ესტუმრა ცხელ გულზე და მიკიბ-მოკიბულად მიმოიკითხა სადადიანო. მერმე ყასიდად უთხრა:

- ლევან ბატონო, ხომ არ დავმოყვრებულყავითო? შენს სადარ მოყვარეს პირდაპირ ინატრებს კაციო.

მოჰყვა და მოუშვა გუდას თავი და გაგუდა ლევანი ქება-დიღებით.

ლევანი კი ის კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს ქება, საამოა მისთვის მლიქვნელთა სიტყვები, ღვინოსავით მათრობელაა. მაგრამ ლევანი ის კაციცაა, რომელმაც იცის როდის მოიხმაროს მლიქვნელობაცა და ღვინოც.

მამიას ქათინაურები მალამოდ იმიტომ კი არ ხვდებოდა, რომ სჯეროდა მისი გულწრფელობის, არამედ იმიტომ, რომ ამ ქათინაურების უკან სამხედრო მოკავშირეს ხელავდა, შესაძლოა - გურიაზე გავლენის მოპოვებასაც. ლევანს მოახსენეს, სხვათაშორის, ალექსანდრე უფლისწულის განქორწინების ამბავი, ასე რიგად რომ მალავდა ამ ამბავს როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე. ულვაშებში

ელიმებოდა დადიანს და ყველაფერს საუკეთესოდ ხვდებოდა, თუ რისთვის გაისარჯა ეს თეთრი ძეგლი, რა ჰქონდა გუნებაში ლევანთან დამოყვრებით, მაგრამ ეს აბაღა გურული, როგორც ამას თვითონ მამია გამოთქმით იტყოდა ხოლმე, ვერ ხვდებოდა და ვერც აცნობიერებდა, ვისთან მოვიდა და ვისთან აპირებდა დამოყვრებას. მეტისმეტად რომ გადააჭარბა, ლევანმა თავაზიანად შეაწყვეტინა:

- ესე იგი ქორწილი ვქნათ, არა?! - და გადაისვა ულვაშებზე ხელი, მერე ნელი მოძრაობით მისწვდა იტალიაში ესპანეთიდან და ესპანეთში ახალი მიწებიდან, ხოლო ოდიშში მისიონერების მიერ ჩამოტანილ უცნაურ სამუგუზლე ნივთს, რალაც გამხმარი ბალახები რომ უნდა ჩაყარო, მერე ცეცხლი წაუკიდო, კვამლი შეისუნთქო პირით და ჩაყლაპო.

- უცნაური ხალხია, მამია ბატონო, ეს შენგან გამოძევებული იტალიელები. აგერ ეს მომართვეს, მახრჩობს, პირდაპირ, ან რა აწევენებთ ამ ეშმაკის საყვირს მთელს ეუროპას, მიკვირს და გამკვირვებია. აი, ნახე, ნახე, რა საძაგლობააო.

ხველებ-ხველებით გაუწოდა გურიელს ჩიბუხი.

- აგი რაია, ლევან ბატონო, თურმე ახალი მიწები აღმოუჩენიათ დიდ ზღვებს იქით. იქ მყოფები სულ დაბრუებულები ყოფილან ამ მოსაწვევით. ისე, თუ გემო გოუგე, იცოცხლე-თქო, ნამეტანი კაია. მე მაგალითებერ, მომწონს. ამ ამოსადირკვი ბალახის ნერგი ვთხოვე დონ ქრისტოფორესა, მხატვარი რომაა თქვენსას. უთუოდ გამოგიგზავნიო, დამპირდა.

- დაწვავს ცეცხლი და კიდევ წვავს მაგას. ჩვენ კი ჩვენ საქმეს მივხედოთ, მამია ბატონო, მაგ რაღაცაა თუ გენებოს ჩემს საჩუქრად ჩათვალეო, მაშ, ვიქორწინოთ... კეთილი და პატიოსანი. მაგრამ პირველ ხანს შენს სიძეს ხომ არ ვეწვიოთ ქუთათისს?

უხერხულად შეიშმუნა მამია, ზანტად დაიწყო უარის თქმა ისე, თითქოს არც არაფერიო, მაგრამ რატომ უნდა შევაწუნოთ იმერთა მეფეო.

- ეჰ, ჩემო მამია ბატონო, არ მიცნობ შენ მე კარგად, განა სალხინოდ ვეწვიოთ იმ იმერთა მეფეს... იმედია, შენც გექნება საამისო საბაბი და სურვილი და მხარსაც ამიბამ ამ საქმეშიო.

სახტად დარჩა გურიელი, ენა დაება, პასუხიც ვერ გასცა, მაგრამ გაბადრულმა სახემ გასცა მამიას იღუმალი ზრახვები, ასე აშკარად რომ არ უნდოდა გამოემქლავნებინა ეს. ატყობდა, როგორ ექცეოდა ეს თვალთმაქცობაში გაჭაღარავებული კაცი ყმაწვილკაცის მარწუხებში... და მარწუხები მარწუხებს გააჩნია...

რცხვენოდა საკუთარი თავის გამო.

ევონა, ფარულ მიზნებს ისე შევასრულებინებ ლევანს, თვითონ აზრზეც ვერ მოვაო, და თურმე თვითონ მოექცა მის ზაფანგში და ისეთში, მთელი ცხოვრება რომ ველარ დააღწედა თავს ლევანის საცეცებს. ახლა ფიქრისა და უკან დახევის დრო აღარ იყო, ორჭოფობა უფრო მეტად

დაზიანებდა მის მდგომარეობას. ლევანი კმაყოფილი უყურებდა მამიას შინაგან ტანჯვას, ეს კი უთხრა საწუგე-შოდ სტუმარს:

- მთლად ასეც ნუ განიცდი, მამია ბატონო, მე ხომ არ მოვსულვარ შენსას სიძის საშოვრად. ეს შენ მოხვედი ჩემთან რძლის მოსაპოვებლად და მეც თანახმა ვარ ამ ქორწინების. ან რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი?! როგორც იტყვიან, მთავარია ქალ-ვაჟს შეუყვარდეთ ერთმანეთი და ჩვენ ჩვენის მხრივ ყოველისფრად ხელი უნდა შევუწყოთო.

საარაკო ქორწილი გადაუხადეს სვიმონსა და მარიამს. ქორწინება განამტკიცა მის - ოტიას დაბადებამ...

და თითქოს ურყევი კავშირები ოდიშისა და გურიისა, რომელიც რისხვად უნდა ქცეოდა იმერეთის მეფეებს, ერთ მშვენიერ დღეს ხუნუღლასავით დაიშალა. მართალია ყველა აღვირები ლევანის ხელთ იყო მოქცეული, მაგრამ მასაც გამოეპარა ერთი პატარა წვრილმანი -

საუკუნის მამა-შვილობა.

იქეთ ლევანის მოკვდინების მცდელობა, რაზეც დიდსულოვნად დახუჭა თვალი,

აქეთ გურიელობისთვის მამა-შვილს შორის ჩაბუდე-ბული უხილავი ქიშპობა იმით დასრულდა, რომ შვილმა მოკლა მამა და მიიტაცა ტახტი.

ამ ამბავმა შეძრა ლევანი და გაახსენდა ის ტკივილი, რაც კონსტანტი-მირზამ მიაყენა მას საყვარელი პაპისა და ბიძის მოკვდინებით. გამხეცდა ლევანი, გზად ვინც კი ხვდებოდა, ყველას მათრახს ურტყამდა, საკუთარ თავს ვერ თოკავდა.

ეს ის ტკივილი გაუღვიძა სიძემ,

მიყუჩებული,

მიჩუქებული -

კაენის ცოდვა.

და საყვარელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული სევდა. გურიაში ლაშქრობის წინა დამით თავლაში ჩაიკეტა და მთელის ხმით ყვიროდა,

არათუ ტიროდა,

ან მოთქვამდა,

არამედ ყვიროდა,

ღრიალებდა არაადამიანური ხმით.

ეს მამიას გლოვა კი არა, ბავშვობაში გადატანილი მწუხარების ამოფრქვევა იყო, ასე რიგად რომ ამოდიოდა დროდადრო და თავის დაეწყების საშუალებას არ აძლევდა.

სასტიკად გაუსწორდა ტახტის მიმტაცებელს... და წინა დღით რომ არ დაეცალა თავლაში ბოღმა, საკუთარი ხელით წააცლიდა თავს ვერაგ სიძეს. იმთავითვე უთხრა დაბრმავებულს:

- შენ ისედაც ბნელი ხარ, თვალის ჩინი არაფერში გჭირდება! ვინც მოგეცი, მიმყავს უკან, შენ მაინც არაფერში დაგჭირდება. უმადლოდუ პატარა ოტიას, ცოცხალი რომ გადაიმჩნოდ.

იძულებით აღკვეცეს ბერად სვიმონი.

შინ მიმავალმა თავის დას ესეც უთხრა:

- მან მარტო მამამისი კი არ მოკლა, ამით ჩემგან უნდოდა თავის დაღწევა. მამიაც რომ არაფერ შუაში ყოფილიყო, ასეთ საქციელს ძლიერები სუსტებს არ პატიობენ. მაგრამ ჩემთვის იმ ჩვენი სულგანათლებული პაპისადმი ტკივილმა დამიარა სისხლ-მარღვებში და არ მომასვენა, თორემ სვიმონს სხვაფრივაც დავიმორჩილებდი. მთავარი იყო მამა არ მოეკლა მას და ამით ჩემში მხეცი არ გაეღვიძებინაო.

ეს რომ თქვა, მარიამი შეცბა მოულოდნელად. ლევანმა ეს ინიშნა და უმალ ჰკითხა დას მიზეზი.

- არ შეგრისხავო, - პირობა მისცა, - შენ თავს გეფიცებით.

ლევანი მხოლოდ მარიამს იფიცებდა ყოველთვის, როცა მართალს ამბობდა, ან დადასტურებულად გააკეთებდა იმას, რასაც იტყოდა. თქმაც იცოდა ყოველთვის:

- მშობლები და წინაპრები მეფიცებოდნენ. ისინი ცოცხლები აღარ არიან და თავიანთი თავი ტყუილზე დასაფიცებლად დამითმეს, ცოლს რამდენსაც მინდა იმდენს მოვიყვან და დღეს ამას დაეფიცებ, თუ ხვალ იმას, ნაკლები ფასი აქვს, შვილები კიდევ უფრო არ იჯერებ. ერთი მხოლოდ დაი მყავს შეურყენელი და უცვლელი, რომელიც არასოდეს გამწირავს და არასოდეს გაწვირავო.

ჰოდა, იცოდა რა მარიამმა ლევანის ეს დათქმა, გაბედა და უთხრა:

- ჩემმა ქმარ-ყოფილმაო, - ძმის თანდასწრებით ვერ გაბედა ეთქვა ქმარიო, თუმცაღა იგი ქმრად ითვლებოდა, ჯვარი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აყრილი, - დამტყუა შენი სისუსტე. მეც ჩემდა უნებურად ვუამბე, რომ ძმაი ჩემი ყველაზე მეტად გააბრაზა ალექსანდრე პაპის მოკვლამ და ამის შემდგომ იგი მიიმედა განიცდის ამ ამბავს დროგამოშვებითო.

ისედაც ხასიათწამხდარი ლევანი კიდევ უფრო აიღეწა სახეზე:

- რა ვითარებაში გკითხა სვიმონმა ჩემს შესახებო?

- ეს ისეთ უმნიშვნელო დროს მოხდა, როცა ამის შესახებ არათუ მე, ვერც ვერავინ გაიფიქრებდა, ემშაკი თუ ჰყავდა ჩასახლებული გვამში. მხიარულად იყო, ოღნავ ნასვამიც. ბავშვს ეთამაშებოდა. იმ დღეს მოხდა, თეიმურაზ მეფის ძის ლევანის დასაჭურისებისა და სიკვდილის ამბავი რომ შევიტყვეთ. მე ვთქვი, ჩემი ძმის საპატივცემულოდ დაარქვა თეიმურაზმა თავის ძეს ლევანი-თქო და ვუამბე, თუ რა გადაიტანე ოდიშს მყოფმა ალექსანდრე პაპისა და ძია გიორგის მოკვდინებისას. უცნაურად გაიეღვა სატანისეულმა სხივმა სვიმონის თვალბში. ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდევ. ამიტომ დამამახსოვრდა ასე რიგად ეს ამბავი. სწორედ მაშინ გადაწყვიტა მამამისის მოკვლა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შენთვის ევნო და შენთან მოსასვლელი გზები ყოველის მხრით ჩაეხერგა. ეს იყო რომ ჩემი ხათრი და რიდი ჰქონდა, თორემ მეც ისევე მომეპყრო-

ბოდა, როგორც შენ - აფხაზთა მთავრის ასულსო.

- მას საამისოდ გამბედაობა არ ეყო, ეს მე ძალიან კარგად ვიცოდით, - შეაწყვეტინა აზრის განვითარება ლევანმა, - კარგი, ამის იქით დაივიწყე გურიელის ცოლი რომ იყავი. შენ უკეთესი ქმარი შეგფერის და მე ამისთვის ვიზრუნებო.

ესა თქვა ლევანმა და დადუმდა.

ამ დღის მერე ლევანი დადიან-გურიელად იხსენიებდა ოფიციალურ მიმოწერებში საკუთარ თავს.

ქუთათისში სისარულისგან თავი ჭერს აჭკრეს გურიასა და ოდიშს შორის განხეთქილების ჩამოვარდნის გამო. თუმცაღა სინარული დიდ ხანს არ დააცალა ლევანმა იმერეთს, გაასმაგებული ძალით შეუტია მოწინააღმდეგეს. ისინიც თავს ვის ვაი ვავლახით იცავდნენ. ახარკებდა და ართმევდა მიწებსა და მამულებს იმერთა მეფეს. ერთი იყო, რომ ქუთათისი არ ნებდებოდა მტრად მოსულ დადიანს... ესეც მაშინ, როცა ჯერ გიორგი, შემდეგ კი ალექსანდრე მეფეებს ყველანაირი იმედები ჰქონდათ ამოწურული და დღე-დღეზე ელოდნენ სატახტო ქალაქის დაცემას. ისინი სახლეულით

ხან გაენათს იყვნენ გახიზნულნი,

ხან მოწამეთას,

ქალაქი კი უპატრონოდ ჰქონდათ მიტოვებული.

- მე რომ ქუთათისს დავრჩეო, - ამბობდა ალექსანდრე მეფე, - რა წუთს შემომიღებს კარს ლევან დადიანი, არ ვცივო. ამიტომ მისგან გაქცევას ვამჯობინებო.

ქუთათისი არა და არ ნებდებოდა მრისხანე მთავარს, ესეც მამუკა ბატონიშვილის მხედართმთავრული თავდადებისა გამო. რომ ვერა შელეწა ქუთათისის კარნი, თვით მამუკა ჩაუვარდა ხელთ ლევანს, უფრო ადრე კი მამაი ამისი მეფე იმერთა გიორგი, თავისი ძველი მოკავშირე და მეგობარი, შემდგომად მტრად მოკიდებული:

კაკას ხიდთან ჩაუსაფრდა თავისი კოპორტით საქორწილოდ მიმავალ ლევანს. დას ათხოვებდა იგი ქართლში ახლად მოვლენილ მეფე როსტომზე. გზად იმერთა მხარე უნდა გაეკლოთ და სწორედ ამით ისარგებლა გიორგი მეფემ, ვინძლო შემომაკვდეს ხელში ეს აბეზარი დადიანიო. თანაც როსტომ მეფესთან ლევანის კავშირი კარგს არაფერს მოასწავებდა იმერეთისთვის ლიხის ქედი ერთგვარ საშიშროების კედლად აღიმართებოდა სამეფოსთვის, რომლისგანაც ყოველ წუთს შეიძლებოდა მიდგომოდა მომაკვდინებელი დარტყმა -

წინ ლევანი,

უკან როსტომი,

წინ როსტომი,

უკან ლევანი,

ასე იქნებოდა:

თანაც ქართლთან დამოყვრება ოდიშს სპარსეთისკენ გაუხსნიდა გზას და სპარსეთსაც ევქსინის პონტზე გასვლის საშუალება მიეცემოდა. იკვრებოდა ერთგვარი მარწუხები -

ირანი,

ოდიში,

კაზკები

იქნება საზღვაო პლაცდარმი სტამბულზე გადამწყვეტი იერიშისთვის.

შაჰ სეფი ამაზე წამსვლელია,

ლევანი ამისთვის ოცნებობს,

დონელი კაზკები მოისყიდეს და ზღვაზე თურქთა გემებს არბევენ...

და ეს განუწყვეტლივ ხდება ამ ბოლო დროის განმავლობაში. ამ კავშირის წყალობით ოსმალეთი დასუსტდება, შეიძლება ისე დასუსტდეს, გაქრეს კიდევ სათვალავიდან ისეთივე მოულოდნელობით, როგორაც ამოიზიდა ამ რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ ეს სახელდობრ იმერეთს კარგს ვერაფერს მოუტანს.

ორმხრივ ალყაში მოქცეულს,

გურია მერყევია,

რაჭა წინასწარ განუჭკვრეტელი,

რა დღე დაადგება ისევ და ისევ ქართველებიდან, არავინ იცის.

რა დღე აყარა აფხაზეთს ოდიშის ლაშქარმა, არანაკლებს იზამს იმერეთშიც. განა ცოტა ახსოვს ლეონისძიერი გემო მოსახლეობას?!

ამ ვარაუდებში იყო გიორგი მეფე, როცა ლევანი თავისი მაცრიონით წაადგა თავს ჩასაფრებულ იმერთა მეფეს. მზად დაუხვდა დადიანი შემოტევას. გამოდის, ლალატს ჰქონდა ადგილი. თანაც ისე დაუხვდა, იმის ნაცვლად რომ თავი დაეცვა, თავდამსხმელები იქით აიყვანა ტყვედ და განაგრძო უშფოთველად გზა.

კარგა ხანს ჰყავდა გიორგი მეფე დატყვევებული ლევან დადიანს. რომ მოწყინდა კატა-თავგობანას თამაში, მაშინ გაუშვა დაუძღვრებული მეფე.

აი, მამუკა ბატონიშვილს კი ვერ შეეღია, იძენდა, რომ თავის სატუსალოში ამოხადა სული.

* * *

ვერაფერმა შეუშალა ხელი როსტომ ხანისა და მარიამის ქორწილს -

ვერც ოსმალეთის მუქარამ,

ვერც აფხაზთა დარბევებმა,

ვერც იმერეთის წინააღმდეგობამ.

ეს ქორწილი კურთხეული გამოდგა, და მიტომ.

ერთი იყო რომ, როსტომი უშვილ-ძიროდ გადაეგო ამ ქვეყნიდან და თავის შვილობილად აცხადებდა ჯერ ლუარსაბ I-ის შვილთაშვილს, მასაც ლუარსაბს. მისი უდროო სიკვდილის შემდეგ კი შაჰნავაზდ წოდებულ ვახტანგ მუხრან-ბატონს, რომელსაც გადააბარა კიდევ მამობილმა ტახტი, - ეს მოგვიანებით.

ოტიას - მარიამის შვილს, თვითონ ზრდიდა ლევანი, მამინაცვლის ოინებსაც ასწავლიდა, რათა საუკეთესო მმართველი ყოფილიყო გურიისა და შესაძლოა ოდიშისიც. არც როსტომი ზარდებოდა გერის აღზრდას, თავის უხვ

გამოცდილებას უანგაროდ უზიარებდა გურიის ტახტის მექვიდრესა და თავისი სათნო და საყვარელი ცოლის შვილს. როსტომი, ყოფილი ხოსრო-მირიზა, კარგად ხვდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ კოხტა ყმაწვილს უნდა გაეერთიანებინა გურია-ოდიში და ომით, თუ მშვიდობით შემოემტკიცებინა იმერეთი და აფხაზეთი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაიზრდებოდა ამბიცია ლიხზე გადმოსვლისა და ისიც, თუ ამ დროისთვის ცოცხალი იქნებოდა, სიხარულით დაუთმობდა თავის ტახტს ოტია I-ად აღზევებულ დადიან-გურიელს. მერმე დაუმოყვრდებოდა ბაგრატიონთან გვარს, სავარაუდოდ კახეთის შტოს...

და ეს პატარა ქვეყანაც ამოიხუნთქავდა.

სიხარულისთვის და ივერიის გაბრწყინებისთვის თურმე რა ცოტა რამ ყოფილა საჭირო.

- გარე ვითარებას მე და ლევანი მოვაგვარებთო, - განაგრძობდა თავისთვის ფიქრს ტფილისურ სასახლეში როსტომ-ხანი.

სწორედ მაშინ გაახსენდა თავისი ყველა სახელი დაწყებული ბავშვობიდან, დამთავრებული ქართლის მეფობით. სპარსეთს გამგზავრებამდე ახლობლები ქაიხოსროს უძახდნენ. ახლა ისე იყო გადაჩვეული ამ სახელს, რომ მისი წარმოთქმა უშეცდომოდ არც კი შეეძლო. ამან ქართული ენის უცნაურ წყობაზე დააფიქრა, თანხმონები როგორ შეუთავსებლად არიან განლაგებულნი, თითქოს ყვარის სიტყვაო. გადაჩვეულიყო ქართულ მეტყველების სმენას. სპარსულს ანიჭებდა უპირატესობას ლუარსაბ პირველის შვილიშვილი და დავით XI-ის შვილი. იმ სპარსულმა მეტყველებამ და აზროვნებამ დაანათლა მას ხოსრო-მირიზა, იოლი გამოსათქმელი და დასამახსოვრებელი, ვიდრე ქაიხოსრო, მოკლედ გამოითქმის - ხოსრო, იქაც წამატებული მირიზა საამური სასმენია როსტომხანისთვის.

შაჰ სეფიმ რომ თეიმურაზს ტახტი წაართვა ქართლში და გურჯისტანის ამ ნაწილში იგი გაამეფა, რა თქმა უნდა, ხოსროთი თანამემამულეთა გულს ვერ მოიგებდა. დიდ ხანს იფიქრა და ისევ როსტომზე შეჩერდა, ქართულ ცნობიერებაშიც მიღებულია და სპარსთათვისაც არაა უცხო, ბავშვობის სახელი კი არც კი გახსენებია, რომც გახსენებოდა, არ ისურვებდა მის გამოყენებას.

- ქართლის მეფე ქაიხოსრო I, - ჩაილაპარაკა ხმამაღლა და ჩაეცინა.

- როსტომი რაღაცით წააგავს ქაიხოსროს მიუხედავად იმისა, რომ ასო-ბგერები ერთმანეთს არ ემთხვევაო.

მერე მისი ფიქრი ისევ ოტიას გადასწვდა - თავის გერს. მისი სახელიც გაიმეორა, დააკვირდა ხმოვნებში გარჩენილ „ტ“-ს. მერე თავისი ქორწილი გაახსენდა, შებახუსებული ოდიშელნი რომ მღეროდნენ, „ოდოიაო“,

- არა?! ოდოია, ოტოია! - თითქოსდა წამოყვირებაა, მაგრამ ხმაური კი არაა, მრავალხმოვანებაში ჩამჯდარი სიამოვნება. ამას და ასე მხოლოდ ქართველები თუ იმღერებენ და თანაც ბახუსით აღვზნებულები. ო-დო-ი-

ა!!! ერთი ასოც შევცვალთ: „ო-ტო-ი-ა!“ კარგი თამაშია სიტყვებთან, რომელიც თითქმის არც კი გამეგებაო.

როსტომს გასიგრძეგანებული ჰქონდა თავისი ყოფის სირთულე. ყველამ იცოდა და ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონდათ მამამისი დაუთ-ხანი:

სვიმონ მეფეზე გაურკვეველის მიზეზით შემომწყრალი ძმაი, რომელიც შაჰ თამაზს ეახლა, შემოიკრიბა რა მეფისა და ქვეყნის ორგულნი. დიდის პატივით მიიღო ბატონიშვილი თამაზმაც და მისმა ბეგლართ-ბეგებმა. მეჯლისში საპატიო ადგილი უბოძეს ძმაზე გულმოსულს და სვიმონთან საბრძოლველად ამზადებდნენ. სვიმონი და დაუდი იმ ლუარსაბის შვილები იყვნენ, რომლის წინააღმდეგადაც ხუთგზის გამოილაშქრა სპარსეთმა საქართველოში მთელი ოცი წლის განმავლობაში და ვერა და ვერ დაიმორჩილა. ახლა ამ ლუარსაბის შვილები ერთმანეთს წაკიდებიან და ასეთ შემთხვევას ხელიდან გაუშვებდა შაჰი თამაზი?! დაუდი ხომ ნებაყოფლობით ეახლა კარზე და კარს როგორ მოუხურავდა?! სახელი დავითი ყურთასმენაში კარგად არ ჯდებოდა, ამიტომ დაუდი აჯობებდა, ხოლო დავითი დაუდად რომ გამხდარიყო, რჯული უნდა შეეცვალა. იმის იქით ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა.

დავითმა უყოყმანოდ დასთმო დავითობა და წინადაცვითა, რის შემდეგაც დაუდის დამლით დადიოდა ქვეყნად ვიდრე აღსასრულადმდის. მას რაყამი უბოძეს ქართლის ხანისა და ყიზილბაშთა ლაშქრით ქართლს გამოისტუმრეს. იგი ტფილისს დაჯდა მეფედ და ქართლი გაუყო ძმას:

ტფილისსა და ქვემო ქართლს თავად მართავდა, დანარჩენს კი სვიმონი, სატახტო ქალაქით - გორი.

ორგზის დაამარცხა სვიმონმა დაუდი დიღვამსა და სამადლოს, ფარცხისთან მარცხმა ტახტს ჩამოაშორა სვიმონი -

ყორღანაშვილის ღალატის წყალობით ბრძოლაში მეფე დაატყვევეს და შაჰს მიჰკვარეს.

დიდის პატივით მიიღო სვიმონი თამაზმა, დაუყვავა, ლამის თაფლად იქცა, ვერც რწმენა შეაცვლევიანა მეფეს და ვერც მოხარკეობა აიძულა. ამიტომ კარგა ხანი ალაშუტის ციხეში გამოამწყვდია. ქართლს კი განუყოფლად დაუდ-ხანი დააპატრონა.

ამასიის ზავით ხან სპარსეთი იყო უკმაყოფილო და ხანაც ოსმალეთი და ამას დიდ-დიდი თუ პატარ-პატარა ომიანობებით ავლენდნენ. ყველა მათგანი საქართველოს ზურგზე გადადიოდა.

წამოჰყო თუ არა თავი ხონთქარმა, შაჰმა დატყვევებული სვიმონი გაათავისუფლა და ქართლს დააბრუნა, დაუდ ხანი კი იძულებული გახდა მისი მორჩილი ციხეები თათრისთვის დაეთმო, თვითონ კი სტამბულს გახიზნულიყო. ასე სამარცხვინოდ დაასრულა მეფობა დავით XI-მ, და ეს ხალხს კარგად ახსოვდა.

ოსმალეთს მყოფმა ერთი თათარი დერვიში გაიცნო. ორი წიგნი ჰქონდა მას სააქიმიო.

ახლალა მოიცალა დავითმა წიგნისთვის და მწიგნობრობისთვის.

ახლალა დააკვირდა ქართულ ყოფა-ცხოვრებას, თუ როგორი უწიგნურები ვყოფილვართ. ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩამოვრჩენილვართ თურმე მსოფლიო აზროვნებას. მეზობელ ქვეყნებთან განუწყვეტელი ომებით თავგაბეზრებულთ წიგნი დაგვიწყებოდა თურმე ისევე, როგორც მას მთელი მეფობის ჟამს.

ახლალა დაეწაფა ოსმალურ ლიტერატურას და განსაკუთრებით იმ ღერვიშის ორი წიგნი გამოარჩია სააქიმით.

- ხალხს არ სცოდნია, ამა თუ იმ სნეულებას როგორ უკურნოს და ამ თათარ ალქიმიკოსს სცოდნიაო.

დაისწავლა მისი მოძღვრება და ორი წიგნი ერთ წიგნად აქცია - მეტწილი თარგმანის წყალობით და რაღაც წილი თავისი ცოდნის წყალობით. შესაფერის სიტყვებს ეძებდა, რათა გაექართულებინა წიგნი სააქიმოი. სინანულით დასძენდა დაუდი, აქამოდის ქართველებს მსგავსი წიგნი არა გვქონია და ამიერიდან კი გვექნება სამკურნალო კარაბადინიო. ბოლოს წამკითხველს თხოვა: „შენლობას მიბრძანებდით კეთილისა თქვენისა ენისაგანო.“

ეჰ, დაუდ-ხან,
დაუდ-ხან!..

დასანანია უგუნურება ქართველთა მეფეთა, „იადიგარ დაუდით“ რომ უნდა დაიმკვიდრო შენი სახელი ქართულ სამეცნიერო მატიანეში. სახელმწიფოს მატიანე ამ დროს არ უნდა გადავშალო, თუ მართლაც გინდა შენლობა გიბრძანო კეთილისა ჩემისა ენისაგან.

ახლა ამ დავითის შვილი იმავე გზით იგივე ვითარებაში შემოვიდა ქართლს, წაართვა რა ტახტი თეიმურაზ მეფეს, რომელიც ცნობილი იყო ხალხში, როგორც ყიზილბაშებთან დაუღალავად მებრძოლი რაინდი,

კაცი,

რომელმაც პირადად იწვნია შააბასის სისასტიკე - მთელი ეუროპის წინაშე ცეცხლს მისცეს მისი წმიდა წამებული დედის სხეული, უფრო ადრე კი დაასაჭურისეს მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი, რომელთაგან ერთ-ერთმა ვერ გაუძლო წამებას და ჯვალათებს ხელში ჩააკვდა.

ქართლში მოვიდა ის კაცი, რომელიც გამოზარდა პირსისხლიანმა შააბასმა, რწმენითა და მსოფლჭვრეტით მუსლიმანი. ადვილი არ იქნება როსტომისთვის ტახტის შენაჩუნება წარსულის ასეთი დამლით.

მან ხალხი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ მოვიდა მშვიდობით და არა ომით, მოსაშენებლად და არა გადასაშენებლად ქვეყნისა. თეიმურაზიც რომ თავგადაკლული მწიგნობარია, ოღონდ პიიტიკოსი, ესეც დამთხვევაა.

უბირი ხალხისთვის საკმაო საბაბია იმისათვის, რომ როსტომი მეფედ არ მიიღონ და თვითონვე ჯანყით გზა გაუწმინდონ მათთვის კარგად ნაცნობ თეიმურაზს.

როსტომის არც ცოდვა იციან და არც მადლი. მართო ის იციან, რომ დაუდის შვილია და შააბასის გაზრდი-

ლი, რწმენით მუსლიმანი და სპარსულად აღზრდილი.

თეიმურაზს ბევრად უკეთ იცნობენ -

მისი უსუსურობაც,

მისი თავდადებაც,

მისი შეცოდებაც და

მისი მადლითაც.

ყველაფერი მისი საუკეთესოა აქვთ გასიგრძეებულბული.

ამ თავსატეხის ჟამს როგორ უცნაურადაც არ უნდა მოჩვენებოდა ქაიხოსროს, იგივე ხოსრო-მირზად ყოფილ როსტომ-ხანს დახმარების ხელი ლევან დადიანმა გამოუწოდა, წავიდა რა საკუთარი ბიძაშვილის წინააღმდეგ.

იმხანად მთელს ქვეყანას პირზე ეკერა გურია-ოდიშის ამბები და იმერეთთან გაუთავებელი ქიშპობა. ლევანთან დამოყვრებით როსტომ მეფემ უარი შეუთვალა იმერეთის მეფე ალექსანდრეს მისი ძმის მამუკას შვილობილად აყვანაზე, გიორგი მეფე რომ ლევანს ჰყავდა დატყვევებული, რადგან იგი ცდილობდა თვით მისი ქორწინების ჩაეშალას.

- მაშ, როსტომმა რაღატომ უნდა იშვილოს ასეთი კაცის შვილი და თავისი ტახტი დაუტოვოს! სახელგანთქმულ ლევანთან დამოყვრება ქართლის მეფეს გაუხსნის საკუთარ ხალხთან მისასვლელ გულისკარს.

ჩუმად ფუსფუსებდნენ ქართლშიც და ოდიშშიც, რომ ამ დამოყვრების მოთავე არათუ ლევანი, არამედ თვით როსტომ-ხანიო.

იმასაც ამბობდნენ მაცნეები, რომ იღუმალ თავად წვევია დადიანს ქართლის მეფეო. პირისპირ საათობით საუბრობდნენ თურმე,

რაზე,

ეს არავინ იცის.

მერე ისევე იღუმალ გაუჩინარებულა როსტომი ოდიშიდან, როგორც ეწვია.

არ გასულა ცოტა ხანი და ლევანმა მაცნე აფრინა ტფილისს როსტომ-ხანთან წინადადებით -

მეფეს შეერთო ოდიშის მთავრის დაი. საზეიმოდ მიიღო, ყველას დასანახად და გასაგონად ლევანის წარგზავნილი და თანხმობაც დაუფიქრებლად შეუთვალა.

ეს დიპლომატიური გათამაშება მთელმა საქართველომ დაინახა.

ბევრს გულზე მოხვდა ეს ამბავი,

ბევრს გაუხარდა,

ბევრმა ისიც თქვა:

- ლევან დადიანი თუ ასე-რიგად ენდობა სპარსის მსტოვარს, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმისო.

- ეტყობა, ცუდი მეფე არ უნდა იყოს, თორემ ბრძენ და გონებამავილ დადიანს არ გამოეპარებოდა მისი ზრახვები და საკუთარ დას ასე ახალმოსულზე არ მართმედა როსტომსაო.

მართლაც, სიყალბითა და თვალთმაქცობით ლევანთან ვერრას განდებოდა როსტომ-ხანი, მითუმეტეს ოდიშის

მამულში და ოსმალეთის ჯაშუშებით გადავსებულ ქვეყანაში. საუბარი გულწრფელი იქნებოდა, ყოველგვარი მიკობ-მოკიბვისა და დიპლომატიური რევერანსების გარეშე. ასეთი შეხვედრები იმთავითვე გამორიცხავენ ზედმეტ, არაფრისმთქმელ სიტყვამრავლობას. აქ ორივე მხარისათვის ურთიერთხელსაყრელი პირობების შეთავაზებისა და საბოლოო საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების შესაფერისი ატმოსფერო სუფევდა.

რას მიიღებდა ერთი და

რას - მეორე,

ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებდა.

ამ შეხვედრის შემდეგ, ბუნებრივია, ორივე მხარე მოქმედებას ისე სწრაფად დაიწყებდნენ და დაასრულებდნენ კიდევ, რომ ვერავინ მოვიდოდა გონს და როცა დადგებოდა სასურველი შედეგი, ამას აღიქვამდნენ როგორც მომხდარ ფაქტს -

ვისთვის სასარგებლოს,

ვისთვის მავნებელს,

ვისთვის საშიშს,

ვისთვის მამებელს

და ა.შ.

ერთია რომ, პირველი ნაბიჯი, რომელსაც ქვეყნის დასანახად გადადგამდნენ, უნდა ყოფილიყო ყველასთვის მოულოდნელი, როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე...

და ასეც მოხდა.

ყველა მსჯელობდა,

ყველა კამათობდა...

როსტომის ქორწინების ამბავმა თვით სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაც კი დაჩრდილა თავისი მნიშვნელობით.

კი,

იქორწინა,

მაგრამ ამით რა?..

ყველა ხედებოდა, რომ რაღაც დიდმნიშვნელოვანი მოხდა, მაგრამ ჯერ ვერ კი გაერკვიათ, თუ რა იდო ამ ქორწინებაში ისეთი ჯადოსნური, ასერიგად რომ აფორიაქებდა მტერსაც და მოყვარესაც. თვით სპარსეთიც და ოსმალეთიც გაოდნებულები დარჩნენ ლევანის ნაბიჯით:

სად ქართლი და სად ოდიშო,

სად როსტომი და სად ლევანიო?

ან საიდან მოუვიდათ აზრად ერთმანეთს დამოყვრებოდნენ, ლევანი საყვარელ ბიძაშვილს განდგომოდა და მისი ტახტის წამრთმევს შეკვროდა.

კარგი,

იქორწინეს,

იქორწინეს,

ამით რა...

რა სასარგებლოა ეს ჩვენთვის,

ან იქნებ საზიანო...

კითხულობდნენ

ისპაანსა და სტამბულში,

დამასკოსა და ალექსანდრიაში;

სპარსეთი კარგად იცნობდა ხოსრო-ყოფილ როსტომს,

ოსმალეთი საუკეთესოდ იცნობდა ლევანს.

თურმე მთლად კარგად არ სცოლიათ.

ლამის იყო დაზავდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ერთმანეთში გაეცვალათ მოსაზრებები და შეხედულებები ლევანსა და როსტომზე. სპარსელები გაოგნებულები იყვნენ, ეს ის გამხეცებული ვიაური არ არის, ყულარადასი და ისპაანის მოურავ-ხანი, ოსმალეთთან და ავღანელებთან ბრძოლებში გაწაფულ-დაბრძენებული?! საიდან სადაო მათი დამოყვრება და რას უნდა მოასწავებდეს მათი კავშირები? ერთმანეთთან საზღვარიც კი არა აქვთ, შუაში მტრულად განწყობილი იმერეთი და ლიხის ქედია. ბოლოს ასე დაასკვნეს:

- ვნახოთ, დრო გამოაჩენს მათ ჩანაფიქრებსაო.

ელოდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნახტომს, მაგრამ ეს ლოდინი ჭიანჭურდებოდა და თანდისთანობით სიმძაფრე ეკარგებოდა მითქმა-მოთქმებით გამოწვეულ ლოდინს. ცოტა ხანში მიავიწყდათ როსტომ-ლევანის კავშირი... ორთავე თავ-თავის საქმეს ჩუმად და უხმაუროდ აკეთებდა.

სპარსეთმა იმთავითვე იგრძნო ზღვაზე გასასვლელის პერსპექტივა, ეს კი იმასაც ნიშნავდა, რომ სპარსულ ლაშქარს ეძლეოდა უნიკალური შანსი, ზურგიდან დაერტყა თავისი მოწინააღმდეგესათვის... ცოტაც და პონტონის ექსპინუსზე საკუთარ ფლოტს გაიჩენდა ირანი. იქით ევროპა და აქეთ სპარსეთი გიურჯების სამეფოებისა და სამთავროების ჩათვლით შეავიწროვებდნენ ოსმალეთს და შესაძლოა ისევე თვალის დახამხამებაში გაექროთ თვალსაწიერიდან, როგორც აღმოცენდა. აქაც ერთი „მაგრამ“ მაინც არსებობდა - იმერეთი ყელში გასჩროდა ამ ერთმანეთზე გადაბმულ დიდ ჩანაფიქრს. ეს სუსტი იმერეთი ჯერაც ვერ დაუმორჩილებია მძლეობამდე ლევანს, თუმცაღა მრავალ შემთხვევაში დაჯაბნა კიდევ. აქედან სარგებლის გამოტანაც შეიძლება, როგორც ქართულ ზღაპარ-თქმულებაშია, ისე:

„ყვავი დაესხნება მუხას, მუხა მომცემს რკოს.“

- ყვავი რომ მუხას დაესხნას, ეს მე უნდა მოვახერხო, - ფიქრობდა სპარსეთი და იმერეთს თავშეფარებული თეიმურაზი შაჰის მსტოვრებმა შეაგულიანეს, რათა ეშუამდგომლა ლევანთან, გაეთავისუფლებინა დატყვევებული გიორგი იმერთა მეფე და დაზავებოდა მას. თავის მხრივ სპარსეთმა ძღვენი გამოუგზავნა ლევანს, ერთ სპილოზე რომ დაეტეოდა, იმდენი ავლა-დიდება. ის სპილოც უფემქაშა და ყოველწლიურ ჯამაგირად ათასი ოქრო დაუნიშნა.

ლევანმა ზავის სანაცვლოდ ნახევარი იმერეთი მოითხოვა, ლიხის ქედზე გადასასვლელი ოდიშის სამთავროში რომ შესულიყო.

ამაზე ალექსანდრე მეფე უარზე დადგა. მოლაპარაკებები კარგა ხანს გაგრძელდა, თუმცაღა მაინც უშედეგოდ. ამ მოლაპარაკებათა მსვლელობისას არაერთგზის დაარბია

ლევანმა იმერეთი.

ეს გამწვავებული ურთიერთობა მხოლოდ ოსმალებმა განმუხტა - იგი ზღვით შეიჭრა კოდორის ხეობაში და ააწიოკა დრანდა. ეს ნიშანი იყო ლევანისთვის გაჩერებულიყო იმერეთთან მიმართებაში, რადგან მის უკან თავად ხონთქარი იდგა.

მომდევნო წელს სულთანი ერევნის ციხეს შემოეწყო და ლევანს მაშველი ლაშქარი მოსთხოვა. ლევანიც სწორედ ამას ელოდა, მან შეუთვალა:

- ჯერ დარბეული კოდორის გამო რაც ზარალი ენახე, ამინაზღაურე და მაშველ ჯარზე მერმე ვილაპარაკოთო...

ამ პასუხის სათვალსაჩინოდ რუსეთს აფრინა ელჩობა, რათა ამით მურად სულთანის რისხვა დაეცხრო.

ასეც მოხდა...

ისიც მოხდა,

რომ რუსეთმა ერთ ყურში შეუშვა ელჩის თხოვნა და მეორეში გაუშვა,

ლევანი სხვა უკეთესს არც ელოდა მათგან.

შემოუთვალეს კნიაზ ლეონს:

- ყმადნაფიცობა იკისრე და დანარჩენზე მერე მოვილაპარაკოთო.

ოდიშის მთავარმა წინდაწინვე საუკეთესოდ იცოდა, ასეთ პასუხს რომ მიიღებდა ერთმორწმუნეთაგან, მაგრამ ამ ელჩობამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა - მურად IV დაცხრა,

დააცხრო ხარკმა, ისიც მცირეოდენმა და

იმ სპილომ, სპარსეთის შაჰმა რომ უბოძა.

აბა ლევანს რაში გამოადგებოდა ეს გოლიათი ცხოველი, თუ არ ოსმალოს მოგერიებაში, მოთაფვლასა და დამშვიდებაში.

ორ წელიწადში ერთხელ მოუგდება ხარკს და ხონთქარი ოდიშისკენ გამომხედავი არ იყო. იქამდე თურქი წარმოგზავნილები ჭაობიან გზებზე ატარა, ხმელი მჭადითა და სამი დღის ნანადირევი მწყერით გაისტუმრა, ქათამი რაა, ისიც კი არ დაუკლა. თავი შეაცოდა:

- ასეთ სილატაკეში ვცხოვრობთ და რა ხარკს ითხოვს სულთანიო.

ისინიც ნათქვამ-ნანახში დარწმუნებულნი გულაჩუყებულნი დაბრუნდნენ სტამბულს და დაწვრილებით მოახსენეს პატრონს, რაც იხილეს და რაც გადახდათ. თანაც ისიც დასძინეს:

- მშვირები ვართ და რაღაც გვაჭამეთ, თორემ იმ გაიურმა ლეონმა ლამის იყო შიმშილსა და ჭაობ-ჭაობ მუნძულში ამოგვხადა სულიო.

ამათ რომ სტამბოლის სასახლის სასადილოში უმასპინძლებდნენ და ისინიც შიმშილისგან დაოსებულები ვერ იპირებდნენ საჭმლით, ამ დროს ლევან ბატონი თავს დაესხა ფოთის ციხეს. წინდაწინ დიდძალი ფემქაშები გაუგზავნა ფოთის ციხისთავსა და ჯარის-მთავარს, ხოლო თვით ჯარისკაცები ნაირ-ნაირი სალაფავებით აავსო.

ელჩების გასტუმრებისთანავე ფოთის ფაშასთან შეთანხმებისამებრ შემოეწყო ციხე-სიმაგრეს. შემოწვობის უმაღლაყაფი გაულეს მთავარს. ოცდახუთი ზარბაზანი გადასცა გარანიზონმა ოდიშის ლაშქარს, ისინიც დატვირთულები გაეცალენ ფოთს. მარტო ლევანი და მისი პირადი მცველები დარჩნენ ქალაქში. მთელ ჯარს თითო უხალთუნი ოქრო დაურიგა. ციხისთავმა ნადიმი გაუმართა მწყალობელს, მერე შეთანხმდნენ მიუვალი ბასტიონები დაენგრიათ და ეს დონელი კაზაკებისთვის დაებრალეზინათ, ან არადა არაფერი ეცნობებიათ სტამბულში. ამით ციხე-სიმაგრე საჭიროების შემთხვევაში უფრო იოლი ასაღები განდებოდა ხმელეთიდან. ლევანმა პირობა აღუთქვა:

- ფოთზე მოულოდნელად არ გავილაშქრებ. ან რატომ უნდა გავილაშქრო, როცა ჩვენ ერთნი ვართ, მე გაჭმევთ და გასმევთ, ფადიშაჰი კი მცირე ჯამაგირზე გამყოფბთ. ჩემთან კავშირი გერჩიოთ სულთანის მსახურებასაო.

- მართალს ბრძანებ, ლევან ბატონო, - უთხრა ციხისთავმა, - ჩვენ ერთ ქვაბში ვიხარებებით, შენი წაქცევა, ჩვენი წაქცევა იქნება, შენი გამარჯვება - ჩვენი გამარჯვებაო.

- მაშ, გაუმარჯოს ჩვენს მარჩენალ ლევან დადიანსაო!
- წამოიყვირა ფოთის ფაშამ და ლვინით სავსე ყანწი სულმოუთქმელად დასცალა.

მერმე ლორის მწვადებით სავსე შამფურს დასწვდა. ამით საგანგებოდ მიანიშნა ლევანს ის, რომ ჩემთვის სარწმუნოებრივი აკრძალვები კარგა ხანია აღარ არსებობს ისევე, როგორც შენთვისო.

ლევანი ჩასწვდა ქმედების არსს და გაელმა. ამ დიმილით მან გამოხატა ის, რომ ისინი სამუდამოდ შეთქმულები იქნებოდნენ და ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი დარჩებოდნენ მთელი ცხოვრება. ერთგვარი შიში ამოქმედებდა მათ ერთმანეთის მიმართ. ამ შეთქმით გზა სპარსეთს ეხსნებოდა პონტოის ევქსინუსზე. მართალია, ფოთში თურქები ისხდნენ, მაგრამ მისი სასიცოცხლო ძარღვები ოდიშის მთავრის ხელში იყო და არათუ სპარსეთი, ან ოსმალეთი, თვითონ ხდებოდა ყველაფრის ბატონ-პატრონი ისე, რომ ამის შესახებ სრულფასოვნად მხოლოდ ლევანმა იცოდა. საჭიროების შემთხვევაში ფოთის გარანიზონი არათუ პატრონს, ან მის მტერს, არამედ ფოთის პატრონს დაემორჩილებოდა.

ჭაობებით გარშემორტყმული ციხე-სიმაგრე ზღვით მეტადრე მოუხელთებელი რჩებოდა ავისმოსურნე მეზღვაურთათვის. ფოთით ლევანს ევროპისკენ ეხსნებოდა გზა და იმისათვის, რომ ყოველივე ეს მყარი ყოფილიყო, ამისათვის სჭირდებოდა მას სპარსული ზურგი, რასაც მისი სიძე როსტომ-ხანი განაპირობებდა. უთქმელად მიუხვდა ქართლის მეფე თავის ცოლის-ძმის ჩანაფიქრს და ისიც მიხვდა, ვინ ჩააგონა მას ეს აზრი -

ნიკიფორე ირბახმა,

იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

MEDICAL D I A G N O S T I C S
NOVEL

დაავადების დროულად აღმოჩენის შანსი
Novel Medical Diagnostics P.C.

- ☑ **MRI** დიაგნოსტიკა და მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევები;
- ☑ ყველაზე ხელმისაწვდომი ფასი მათთვის, ვისაც დაზღვევა არა აქვს - მხოლოდ 200 დოლარად.

დაავადების დროული
აღმოჩენა სიცოცხლის
გარანტიას!



Cell: 917-703-6549; Office: 855-668-3530
139-30 34th avenue, Flushing, NY 11254

24 დეკემბერს, 4 სთ-ზე, პასტორ თეატრში

ქართული კულტურის ცენტრი
„ფესვი“ და ნიკოლოზ საბაშვილი

წარმოგიდგინო მუსიკადუნ სპექტაკლს

ჩვენა ჭ ჩაჩაჩაჩა



GEOMEDIA

სონსორი: Diana Bagrationi Foundation
საინფორმაციო მხარდაჭერი: „მამული“
გილეთაგისნათვის: 1-718-514-3655